

ფიქრები შეცვლილ სამყაროზე

მოგონებების მეშვეობით

REFLECTING ON A
CHANGED WORLD
IN LIEU OF MEMORIES

გადასახილველად კოტე ჯალდასტანიშვილის 60 წლის იუბილე
FOR THE 60TH ANNIVERSARY OF KOTE ZALDASTANISHVILI





*ედღვნება კოტე ზალდასტანიშვილს (1960-2017) -
მეგობარსა და კოლეგას*

*To Kote Zaldastanishvili (1960-2017) -
Friend and colleague*

გამომცემელი | Publisher

ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი | The Levan Mikeladze Foundation

სარედაქციო კოლეგია | Editorial Board

არჩილ გეგეშიძე | Archil Gegeshidze

მაია ფანჯიკიძე | Maia Panjikidze

მარიამ ზალდასტანიშვილი | Mariam Zaldastanishvili

მთარგმნელი | Translator

ნოე კანკია | Noah Kankia

რედაქტორები | Editors

რუსუდან მარგიშვილი | Rusudan Margishvili

შან ბეისი | Shawn Basey

დიზაინერი | Designer

მარიამ ზალდასტანიშვილი | Mariam Zaldastanishvili

ფორმატი: კ.ზალდასტანიშვილი, ვენა | **Endpaper:** K.Zaldastanishvili, Vienna, 2015, © Circle Diplomatique

პროექტი განხორციელდა მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის მხარდაჭერით

This project was realised with the support of Mamuka Khazaradze and Badri Japaridze

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის სარედაქციო კოლეგიას. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს სარედაქციო კოლეგიის თვალსაზრისს.

All rights are reserved and belong to the editorial board. No part of this publication may be reprinted in any form – including electronic or mechanical – without written permission. The opinions and findings expressed in this publication are the sole responsibility of the authors and may not necessarily reflect the views of the editorial board.

დაიბეჭდა | Printed by

CEZANNE

თბილისი | Tbilisi, 2020

ISBN 978-9941-8-2750-1



ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION



EU-GEORGIA
BUSINESS COUNCIL



LEVAN MIKELADZE
DIPLOMATIC TRAINING AND RESEARCH INSTITUTE
MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA

მადლობა მხარდაჭერისთვის ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს-საბჭოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ინსტიტუტს.

We are grateful for the support of The EU-Georgia Business Council and The Levan Mikeladze Diplomatic Training and Research Institute under the Georgian Foreign Ministry

უიქრები
გეცვლილ
სამყაროზე
REFLECTING
ON A CHANGED
WORLD

მომონებების მემორი
IN LIEU OF MEMORIES

სარჩევი

7 | წინასიტყვაობა

9 | დაუვინწყარი და მონატრებული კოტე / კონსტანტინე გაბაშვილი

17 | შესავალი / მაია ფანჯიკიძე

საქართველოს ადგილი მსოფლიოში და მულტილატერალიზმი

25 | საქართველოს ადგილი მსოფლიოში / რევაზ გაჩეჩილაძე

31 | „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“ –
იდენტობა პანდემიის დროს / ნატალი საბანაძე

37 | საქართველო და ევროპული ინტეგრაცია:
ქართული დიპლომატიის ამოცანები / კახა გოგოლაშვილი

45 | ქართული საგარეო პოლიტიკა – არც მითი და არც რეალობა / თედო ჯაფარიძე

51 | კორონას ტესტი: COVID-19-ის პანდემიის გავლენა
მულტილატერალიზმზე / თამარ ბერუჩაშვილი

59 | მულტილატერალიზმის განმტკიცება და პარლამენტის როლის
გაძლიერება პანდემიის დროს / გიორგი (გიგი) წერეთელი

რუსეთის ფაქტორი და ურთიერთობები სოხუმთან და ცხინვალთან

63 | ქართულ-რუსული ურთიერთობები პანდემიის შემდეგ / ზურაბ აბაშიძე

71 | ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ტრანსფორმაცია:
გამოწვევები და პერსპექტივა / არჩილ გეგეშიძე

77 | საქართველო გამყოფი ხაზებისა და პანდემიის პირობებში / ქეთევან ციხელაშვილი

85 | კონფლიქტების თავიდან აცილება მრავალფეროვანი საზოგადოების
ინტეგრაციის ხელშეწყობის გზით / ლამბერტო ზანიერი

ეკონომიკა და კრიზისიდან გამოსავლის ძიება

91 | COVID-19-ის პანდემიური ეკონომიკური კრიზისის და საქართველოს ეკონომიკის
რეორიენტირების შესახებ / ვლადიმერ პაპავა

97 | საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობები
პოსტპანდემიური კრიზისის ფონზე / დავით აფციაური

105 | რთული დრო და სწორი გადაწყვეტილებები - ფიქრები პანდემიისას / პოუარდ ჩეისი

სამოქალაქო საზოგადოება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები და სოციალური საკითხები

109 | COVID-19-ით შეშლილი სამყაროს ცვალებადი და
ჯერაც უცვლელი მოცემულობები / ირაკლი მენაღარიშვილი

115 | თავისუფლება პანდემიის ჟამს / თინათინ ხიდაშელი

121 | გამოხატვის თავისუფლება COVID-19-ის პირობებში / დუნია მიატოვინი

125 | ემიგრაცია თუ დიასპორა? / იოსებ ნანობაშვილი

133 | პიროვნება და პოსტპანდემიური სამყარო / ლანა ღოღობერიძე



წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებული „ფიქრები შეცვლილ სამყაროზე“ ეძღვნება გამოჩენილი ქართველი დიპლომატის - კოტე ბაღდასტანიშვილის ხსოვნას და გამოიცემა მისი 60 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

კრებულზე საუბრისას საგანგებო აღნიშვნის ღირსია ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის ძალისხმევა და პროექტის განხორციელებაში შეტანილი წვლილი; ასევე, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს-საბჭოსა და ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მხარდაჭერა.

ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, რომელიც 2010 წელს არის დაარსებული, იკვლევს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებს და მის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ამ კუთხით საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევების ანალიზი.

ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს-საბჭო კოტე ბაღდასტანიშვილის და „ბრიტიშ პეტროლიუმის“ ინიციატივით 2006 წელს დააფუძნეს მსხვილმა კონცერნებმა, როგორიცაა თავად „ბრიტიშ პეტროლიუმი“, „სტატოილი“, „ბორჯომი“, „ტოტალი“, „ვისოლი“ და სხვა. საბჭოს მიზანს წარმოადგენს ევროკავშირისა და საქართველოს შორის ეკონომიკური და ბიზნეს-ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა.

საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი ემსახურება დიპლომატების კვალიფიკაციის ამაღლებასა და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებების შემუშავებას.

სარედაქციო კოლეგია მადლობას უხდის კონსტანტინე გაბაშვილს კოტე ბაღდასტანიშვილის ბიოგრაფიის ავტორობისთვის, ასევე კოტე ბაღდასტანიშვილის ქართველ და უცხოელ კოლეგებს, თანამოაზრეებსა და მეგობრებს - მაია ფანჯიკიძეს, რევაზ გაჩეჩილაძეს, ნატალი საბანაძეს, კახა გოგოლაშვილს, თედო ჯაფარიძეს, თამარ ბერუჩაშვილს, გიგი წერეთელს, ზურაბ აბაშიძეს, არჩილ გეგეშიძეს, ქეთევან ციხელაშვილს, ლამბერტო ბანიერს, ვლადიმერ პაპავას, დავით აფციაურს, ჰოუარდ ჩეისს, ირაკლი მენაღარიშვილს, თინათინ ხიდაშელს, დუნია მიატოვიჩს, იოსებ ნანობაშვილსა და ლანა ლოლობერიძეს - საგანგებოდ ამ გამოცემისთვის შექმნილი ესეებისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას მოვასხენებთ გამოცემის სპონსორებს - მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს და წიგნის ინიციატორს - კოტე ბაღდასტანიშვილის ოჯახს, რომლის ძალისხმევითაც გარეშე ეს პროექტი ვერ განხორციელდებოდა.

საიუბილეო კრებული „ფიქრები შეცვლილ სამყაროზე“ განსაკუთრებულ პირობებში შეიქმნა. ეს გახლავთ მცდელობა, პასუხი გაეცეს პანდემიით გამოწვეული კრიზისის გამო გაჩენილ კითხვებს. ჩვენი ღრმა რწმენით, იგი ბევრ საინტერესო მოსაზრებასა და იდეას სთავაზობს დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს და აუცილებლად იქცევა შემდგომი დისკუსიების სოლიდურ საფუძვლად.

სარედაქციო კოლეგია

თბილისი, 2020 წლის ოქტომბერი



კონსტანტინე გაბაშვილი, კოტე ზალდასტანიშვილი, რომი, 2002, ოჯახის არქივიდან.
Konstantine Gabashvili, Kote Zaldastanishvili, Rome, 2002, From the family archive.

დაუვინყარი და მონატრებული კოტე

კონსტანტინე გაბაშვილი

კოტე ბალდასტანიშვილი 1993 წლის აპრილში გავიცანი, როდესაც თბილისის მერიამ საგარეო ურთიერთობების სამმართველოს ხელმძღვანელის შერჩევას ვცდილობდი. მძიმე დრო იყო და მძიმე სამუშაო. მერიას ასეთი სამსახური ჰქონდა, მაგრამ სრულიად დაძაბუნებულ მდგომარეობაში. ახალი სისხლი, ენერგიული ადამიანები და ბევრი მუშაობა იყო საჭირო. თბილისს მეგობრობა აკავშირებდა რამდენიმე ქალაქთან, მათგან ბაარბრიკენმა, მისმა მაშინდელმა მერმა ჰაიო ჰოფმანმა და ბაარლანდის პრემიერ-მინისტრმა ოსკარ ლაფონტენმა დაუყოვნებელი და წარმოუდგენელი დახმარება გაგვინიეს. სამოქალაქო ომის შედეგად დანგრეულ დედაქალაქს ბავშვთა საკვები, მედიკამენტები და სურსათი გამოუგზავნეს. რამდენიმე რეისი ჩამოფრინდა თბილისში. სხვა დამეგობრებული ქალაქებიც კონტაქტს ელოდნენ. მოკლედ, ზღვა სამუშაო იყო.

სხვებს შორის, ვინც ამ თანამდებობისთვის მირჩიეს, იყო კოტე ბალდასტანიშვილი. მისი გამოცდილება და განვლილი გზა, მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, საინტერესოდ და შთამბეჭდავად მომეჩვენა. კოტე 33 წლისა იყო, რაც ყველაზე აქტიური ასაკია მამაკაცისთვის, სრულიად ცნობილი მოვლენის კვალად. დიახ, კოტე 1960 წელს დაიბადა ტრადიციულ, ქართულ, მშრომელ, კულტურულ ოჯახში. მამა, ნოდარ ბალდასტანიშვილი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის პროფესორი გახლდათ, დედა, ლალა ჯანჭღავა კი – გეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი.

კოტემ 1982 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მართვის ავტომატიზირებული სისტემის სპეციალობით. ნურავის ეწყინება, მაგრამ მაშინ ეს ყველაზე თანამედროვე და ფართო განათლების მიმცემი ფაკულტეტი იყო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. შემდეგ კოტემ ამავე სპეციალობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დაიწყო მუშაობა ინჟინრად, მალევე გადაიყვანეს კათედრაზე, ხოლო 1984 წელს გახდა დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტი. მაშინ ეს შესაძლებელი იყო, თუ ორ პირობას აკმაყოფილებდი – ასპირანტობის კანდიდატს მოეთხოვებოდა გერმანულის კარგად ცოდნა და უმაღლესის დიპლომის წარჩინებული ნიშნები. ეს უკვე ძალიან საინტერესო იყო ქალაქის მერიის საგარეო დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის – ენის საუკეთესო ცოდნა და ტექნოკრატიული განათლება; მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ კოტემ ვადაში, ანუ 1987 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია დრეზდენის ტექნიკურ უნივერსიტეტში და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის წოდება. ეს მის განსაკუთრებულ შრომისმოყვარეობასა და შრომისუნარიანობას მოწმობდა. ჩვენში იშვიათი იყო, ასპირანტს დათქმულ და განსაზღვრულ ვადაში წარმატებით დაესრულებინა ასპირანტურა. ასეთი შედეგი იმაზეც მიუთითებდა, რომ გერმანული სკრუპულოზობით და მეთოდურობით მუშაობა კოტესთვის ბადა ჩამოუყალიბდა.

შემდეგ იგი კვლავ დაბრუნდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თავის კათედრაზე, ასისტენტად, და ორ წელიწადში ისევ გერმანიაში, ერლანგენ-ნიურნბერგის ტექნიკურ უნივერსიტეტში მიაღწინეს მკვლევრად. კოტე 1990 -1992 წლებში კათედრის დოცენტი გახლდათ და სასწავლო დარგში – ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. შემდეგ მას კიდევ ორი ძალიან მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა, რამაც არა მხოლოდ უფრო დამარწმუნა, არამედ საბოლოოდ გადამაწყვეტინა კოტე ზალდასტანიშვილის მოწვევა თბილისის მერიის საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს ხელმძღვანელის პოსტზე: ერთი – 1992 წლიდან კოტე საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსად მუშაობდა; მეორე – გერმანიის მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში სწრაფი დახმარების გასაწევად ამოქმედდა, იყო გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოება (GTZ) და მის წარმომადგენლად საქართველოში კოტე ზალდასტანიშვილი შეაჩივს. სასიამოვნო დამთხვევა იყო, რომ, სანამ კოტეს პირადად გავიცნობდი, GTZ-ისთვის ქალაქის მერიაში დაგვითმია ოფისისთვის ფართი, სადაც სიხარულით განთავსებულან! აი, ასეთი კაცი ავარჩიე თანამშრომლობისთვის. კოტე თბილისის მერიის საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსი გახდა და, ამასთანავე, დარჩა GTZ-ის თბილისის ბიუროს ხელმძღვანელად.

არც შევმცდარვარ არჩევანში – კოტემ სწრაფად მოახერხა აღედგინა ინტენსიური ურთიერთობა ადრე დაძმობილებულ ზაარბრიუკენთან და ნანტთან, ხელახალი კონტაქტების გაბმა ბაქოსა და ერევნის მერიებთან, გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოებასთან აქტიური და წარმატებული თანამშრომლობის ჩამოყალიბება, პროექტების დაგეგმვა და დაწყება. დღე არ გავიდოდა, ჩემთან და ქალაქის პრემიერთან მისი წამოყენებული ან მისთვის დავალებული საკითხი არ განხილულიყო. ახლა შეიძლება ვინმეს სასაცილოდ მოეჩვენოს, როგორ ჩვეულებრივ საქმეს „ვასაღებ“ თითქოს დიდი ამბით, მაგრამ მაშინ ეს მიღწევები იყო. მის მისვლამდე ეს სამმართველო, ფაქტობრივად, უმოქმედოდ იყო. კოტემ პრაქტიკულად ბევრი გააკეთა, რომ საგარეო პარტნიორებთან ურთიერთობას ნორმალური სახე მისცემოდა. გერმანელები, რომლებიც ამერიკელებთან და თურქებთან ერთად პირველები იყვნენ, ვინც აქტიურად გვეხმარებოდნენ, კოტესნაირ ადამიანებთან პარტნიორობის გამო ნდობას გვიცხადებდნენ, კორუფციის თავიდან აცილებისა და შედეგიანი მუშაობის იმედს სწორედ მისნაირებზე ამყარებდნენ.

1993 წელს ქალაქის მერის თანამდებობიდან გადავდექი, რის შემდეგაც გერმანიაში ელჩობა და რეალურად, დასავლეთში საქართველოს პირველი საელჩოს ჩამოყალიბება შემომთავაზეს; გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უკვე ვიცოდი, ვინ უნდა ყოფილიყო ის სამი დიპლომატი, ვინც ჩემთან ერთად იმუშავებდა საელჩოში და ვის რა ფუნქცია დაეკისრებოდა. კოტეს დესპანად მოვიზარებდი. საინტერესოა, რომ ათას ას რვა ადამიანზე (მეც აკვიატებულად ვითვლიდი!) მოხოვეს ბონში წამყვანა, გაუძელი ზენოლას და მაინც სწორედ ის სამი (და კიდევ ერთი – სანდო და აქტიური მეურნე) წავიყვანე საელჩოში!

სრულიად ცარიელ ადგილას, მატერიალურად სრულიად უსახსრობმა, მთელი შემართებით დავიწყეთ საელჩოს აგება, დღედაღამ ჭიანჭველებივით ვშრომობდით. დაახლოებით რომ

წარმოიდგინოთ ჩვენი ხელფასები, მე, ელჩს, ზოგიერთი ქვეყნის საელჩოს მძღოლზე ორასი დოლარით ნაკლები მქონდა, ჩემს თანამშრომლებს კი, რანგის მიხედვით – ჩემზე ას-ასი დოლარით ნაკლები! მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა იმ განუყოფელ განცდასთან შედარებით, რაც ჩვენი მისიის შესრულებისას გვეუფლებოდა! ახლა მეცინება, რომ მახსენდება ქუჩის ტელეფონით ურთიერთობა სამინისტროსთან თუ პარლამენტთან, ანდა ქალაქის ფოსტის ფაქსიდან გაგზავნილი პირველი ანგარიშები! ყველანი თავდაუზოგავად ვშრომობდით; რწმუნებათა სიგელი სწრაფად ჩაიბარეს გერმანელებმა. დაიწყო მუშაობა გერმანიის სამინისტროებთან, რათა საქართველოსთვის მეტი საერთაშორისო ლეგიტიმაცია მოგვეპოვებინა და სწრაფად შეგვემუშავებინა, განგვეხილა, დაგვემტკიცებინა და დაგვეწყო მნიშვნელოვანი პროექტები. ინტენსიურად ვმუშაობდით გერმანიის პარლამენტის ფრაქციებთან და მათ ხელმძღვანელებთან, ჟურნალისტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, თითოეული ჩვენგანი ინტენსიურად იყო ჩართული, რომ საქართველოში დაგვეინტერესებინა დიდი გერმანული კომპანიები. აი, საღამოობით და შაბათ-კვირას კი ვეძებდით საელჩოს შენობას და საცხოვრებელ ბინებს, უიაფეს ავეჯს – მათ მოსაწყობად. საელჩოსთვის ცოტა უკეთესი, მაგრამ ნახმარი ავეჯი შევიძინეთ, კავშირგაბმულობა და ტექნიკური აღჭურვაც მოვაგვარეთ; დღე და ღამე გვინევდა ქართველების მიხედვა – ზოგს ევროპაში გზის გაკვალვაში ვეხმარებოდით, ზოგი კი ციხიდან იყო გამოსაყვანი. ეს ყველაფერი საქართველოს პირველი საელჩოების დიპლომატებმა კარგად იცოდნენ. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ წამით არ დაღლილა, არ დაუსვენია არც ერთს და არც კოტეს, კოტეს – განსაკუთრებით!

იანვრის შუა რიცხვებში ჩავედით ბონში და მაისის დასაწყისში გამართული და აღჭურვილი საელჩო, რეზიდენციები და ტრანსპორტი გვქონდა. აწყობილი ურთიერთობა – მთავრობასთან, პარლამენტთან, საზოგადოებასთან, გერმანულ ბიზნესთან. ნდობით აღსავსე ურთიერთობა – გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის სამინისტროსთან (BMZ), გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკთან (KfW), რასაკვირველია – GTZ-თან; ეს ყველაფერი დიდწილად კოტეს დამსახურება იყო. როდესაც გერმანელებმა ნახეს, რომ ქართული კორუფცია ჩვენც არანაკლებ გვანუხებდა, თანამშრომლობამ ბევრ კარგ საქმეს ჩაუყარა საფუძველი, ასეული მილიონის ღირებულების დახმარება მივიღეთ გერმანიისგან. ყველაფერს ახლა ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ კოტეს მონაწილეობა ყველა საქმეში დიდი იყო.

ერთი დავალება გარკვეულწილად „საბედისწერო“ აღმოჩნდა კოტესთვის. ბონში გაიმართა იმ ორგანიზაციის შეხვედრა, რომელსაც ახალი სახელი იქ დაერქვა და დღეს ყველა იცნობს, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას (WTO). კოტე წავიდა, დაესწრო შეხვედრას, მოვიდა, მოყვა, ამოცანა დაისახა და პირველსავე დიპფოსტას ათასგვერდიანი ამომწურავი მასალა და განწვრიანების პირობები გამოვატანეთ საქართველოს მთავრობაში. 1995 წლის დეკემბერში საქართველოს პრეზიდენტმა ჩემთან სატელეფონო მოთათბირებისას კოტე ბალდასტანიშვილის სახელი საერთაშორისო ვაჭრობას დაუკავშირა და კოტე დაინიშნა საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრად. როგორი ბიჭიაო – შევარდნაძემ და მაშინ იყო, ხუმრობით ასე რომ დავახასიათე: ვაკელი ქიმიკელი-მეთქი.

კოტეს დაევალა ძალიან კონკრეტული და რთული საქმე – შეეერთებინა და შეემცილებინა ორი სამინისტრო – საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების და ვაჭრობის და კიდევ ერთი უწყება, რომელსაც „მთავარმომარაგება“ ერქვა. ეს იყო, ფაქტობრივად, საბჭოთა ქვეყნის გეგმიური ეკონომიკის სავაჭრო მონსტრი და მისი ცალკე არსებობა საბაზრო ეკონომიკაში უკვე იყო გაუგებრობა. კოტე ამ გრანდიოზულ საქმეს უნდა შეეძებოდა. ჰო, არჩევანი სწორი იყო – გერმანულ მუშაობას მიჩვეული ახალგაზრდა, სუფთა კაცი ნამდვილად გაართმევდა თავს ამ დავალებას.

გგონიათ კოტე სიხარულით გამოფრინდა თბილისში? დღესაც ცოტა ვიცი ისეთი ადამიანი, ვინც „არ მინდას“ იტყვის მინისტრობაზე, თან – სუპერსამინისტროში. კოტეს არ უნდოდა გერმანიის დატოვება, მაგრამ გადაწყვეტილებას დაემორჩილა და შეუდგა საქართველოში მუშაობას.

აქ არ შემძლია რამდენიმე სიტყვით ლირიკული გადახვევა არ გავაკეთო – ეგეც კოტეს ცხოვრების დიდი, მნიშვნელოვანი ნაწილია. ქართველმა დიპლომატებმა იციან, რომ ჩვენს პატარა საელჩოებს, უმრავლესობას მაინც, ფაქტობრივად, ერთ ოჯახად უხდება ცხოვრება. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს საელჩოს შინაგანი სინყნარისა და კომფორტისთვის, რაც პროდუქტიული მუშაობის აუცილებელი პირობაა, რომ დიპლომატების ოჯახებიც ადვილი საურთიერთო იყოს, უკონფლიქტო! კოტეს მეუღლე, პროფესიით მედიკოსი თამარ ლეონიძე დიდი გოგლას, ქართველი ჟურნალისტების მასწავლებლის, ბატონი ნიკოს და დიდებული ქართველი ფილოლოგის ლალი ძონენიძის ოჯახის შვილია, სრულიად არაჩვეულებრივი ხასიათის, სიკეთით და სიყვარულით, კულტურით და ღირსებით სავსე ქალბატონი. აი, ხომ 25 წელი გავიდა, რაც ბონიდან ზალდასტანიშვილები წამოვიდნენ, დღემდე სტუმრობენ თბილისში იქ დამეგობრებული უცხოელი დიპლომატები! ეს ტყუილ ქალიშვილები ხომ საოცარი გოგონები არიან: მარიამი – გრაფიკოსი და ნინო – დიპლომატი.

კოტემ ორგანიზაციის რეკონსტრუქციით სამინისტრო თანამედროვე რეესებზე გადაიყვანა, მაქსიმალურად კომპაქტური და ეფექტური მართვის დამკვიდრება ძალიან სწრაფად მოახერხა, გაატარა მოდერნიზაციის რეფორმა, მიაღწია თანამედროვე საკანონმდებლო ბაზის შექმნას. ამ საქმიანობის პარალელურად იყო ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის (TACIS) ეროვნული კოორდინატორი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ალტერნატიული მმართველი. სრულიად ცხადია, რომ არა კოტეს მიმართ განსაკუთრებული ნდობა და მისი მორალის მაღალი სტანდარტი, ასეთი საერთაშორისო ორგანიზაციების პატივისცემა იმ პერიოდის ქართველ მინისტრს ვერ ექნებოდა.

საქართველოს პოლიტიკურ კოლიზიებს ხშირი ცვლილებები ახასიათებდა, სხვადასხვა კონიუნქტურული მოსაზრებიდან გამომდინარე. 2000 წელი იმგვარი ცვლილებით დასრულდა, რასაც სამინისტროების შერწყმა-შემცირება მოჰყვა. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტრო საგარეო საქმეთა სამინისტროს შეუერთდა.



ზურაბ გუმბერიძე, კოტე ზალდასტანიშვილი, კონსტანტინე გაბაშვილი - ბონი, 1995, კონსტანტინე გაბაშვილის არქივიდან. **Zurab Gumberidze, Kote Zaldastanishvili, Konstantine Gabashvili, Bonn, 1995, From the archive of Konstantine Gabashvili.**

სანამ ეს ამბავი მზადდებოდა, კოტე ზალდასტანიშვილმა შემოთავაზებულ წინადადებათაგან სიამოვნებით განაცხადა თანხმობა ბრიუსელში, ევროკავშირში, საქართველოს მისიის ხელმძღვანელად მუშაობაზე – 1998-2000 წლებში კოტე ევროკავშირ-საქართველოს დიალოგს ჩაუდგა სათავეში, როგორც ჩვენი ქვეყნის ელჩი. მისი საქმიანობა ამ მხრივ ასევე მოიცავდა ევროპულ საბჭოს, ევროკომისიასა და ევროპარლამენტს. კოტესთვის არ წარმოადგენდა სირთულეს, გამკლავებოდა ვაჭრობის, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროებში თანამშრომლობის პროექტებს, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელი ქვეყნების მეცნიერებთან თანამშრომლობის ხელშეწყობი საერთაშორისო ასოციაციის (INTAS) ჩვენს ქვეყანასთან კოორდინაციას. მისი გამოცდილება საფუძველი გახდა ევროპარლამენტის ყველა პარტიასთან სათანამშრომლოდ, კონტაქტების დასამყარებლად.

2000 წლის ბოლოს პრეზიდენტის, სამინისტროსა და პარლამენტის გადანაცვლებით, კოტე ბაღდასტანიშვილმა, ევროკავშირში ელჩობასან ერთად, ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს ელჩის თანამდებობაც დაიკავა. ეს უკვე ბრიუსელში ფუნქციების მნიშვნელოვან გაფართოებას და საქმის ბევრად მომატებას ნიშნავდა. მხოლოდ კოტესნაირ ადამიანებს შეუძლიათ სიამოვნებით, ენთუზიაზმით გაითხოზმაგონ და გაიხუთმაგონ საქმე, შეუძლიათ ახალი ძალა და განზომილება მისცენ სამოქმედო ასპარეზს. კოტემ ბრიუსელში ელჩობის სრული ვადა დაჰყო. მისი ელჩობის წარმატების დასტურია, რომ მისი და სხვა ქართველი პოლიტიკური აქტორების დამსახურებით, ევროკავშირისა და ნატო-ს წევრ ბენილუქსის სამ სახელმწიფოს (ლუქსემბურგს, ბელგიასა და ნიდერლანდებს) მყარი პოზიცია ჩამოუყალიბდა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, რაც არცთუ ადვილი მისაღწევი იყო, თუკი გავითვალისწინებთ ამ ქვეყნების მუდმივ სკეფსის ზოგადად ამ ორგანიზაციების გაფართოებასთან დაკავშირებით.

კიდევ ერთ მომენტს აღვნიშნავდი წარმატებული ელჩობის დასტურად: როდესაც კოტემ დაასრულა ბრიუსელში დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელობა, გადაინაცვლა ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში – მისი აქტიური მუშაობის შედეგად, „ბრიტიშ პეტროლიუმის“ და რამდენიმე დიდი უცხოური კომპანიის ინიციატივით, ჩამოყალიბდა ორგანიზაცია „ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს-საბჭო“, რომლის ხელმძღვანელობა ამ კომპანიის მესვეურებმა კოტე ბაღდასტანიშვილს სთხოვეს. ეს ახალი ორგანიზაცია საინტერესო აღმოჩნდა რამდენიმე ქართული კომპანიისთვისაც. მათი სახელების ჩამოთვლაც კი დაგარწმუნებთ კოტეს მიმართ მაღალ პიროვნულ და საქმიან ნდობაში – „ბრიტიშ პეტროლიუმი“, „სტატოილი“, „ბორჯომი“, „ტოტალი“. სწორედ ამ კომპანიების ფინანსური მხარდაჭერით (სხვა უფრო წვრილ ორგანიზაციებს თვლა არ ჰქონდა), შვიდი წელი ხელმძღვანელობდა კოტე ამ საბჭოს. მნიშვნელოვანია, რომ ის ბრიუსელში მდებარეობდა და საქართველოს საგარეო უწყებასთან, სხვა სამთავრობო ინსტიტუტებთან აქტიურად თანამშრომლობდა. ეს იყო მუდმივი მუშაობა ინვესტორების მოსაზიდად – უამრავი შეხვედრის, მოლაპარაკების ორგანიზება და შეთანხმებების რეალიზაცია. ეს მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა, თუ მას სახელმწიფო კარგად იყენებს.

2013 წელს კოტე კვლავ ბრუნდება ოფიციალურ დიპლომატიურ ასპარეზზე. იგი დაინიშნა ელჩად ავსტრიაში, მუდმივ წარმომადგენლად ეუთო-ში და ვენაში განლაგებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ეს მორიგი საპასუხისმგებლო ამბლუა ძალიან დიდი მოცულობის ინტენსიურ სამუშაოს გულისხმობდა, განსაკუთრებით, ისეთი აქტიური მოღვაწისთვის, როგორიც კოტე იყო. ამჯერად მისი ყველაზე რთული და საჭირო საქმე ეუთო-ში მუდმივი მუშაობა გახდა. სრულიად ცხადია, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაცია, ამასთან დაკავშირებული არაღიარების პოლიტიკა, ეუთო-ში რუსეთის უხეში პოლიტიკის შედეგი – სადამკვირვებლო მისიის მოსპობა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, რუსული პროპაგანდის დაპირისპირება საქართველოსთან განსაკუთრებულ აქტიურობას მოითხოვდა და მოითხოვს ეუთო-ში საქარ-

თველოს ელჩისგან. ფაქტობრივად, ყოველკვირეულ, ხანდახან კი უფრო ხშირ სხდომებზე კოტეს მუდმივად უწევდა საქართველოს პოზიციების აქტიური დაცვა. მძიმედ ავად იყო და სხდომებს არ აცდენდა, რომ თავისი მოქალაქეობრივი და დიპლომატიური ვალი მოეხადა...

რაც შეეხება ავსტრიასთან ურთიერთობას, ავსტრია დიდი ხანია მეტ-ნაკლებად იცნობს საქართველოს, როგორც შესაძლო ბიზნესპარტნიორს. ერთ-ერთი პირველი უცხოელი ინვესტორი საქართველოში – ლეოპოლდ ბაუსბეკი და მისი აშენებული გუდაურის პირველი სასტუმრო – ალბათ ყველას გახსოვთ. ბიზნესის დარგში თანამშრომლობის სფეროს კოტეზე უკეთ ცოტა ქართველი დიპლომატი თუ იცნობდა. დიდი გეგმები და აქტიური ასპარეზი, ალბათ, ბევრ და მეტ სასიკეთო შედეგს მოიტანდა! დიპლომატიურ საქმიანობას მეტწილად დრო სჭირდება. მაინც იმდენი მოასწრო, რომ ავსტრიის მთავრობამ ავსტრიის ეროვნული ჯილდოთი აღნიშნა მისი ღვაწლი. ყველა ბევრს ელოდა, იქნებოდა კიდევ ბევრი, რომ არა...

რომ არა ეს მზაკვარი დაავადება. დაუღალავი ბრძოლა სიცოცხლისათვის. დღე და ღამე თავგანწირულად ედგა მხარში თამარი და... მისი უმცროსი ძმა, ნოდარ ზალდასტანიშვილი, თავად დიდებული ექიმი, მეანი, შვილები, სიძეები, მეგობრები – ყველა მაქსიმუმს აკეთებდა, თანაზიარებდა, ყველანი ერთმანეთს და კოტეს ვამხნევებდით. თბილისში უკანასკნელად შვებულებით ჩამოსული კი აქეთ გვამხნევებდა, ხმაურით, სიცილით – როგორც იცოდა, როგორი ცხოვრებითაც იცხოვრა, ისე ვაჟკაცურად და შეუდრეკლად!

მის საქმიან მხარეზე უკვე ცოტაოდენი მოგახსენეთ, მაგრამ ასევე მინდა გითხრათ, რომ ცოტა მეგულება ცხოვრებაზე ასე შეყვარებული, ასეთი სიხარულის მფრქვეველი, ასეთი ნაღდი და უღალატო, ასეთი მზრუნველი და გულგრილი ადამიანი. დიდ მეცნიერებსაც კი უჭირთ განმარტონ, თუ რას ნიშნავს ბიოფილი – არადა ეს სრულიად მარტივია, ეს კოტე იყო. სულ ცოტა რჩებოდა ბოლომდე, თბილისიდან წასვლამდე ვნახე, ჩუმად კი გამომიტყდა – ძალიან დავიღალე ამ ავადმყოფობით, მაგრამ ხვალ წავალ და ისევ სამსახურს შევუბრავ, ეგ მაგრად მშველისო...

აი, ასეთი იყო ყველასთვის პატივსაცემი, ახლობლებისთვის საყვარელი, დაუვინყარი და მონატრებული კოტე – მოღვაწე, დიპლომატი, მეოჯახე, მეგობარი. გარდაცვალების მერე საქართველომ საპრეზიდენტო ბრწყინვალეობის ორდენით აღნიშნა მისი საქმეები.

კონსტანტინე გაბაშვილი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. იგი იყო საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიასა და პოლონეთში; იტალიაში, მალტასა და სან-მარინოში. ასევე იყო საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, თბილისის მერი, საქართველოს განათლების მინისტრი.



კოტე ზალდასტანიშვილი, მაია ფანჯიკიძე, ინგა ფალიანი - ოფიციალური შეხვედრა, თბილისი, 2014, © საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. **Kote Zaldastanishvili, Maia Panjikidze, Inga Paliani - Official Meeting, Tbilisi, 2014, © Ministry of Foreign Affairs of Georgia.**

შესავალი

მაია ფანჯიკიძე

2020 წლის იანვარში, როდესაც ჩვენი ძვირფასი კოლეგისა და მეგობრის, ბრწყინვალე დიპლომატის – კოტე ზალდასტანიშვილის 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კრებულის გამოცემის იდეა დაიბადა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს წელი ასეთი განსაკუთრებული აღმოჩნდებოდა მთელი მსოფლიოსათვის და, ბუნებრივია, საქართველოსთვისაც. საპარლამენტო არჩევნების წლისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი საკითხები განსაზღვრავდა ძირითადად ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგს და თითქოს არაფერი „ემუქრებოდა“ მათ ჩანაცვლებას სხვა თემებით.

პანდემიამ, რომელიც სტიქიური უბედურებასავით დაატყდა თავს მთელ მსოფლიოს, ძირფესვიანად შეცვალა თითქმის ყველა ქვეყნის ყოველდღიურობა, თავდაყირა დააყენა წინასწარ შემუშავებული გეგმები და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა აქცია მთავრობების ძირითად ამოცანად, რომელსაც დაექვემდებარა ყველაფერი დანარჩენი. ამავე დროს, უხილავმა საფრთხემ და მის წინააღმდეგ ბრძოლის უპრეცედენტო ღონისძიებების აუცილებლობამ, მათ შორის, საქართველოში, გამოავლინა სისტემური სისუსტეები როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის საფრთხეს ჯერ არათუ არ გადაუვლია, არამედ პიკისთვისაც კი არ მიუღწევია (ამ წიგნზე მუშაობა 2020 წლის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ოქტომბრის ბოლოს დავამთავრეთ), დასავლეთის ქვეყნებში ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნაზე არანაკლები გამაღებით ცდილობენ მთავრობები იმ უზარმაზარი ზარალის ანაზღაურების გზების ძიებას, რომელიც მიადგა გლობალურ ეკონომიკას, რამაც ცხადყო, რამდენად დაუცველია ადამიანი კრიზისულ სიტუაციაში. ამასთან, აქტიურად მიმდინარეობს შეცვლილი რეალობის, მასზე რეაქციისა და ახალი გამოწვევების ექსპერტული ანალიზი. ჩვენთანაც დადგა დრო, დავინახოთ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების ხარვეზები, კრიტიკულად გადავხედოთ ჩვენი ქვეყნის განვითარების პროცესს და ვიპოვოთ იმ პრობლემების გადაჭრის გზები, რომლებმაც განსაკუთრებით იჩინა თავი კრიზისისას.

კრიზისი პოლიტიკოსებისგან აქტიურ ქმედებას მოითხოვს, მაგრამ როგორ ქმედებას? – ეს არის მთავარი კითხვა – ავტორიტარულს, რომელიც პრობლემებს უკომპრომისოდ უდგება კრიზისის დაძლევის აუცილებლობის საბაბით, თუ დემოკრატიულს, რომელიც, შესაძლოა, უფრო მოუხერხებელი და გრძელი გზაა, მაგრამ მუდამ ითვალისწინებს, რომ მთავარი ღირებულება, ადამიანის ჯანმრთელობის გარდა, მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაა. ამ მიდგომებზე მსჯელობა მით უფრო აუცილებელია, რადგან მსოფლიო არც მომავალშია დაზღვეული პანდემიებისა თუ სხვა გლობალური გამოწვევებისგან. ამიტომაც კრიზისების პრევენციისა და დაძლევის გლობალური მექანიზმების შემუშავების გეგმებს, როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციების გაძლიერება, ქვეყნებს შორის თანამშრომ-

ლობის გაფართოება, ვაქცინის ხელმისაწვდომობის მექანიზმების შემუშავება, ცალკეული ქვეყნების ლოკალური ღონისძიებები უნდა დაემატოს – ჯანდაცვის სისტემის გამართულობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული შემზღუდვებისა და აკრძალვების მასშტაბი, რომლის შემცირება ეკონომიკური კოლაფსის შიშით, ხანდახან უარეს შედეგს იწვევს.

მსოფლიო თანდათანობით ცდილობს დაუბრუნდეს ცხოვრების ჩვეულ რიტმს, თუმცა უკვე ცხადია, რომ ბევრი რამ, რაც პანდემიის დროს შეიცვალა, პირვანდელ სახეს ვეღარ აღიდგენს. კრიზისის შედეგად სრულიად ახალი მნიშვნელობა შეიძინა გლობალურმა კომუნიკაციამ და თითქოს დამატებითი ბიძგი მისცა თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების და დანერგვის ისედაც თავბრუდამხვევ ტემპს. ნელ-ნელა მკვიდრდება მოსაზრება, რომ საშინაო თუ საერთაშორისო კომუნიკაციის სოლიდურმა ნაწილმა საბოლოოდ გადაინაცვლა ვირტუალურ სივრცეში. შეცვლილი რეალობის შესაბამისად, ახლებურად არის გასააზრებელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის აქტუალური საკითხები, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები; საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პერსპექტივა; ქვეყნის ორმხრივი თუ რეგიონული ურთიერთობები, მით უმეტეს, რომ მეზობელ ქვეყნებს შორის კონფლიქტის უპრეცედენტო ესკალაციის მომსწრენი ვართ; საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის გზები; სატრანზიტო პოტენციალის პერსპექტივა; ჯანდაცვის, განათლების, ეკოლოგიისა და სოციალური უსაფრთხოების სფეროებში აშკარად გამოკვეთილი სისუსტეების დაძლევის სტრატეგია; ადამიანის უფლებები და დემოკრატიის მდგომარეობა.

წინამდებარე კრებულის ქართველი და უცხოელი ავტორები, უპირველეს ყოვლისა, კოტე ბაღდასტანიშვილის ხსოვნის პატივსაცემად გაერთიანდნენ და გადანწყიტეს, პირადული მოგონებების ნაცვლად, საკუთარი ნააზრევი შეეთავაზებინათ დაინტერესებული მკითხველისათვის. ავტორთა უმეტესობა ათწლეულების განმავლობაში თავად მონაწილეობდა საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და პრაქტიკულ განხორციელებაში. მათი მოსაზრებები, მათ მიერ დანახული მიღწევები და შეცდომები, პანდემიის პირობებში ქვეყნის წინაშე მდგარი ახალი გამოწვევების და პერსპექტივების ანალიზი უთუოდ დაგვეხმარება რთული მდგომარეობიდან გამოსავლის ძიებაში. მჯერა, რომ კოტეს, მუდამ ქვეყნის მომავალზე მზრუნველ ადამიანს, ეს უფრო მოეწონებოდა.

წიგნში „ფიქრები შეცვლილ სამყაროზე“ კოტე ბაღდასტანიშვილის 18 კოლეგის ესეს შეხვდებით. ბუნებრივია, მათი ნააზრევი ძირითადად საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროს მოიცავს; დიდი ადგილი ეთმობა ეკონომიკური სიტუაციის ანალიზს; ასევე, ადამიანის უფლებებს, დემოკრატიასა და სოციალურ საკითხებსაც და მთავრდება ესეთი, რომელიც განსაკუთრებული სიფაქიზით აღწერს პიროვნების მნიშვნელობას პოსტპანდემიურ სამყაროში. კრებულის შესავლის მიზანი კი მკითხველისთვის ორიენტაციის მიცემა, იმ ძირითადი საკითხების და თემისების გამოკვეთაა, რომელთა შესახებაც ვრცლად მსჯელობენ ავტორები.

საქართველოს ადგილი მსოფლიოში და მულტილატერალიზმი

„საქართველოს ადგილი ევროპაში“ – ევროპაში, რომელიც წარმოადგენს „მსგავსი ფასეულობების, მსგავსი მსოფლმხედველობის მატარებელ საზოგადოებათა კრებულს“, – აცხადებს რევამ გაჩეჩილაძე, თუმცა მიაჩნია, რომ ევროპული ორიენტაციის მიუხედავად, ევროკავშირში გაწევრიანება რთული ამოცანაა, რომლის დამაბრკოლებელი ფაქტორებიდან ყველაზე დასაფიქრებელი საზოგადოების ნაწილის მიერ ევროპის ლიბერალური მსოფლმხედველობის და ცხოვრების წესის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება და ქრისტიანული ფუნდამენტალიზმისკენ მიდრეკილებაა. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის „პოლიტიკური პროექტის“ განხორციელების დამაბრკოლებელ სხვა ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას ნატალი საბანაძე – საკმარისი არ არის, ჩვენ მიგვანდეს თავი ევროპელებად, თუ სხვამაც არ გვადიარა ევროპულ სახელმწიფოდ; ფაქტობრივად, იმავეს გულისხმობს კახა გოგოლაშვილიც, როდესაც „ასიმეტრიულს“ უწოდებს საქართველოსა და ევროკავშირის შორის დიპლომატიურ ურთიერთობას – ევროკავშირის სურვილია, ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის ტრანსფორმაციას ევროპეიზაციის მიმართულებით, საქართველო კი ცდილობს რეფორმების დროულ და ეფექტიან გატარებას, რაშიც მას ევროკავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმება ეხმარება.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების ურყევობის მოსაზრებას არ იზიარებს თედო ჯაფარიძე, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველოს ყველა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების, „დაბალი პოლიტიკური კულტურის, განათლების, სწორი ტაქტიკისა და სტრატეგიის არქონის“ შედეგებს ვიძკით ჯერაც და რომ დღესაც არ ვიცით, რა არის ჩვენი საგარეო პოლიტიკის ამოცანა. იგი შეგვახსენებს, რომ „ქვეყნის შიდა პოლიტიკა ქვეყნისვე საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი უნდა იყოს და არა პირიქით“.

მაგრამ დღეს საკუთარი ადგილის განსაზღვრაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რამდენად შეცვლის პანდემიით გამოწვეული გლობალური კრიზისი მსოფლიოს, თავად ევროკავშირსა და მულტილატერალიზმის იდეას, თამარ ბერუჩაშვილის თქმით – ევროკავშირის ერთ-ერთ საბაზისო ღირებულებას, და რა გავლენა ექნება სავარაუდო ცვლილებებს საქართველოზე. ავტორი ასკვნის, რომ პანდემია ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებას გამოიწვევს, სადაც კიდევ უფრო გაიზრდება ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, ახალი გამოწვევები გააჩანსაღებს მულტილატერალიზმს და არ მისცემს იზოლაციონალიზმს გაძლიერების საშუალებას. გიორგი წერეთელს კი პარლამენტარიზმის მთავარ ამოცანად საერთაშორისო კომუნიკაციის, ერთობლივი ძალისხმევის და დემოკრატიული მმართველობის გაძლიერება მიაჩნია, რათა დაძლეულ იქნეს ჯანდაცვის სფეროში არსებული კრიზისის თანმდევი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა პრობლემები, რომ საშიშ ტენდენციებს არ მიეცეს გაძლიერების საშუალება.

რუსეთის ფაქტორი და ურთიერთობები სოხუმთან და ცხინვალთან

საქართველოში პანდემიით გამოწვეული კრიზისის დაძლევის ართულებს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას გართულებული აქვს წვდომა სამედიცინო მომსახურებაზე – როგორც დაავადების დიაგნოსტიკაზე, ასევე მკურნალობაზე. კონფლიქტის ზონებში მცხოვრები მოსახლეობა ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია და კრიზისულ პერიოდში განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; ვითარებას ართულებს ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო მთავრობების დემინფორმაციის პოლიტიკა, რომელიც პანდემიის პოლიტიკური მიზნებით გამოყენებასაც არ ერიდება და ქართული მხარის მიმართ მტრული პოზიციის გამყარებას ისახავს მიზნად. ბუნებრივია, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდგომარეობამ სათანადო ასახვა ჰპოვა წინამდებარე კრებულში.

ზურაბ აბაშიძე რუსეთის მიერ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას უწოდებს ომის უმძიმეს შედეგს და მიუხედავად კარასინი-აბაშიძის პრაღის ფორმატის და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის ჩიხური მდგომარეობისა, ფიქრობს, რომ რუსეთთან დიალოგი ნებისმიერ დონეზე მისაღებია, „თუკი ეს რამენაირად წაადგება ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას“.

არჩილ გეგეშიძეს მიაჩნია, რომ ვითარების გასაუმჯობესებლად და კონფლიქტების რეალური ტრანსფორმაციის მისაღწევად აუცილებელია „შიდა და გარე ფაქტორებისგან შემდგარი კონტექსტის შეცვლა“. იგი ვარაუდობს, რომ პანდემიის მართვის ფარგლებში ჯანდაცვის სფეროში შემდგარი თანამშრომლობა, რომელმაც აფხაზურ მხარესთან უფრო აქტიური სახე მიიღო, ვიდრე ოსურთან, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კიდევ უფრო ინტენსიურ და სისტემატურ ხასიათს შეიძენს და „კონსტრუქციულ ფორმატად“ ჩამოყალიბდება, რამაც, შესაძლებელია, გარკვეულწილად ხელი შეუწყოს „კონფლიქტური ურთიერთობების ტრანსფორმაციის პროცესის დაწყებას“.

ქეთევან ციხელაშვილი აღნიშნავს, რომ არაფორმალური არხებით თანამშრომლობა, ცხინვალის რეგიონისგან განსხვავებით, აფხაზეთთან საკმაოდ ინტენსიურია; ხოლო საქართველოს სამშვიდობო ინიციატივები, მათ შორის, „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, ოსებისა და აფხაზების სერიოზულ ინტერესს იწვევს; შესაბამისად, ბოლო ორი წლის განმავლობაში უპრეცედენტოდ გაიზარდა კონტაქტები, რაც იმედისმომცემი ტენდენციაა.

ქართველი ავტორების მსგავსად, ეუთო-ს ყოფილი უმაღლესი კომისარი ეროვნული უმცირესობების საკითხში ლამბერტო ბანიერიც უშუალო მონაწილეა საქართველოსთან დაკავშირებული მრავალი პოლიტიკური პროცესისა; იგი აღნიშნავს, რომ განათლებას, საკუთარი ენის შენარჩუნებისა და სახელმწიფო ენის შესწავლის ხელშეწყობას, სოციალურ და სამოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ჩართვას, განსაკუთრებით, პანდემიის პირობებში, როდესაც სწორ ინფორმაციაზე დროულ ხელმისაწვდომობას შესაძლოა სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდეს, მეტი ძალისხმევა სჭირდება.



კოტე ზალდასტანიშვილი, ჰაიდემარია გიურერი - გამოფენის გახსნა არქიტექტურა კონტინენტების გადაკვეთაზე, ვენა, 2016, ©საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. **Kote Zaldastanishvili, Heidemaria Güler - Opening of the exhibition Architektur am Schnittpunkt der Kontinente, Vienna, 2016, ©Ministry of Foreign Affairs of Georgia.**

ეკონომიკა და კრიზისიდან გამოსავლის ძიება

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მიერ დაარსებული „გლობალური მზაობის სადამკვირვებლო საბჭოს“ შუალედური ანგარიშის მიხედვით, რომელიც 2020 წლის 13 სექტემბერს გამოქვეყნდა, „კაცობრიობას გამოუსწორებელი ზიანი“ მიაყენა მსოფლიოს კოლექტიურმა უუნარობამ, დროული და ადეკვატური პასუხი გაეცა პანდემიით გამოწვეულ პრობლემებზე.¹ COVID-19-ის გავრცელების დაწყებიდან ანგარიშის გამოქვეყნებამდე, მსოფლიოში 30 მილიონამდე ადამიანი დაავადდა და თითქმის 1 მილიონი გარდაიცვალა უშუალოდ ვირუსის ან მისგან გამომწვეული გართულებების გამო. ექსპერტები კრიზისის არა მხოლოდ სოციალურ და პოლიტიკურ შედეგებს იკვლევენ გრძელვადიან პერსპექტივაში, არამედ იმ განუზომელ ზიანსაც, რაც მიაღწა ეკონომიკას. მათი ვარაუდით, მომავალში ზიანი კიდევ უფრო გაიზრდება ახალგაზრდა თაობისათვის სასწავლებლების ხანგრძლივად დაკეტვით და რეცესიით მიყენებული ზარალის გამო.

ვლადიმერ პაპავას აზრით, რადგან კრიზისი ეკონომიკურ ფაქტორებს არ გამოუწვევია, არც მისი დაძლევის მექანიზმები უნდა ვეძიოთ ეკონომიკაში. იგი სვამს კითხვას: „ხომ არ

1. GPMB Annual Report, September 2020.

არის ეს კრიზისი გლობალიზაციის დასასრულის დასაწყისი და ხომ არ დადგა დრო, განხორციელდეს დეგლობალიზაცია და ხელი შეეწყოს იზოლაციონიზმს?“. ავტორი მიიჩნევს, რომ საქართველოს უნდა შეაჩეროს, იქცეს ჩინეთიდან გადატანილი მსხვილი სანარმოების დისლოკაციის ქვეყნად, რისთვისაც აუცილებელია „ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მოდელზე გადასვლა“.

პანდემიის ფონზე საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივაზე საუბრისას დავით აფციაური ვარაუდობს, რომ ჩინეთის ეკონომიკის სიმძიმის ცენტრი გადავა „ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკაზე“ და მიაჩნია, რომ სწორედ ამ სფეროში გახდება შესაძლებელი ეკონომიკური თანამშრომლობა.

ჰოუარდ ჩეისი აღნიშნავს, რომ გლობალიზაციის და თანამედროვე ტექნოლოგიების სიკეთეების და თითოეული ადამიანის წილი პასუხისმგებლობის გააზრება და ჰარმონიაში მოყვანა არის ის ფორმულა, რომელმაც არა მარტო ცალკეული მოქალაქის ცხოვრება უნდა განსაზღვროს, არამედ დიდი პოლიტიკის გადაწყვეტილებებისადმი მიდგომებიც. კრიზისის დაძლევაში კი საქართველოს ისევ „თავისი იდენტობა, პარტნიორობთან მეგობრობა და საერთო ინტერესები გადაარჩენს“.

სამოქალაქო საზოგადოება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები და სოციალური საკითხები

სიცოცხლის დაცვა უდავოდ უპირველესი ამოცანაა, რომელიც დგას საერთაშორისო თანამეგობრობისა და ცალკეული ქვეყნების წინაშე, რადგან ჯანმრთელობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. და მაინც, მან სხვა ფუნდამენტური უფლებები არ უნდა შეიწიროს – ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ყოველდღიურად იუწყებიან პანდემიასთან ბრძოლის საბაბით ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის, პრესისა და გამოხატვის და სხვა თავისუფლებების შეზღუდვის შემთხვევებზე. წინამდებარე კრებულის სამი ავტორი განიხილავს დემოკრატიული პროცესის მდგომარეობას კრიზისულ სიტუაციაში.

„COVID-19-მა თითქმის მკვეთრად დაამუხრუჭა გლობალიზაციის უნივერსალური პროცესი და დააჩქარა გადასვლა უფრო ფრაგმენტულ მსოფლიო წესრიგზე, რომელშიც გაურკვეველია საერთაშორისო სისტემის მომავალი ორგანიზაციული პრინციპები“, – აღნიშნავს ირაკლი მენაღარიშვილი. იგი განასხვავებს პანდემიის და, ზოგადად, კრიზისის დაძლევის დემოკრატიულ და ავტოკრატიულ მიდგომებს და იზიარებს მოსაზრებას, რომ ქალების მიერ ინკლუზიურად მართულ ქვეყნებში პანდემიასთან ბრძოლა უფრო ეფექტურად წარიმართა.

თინა ხიდაშელი მიმოიხილავს საქართველოში პანდემიით გამოწვეულ კრიზისს და ასკვნის, რომ ხელშესახებია „ინსტიტუციური მართვის არარსებობა და მოსახლეობის უმრავლესობაში მოჭარბებული მოთხოვნილება ერთ უნარიან, მკაცრ ხელზე, რომელიც პრობლემებს ინდივიდუალურად გაუმკლავდება“. იგი მიიჩნევს, რომ ნებისმიერ პირობებში, კანონის უზენაესობამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სტაბილურობა.

დუნია მიატოვიჩი აცხადებს, რომ პანდემიის დროს ბევრი ქვეყნის მთავრობამ გამოიყენა აუცილებელი სამედიცინო ზომების გატარება ადამიანის უფლებებისა და გამოხატვის

თავისუფლების შეზღუდვის საბაბად. პრესისა და გამოხატვის თავისუფლებების დაცვა და დემინფორმაციასთან ბრძოლა ავტორს ნებისმიერი კრიზისის დაძლევის ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიაჩნია.

ზემოთ ნახსენები განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების რიგს მიეკუთვნებიან უცხო ქვეყანაში მცხოვრები მოქალაქეები – თავშესაფრის მაძიებელნი და მიგრანტები, რომელთა მდგომარეობა უაღრესად გაართულა პანდემიამ. მათ მდგომარეობას აღწერს იოსებ ნანობაშვილი და გვთავაზობს რეკომენდაციას, რა უნდა გააკეთოს სამშობლომ და რა – თავად ემიგრაციამ, რომ იქცეს დიასპორად და „შეძლებისდაგვარად ჩადგეს „ქართული“ საქმის სამსახურში“.

დაბოლოს, კრებული მთავრდება ლანა ღოღობერიძის პოეტური ესეთი „პიროვნება და პოსტპანდემიური სამყარო“. რა გავლენას მოახდენს ადამიანზე, პიროვნებაზე, განსაცდელი, რომელმაც წაშალა საზღვრები სახელმწიფოებსა და კონტინენტებს შორის და მთელ კაცობრიობას დაატყდა თავს? – ეს კითხვა აწუხებს ავტორს; იგი იმედოვნებს, რომ „ადამიანის უკეთესობისკენ სწრაფვის იდეა მთლად საფუძველს მოკლებული არ არის“, რადგან ადამიანი არის ერთადერთი არსება, რომელსაც „შეუძლია განიცადოს ემპათია... და შეიგრძნოს ...სილამაზე“. განსაკუთრებული ვითარება საკუთარ თავთან დიალოგის საშუალებას გვაძლევს, „მე-ს ახლებურად წაკითხვის მცდელობა“ უნდა მოგვანდომოს, განსაცდელიდან დასკვნები უნდა გამოგვატანიოს, ერთმანეთის დახმარება, ადამიანების მიმართ სოლიდარობა, თანაგრძნობა, ბუნებისა თუ ადამიანის ხელით შექმნილი სილამაზით ტკობა, მცირედით აღფრთოვანება უნდა გვასწავლოს. ავტორს სჯერა, რომ „დღევანდელი განსაცდელიდან პიროვნება გამდიდრებული გამოვა. უფრო დაფიქრებული, უფრო მომართული მშვენიერების აღსაქმელად, სხვისი ტკივილის გულთან უფრო ახლოს მიმტანი“... – ძნელია, უკეთესი დასასრული მოუძებნო წიგნს, რომელიც ძვირფასი ადამიანის პატივსაცემად, მის მოსაგონებლად, მისი წასვლით გამოწვეული ტკივილით შეიქმნა...

საიუბილეო კრებული Liber Amicorum, რომელიც პირველად 1640 წელს გამოიცა ლაიფციგში, წიგნის ბეჭდვის გამოგონებიდან ორასი წლის იუბილეს აღსანიშნავად და მალევე იქცა გამოჩენილი ადამიანების ღვაწლის დაფასების საუკეთესო საშუალებად, ტრადიციულად, ავტორთა ექსკლუზიურ, გამოუქვეყნებელ ნააზრევს შეიცავს. სარედაქციო კოლეგია მადლობას უხდის წინამდებარე წიგნის ქართველ და უცხოელ ავტორებს ჩვენი მეგობრისა და კოლეგის – კოტე ბაღდასტანიშვილის ხსოვნის პატივის მისაგებად გაწეული შრომისთვის; აგრეთვე, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდს, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს-საბჭოს და ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ინსტიტუტს თანამშრომლობისთვის და იმედს გამოთქვამს, რომ „ფიქრები შეცვლილ სამყაროზე“ საკუთარ წვლილს შეიტანს პოსტპანდემიურ მსოფლიოში საქართველოს ადგილის, მისი გამოწვევებისა და პერსპექტივების გააზრებაში.

მაია ფანჯიკიძე არის კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. იგი იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ასევე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ნიდერლანდების სამეფოში.



კოტე ზალდასტანიშვილი რწმუნებათა სიგელებს გადასცემს ევროკომისიის პრეზიდენტ ჟაკ სანტერს, ბრიუსელი, 1999, © კრისტიან ლამბიოტი, ევროკომისიის ბიბლიოთეკა. **Kote Zaldastanishvili presenting credentials to Jacques Santer, President of the European Commission, Brussels, 1999, ©Christian Lambiotte, European Commission Audiovisual Library.**

საქართველოს ადგილი მსოფლიოში

რევამ განეჩილაძე

ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისა და თითქმის ყველა პოლიტიკური ძალის გაცხადებული მიზანია

მსოფლიოში ქვეყნის ადგილზე (და როლზე!) შეიძლება ვიმსჯელოთ სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, რომელთა შორისაა ქვეყნის ზომა, მდებარეობა, დემოგრაფია, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი, ირგვლივ არსებული გეოპოლიტიკური ვითარება და სხვ. პარამეტრები ხშირად ერთმანეთზეა დამოკიდებული, ისინი დროში ცვალებადია და ყველაზე კარგად შეიძლება შეფასდეს სხვა ქვეყნებთან შედარების საფუძველზე. რასაკვირველია, შეფასება რეალობიდან გამომდინარე უნდა ხდებოდეს და არ უნდა ეყრდნობოდეს „სათავისო ფიქრებს“.

საქართველოს შესახებ თითქმის ყველაფერი ვიცით, მაგრამ ზოგი რამ მაინც შეიძლება ითქვას.

ზომა: საქართველო პატარა ქვეყანაა, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური შესაძლებლობების შეზღუდულობითა და არცთუ მცირე პოლიტიკური რისკებით.

ფართობით (დაახლოებით 70 ათასი კვ. კმ) საქართველო მსოფლიოს ქვეყნებს შორის 120-ე ადგილზეა, თანაც, საერთაშორისო დონეზე აღიარებული თავისი ფართობის თითქმის მესუთედს ის ვერ აკონტროლებს.

3,7 მილიონი (ოკუპირებულ ტერიტორიებთან ერთად, დაახლოებით, 4 მილიონი) მცხოვრებით, საქართველო მსოფლიოს ქვეყნების მეორე ასეულის მეორე ნახევარშია.

შედარებისათვის: 1927 წელს, როდესაც თურქეთის რესპუბლიკაში პირველად ჩატარდა მოსახლეობის აღწერა, იქ აღირიცხა 13,6 მილიონი მცხოვრები. საქართველოში კი, 1926 წლის სრულიად საკავშირო აღწერის შედეგების მიხედვით, 2,7 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, ანუ საქართველოს თურქეთზე ხუთჯერ ნაკლები მოსახლეობა ჰყავდა. თითქმის საუკუნის შემდეგ, 2020 წლის შეფასებით, თურქეთში 83 მილიონი მცხოვრებია, ანუ საქართველოს მოსახლეობაზე 21-ხელ მეტი. მოსახლეობის რიცხოვნობით საქართველო 36-ჯერ ჩამორჩება რუსეთის ფედერაციას. თითქმის სამჯერ მეტი მცხოვრები ჰყავს ამჟამინდელ

აზერბაიჯანს (1926 წელს ხალხმრავლობით საქართველო მას უსწრებდა). მეზობლებიდან მხოლოდ სომხეთია საქართველოზე ხალხმცირე.

მდებარეობა: საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ისტორიულად ცვალებადი იყო, თუმცა მეზობლებისათვის ის საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. მაგალითად, XVIII საუკუნის ბოლოდან იმპერიის აღსასრულამდე რუსეთისათვის საქართველო იყო „ახლო აღმოსავლეთის კარიბჭე“.

დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა საკმაოდ თავისებურია. ის აშორებს ერთმანეთისაგან თურქეთსა და რუსეთს: მანამდე, XIX საუკუნის დამდეგიდან, თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში, ამ ქვეყნებს საერთო სახმელეთო საზღვარი ჰქონდათ და XIX-XX საუკუნეებში მათ ხუთჯერ იომეს, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე; ყოფილ მეტროპოლიას პრეტენზია აქვს ექსკლუზიურ უფლებებზე თავის „ახლო საზღვარგარეთში“, რომელშიც საქართველოც შეჰყავს; ამასთან, გრძელდება მწვავე კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომლის კიდევ უფრო გამძაფრებაც გულისხმობს ირიბ რისკს მეზობელი საქართველოსათვის.

ამავე დროს, თავისი პოლიტიკურ- და ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველო საინტერესო გახდა სხვა სახელმწიფოებისთვისაც, მათ შორის, ოკეანის გადაღმა.

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა საკმაოდ ხელსაყრელია:

- ის ერთადერთია ადრე საბჭოთა კავშირში შემავალი სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რვა სახელმწიფოს შორის, რომელსაც აქვს გასასვლელი ღია ზღვაზე (კასპიის ზღვა ჩაკეტილი წყალსატევია); შვიდი ჩაკეტილი ქვეყანა, აგრეთვე ირანი, განიხილავს ან უკვე იყენებს საქართველოს ნავსადგურებს, როგორც ალტერნატიულ გზას დასავლეთთან საგარეო-ეკონომიკური კავშირებისთვის;
- საქართველო პრაქტიკულად ერთადერთი სატრანზიტო ქვეყანაა სტრატეგიულად და-კავშირებული მეზობელი ქვეყნების წყვილებისათვის, რომელთაც არა აქვთ საერთო საზღვარი. ერთი წყვილია სომხეთი და რუსეთი, მეორე – აზერბაიჯანი და თურქეთი (აზერბაიჯანის ექსკლავ ნახჭევანს კი აქვს მოკლე საერთო საზღვარი თურქეთთან, მაგრამ აზერბაიჯანის ძირითად ტერიტორიას ის მოწყვეტილია);
- საქართველოზე გადის სომხეთისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გაზსადენი რუსეთიდან;
- საქართველოზე გადის აზერბაიჯანისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნავთობ-და გაზსადენები თურქეთისა და შავი ზღვის მიმართულებით;

მაგრამ რას აძლევს სატრანზიტო ფუნქცია საქართველოს?

ეკონომიკურად – საკმაო (თუმცა არა გადამწყვეტ) მოგებას, ეკოლოგიურად – გაზრდილი სატრანსპორტო მიმოსვლა უფრო ზარალს, ხოლო პოლიტიკურად – ერთი მხრივ, მეტ მნიშვნელობას სძენს, მეორე მხრივ კი, ზრდის გეოპოლიტიკურ კონკურენციას რეგიონში.

დემოგრაფია: განსხვავებით, მაგალითად, მეზობელი სომხეთისაგან, საქართველოში არ მომხდარა მოსახლეობის ეთნო-რელიგიური პომოგენიზაცია. უმცირესობები საზღვრების გასწვრივ ცხოვრობენ, რაც განსაკუთრებული მიდგომის საჭიროებას უქმნის ხელისუფლებას. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ტენდენცია არ იძლევა დიდი ოპტიმიზმის საფუძველს: არ უნდა ველოდოდ ქვეყნისათვის სახელის მიმცემი ეთნოსის საგრძნობ რაოდენობრივ ზრდას, უფრო პირიქით – მოსალოდნელია კლება. შობადობა დაბალ დონეზეა. ამავე დროს, გრძელდება შრომისუნარიან და ფერტილურ ასაკში მყოფი მოსახლეობის ემიგრაცია.

პოტენციური ემიგრანტების სამშობლოში გასაჩერებლად საკმარისი არაა მათი უბრალოდ დასაქმება, საჭიროა ღირსეული ანაზღაურების გარანტიაც. ამის მიღწევა შესაძლებელია ეკონომიკური დონის მკვეთრი ზრდის მეშვეობით. ამ დონის ამაღლება დამოკიდებულია ინოვაციის უნარების მქონე კვალიფიციურ ადამიანებზე, კარგ მენეჯმენტზე, შიდა სამომხმარებლო ბაზრის გაფართოებაზე. იგივე ემიგრაცია ანელებს ამ ყველაფრის გამოსწორების ტემპს. ეს მანკიერი წრეა.

ეკონომიკა: ეჭვი არაა, რომ საერთაშორისო ტურიზმი ქვეყნისათვის სასარგებლოა. მაგრამ ის არ არის ეკონომიკური ზრდის მდგრადი კომპონენტი, რადგან მასზე ზემოქმედებს მრავალი გარეშე ფაქტორი. მაგალითად, საქართველოში უცხოურ ტურიზმზე უარყოფითი გავლენა მოახდინა 2019 წლის ზაფხულში შიდაპოლიტიკური ძალების მიერ ხელოვნურად გაღვივებულმა კრიზისმა, რომელიც რუსეთის მხრიდან მისი ტურისტებისათვის საქართველოში მგზავრობის აკრძალვის საბაბად იქცა; 2020 წელს საგარეო ტურიზმი ჩაშალა პანდემიამ (ისევე, როგორც თითქმის მთელ მსოფლიოში); ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, ეგვიპტეში, ტუნისში) არცთუ დიდი ხნის წინ უცხოური ტურიზმის ჩავარდნას განაპირობებდა ტერორისტული აქტები და ა.შ.

უნდა მოინახოს ეკონომიკური განვითარებისათვის ტურიზმზე უფრო საიმედო ეკონომიკური ნიშა, რომელიც ექსპორტზე იმუშავებს. შიდა მოხმარებაზე გამიზნული მასშტაბური წარმოებისათვის საქართველოს ბაზარი მცირეა.

ის, რომ არა გვაქვს ნავთობისა და გაზის ბუდობები, იქნებ არც იყოს ცუდი დემოკრატიისათვის, რადგან ნახშირწყალბადოვანი რესურსების მქონე ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა დიქტატურად იქცა. მაგრამ მაინც კარგი იქნებოდა გვექონოდა! ადგილობრივი წარმოების ძირითადი საექსპორტო საქონელია სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ფეროშენადნობები, ღვინო, თხილი, ხილი – მოკლედ, ნედლეული ან სურსათი. უხილავი ექსპორტია უცხოური ტურიზმი. ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება რუსეთია (ღვინის ექსპორტის 2/3, შემოსული ტურისტების 1/3-ზე მეტი 2020 წლამდე), რომელსაც ყოველთვის შეუძლია პოლიტიკურად მოტივირებული ემბარგო დაუნესოს ქართული პროდუქციის იმპორტს ან აუკრძალოს თავის მოქალაქეებს საქართველოში გამგზავრება.

იგივე საგარეო-პოლიტიკური რისკი ხელს უშლის მნიშვნელოვან უცხოურ ინვესტიციებს საქართველოში: ძნელად თუ ვინმე ჩადებს დიდ კაპიტალს არასაიმედო სამეზობლოს მქონე ქვეყანაში.

ჯერჯერობით არა გვაქვს მეტ-ნაკლებად მაღალტექნოლოგიური წარმოება, რისთვისაც საჭიროა კვალიფიციური სპეციალისტები. მართალია, იმედს გვისახავს მათი მზარდი რაოდენობა და თანამედროვე უნივერსიტეტები, მაგალითად, ქუთაისში, თბილისში.

ბოლო დროს მსჯელობენ ჩინეთიდან ზოგიერთი ტიპის საწარმოს საქართველოში გადმოტანაზე. მოხდება ეს? და ხომ არ გადმოვა ასეთი წარმოება შესაბამის მუშახელთან ერთად?

სამხედრო პოტენციალის შედარებაზე მსჯელობა რთულია, როდესაც ერთი მეზობელი ბირთვული სახელმწიფოა, რომელსაც „პოსტსაბჭოთა სივრცე“ თავისი გავლენის სფეროდ მიაჩნია, სხვა მეზობელს ნატო-ში სიდიდით მეორე არმია ჰყავს და შეუძლია ერთდროულად იომოს სირიასა და ლიბიაში, ხოლო ორმა უფრო მომცრო მეზობელმა, ერთმანეთთან პერმანენტული სამხედრო დაპირისპირების გამო, ჰიპერტროფიულად გაზარდა სამხედრო ხარჯები.

გეოპოლიტიკა: პატარა ქვეყანამ სწორად უნდა აირჩიოს ძლიერი მოკავშირე(ები) და იმი-სათვის, რომ ინტერესი ორმხრივი გახადოს, კარგად წარმოაჩინოს საკუთარი მნიშვნელობა.

ის, რომ საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორი აშშ გახდა, სავსე-ბით ლოგიკურია. თბილისს არ შეეძლო სხვაგვარად მოქმედება მაშინ, როდესაც ყოფილი მეტ-როპოლიისგან განუწყვეტლივ იყო წნეხის ქვეშ. მეორე მხრივ, ვაშინგტონი არ ეხმარება საქართველოს მხოლოდ პუმანიტარული მიზეზით. როგორც ჩანს, პოტომაკზე უღირთ დახმარების გაწევა დემოკრატიული, პროდასავლურად განწყობილი სახელმწიფოსათვის, რომელიც ევრაზიის საკვანძო ადგილზეა განლაგებული და მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

„ვაშინგტონ პოსტი“ 2016 წელს წერდა: „დასავლეთისათვის კარგი ამბავია, რომ საქართველო იყო და დღესაც არის დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და კორუფცი-ასთან ბრძოლის შუქურა რეგიონის დესპოტების სიბნელის ზღვაში“.¹ განვლილი წლების განმავლობაში ასეთი შეფასების საფუძველში ბევრი არაფერი შეცვლილა.

ოკეანის გაღმა და გამოღმა ხელისუფლების ცვალებადობის მიუხედავად ორმხრივი ურთი-ერთობები მდგრადია.

საქართველოს **ნატო-ში განწევრიანების** განზრახულობის სერიოზულობას ადასტურებს 11 ათასზე მეტი ქართველი ჯარისკაცის როტაცია „ავღანეთში უსაფრთხოების ხელშეწყობის ძალებში“, რომლებიც ნატო-ს ეგიდით მოქმედებენ.

მაშინ, როდესაც ევროპული კავშირისაკენ საქართველოს მოსახლეობის სწრაფვის დონე სტაბილურად მაღალია, ნატო-ში განწევრიანების თაობაზე ხალხის თვალსაზრისი (და, უნდა ვივარაუდოთ, პოლიტიკური ელიტისაც) წლიდან წლამდე ერთგვარად მერყეობს, თუმცა უმრავლესობა მხარდაჭერას გამოხატავს.

1. L.Todd Wood, 'The Georgia imperative for the West, Keep it aligned with EU, NATO', *Washington Post*, (19.09.2016).

ამ შემთხვევაში, დასავლეთ ევროპის რიგი ქვეყნების პოლიტიკოსების სკეპტიციზმთან უფრო გვაქვს საქმე. ნატო-ში საქართველოს მიღების მიმართ მათი ორჭოფობის ერთ-ერთი მიზეზია რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე დამატებით ორი „სახელმწიფოს“ აღიარება და იქ სამხედრო ბაზების მოწყობა.

რუსეთი, რომელიც თავის მოწინააღმდეგედ აღიქვამს ნატო-ს, ყველანაირად შეუშლის ხელს საქართველოს შესვლას ამ ბლოკში და, პარალელურად, ევროკავშირშიც.

ალბათ, მოგვიწევს დაცდა ისეთ ვითარებამდე, როდესაც ნატო-ს დასჭირდება საქართველო. მართალია, ასეთი ვითარების წარმოქმნის შესაძლებლობა თვალსაწიერ მომავალში არ ჩანს, მაგრამ თეორიულად ის გამოირიცხული არაა: გავიხსენოთ, რომ 1952 წელს თურქეთის მიღება ნატო-ში განაპირობა საბჭოთა კავშირის აგრესიულობის გაბათილების საჭიროებამ. მაშინ ნატო-ს დასჭირდა თურქეთი მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რომელიც, სხვათა შორის, ძალიან შორსაა ჩრდილოეთ ატლანტიკისგან!

ჩვენ მიგვაჩნია, რომ **საქართველოს ადგილი ევროპაშია**. ევროპა არ არის მხოლოდ ის, რაც რუკაზე მოჩანს – ევრაზიის უზარმაზარი კონტინენტის უკიდურეს დასავლეთში მდებარე მომცრო ნაწილი. ევროპა არის მსგავსი ფასეულობების, მსგავსი მსოფლმხედველობის მქონე საზოგადოებათა კრებული.

ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისა და თითქმის ყველა პოლიტიკური ძალის გაცხადებული მიზანია. პოზიტიური მოლოდინია, რომ ასეთ შემთხვევაში გარანტირებული იქნებოდა საქართველოს ეკონომიკური განვითარება, რაც, ბუნებრივია, მოასწავებდა მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, დააჩქარებდა საზოგადოების ტრანსფორმაციას სრული დემოკრატიზაციის მიმართულებით.

ამავე დროს, ევროკავშირის ზოგიერთი ფუძემდებელი წევრი ქვეყანა საქართველოს ევროპულ პერსპექტივაზე საუბარზეც კი თავს იკავებს. საქართველოს მიღება ევროკავშირის წევრად არ უნდა იყოს დიდი ეკონომიკური ტვირთი მათთვის, მაგრამ, სკეპტიკურად განწყობილი ქვეყნების მესვეურთა აზრით, ეს დამატებითი პოლიტიკური ტვირთი იქნება.

წმინდა პოლიტიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, ჩვენთვის ძალიან ხელსაყრელი იქნებოდა ევროკავშირის შემადგენლობაში მეზობელი თურქეთის ყოფნა. მაგრამ ევროკავშირის ზოგიერთ დამფუძნებელ წევრ ქვეყანას თურქეთის მიღების საკითხზე კიდევ უფრო ძლიერი სკეპტიციზმი ახასიათებს, რაც აიხსნება ამ უკანასკნელის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მიმდინარე დრამატული ცვლილებებით, მისი დემოგრაფიული პოტენციალის თავისებურებებით.

იქნებ ახლავე ვიფიქროთ იმაზეც, თუ რა საგარეო და საშინაო პრობლემები ელოდება საქართველოს ევროკავშირში თეორიულად შესაძლებელი შესვლის პროცესში და შემდეგ?

მხოლოდ რამდენიმე პრობლემას ვახსენებ, რომელთაგან ზოგიერთი თავიდანვეა მოსაწესრიგებელი, ზოგი – გასათვალისწინებელი მაინც.

იქნება თუ არა საიმედოდ დაცული ევროკავშირის საზღვრები საქართველოს მხრიდან მის ოთხივე მეზობელთან მაშინ, როცა დელიმიტირებული და დემარკირებული საზღვარი მხოლოდ თურქეთთან გვაქვს? ეს საზღვარიც საბჭოთა პერიოდიდან შემოგვრჩა.

როგორ გადაწყდება ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციულ საზღვრებთან დაკავშირებული პრობლემა?

ბოლო 30 წელია გვიპყრობს განცდა, რომ საზოგადოების ნაწილს რაღაც „ქრისტიანული ფუნდამენტალიზმის“ მსგავსი მიმართ გაუჩნდა მიდრეკილება. ქვეყნის ყველა ხელისუფლებაც გამოხატავდა სხვადასხვა დონის პიეტეტს უმაღლესი სასულიერო იერარქების მიმართ. ვართ კი დარწმუნებული, რომ სამღვდელოება და მრავალრიცხოვანი მრევლი სრულად იზიარებს ევროპის ზოგადად ლიბერალურ მსოფლმხედველობას და მზადაა შეეგუოს მისი ცხოვრების წესს?

ევროკავშირში ჰიპოთეტური შესვლის შემდეგ შრომითი მიგრაციის თავისუფლება საქართველოს მოსახლეობის დამატებით გადინებას შეუწყობს ხელს.

ეს კიდევ ერთი მანკიერი წრეა.

შედარებისათვის: 2004 წელს ევროკავშირში მიღებული, საქართველოზე ეკონომიკურად უფრო განვითარებული ბალტიისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან მილიონობით შრომისუნარიანი მოქალაქე დასავლეთ ევროპაში წავიდა. პოლონეთსა და სლოვაკეთში კვალიფიციური პერსონალისა და რიგითი მუშების დეფიციტი გაჩნდა: იქ უკრაინიდან, სერბეთიდან და საქართველოდანაც კი იზიდავენ მუშახელს.

ამავე დროს, გულახდილად დასმულმა კითხვებმა პესიმიზმი არ უნდა გააჩინოს! დემოკრატიული ქვეყნების თვალში საქართველოს სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ის, რომ ქვეყანაში არსებობს საპარლამენტო დემოკრატია, მედიის თავისუფლება, სახელმწიფოს მართვის გამართული ინსტიტუტები. ბოლო დროის პანდემიის პირველ ეტაპზე ხელისუფლებამ მკაცრი ზომები მიიღო, რის შედეგადაც აღმოვჩნდით „მწვანე ქვეყნების“ რიცხვში. თუმცა, 2020 წლის ოქტომბერში გაირკვა, რომ პირველი ტალღა სწორედ მაშინ იყო საქართველოში. ქვეყანა „წითელ ზონაში“ გადავიდა და პიკისთვის ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია.

და მაინც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სწორედ კრიზისულ სიტუაციაში შეძენილმა გამოცდილებამ უნდა მისცეს საქართველოს ისეთი იმპულსი, რომ მან აჩვენოს თავისი რეალური ღირებულება მსოფლიოს.

რევაზ გაჩეჩილაძე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი. იგი იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში, სომხეთში, დიდ ბრიტანეთსა და სლოვაკეთში.

„მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“ - იდენტობა პანდემიის დროს

ნატალი საბანაძე

*საკმარისი არ არის თავს გრძნობდე ევროპელად,
ასევე მნიშვნელოვანია სხვებიც ასეთად აღგვიქვამდნენ*

შესავალი

რა აზრი აქვს იდენტობაზე მსჯელობას პანდემიის დროს? პანდემია ჯერაც მძვინვარებს და შესაბამისად, მის გრძელვადიან შედეგებზე საუბარი ნაადრევია. მიუხედავად ამისა, არ წყდება სპეკულაციები ისეთ თემებზე, როგორიცაა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი თუ გლობალური პოლიტიკური არეულობა, „დასავლეთის“ დაღმასვლა თუ დაბრუნება დიდი დეპრესიის პერიოდში. პრეზიდენტმა მაკრონმა, როდესაც ფრანგ ერს მიმართა, მოსთხოვა გამოეჩინათ იმგვარი სოლიდარობა და პასუხისმგებლობა, როგორიც ომში მყოფ ქვეყანას მართებდა. ისტორია გვიჩვენებს, რომ როგორც კი საუბარი ეხება ომს ან გარდამტეხ კრიზისს, ყოველთვის დგება იდენტობისა და იდენტობასთან დაკავშირებული პოლიტიკის საკითხიც. სწორედ კრიზისების დროს გამოიყვანება და ყალიბდება ჩვენი, როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური იდენტობა.

იდენტობა არის მრავალფეროვანი, მრავალნაზხანაგოვანი და კომპლექსური ცნება. ხშირია მისი ეროვნებასთან გაიგივება, თუმცა იდენტობა ასევე გამომდინარეობს გენდერიდან, პროფესიიდან, სოციალური კლასიდან და ა.შ. რადიკალურ, ნაციონალისტურ დისკურსში ეროვნული იდენტობა პიროვნების უმთავრესი განმსაზღვრელია, მაგრამ იმისდა მიუხედავად, თუ რას გვიმტკიცებენ ნაციონალისტები, მიკუთვნილობის სხვადასხვა ფორმას შორის არ არსებობს ბუნებრივი იერარქია; გარემოებისდა მიხედვით, შესაძლოა ნებისმიერი მათგანი დომინირებდეს და განსაზღვრავდეს ჩვენს მეობას. სწორედ პიროვნების იდენტობის სიმრავლის და მრავალფეროვნების უარყოფა გამხდარა უამრავი კონფლიქტის წყარო წარსულშიც და დღესაც. როგორც ამართია სენი ზუსტად აღნიშნავს, „ყველა სხვა მიკუთვნილობისა და მიკერძოების უგულებელყოფის წახალისება და ერთზე დაყვანა, იდენტობის

მხოლოდობამდე შეზღუდვა, სავარაუდოდ, არის ღრმად მოჩვენებითი და შესაძლოა ხელს უწყობდეს სოციალურ დაძაბულობასა და ძალადობას“.¹

იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად კომპლექსური და ფართოა იდენტობის თემა, წინამდებარე ესეში შევხებით მხოლოდ ეროვნულობით განსაზღვრულ კოლექტიურ იდენტობასა და მის ურთიერთობას ზეეროვნული იდენტობის შედარებით ფართო ფორმებთან. უფრო რომ დავაზუსტოთ, შევხებით ეროვნული და ევროპული იდენტობის თანაარსებობისა და ერთმანეთთან შეთავსების დინამიკას და მის პოლიტიკურ შედეგებს პანდემიის კონტექსტის გათვალისწინებით. კერძოდ კი, შევჩერდებით ამ ურთიერთობის სამ კონკრეტულ ასპექტზე: არჩევანი, აღიარება და სარგებლიანობა.

საქართველოს ევროპულობა: იდენტობის არჩევანი და აღიარება

როდესაც საქართველო გახდა ევროპის საბჭოს წევრი, საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიამ თავის შესავალ სიტყვაში განაცხადა: „მე ვარ ქართველი და, მამასადამე, ვარ ევროპელი“. ეს ფრაზა ნათლად წარმოაჩენს საქართველოს, როგორც ევროპულ ნაციად დამკვიდრების მცდელობას და ამ ფაქტის სხვებისგან აღიარების მოპოვების სურვილსა და მნიშვნელობას. საქართველოს ცნობა ევროპულ ქვეყნად არ არის მხოლოდ კულტურული ან სიმბოლური თემა, ეს ღრმად პოლიტიკური საკითხია, რადგან უშუალოდ უკავშირდება საქართველოს გეოპოლიტიკურ არჩევანს – შეუერთდეს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებს.

ქართველი ერის ევროპულობის დაბეჭდვით ხაზგასმა საქართველოს პროდასავლური პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის ჩვეულია, რადგან ევროპული იდენტობა არის ქვეყნის პოლიტიკური არჩევანისა და ევროპული მისწრაფებების ლეგიტიმაციის საშუალება და ამ არჩევანის განხორციელებისთვის აუცილებელი წინაპირობა. ამდენად, საქართველოს ევროპული იდენტობის ხელშეწყობა და მისი წინ წამოწევა პოლიტიკურ პროექტად იქცა. ამ პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი კი აღიარების მოპოვებაა. საკმარისი არ არის თავს გრძნობდე ევროპელად, ასევე მნიშვნელოვანია სხვებიც ასეთად აღგიქვამდნენ. როგორც ბრიტანელი ფილოსოფოსი ენტონი აპია წერს, „ხალხად ყოფნა არ ნიშნავს მხოლოდ იმას, თუ რას ვფიქრობთ *საკუთარ თავზე*. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რას ფიქრობენ *სხვები* ჩვენ შესახებ. იდენტობა... არის შეთანხმება შიდა და გარე მოთამაშეებს (ინსაიდერებსა და აუტსაიდერებს) შორის. XX საუკუნეში თქვენი ბედი შესაძლოა განესაზღვრა სხვების გადაწყვეტილებას იმაზე, თუ რომელ ხალხს მიგაკუთვნებდნენ“.² სწორედ ამიტომ განსაზღვრა ჟვანიამ ქართველი, როგორც ევროპელი, ევროსაბჭოს დარბაზში, თავისი ევროპული აუდიტორიისგან ამ ფაქტის აღიარებისა და საერთო მომავლის იმედით.

1. Amartya Sen, *Identity and Violence: The Illusion of Destiny* (London: Norton, 2006), გვ.21 (აქ ძირითადად იგულისხმება ეთნიკური ან რელიგიური მიკუთვნილება, რომელიც ხშირად ექსკლუზიურობის მითით არის მოცული).

2. Kwame Anthony Appiah, *The Lies that Bind: Rethinking Identity* (London: Profile Books, 2018), გვ.79-80.



ჰერმან დე კრო, კოტე ზალდასტანიშვილი, ზურაბ ჟვანია - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი ევროპარლამენტში, ბრიუსელი, 2001, © საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. **Herman De Croo, Kote Zaldastanishvili, Zurab Jvania - Chairman of the Georgian Parliament visiting the European Parliament, Brussels, 2001, © Administration of the Government of Georgia.**

იდეენტობის სარგებლიანობა

როდესაც იდეენტობის არჩევითობაზე ვსაუბრობთ, ამაში არ ვგულისხმობთ არჩევანის სრულ შემთხვევითობას. საქართველოს მიერ ევროპულობის არჩევა არის ისტორიულად და კულტურულად განპირობებული, თუმცა მას დღეს განსაკუთრებული პოლიტიკური დატვირთვა აქვს. ის არის როგორც ემოციურ-იდეოლოგიური, ასევე პრაგმატული.

თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში ეროვნულობით განსაზღვრულ კულტურასა და იდეენტობას (განსხვავებით ლოკალური, პროვინციული ან რეგიონული განსაზღვრულობისგან) აშკარა პოლიტიკური სარგებლიანობა აქვს. ის არის კოლექტიური თვითმმართველობისა და თვითგამორკვევის წინაპირობა, რომელიც შესაბამისად იძლევა დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოსა და თავისუფლების იდეის ლეგიტიმაციას. ევროპული იდეენტობა, თავის მხრივ, ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობაა, რაც ასევე თავისუფლების გარანტიაა დიდი სახელმწიფოების დომინაციის საპირისპიროდ.

ზოგადად, ნებისმიერი ნაციონალური ნარატივისათვის დამახასიათებელია უძველესი წარსულის, მითებისა და ტრადიციების გაფეტიშება და მათი წინ წამოწევა, როგორც ბუნებრივი გამაერთიანებელი ჯაჭვისა, რომელიც კრავს ერს, როგორც „წარმოსახვით საზოგადოებას“.³ მიუხედავად ამისა, თანამედროვე ნაცია შედარებით ახალი ფენომენია. მისი პოლიტიკური მნიშვნელობა განსაკუთრებით ძლიერდება ერი-სახელმწიფოების საერთაშორისო სისტემის წარმოქმნასთან ერთად. ამასთან დაკავშირებით, 1830 წელს ჰეგელი წერდა: „ნებისმიერი ხალხის არსებობის ნამდვილი მიზანი არის სახელმწიფოებრიობა, მისი შექმნა და შენარჩუნება; ერს, რომელიც სახელმწიფოს ვერ ქმნის, რეალური ისტორია არ გააჩნია...“⁴ ჰეგელის მიხედვით, ყველა შედარებით მნიშვნელოვანი ხალხი, თანდათანობით შექმნის საკუთარ სახელმწიფოს. XIX საუკუნის ბოლოდან ერი-სახელმწიფოს ამ იდეამ ფეხი მყარად მოიკიდა და მთელ მსოფლიოში გაბატონდა.⁵ შესაბამისად, ეროვნულმა იდენტობამ თანამედროვე ეპოქაში შეიძინა განსაკუთრებული სარგებლიანობა, იგი გახდა თვითმმართველობისა და სახელმწიფოებრიობის აუცილებელი პირობა.

კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია, რომ ეროვნული იდენტობა კოლექტიური იდენტობის ექსკლუზიური ფორმა არ არის. როგორც ზურაბ ჟვანიას ზემოთ მოყვანილი განცხადება მოიპყრება, იდენტობა შესაძლოა იყოს მრავალი და ერთმანეთთან თავსებადი. ნაციონალური მიკუთვნილობა და მასთან ასოცირებული იდენტობის ძლიერი განცდა არ გამოირიცხავს ზეეროვნულ ჯგუფთან ან ტერიტორიასთან დაკავშირების განცდას. პიროვნებას შესაძლოა ასევე ჰქონდეს ლოკალური იდენტობის ძლიერი შეგრძნება, ზეეროვნულ და ეროვნულ იდენტობასთან ერთად, რაც ხშირია, მაგალითად, ბელგიაში. ბელგიის მოქალაქე შესაძლოა, უპირველეს ყოვლისა, თავს გრძნობდეს ფლანდრიელად ან ფრანგულენოვან ბრიუსელელად, შემდეგ ბელგიელად და შემდეგ - ევროპელად, ან პირიქით, სულ სხვა თანმიმდევრობით. იდენტობის მრავალფეროვნება და ბუნებრივი თანმიმდევრობის არარსებობა ასევე გულისხმობს იმას, რომ ყველა იდენტობა თანაბარი სიძლიერის არ არის და შეგრძნებების დონეზე არ წარმოშობს ერთნაირ ემოციებს. მრავალფეროვან სახელმწიფოებზე საუბრისას დევიდ მილერი მოიხსენიებს იდენტობის თხელ და სქელ შრეებს.⁶ შესაბამისად, პიროვნებას შესაძლოა ჰქონდეს ეროვნული იდენტობის გამძაფრებული განცდა (ანუ სქელი შრე) და შედარებით ნაკლები სიძაფრის, მაგრამ მაინც მკვეთრად გამოხატული ევროპელობის შეგრძნება (ანუ თხელი შრე).

ევროკავშირის მოქალაქეების უმეტესობისთვის, მათი ევროპული იდენტობა შესაძლოა არ წარმოშობს ისეთივე მძლავრ ემოციებს, ტკივილს თუ სიხარულს, როგორც ცალკე აღებული ეროვნული მიკუთვნილობა, მაგრამ ევროკავშირის შექმნასთან ერთად ეს ზეეროვნული იდენტობა აშკარად გაძლიერდა. ხდება მისი კულტივირება და მისი პოლიტიკური მნიშვნელობის ხაზგასმა. ევროპული იდენტობის ქონა და მისი აღიარება არის წინაპირობა

3. იხ. Benedict Anderson, *Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism* (London: Verso, 2016).

4. იხ. *Lies that Bind*, გვ.73; იხ. აგრეთვე Jean-Jacques Rousseau, *Considerations on the Government of Poland* (translated by Willmore Kendall, Indianapolis: Hackett Publishing, 1985).

5. იქვე, გვ.73.

6. იხ. David Miller, *Citizenship and National Identity* (Cambridge: Polity Press, 2000).

ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივისთვის. როგორც საქართველოსთვის, ისე აღმოსავლეთ ევროპის ბევრი სხვა ქვეყნისთვის ევროპულობის ხაზგასმა ეროვნული ნარატივების ნაწილი გახდა. ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი ტონი ჯუდტი წერს, რომ პოლონელები, ლიეტუველები და უკრაინელები თავიანთ ლიტერატურასა და ეროვნულ მითებში საკუთარ თავს ახასიათებენ „ევროპისა“ და ქრისტიანობის საზღვრების მცველებად. ეს გახდა მათი კოლექტიური იდენტობის წყარო და ევროპასთან მიერთებისა და აღიარების მამოძრავებელი ძალა. ჯუდტის მიხედვით, „ამ პერიფერიული ერებისთვის ახალ ევროპასთან მიერთების შორეული პერსპექტივისგან მიღებულ სარგებელზე მეტად ნათელი იყო, თუ რას კარგავდნენ ისინი გარეთ დარჩენით“.⁷

COVID-19-ის ეფექტი: სახელმწიფოს „დაბრუნება“

ევროკავშირის მსგავსი ზეეროვნული ერთეულების გაფართოებით, საზღვრების მოშლით, საერთაშორისო ვაჭრობისა და ტრანსნაციონალური კომპანიების გაძლიერებით, ვირტუალური კავშირების გაფართოებით, სახელმწიფომ თითქოსდა დაკარგა ადრინდელი აქტუალობა და მნიშვნელობა. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ბატონობდა დისკურსი გლობალიზაციისა და მის შედეგებზე, სადაც სახელმწიფო სულ უფრო და უფრო უსუსურად და არაადეკვატურად გამოიყურება ახალი სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთობების პირობებში. იმავე ენტონი აპიას თქმით, „ნაციონალიზმის ეპოქა ჩაანაცვლა „ქსელების ეპოქამ“.⁸ დღეს კი, სრულიად მოულოდნელად, COVID-19-ის პანდემიამ ისევ წინა პლანზე წამოსწია სახელმწიფო, რომელიც თითქმის წარსულს ჩავაბარეთ. თვითმფრინავები ვეღარ დაფრინავენ, საერთაშორისო მიმოსვლა შემცირდა, საზღვრები იკეტება და საერთაშორისო საზოგადოება მივიდა დასკვნამდე, რომ სახელმწიფოს როლი გადამწყვეტია კრიზისთან გასამკლავებლად. როგორც ფრანსის ფუკუიამა ამბობს, ისევ „საჭიროა სახელმწიფო“.⁹

მიუხედავად იმისა, რომ პანდემია გლობალური გამოწვევაა, რომელსაც საზღვრები ვერ აჩერებს, საპასუხო რეაგირება დიდწილად ეროვნული იყო. ევროკავშირშიც კი წევრმა სახელმწიფოებმა ვერ მოახერხეს კოორდინირება და ერთიან საპასუხო ქმედებებზე შეთანხმება. სოლიდარობისა და კოორდინაციის ნაცვლად, მათ თავდაპირველად არჩიეს ინდივიდუალური პროტექციონისტული პოლიტიკა და ეროვნული ინტერესების წინ დაყენება. ამან კიდევ უფრო დააარწმუნა მოქალაქეები, რომ ძლიერი და ქმედითი სახელმწიფოს იდეას, რომელსაც ეფექტურად შეუძლია გაუმკლავდეს და მართოს კრიზისები, კვლავ ცენტრალური ფუნქცია ენიჭება. ყოველივე ამის შედეგად, მოწმენი ვხდებით, როგორ იცვლება ჩამოყალიბებული შეხედულება, სადაც გლობალიზაციის ძალებით განდევნილი სახელმწიფოს მაგივრად იდევნება გლობალიზაცია სახელმწიფოს ‘დაბრუნების’ გზით.

7. Tony Judt, *Postwar: A History of Europe since 1945* (London: Pimlico, 2007), გვ.753.

8. Appiah, *The Lies that Bind*, გვ.98.

9. Francis Fukuyama, 'The Pandemic and Political Order', *Foreign Affairs* (July-August, 2020).

რთულია ვინინასწარმეტყველოთ რამდენად ძლიერი იქნება ამ ეგრეთ წოდებული „კო-რონაციონალიზმის“¹⁰ გავლენა, თუმცა საქართველოსთან მიმართებით იკვეთება ორი შესაძლებლობა: ერთი მხრივ, ნაციონალისტურად განწყობილი სახელმწიფოს დაბრუნებით შესაძლოა ვიხილოთ ევროკავშირისა და საერთო ევროპული იდენტობის შესუსტება, რაც, სავარაუდოდ, გააძლიერებს ექსკლუზიური, პოპულისტური და არატოლერანტული იდენტობის იდეოლოგიას და, შესაბამისად, პოლიტიკას. ამან შესაძლოა შეამციროს პოლიტიკური სივრცე მეტი ღიაობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისთვის, ასევე, ევროკავშირის გაფართოებისთვის. მეორე მხრივ, მიმდინარე კრიზისმა, როგორც ეს დიდ გამოწვევებს სჩვევია, შესაძლოა კიდევ უფრო გააძლიეროს და გააერთიანოს ევროკავშირი, რომელიც შეძლებს გლობალური მოთამაშის როლის შეთავსებას, რისკენაც ის გაცხადებულად მიისწრაფვის. გამომდინარე იქიდან, თუ როგორ წარიმართება კრიზისიდან გამოსვლის პროცესი, ევროპული იდენტობისა და ევროკავშირთან მიკუთვნილობის განცდაც შესაძლოა მნიშვნელოვნად გაძლიერდეს. საქართველო, მაგალითად, ვირუსის გავრცელების პირველ ეტაპზე „მწვანე ქვეყნების“ რიცხვში აღმოჩნდა. სწორი იყო მკაცრი ზომების გატარება მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში იყო პანიკა და უამრავი ხალხი იხოცებოდა ყველგან. მსგავსი წარმატების მაგალითებს ჩვენი ქვეყანა ევროპისკენ სწრაფვის ხელშესაწყობადაც იყენებს. ეს კი ქმნის იმის თქმის საფუძველს, რომ საქართველო კარგად ფუნქციონირებადი სახელმწიფოა და იმსახურებს საერთო მომავალს დანარჩენ ევროპასთან.

ნატალი საბანაძე არის ევროკავშირთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელი და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის საჰერცოგოში. იგი არის ოქსფორდის უნივერსიტეტის დოქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში. იყო უფროსი მრჩეველი და განყოფილების ხელმძღვანელი ეუთო-ს უმაღლეს წარმომადგენელთან ეროვნული უმცირესობების საკითხებში.

10. ეს ტერმინი გამოყენებულია CEPS-ის ანგარიშში: 'Coronationalism vs. Geopolitical Europe', <https://www.ceps.eu/ceps-publications/coronationalism-vs-a-geopolitical-europe/>

საქართველო და ევროკული ინტეგრაცია: ქართული დიპლომატიის ამოცანები

კახა გოგოლაშვილი

*ქართული დიპლომატიის პრიორიტეტული ამოცანაა,
არ დაუშვას ევროკავშირსა და მის ინსტიტუტებში
საქართველოს დეოკუპაციის თემის „გაცივება“*

I

საერთაშორისო პოლიტიკაში კლასიკური დიპლომატიის როლის დაკნინება ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაიწყო, რაზეც ჯობეფ კორბელი 1962 წელს წერდა, ხოლო ლორდი ვანსიტარტი – ჯერ კიდევ 1950 წელს ინგლისურ „ფორინ ეფერში“. ეს დაკნინება, შესაძლებელია, ევროპასა და ამერიკაში დემოკრატიის სწრაფი განვითარების შედეგიც ყოფილიყო, რადგან თუ მაკიაველისა და ტოკვილს დავესესხებით, ეფექტური დიპლომატია მოითხოვს საერთაშორისო საკითხების სწრაფ და საზოგადოებისთვის განუცხადებელ, უმეტესწილად საიდუმლოდ გადაწყვეტას, რაც ერთმმართველობის ან ტოტალიტარიზმის პირობებში უფრო მარტივად ხდება.¹ მულტილატერალიზმისა და საერთაშორისო სამართლის ინტენსიურმა განვითარებამაც შეზღუდა დიპლომატიის შესაძლებლობები, მისი მანევრირების არეალი. კომუნიკაციის საშუალებების განვითარებამ კი ბოლო 30 წელიწადში „წინა ხაზის“ (უცხო ქვეყნებში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების) დიპლომატიას შეუზღუდა ადგილზე გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლება. დიპლომატია თითქოსდა ნაკლებად „ქმედითი“ გახდა. დიპლომატების კვალიფიკაციასა და მათ პიროვნულ უნარებს უკვე ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. ახლა ქვეყნის საგარეო უწყების ცენტრალურ აპარატში „საშტაბო“ მოხელეები წყვეტენ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს საელჩოში დასაქმებულმა პერსონალმა, ვის შეხვდნენ და რაზე ესაუბრონ. ინსტრუქციების მიღება ყველა შეხვედრის წინ და ცენტრალური აპარატისთვის ანგარიშის ჩაბარება უკვე ელვის სისწრაფით ხდება და დიპლომატიური წარმომადგენლობა მხოლოდ ინსტრუმენტულ დანამატად გვესახება.

მიუხედავად ამისა, დიპლომატიას რჩება რიგი მნიშვნელოვანი ფუნქციებისა, რომელთა ჩანაცვლებაც სხვა სახის ინსტრუმენტებით შეუძლებელია – ეს არის ადგილსამყოფელ

1. ეს სულაც არ აკნინებს ამ ორი შესანიშნავი მოაზროვნის მიერ დემოკრატიის, როგორც მმართველობის საუკეთესო ფორმის, აღიარებას.

ქვეყანაში პირადი კონტაქტებითა და ურთიერთობებით კეთილგანწყობის მოპოვება, ინფორმაციის წყაროსთან (დიპლომატებთან ან სხვა სფეროში მოღვაწე სპეციალისტებთან) არაფორმალური კავშირების დამყარება, რეალური გავლენების დადგენა და შეფასება, კულუარული (ღია წყაროებში არარსებული) ინფორმაციის წვდომა.

ავტორიტარული მმართველობის ქვეყნებში პიროვნების როლი გადანაცვლებათა ვერტიკალში მეტად არის გამოხატული. დემოკრატიულ ქვეყნებში მომუშავე დიპლომატებისთვის კი მანევრირებისა და გადანაცვლებებზე გავლენის მოხდენის სივრცე ნაკლებია. მეორე მხრივ, ასეთ ქვეყნებში ინფორმაცია მეტწილად ღიაა, თუმცა მაღალი პოლიტიკის პრინციპები, მათ შორის, 'arcana imperii',² ზოგადად, ჯერ არავის გაუქმებია, რადგან საერთაშორისო საზოგადოება ჯერ სრულად არ იზიარებს დემოკრატიის ფუძემდებლურ ნორმებს, ამიტომ გამჭვირვალობა და პროგნოზირებადობა საგარეო პოლიტიკაში ვერ იმუშავებს.

სწორედ დემოკრატიულ ქვეყნებში ან გაერთიანებებში (უპირველეს ყოვლისა, აშშ, ნატო, ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები) მიიღება ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო გადანაცვლებები, ამიტომ დიპლომატიის ამოცანებიც ამ მოცემულობას უნდა დაექვემდებაროს. ამ მოკლე წერილში სწორედ დემოკრატიულ ქვეყნებში, უფრო კონკრეტულად კი, ევროკავშირსა და მის წევრ ქვეყნებში ქართული დიპლომატიის წინაშე მდგარ ამოცანებს შევხებით.

II

ქართული დიპლომატიის ამოცანები გამომდინარეობს ჩვენი საგარეო პოლიტიკის მიზნებიდან. მათი უმეტესობა მოითხოვს პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის ჩართულობას და უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის განვითარების მიმართულებებს. ისინი ღიადაა ასახული ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში,³ სადაც ევროკავშირში ინტეგრაცია სტრატეგიულ, გრძელვადიან მიზნადაა დასახული, რის განხორციელებასაც ისეთი საშუალოვადიანი ამოცანები ემსახურება, როგორიცაა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების (DCFTA-ის – თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან – ჩათვლით) შესაძლებლობების ეფექტური შესრულება; სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართულებით; ევროკავშირსა და საქართველოს შორის მობილობის ზრდა; ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკის განხორციელება; აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობის შემდგომი განვითარება; ევროკავშირის დახმარების ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა.

სტრატეგიაში საკითხის ასეთი იერარქიით წარმოდგენა გვაფიქრებინებს, რომ ჩამოთვლილი ტაქტიკური ამოცანები მხოლოდ უფრო მაღალი მიზნის – ევროკავშირში განწევრიანების – საშუალებაა. თუმცა, რეალურად, ასე სულაც არ არის. ყველა დასახელებული საშუალო-

2. სახელმწიფო საიდუმლო, რომელსაც მოსახლეობას არ უზიარებენ.

3. იხ. 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია: <https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx>

ვადიანი ამოცანა თავისთავად ქვეყნის განვითარებასა და მისი მედეგობის გაძლიერებას ემსახურება და რაიმე მიზეზის გამო (გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური ან სხვ.) ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა რომც არ მოგვეცეს, ასოცირების შეთანხმების განხორციელება ან ევროკავშირის დახმარების ეფექტურად გამოყენება ისეთივე აუცილებელი იქნება, როგორც სხვა შემთხვევაში. თუ საქართველო ყველა ამ ამოცანას შეასრულებს, ევროკავშირთან ფუნქციურად ინტეგრირება რეალობა გახდება და ინსტიტუციურ გაწევრიანებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩება. საქართველოს არ აქვს ოფიციალურად მინიჭებული „ევროპული პერსპექტივა“ და, შესაბამისად, არც დაპირება, რომ მას ოდესმე მიიღებენ ევროპის კავშირში, მაგრამ როგორც აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყანას (რაც ასოცირების შეთანხმების პრეამბულაშია აღიარებული), ასეთი პერსპექტივა, გარკვეულწილად, თავად ევროკავშირის დამფუძნებელი შეთანხმების „გაწევრიანების“ მუხლით ეძლევა.

ევროკავშირთან ჩვენი ურთიერთობა არ თავსდება კლასიკური საგარეო ურთიერთობების მოდელში, როდესაც ორი სუვერენული აქტორი ცდილობს მშვიდობიანი და ერთმანეთისთვის სასარგებლო თანამშრომლობა განავითაროს. ამ შემთხვევაში, ევროკავშირი ცდილობს (და საქართველო ამას ენთუზიაზმით იღებს) ხელი შეუწყოს პარტნიორი ქვეყნის ტრანსფორმაციას, მის განვითარებას, ევროპეიზაციას და ყოველივე ამის საფუძველზე ისეთი



გიუნტერ ფერპოიგენი, კოტე ზალდასტანიშვილი, კახა გოგოლაშვილი - შეხვედრა ევროკომისიაში, ბრიუსელი, 1999, საოჯახო არქივიდან. **Günter Verheugen, Kote Zaldastanishvili, Kakha Gogolashvili - Meeting in the European Commission, Brussels, 1999, From the family archive.**

პირობების ჩამოყალიბებას, რომელიც საშუალებას მისცემს მასთან მაქსიმალურად მჭიდრო და გახსნილი ურთიერთობა იქონიოს. საქართველოს მხრიდან კი, მთავარი ამოცანა რეფორმების დროულად და ეფექტიანად გატარება და დანერგვაა.

III

რა როლი და შესაძლებლობები აქვს თავად დიპლომატიას ამ კონტექსტში? აქ შეიძლება რამდენიმე საკითხის გამოყოფა:

1. დიპლომატიის ამოცანაა დაადგინოს აცდენა ან შეუსაბამობა იმ საგარეო-პოლიტიკურ მიზნებს შორის, რომლებიც ორ ქვეყანას (ან პარტნიორს) აქვს რეგიონსა თუ მსოფლიოში. ამ თვალსაზრისით, საქართველოსა და ევროკავშირის პრაქტიკულად სრული თანხვედრა აქვთ და ამიტომ აქ დიპლომატიის ამოცანებიც შედარებით მარტივია – კონსულტაციების გაწევა და აქტიური როლის შესრულება ევროკავშირის მიერ მსოფლიოსა და რეგიონში წარმოებული მშვიდობიანი პოლიტიკის მხარდასაჭერად. ჩვენ სრული თანხვედრა გვაქვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის აუცილებლობის საკითხშიც, მაგრამ ამ მიზნის რეალიზაციისას შეიძლება ჩვენი მიდგომები ყოველთვის არ ემთხვეოდეს ერთმანეთს – მიზეზი შესაძლოა იყოს ევროკავშირის ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთის ენერგეტიკულ რესურსებზე ან ევროპული ბიზნესწრეების დაინტერესება რუსეთში ინვესტირებითა და ვაჭრობით. ამრიგად, ქართული დიპლომატიის პრიორიტეტული ამოცანაა, არ დაუშვას ევროკავშირსა და მის ინსტიტუტებში საქართველოს დეოკუპაციის თემის „გაცივება“. აუცილებელია გაეროში, ეუთო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ევროკავშირის სრული მხარდაჭერის შენარჩუნება და მისი ჩართულობის გაზრდა, განსაკუთრებით, იმ ქვეყნებზე „ზეწოლის“ მიმართულებით, რომლებიც საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე რუსეთის პოზიციებს უჭერენ მხარს (მაგალითია სომხეთი, რომელმაც გაეროს ასამბლეაზე აფხაზეთთან დაკავშირებით მიღებულ ბოლო რეზოლუციასაც ტრადიციულად მხარი არ დაუჭირა).
2. ევროკავშირი საქართველოსთან შემდგომ დაახლოებას განიხილავს მხოლოდ მჭიდრო რეგიონული თანამშრომლობის კონტექსტში, აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე სხვა ქვეყნებთან ერთად. საქართველოსთვის კი ევროკავშირში განეწიანება უმაღლესი პრიორიტეტი. ამ ორი განსხვავებული პოზიციების პირობებში არსებობს რისკი, რომ ევროკავშირის იმ ქვეყნებს, რომლებიც ამ ეტაპზე საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის აღიარებას ეწინააღმდეგებიან, გაუჩნდეთ გარკვეული პროტესტის გრძნობა საქართველოს მოსახლეობასა და მთავრობაში თითქოსდა არსებული ილუზიების მიმართ. ამის თავიდან ასაცილებლად, შესაძლოა უკლონ ქვეყნის მიღწევების აღიარებას, ხოლო მის წარუმატებლობებსა და პრობლემებს უფრო მკვეთრად გაუსვან ხაზი. აქ დიპლომატიას ორი ამოცანა აქვს: ა) რბილად და დელიკატურად, მაგრამ მტკიცედ წარმოაჩინოს საქართველოს დაინტერესება ევროკავშირში ინტეგრაციით; ბ) შექმნას ევროკავშირში იმის მყარი განცდა, რომ ქვეყნისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია

მასთან ფუნქციური ინტეგრაცია, ვიდრე თავად განვევრიანება და რომ განვევრიანების საკითხის პოლიტიკურად დაჩქარებას საქართველო არ აპირებს, რომ ქვეყანა და მისი სამსახურები მზად არიან ნაბიჯ-ნაბიჯ დაუახლოვდნენ კავშირს.

3. ევროკავშირთან უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა მოიაზრებს ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში ინტეგრირებას. მინიმალურ დონეზე ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანას სთავაზობს აღნიშნულ პოლიტიკაში ჩართვას, ფორმატის შიგნით მიმდინარე კონსულტაციების, განსაკუთრებით, ჰიბრიდულ საფრთხეებთან დაკავშირებული დისკუსიების მიმართულებით. ასეთი მიდგომა ემსახურება უსაფრთხოების გამომწვევების მიმართ პარტნიორი ქვეყნების მედეგობის გაზრდას, რაზეც საუბარია ევროკავშირის გლობალურ სტრატეგიაში (2016). ორმხრივ ჭრილში კი საქართველოს, ასოცირების შეთანხმებით და გაფორმებული მემორანდუმით (2015), ეძლევა ევროკავშირის სამხედრო და სამოქალაქო მისიებში მონაწილეობის შესაძლებლობა, რასაც სამხედრო მისიებში მონაწილეობის კუთხით უკვე წარმატებით იყენებს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ნაბიჯია. ევროკავშირის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებები (გლობალური სტრატეგია, PESCO-ს⁴ პროექტების დამტკიცება, მათში მესამე ქვეყნების მონაწილეობის დაშვება) ქმნის საფუძველს იმისთვის, რომ საქართველო ჩაერთოს ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სტრუქტურულ თანამშრომლობაში, რომელიც მრავალ აქტივობას მოიცავს, დაწყებული უსაფრთხოების და დაზვერვის სპეციალისტების გადამზადებით, კიბერუსაფრთხოების სისტემების განვითარებით და დამთავრებული საბრძოლო ტექნიკის, საბრძოლო მანქანების, საჰაერო თავდაცვისა და დაზვერვის საშუალებების ერთობლივად შექმნის პროექტებით. საქართველოს მაქსიმალურად ჩართვა ამ და სხვა სამომავლო პროექტებში მნიშვნელოვნად დააინიშნურებს ჩვენს ქვეყანას ევროპული ინტეგრაციის გზაზე. აუცილებელია ეფექტური სამხედრო დიპლომატიის გამოყენება, რომელიც სწრაფად მოახდენს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის წარმოქმნილი სამხედრო თანამშრომლობის მიმართულებების იდენტიფიცირებას და შეაფასებს საქართველოს შესაძლებლობებს ამ თანამშრომლობაში ჩასართავად. შემდგომ აღნიშნულ წევრ სახელმწიფოებში აკრედიტებულმა დიპლომატებმა აქტიური მუშაობით უნდა მოიპოვონ PESCO-ს პროექტებში საქართველოს ჩართვის მხარდაჭერა.
4. ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, პირველ რიგში, ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული შესაძლებლობების სრულად და ეფექტურად გამოყენებასთანაა დაკავშირებული. აქ დიდი როლი ეკისრება ეკონომიკური დიპლომატიის ინსტრუმენტებს – ეკონომიკურ ატაშეებსა და უცხო ქვეყნებში მივლინებულ, ანალოგიური კომპეტენციის მქონე დიპლომატიურ პერსონალს. მათი მიზანია ადგილობრივ ბაზრებზე ეკონომიკური აგენტების დაინტერესება საქართველოსთან თანამშრომლობით, სავაჭრო პარტნიორობისა და ინვესტიორების ინფორმირება და მათთან ქართული ბიზ-

4. ევროკავშირის დაინტერესებულ წევრ ქვეყნებს შორის ლისაბონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუდმივი სტრუქტურული თანამშრომლობის ინსტიტუტი.

ნესის წარმომადგენლების დაკავშირება. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია გააქტიურდეს დიპლომატების ის კოჰორტა, რომელიც ჩვენს მეზობელ და, განსაკუთრებით, შავი და კასპიის ზღვების ფართო რეგიონის ქვეყნებში მოღვაწეობენ. მათი მიზანი უნდა იყოს ამ ქვეყნების ბიზნესის დაინტერესება საქართველოს კომპანიებთან ისეთი კოოპერაციული კავშირების დამყარებით, რომლებიც მათი ერთობლივად ნაწარმოები პროდუქციის საქართველოდან ევროკავშირში (ნულოვანი საბაჟო განაკვეთით) ექსპორტს მოემსახურება. მაგრამ ასეთი სახის თანამშრომლობისთვის ბიზნესი დიპლომატიურმა უწყებამ და ეკონომიკის სამინისტრომ ექსპერტული სექციებითა და პროექტებით უნდა მოამარაგოს, რაც, თავის მხრივ, ამ უწყებებსა და საექსპერტო საზოგადოებას შორის კოორდინაციასა და თანამშრომლობას მოითხოვს.

5. 2017 წელს ევროკავშირში ჩვენი მოქალაქეების მოკლევადიანი ვიზიტებისთვის უვიზო მიმოსვლის მიღება მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ საჭიროა მობილობის მეტად განვითარება ევროკავშირში ლეგალურად დასაქმების მიმართულებით. ასოცირების შეთანხმება საქართველოს სპეციალისტებსა და პროფესიონალებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე მრავალ სფეროში მომსახურების უფლებას აძლევს, რაც ამ მოქალაქეების გარკვეული ვადებით ევროკავშირში შესვლისა და იქ ყოფნის უფლებასაც გულისხმობს. მაგრამ ამ შესაძლებლობის გამოყენებისთვის საჭიროა ამ სპეციალისტების საკვალიფიკაციო საბუთებს ცნობდნენ ევროკავშირის კომპეტენტური ორგანოები, რისთვისაც აუცილებელია შრომითი კვალიფიკაციის ან საგანმანათლებლო დიპლომების მინიჭების საქართველოში არსებული სისტემა ჰარმონიზებული იყოს ევროკავშირის სტანდარტებთან და ევროკავშირი აღიარებდეს მის ეკვივალენტურობას. არანაკლებ მნიშვნელოვან შესაძლებლობას გვთავაზობს ევროკავშირთან 2009 წელს გაფორმებული „პარტნიორობა მობილურობისთვის“ – იგი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოდან ცირკულარული შრომითი მიგრაციის განვითარებას ემსახურება. რამდენიმე ქვეყანასთან უკვე შევიდა ძალაში შესაბამისი შეთანხმება, გამოიყო მიგრაციის წლიური კვოტები, მაგრამ პრაქტიკული პროცესი არ დაწყებულა. აუცილებელია ამ მიმართულებით დიპლომატიური ძალისხმევის გააქტიურება ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებშიც.

6. ევროკავშირში სრული ინტეგრაციის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია გეოგრაფიული სიშორე, რომელიც უნდა დაიძლიოს სატრანსპორტო, ენერგეტიკული და საკომუნიკაციო კავშირების განვითარებით. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პან-ევროპულ სატრანსპორტო ქსელებთან შავი ზღვის არეალის მიერთების პროექტის (TEN-T) სრული მხარდაჭერა და უკვე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება. ამ შემთხვევაში, დიპლომატიის ამოცანაა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და ფონდებიდან შესაბამისი კრედიტების მოზიდვა ჩვენთვის სასურველი პირობებით.

ევროკავშირი მზარდი ციფრული ბაზარია, რომელიც აქტიურად ახდენს კომერციული სფეროს დიგიტალიზაციას. ქვეყანაში მაღალი დონის ელექტრონული კომერციის

განსავითარებლად და ევროპულ ციფრულ ბაზარზე სრული წვდომის მოსაპოვებლად საჭიროა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, ევროკომისიის შესაბამის სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

7. ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის საჭიროა არა მარტო ორმხრივი, არამედ მრავალ-მხრივი კონტექსტის ეფექტურად გამოყენებაც. აღმოსავლეთ პარტნიორობა მიზნად ისახავს პარტნიორი ქვეყნების არა მარტო ევროკავშირთან დაახლოებას, არამედ შიდა-რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებასაც. საქართველომ ხელი უნდა შეუწყოს თავისი უშუალო მეზობელი ქვეყნების – სომხეთისა და აზერბაიჯანის ევროპეიზაციას, ევროკავშირთან მათ შემდგომ დაახლოებას. აუცილებელია ამ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების გაღრმავება და გაფართოება, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკურად კარგად ინტეგრირებული ქვეყნის იმიჯის მოსაპოვებლად. თუმცა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების გაღრმავება უკრაინასა და მოლდოვასთან. ამ ქვეყნებთან, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებიან ევროკავშირს, რეგიონული ბლოკის ან ეკონომიკური კავშირის შექმნა, მაგალითად, ერთიანი ეკონომიკური სივრცის სახით, გაამართლებდა შემდგომში ევროკავშირთან ჩვენს ინტეგრაციას, შეამცირებდა რა ჩვენი გეოგრაფიული სიშორის უკუეფექტს.
8. მიუხედავად COVID-19-ის დამანგრეველი ეფექტისა, ევროკავშირი აქტიურად განაგრძობს თავის ტრანსფორმაციულ ძალისხმევას ფართო რეგიონსა და მსოფლიოში და ზრდის კიდევაც ფინანსური დახმარების პროგრამებს. ერთ სულ მოსახლეზე გადათვლით, საქართველოსთვის განკუთვნილი დახმარების პაკეტი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. აუცილებელია, ჩვენც პრაგმატულად, მაგრამ ძალზე დელიკატურად მოვეპყროთ საპასუხო ზომების საკითხს და არ გავანაწყენოთ ისეთი ქვეყნები, რომლებიც ჩვენი ტრადიციული მხარდამჭერი და ლობისტები არიან ევროკავშირში. პოსტკრიზისული პროცესების სწორად მართვისთვის კი ძალზე გამოგვადგება ევროკავშირის გამოცდილება, რომელმაც უპრეცედენტოდ მძლავრი ფინანსური ინსტრუმენტების მობილიზება მოახდინა კრიზისის ერთობლივად დასაძლევად.

ყველა წარმოდგენილი თუ სხვა მრავალი ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელია დიპლომატიური ძალისხმევის კიდევ უფრო მეტად კოორდინაცია შიდაპოლიტიკურ საკითხებზე მომუშავე ინსტიტუციებთან, ბიზნესთან, სამოქალაქო და საექსპერტო საზოგადოებასთან. ამ კავშირების დამყარების და განვითარების ინსტრუმენტად კი შესაძლებელია მოგვევლინოს ქვეყნის საგარეო უწყების დიპლომატიური სწავლების ცენტრი, სადაც, დიპლომატების გადამზადების პარალელურად, სასურველია იმართებოდეს აქტიური დიალოგი ყველა ზემოჩამოთვლილ აქტორთან.

კახა გოგოლაშვილი არის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი, საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის თანათავმჯდომარე, ევროპული ინტეგრაციის, ევროპული უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ვაჭრობის საკითხების მკვლევარი და ლექტორი.



კარლჰაინც კოპფი, ვიქტორ დოლიძე, კოტე ზალდასტანიშვილი, თედო ჯაფარიძე, მაკა ბოჭორიშვილი, დავით უსუფაშვილი - ვიზიტი ავსტრიის პარლამენტში, ვენა, 2015, © საქართველოს პარლამენტი. **Karlheinz Kopf, Viktor Dolidze, Kote Zaldastanishvili, Tedo Japaridze, Maka Bochorishvili, David Usupashvili - Visiting the Austrian Parliament, Vienna, 2015, © Georgian Parliament.**

ქართული საგარეო პოლიტიკა - არც მითი და არც რეალობა

თედო ჯაფარიძე

ეფექტური საგარეო პოლიტიკა შინ, ქვეყნის შიგნით იწყება, ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტებით, სამოქალაქო საზოგადოებითა და საბაზრო ეკონომიკით

ქვეყნის შიდა პოლიტიკა ქვეყნისვე საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი უნდა იყოს და არა პირიქით, როგორც ეს, ჩემი აზრით, დღეს საქართველოში ხდება. დღევანდელი გლობალური პოლიტიკა ერთიანი და კომპლექსური ფენომენია. ქვეყნის შიგნით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ბუნებრივად ებმება მის საგარეო ვექტორს და არა პირიქით. უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის შიდა გადახალისებას, გაჯანსაღებას და სრულყოფას უნდა ემსახურობდეს. საერთოდაც, ეს არის საგარეო პოლიტიკის მთავარი დანიშნულება, კლასიკური გაგებით. სალი, ეფექტური საგარეო პოლიტიკა შინ, ქვეყნის შიგნით იწყება, ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტებით, სამოქალაქო საზოგადოებითა და საბაზრო ეკონომიკით. ქვეყნის შიგნით იწყება, მაგრამ არასოდეს მთავრდება – უწყვეტი, მუდმივი პროცესია, რაც მოქალაქეების შემოსავლიანი სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფას, სახელმწიფოს დაცულობასა და უსაფრთხოებას, უკეთეს გარემოსა და ძლიერ საზოგადოებას გულისხმობს. საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობა, ძლიერი სამშალო ფენა უნდა იყოს გამჭრიახი საგარეო პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა.

შესაბამისად, მიუღებელია ვითარება, როდესაც გარე ფაქტორები და კონიუნქტურა გარედან განსაზღვრავს შიდა პოლიტიკურ პრიორიტეტებს. ის კი არ არის მთავარი ევროპასა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვინ რას იტყვის ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასა თუ პოლიტიკოსზე საქართველოში. მთავარია ქართველ პოლიტიკოსებს საკუთარი მოქალაქეებისთვის რა აქვთ სათქმელი. მთავარია, საქართველოს ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ახსოვდეს, რომ საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნვა, სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები უნდა განსაზღვრავდეს მათ საქმიანობას.

როდისმე გვიფიქრია, რა არის ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ეროვნული ამოცანა? გვიფიქრია კი იმაზე, რომ სწორ და მიზანმიმართულ საგარეო პოლიტიკას ვერაფრით შეასხამ ხორცს, თუკი მის პრინციპსა და მიზანზე არ იქნება შეთანხმება და საზოგადოებრივი კონსენსუსი? გვიფიქრია, რომ საქართველოს ეგზისტენციალური პრობლემები გულგრილობისა და არაპროფესიონალიზმის სივრცეს არ ტოვებს? განა შეიძლება, რომ დღევანდელ, ელვის სისწრაფით ცვალებად მსოფლიოში, ვითარებაში, როდესაც COVID-19-ის პანდემიამ მთლიანად შეცვალა აქამდე არსებული პრიორიტეტები, ღირებულებები და თამაშის წესები, საქართველოში უბრალოდ არ არსებობდეს ანალიზისა და პრევენციის, სახელმწიფოს უსაფრთხოების მოქმედი ინსტიტუტები, რეალურად არ ფუნქციონირებდეს ეროვნული უშიშროების საბჭო?

თუ ასე გავაგრძელებთ, არსებობს რეალური შანსი, ქართული სახელმწიფო მთლიანად ამოვარდეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების კონტექსტიდან, რასაც ბოლოს შედეგად სახელმწიფოებრივი კრახი მოჰყვება.

დღეს ქართული სახელმწიფოს უმთავრესი პრობლემა რუსეთის მიერ ოკუპაცია და ძალიან სუსტი დემოკრატიული და სახელმწიფო ინსტიტუტებია. შელახულია ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა და მიტაცებულია ტერიტორიები. სისტემატურად ირღვევა საქართველოს მოქალაქეების კანონიერი უფლებები – არ გვაქვს საკუთარ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების საშუალება და პრივილეგია. ამ უმძიმეს გამონკვევებს კი საყოველთაო მობილიზება, ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის ძლიერი უკუკავშირი სჭირდება.

დღევანდელ მსოფლიოში, ისე, როგორც არასდროს, დემოკრატიული პრინციპების განვითარებაა ძლიერი სახელმწიფოს საძირკველი. თანამედროვე მსოფლიოს ძლიერი სახელმწიფო უპირობოდ ეყრდნობა დემოკრატიულ ფასეულობებსა და ტრადიციებს. ქვეყნის გაძლიერება უნდა მიმდინარეობდეს სისტემატურად და პარალელურ რეჟიმში – სახელმწიფო ინსტიტუტები უნდა ძლიერდებოდეს უწყვეტად, კანონის უზენაესობის გზით და, რაც მთავარია, ამ ურთულეს და ფილიგრანულ პროცესში ქვეყნის მოქალაქის აქტიური მონაწილეობითა და ჩართულობით.

რა უნდა იყოს ჩვენს მდგომარეობაში მყოფი პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი ფუნდამენტი და პრინციპი?

პატარა სახელმწიფოებს ამ სამყაროში ყოველთვის ეძლევათ რაღაც არჩევანი, რაც კარგია. კომპლექსურობის (რასაც დღეს ემატება ე.წ. „ტრანზაქციური“, ანუ გარიგებაზე აგებული გადაწყვეტილებები) გამო საერთაშორისო ურთიერთობები სავსეა ცვალებადი შესაძლებლობებით, განსაკუთრებით კი, საქართველოს მსგავსი პატარა სახელმწიფოსთვის. ასეთ პირობებში ყოველთვის რჩება სწორი გამოსავლის შანსი, იმ შემთხვევაში, თუკი გამოვიჩინოთ ამ შანსის ამოცნობის გამჭრიახობას, შნოსა და უნარს. ზუსტად უნდა განვსაზღვროთ, რისი მიღწევაა რეალურად შესაძლებელი ამა თუ იმ სიტუაციაში. მნიშვნელოვანია იმის სწორი განალიზებაც, თუ, საჭიროების შემთხვევაში, რა სახის საგარეო-პოლიტიკური რისკის განევა

იქნება ჩვენთვის მისაღები. სამწუხაროდ, დიდი სახელმწიფოები საქართველოს ჯერ კიდევ განიხილავენ, როგორც საკუთარი ინტერესების რეალიზების საშუალებას (ინსტრუმენტს) და არა როგორც დამოუკიდებელ მოთამაშეს თავისი სუვერენული საგარეო პოლიტიკითა და ინტერესებით. მართალია, ეს არ გამოირიცხავს სიმპათიას ჩვენ მიმართ, მაგრამ ჩვენ ირგვლივ შექმნილი რეალური სიტუაციის ანალიზისას ჩნდება განცდა, რომ არ შეგვწევს უნარი, განვახორციელოთ მართლაც დამოუკიდებელი შიდა და საგარეო პოლიტიკა.

ალბათ, უკვე მოვიდა დრო ვაღიაროთ, რომ ეს ჩვენი სათანადო პოლიტიკური კულტურის, განათლების, სწორი ტაქტიკისა და სტრატეგიის არქონის შედეგია. დინებას კი არ უნდა მივყვეთ, არამედ უნდა გავხდეთ ფუნქციონალურად საჭირო და სასარგებლო ქვეყანა.

ბოლომდე უნდა გავუხსნათ კარი შიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს, მუდმივად უნდა ვეძებოთ არაორდინალური მიდგომები საგარეო პოლიტიკაშიც. საერთაშორისო პარტნიორების და მოკავშირეების დახმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუკი ჩვენ დავეხმარებით საკუთარ თავს და ხელს შევუწყობთ არა ფასადური, „პოტიომკინის სოფლებისმაგვარი“, არამედ რეალური დემოკრატიის განვითარებას, უზრუნველყოფთ კანონის უზენაესობას ყველა დონეზე, განვაკითარებთ ძლიერ სახელმწიფო ინსტიტუტებს. დასავლელი პარტნიორები ავლენენ სიმპათიას საქართველოს მიმართ. ეს მისასალმებელია, მაგრამ მთავარია ამ სიმპათიების ტრანსფორმირება იმავე დასავლეთისა და კონკრეტულად ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ დღის წესრიგში. მთავარია არ დავრჩეთ მხოლოდ და მხოლოდ მხარდამჭერი განცხადებების ამარა.

ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ გავხდეთ დასავლეთის სტრატეგიის ნაწილი და არ ვიყოთ მხოლოდ მათი პოლიტიკური გემოვნებისა და ტაქტიკის განხორციელებისთვის საჭირო ინსტრუმენტი. ფაქტია, რომ ურთიერთობის ამ ეტაპზე დასავლეთის მხარდაჭერა დიდწილად მატერიალური ხასიათისაა. ამდენად, თუ არ ვიქცევით დასავლეთისათვის რეალურად საჭირო სახელმწიფოდ, „მხარდამჭერი განცხადებების“ კონტექსტიც მალევე შეიცვლება ნეგატიურისკენ, რაც ბოლო ხანს, სამწუხაროდ, გახშირდა კიდევ.

მსოფლიო დღეს უკიდურესად არის გადატვირთული ურთულესი გლობალური და რეგიონალური პრობლემებითა და კომპლექსური, ხშირად ასიმეტრიული ხასიათის გამოწვევებით, რასაც თან დაერთო გლობალური პანდემია. ამრიგად, არ არის გამორიცხული, საქართველოსათვის ვერ მოიცალონ უახლოესმა მეგობარმა და პარტნიორმა ქვეყნებმაც კი – ყველას თავისი ინტერესი და საზრუნავი აქვს. ამდენად, არის შანსი, დავრჩეთ მხოლოდ „სიტუაციური“ მხარდაჭერის ამარა. უფრო მეტიც – ჩვენი პარტნიორები, საკუთარი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე და ისევ „სიტუაციური“ მოსაზრებების გათვალისწინებით, შეიძლება ჩვენ მიმართ მტრულად განწყობილ ქვეყნებსაც კი გაურიგდნენ.

ჩვენს საგარეო-პოლიტიკურ ფუნდამენტს უნდა განსაზღვრავდეს სამი ძირითადი პრინციპი: ჩვენი ეროვნული ინტერესი, რეალიზმი და მაქსიმალური პრაგმატიზმი. ეროვნული ინტერესების მუდმივი გათვალისწინება უნდა დაედოს საფუძვლად გადამწყვეტი საკითხის

მოგვარებას – შევინახოთ ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფასეულობები იმის მიუხედავად, თუ რასთან შეგუების აუცილებლობა შეიძლება გვიკარნახოს პრაგმატიზმმა. კონკრეტული საგარეო-პოლიტიკური გამოწვევის ანალიზისას არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ პრაგმატიზმი თავისთავად არ წარმოდგენს საგარეო პოლიტიკას. ის მხოლოდ პრობლემის ეფექტური გადაწყვეტისათვის საჭირო ტაქტიკა ან მიდგომაა.

რეალიზმს რაც შეეხება, ის ჩვენი საგარეო პოლიტიკის აუცილებელი ფაქტორია. ნებისმიერ შემთხვევაში, სწორად უნდა ვაფასებდეთ ჩვენს შესაძლებლობებს, ზუსტად უნდა გვქონდეს წარმოდგენილი ჩვენი, როგორც სახელმწიფოს, წონა და გავლენა მეზობლებთან ურთიერთობაშიც, რეგიონშიც და გლობალურადაც – აქედან უნდა ამოვიდეთ ჩვენი საგარეო-პოლიტიკური მიზნების განსაზღვრისას. ჩვენი გეოგრაფიის და მასთან დაკავშირებული გეოპოლიტიკის, რეალიზმის და პრაგმატიზმის სწორი კომბინაცია ერთმანეთს შეავსებს და ჭკვიანური გადაწყვეტილების მიღებაში დაგვეხმარება. უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ვიყოთ ექსტრაორდინალურები, რაც პოლიტიკაში ნიშნავს, მუდმივად ვზრუნავდეთ, ვიყოთ სასარგებლო და გამოსადეგი. არ უნდა ვიყოთ ასოცირებული მხოლოდ პრობლემასა და თავის ტკივილთან. პირიქით, უნდა ვეცადოთ, გავხდეთ პრობლემების მოგვარების ხელშემწყობი. მაქსიმალურად უნდა ვიზრუნოთ, რომ საკუთარი ინტერესის რეალიზაციას მივაღწიოთ სხვისი ინტერესის პრაგმატული გათვალისწინების ხარჯზე და გამოვიშუშაოთ უნარი, გასაგებად და ეფექტურად მივანდოთ ეს საერთაშორისო თანამეგობრობას.

მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად უნდა გვქონდეს სრული ეროვნული და პოლიტიკური კონსენსუსი ქვეყნის შიგნით. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ თუ არ იქნება ადეკვატური ურთიერთგაგება ქვეყნის შიგნით, ურთულესი იქნება საგარეო პოლიტიკის შენარჩუნება, ვინაიდან წარმატებული საგარეო პოლიტიკა ყველგან და ყოველთვის დაფუძნებულია შიდა კონსენსუსზე. აქედან გამომდინარე, არ უნდა დავუშვათ ქვეყანაში შეიქმნას შიდაპოლიტიკური ვაკუუმი, ვინაიდან არ არსებობს საგარეო-პოლიტიკური გამარჯვება მტკიცე შიდაპოლიტიკური ფუნდამენტის გარეშე. პოსტპანდემიურ მსოფლიოში და, შესაბამისად, საქართველოშიც იშლება ხელოვნური განსხვავებები საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის. ამდენად, საგარეო-პოლიტიკური საკითხების საღი და ჭანმრთელი განხილვა ეროვნულ დონეზე მიღებული კონსენსუსის ფარგლებში უნდა წარიმართოს, ვინაიდან საქართველოში დემოკრატიის განვითარების, კანონის უზენაესობის, სახელმწიფო ინსტიტუტების შენების გზაზე კომპრომისი საგარეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას რთულსა და უმართავს გახდის. უნდა გვქონდეს სრულიად გარკვეული და ჩამოყალიბებული, სიღრმისეულად გამჭდარი წარმოდგენა, თუ ვინ ვართ დღეს და რა გვინდა, რომ ჩვენგან დარჩეს, რას ვუტოვებთ შთამომავლობას. სწორი და ეფექტური საგარეო პოლიტიკა სახელმწიფოს მთელი ინტელექტუალური, ორგანიზაციული და ეკონომიკური რესურსების მობილიზებას გულისხმობს. მუდმივად უნდა ვეცადოთ, რომ გვქონდეს დიპლომატიური დამაჯერებლობა ჩვენს საერთაშორისო ურთიერთობებში, ვინაიდან როგორც კი არადადამაჯერებელი, არაპროგნოზირებადი გავხდებით, იმავე ბედს

გაიზიარებს ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების დაცვის უნარიც. უნდა ვისწავლოთ კრიტიკულ სიტუაციებში სიმშვიდის შენარჩუნება, ვიყოთ თანმიმდევრული და მუდმივად მომზადებული დიდი სახელმწიფოებიდან მომავალი ზეწოლის გასამკლავებლად, თუმცა, ბუნებრივია, არ უნდა გამოვრიცხოთ კომპრომისული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაც.

ძლიერი სახელმწიფოების სტრატეგიული ვექტორების, კონფლიქტური ინტერესების გადაკვეთაზე არსებობა საქართველოსათვის უბრალო გეოგრაფია და ისტორიული მოცემულობაა. ეს მოცემულობა გაცილებით მერყევი და ტურბულენტური იქნება პოსტპანდემიურ მსოფლიოში. უკვე კარგად ჩანს, რომ COVID-19-მა აქამდე არსებული საერთაშორისო სისტემების სერიოზული გადახედვის საჭიროება გააჩინა. ბევრი რამ ჯერ გაცხადებული არ არის, მაგრამ ჩვენ თვალწინ ირღვევა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამკვიდრებული პრინციპები. წინა პლანზე წამოვიდა ეროვნული სახელმწიფოს თითქოსდა მიძინებული იდეა. კითხვები გაჩნდა სახელმწიფოთა თანაცხოვრების ერთიანი სისტემების ეფექტურობასთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ იცვლება ღირებულებები. კრიტიკულ სიტუაციაში ვერ იმუშავა ბოლომდე და სრულყოფილად, მაგალითისათვის, ევროკავშირის იდეამ. მიმდინარეობს არსებული მსოფლიო სტრატეგიული ბალანსის და მასზე აგებული ინტერესების აქტიური გადალაგება. განსაცდელის ჟამს ყველა ქვეყანა საკუთარ გადარჩენაზე ფიქრობს და მრავალმხრივი დიპლომატიის მოდურ სქემებს ნელ-ნელა, ალბათ, ჩაანაცვლებს კლასიკური ორმხრივი დიპლომატია. ბუნებრივია, რომ ეს რეალობა ახლო მომავალში განსაზღვრავს ქართული სახელმწიფოს შიდა და გარე პოლიტიკური ამოცანების თავისებურებას და, თამამად შეიძლება ითქვას, უნიკალურობასაც კი.

წარმატების საწინდარია იმის გააზრება, თუ როგორი ქვეყანა გვინდა, რომ გვქონდეს. არ არის საჭირო სხვისი მექანიკური, მხოლოდ ემოციური მიბაძვა და არსებული რეალობების ინტერპრეტაცია. ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენივე ისტორიული მონყობისა და მენტალიტეტის, გეოგრაფიის, წარსულიდან ნასაზრდოები მომავლის, ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის ერთგულნი. საქართველოს საგარეო პოლიტიკა დაბალანსებული და გაჯერებული უნდა იყოს რეგიონული და გლობალური კონტექსტით. მაქსიმალურად უნდა განვავითაროთ სტრატეგიული ურთიერთობები ამერიკასთან. დღეს ისე, როგორც არასდროს, საჭიროა მაქსიმალური დაახლოება ვაშინგტონთან. უნდა ვეცადოთ გავხდეთ ამერიკის პროგნოზირებადი, საიმედო და სასარგებლო, ვიმეორებ, სასარგებლო და არა მუდმივად „მონუნუნე“ და პრობლემური მოკავშირე. ჩვენ უნდა გავხდეთ ქვეყანა, რომელსაც ექნება აშშ-სთან კიდევ უფრო ძლიერი კავშირები, რომელიც რეალურად იმოძრავებს დასავლეთისაკენ, გაითავისებს ჭეშმარიტ დასავლურ ღირებულებებს.

შიდა კონსოლიდაციით და დემოკრატიული ინსტიტუტების სრულყოფით უნდა ვიმოძრაოთ ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ. მკაფიოდ უნდა განვსაზღვროთ ჩვენი პრიორიტეტები უახლოეს მეზობლებთან ურთიერთობაში. ნათელი ხედვა და პოზიციები უნდა გვქონდეს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, შეძლებისდაგვარად უნდა გავააქტიუროთ ორმხრივი ურთიერთობები აფრიკის ქვეყნებთან, ეკო-

ნომიკური და პოლიტიკური სარგებელი უნდა ვეძიოთ აზიისა და შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან, უნდა ვეცადოთ სასარგებლო პარტნიორი გავხდეთ ჩინეთისთვის, იაპონიისთვის, სამხრეთ კორეისთვის, სინგაპურისთვის, ინდონეზიისთვის. აუცილებლად უნდა შევცადოთ, რომ საქართველოში დავაბალანსოთ ამ სახელმწიფოების, ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი, სტრატეგიული ინტერესები და ამ თვალსაზრისით (ისევე, როგორც ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში) მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის ლობირებას. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ რამენაირად თავი დავაღწიოთ „რუსულ კონტექსტს“.

საქართველო აუცილებლად უნდა გახდეს სამხრეთ კავკასიის რეგიონში კონსტრუქციული მოთამაშე, ვინაიდან სწორედ ჩვენი ეროვნული ინტერესია ახლო სამეზობლოში სტაბილურობისა და კეთილდღეობის დამკვიდრება. როგორც ამერიკელებს უყვართ თქმა, უნდა ვიფიქროთ წარმოუდგენელზე – თამამად უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა არა მხოლოდ რეგიონის შიგნით სტაბილურობის და მშვიდობის მედიატორის როლზე, არამედ ვიფიქროთ იმაზეც, თუ რამდენად წაადგება საქართველოს ეროვნულ ინტერესსა და იდეას სხვადასხვა რეგიონს შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციის შესრულება. აქტიურად ვიფიქროთ, რამდენად შევძლებთ ვიყოთ გამაერთიანებელი ხიდი, როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკურად. მსგავსი თამამი იდეებითა და ინიციატივებით ჩვენი სახელმწიფო ბევრად უფრო დიდ ყურადღებას მიიპყრობს საერთაშორისო სარბიელზე, გაიზრდება მისი ავტორიტეტი, მისი სარგებლიანობა და, შესაბამისად, უფრო სტრუქტურირებული გახდება ჩვენი ეროვნული ინტერესების განხორციელების პროცესი.

ქართულ სახელმწიფოს ჩვენს დიდ თუ პატარა მეზობლებთან აქვს მრავალნახნაგოვანი ურთიერთობების ინსტიტუციური და კოლექტიური მეხსიერება, ე.წ. გეოპოლიტიკური კოდი. სწორედ მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის წყალობით გვაქვს პერსპექტივა, ვიყოთ სასარგებლო და მნიშვნელოვანი ქვეყანა ჩვენი მოკავშირეებისა და პარტნიორებისათვის – დიდ თუ პატარა ქვეყნებთან თანაცხოვრებისა და ურთიერთობების ჩვენი გამოცდილება გვეხმარება, რომ ყურადღების მიღმა არ დავგრჩეს რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე ურთულესი პროცესები. ჩვენი საგარეო პოლიტიკა ვერასდროს იქნება „უმაღლეს ნიშნულზე“, ვიდრე ქვეყანაში დაუსადგურებია ეკონომიკურ სიდუხჭირეს, უმუშევრობას, განათლებისა და დემოკრატიული განვითარების პრობლემებს. ამოცანა ის არის, რომ „უმაღლესმა ნიშნულმა“ კონკრეტული, ხელშესახები სიკეთე მოუტანოს ჩვენი სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს, უპირველეს ყოვლისა კი, რიგით მოქალაქეს და სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია.

თედო ჯაფარიძე არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. იგი იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და მექსიკაში.

კორონას ტესტი: COVID-19-ის პანდემიის გავლენა მულტილატერალიზმზე

თამარ ბერუჩაშვილი

პანდემია ხელს შეუწყობს ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესს

COVID-19 თავს დაატყდა მსოფლიოს მაშინ, როცა საერთაშორისო სისტემა და ძალთა ბალანსი უკვე სერიოზული გამოწვევების წინაშე იდგა, მუდმივი დაპირისპირებისა და ნდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სერიოზული დეფიციტის გამო.

სამწუხაროდ, COVID-19-ის პანდემიამ მხოლოდ გაამძაფრა არსებული წინააღმდეგობები და დაგვანახა, რომ სოლიდარობა უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი; გლობალური მნიშვნელობის საკითხებზე შეთანხმება ვერ ხერხდება, ხოლო ეკონომიკური პროტექციონიზმი აქტიურად დგას დღის წესრიგში. მაშინ, როცა მეტი კოორდინაციაა საჭირო, თავს იჩენს საპირისპირო ტენდენციები. ამასთან, ყველა აღიარებს, რომ COVID-19 არ ცნობს საზღვრებს, ეროვნებას, რელიგიას, განვითარების დონეს და საფრთხეს უქმნის მთელ კაცობრიობას. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გაეროს უმაღლესი დონის პანდემიასთან დაკავშირებულ ონლაინ-კონფერენციაში მონაწილეობისას განაცხადა, „ჩვენ გვჭირდება მეტი მულტილატერალიზმი და არა – ნაკლები, რადგან საზღვრების გარეშე კატაკლიზმების დამარცხება შესაძლებელია მხოლოდ საზღვრების გარეშე სოლიდარობით. გაერო უნდა იყოს წამყვანი ძალა მულტილატერალიზმის განახლების საქმეში. განსაკუთრებული პერიოდი განსაკუთრებულ რეაგირებას იმსახურებს“.¹

COVID19-მა კიდევ უფრო ნათლად აჩვენა დღევანდელ მსოფლიოში მულტილატერალიზმის მნიშვნელობა. პანდემიამ ცხადყო, რომ თანამედროვე სამყაროში, სადაც ჩინეთის ქ. ვუჰანიდან ვირუსის გავრცელებამ სულ რამდენიმე თვეში მსოფლიო პანდემია გამოიწვია, იზოლაციის პოლიტიკას მომავალი ვერ ექნება.

1. საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის სიტყვა გაეროს უმაღლესი დონის ონლაინ-კონფერენციაზე, რომელიც COVID-19-ის პანდემიისა და მისი შემდგომი პერიოდის გლობალური განვითარების დაფინანსების მექანიზმებს მიეძღვნა (28.05.2020), [https://www.president.gov.ge/geo/pressamsakhuri/mi-martvebi-\(1\).aspx](https://www.president.gov.ge/geo/pressamsakhuri/mi-martvebi-(1).aspx)

მულტილატერალიზმი

გაეროს 75 წლისთავი დაემთხვა მსოფლიოში ჯანმრთელობის უპრეცედენტო გლობალურ კრიზისს, რაც სერიოზული ტესტი აღმოჩნდა მულტილატერალიზმისთვის. ერთა ლიგისა და გაეროს შექმნიდან დღემდე მულტილატერალიზმმა რთული გზა გაიარა, ბევრ გამოცდას გაუძლო, მასშტაბური ინსტიტუციონალიზაცია განიცადა (რომელსაც ხშირად აკრიტიკებენ ბიუროკრატიისა და ხარჯების გამო) და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსოფლიო ომების თავიდან აცილებასა და ცივი ომის შემდგომი გლობალური ურთიერთ-დამოკიდებული მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების საქმეში. როგორც 1954 წელს გაეროს გენერალურმა მდივანმა დაგ ჰამარშელდმა განმარტა, „გაერო არ შექმნილა იმისთვის, რომ კაცობრიობა სამოთხეში აღმოჩენილიყო, არამედ შეიქმნა იმისთვის, რომ ჯოჯოხეთი აგვეცილებინა თავიდან“.² მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ არის საკმარისი XXI საუკუნეში, როცა მულტილატერალიზმის დღის წესრიგი ბევრად მრავალფეროვანი გახდა, მათ შორის, ისეთი გლობალური გამოწვევების გათვალისწინებით, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, მდგრადი განვითარება და ჯანდაცვა. ამავდროულად, განსაკუთრებით ბოლო წლებში, გლობალიზაციასა და გლობალური მმართველობის ამ ფორმას დაუპირისპირდა მზარდი ნაციონალიზმი, პოპულიზმი და პროტექციონიზმი, რამაც მულტილატერალიზმის მნიშვნელოვანი რღვევა გამოიწვია. ამჟამინდელმა პანდემიამ ზიანი მიაყენა გაეროს სამ უმთავრეს საყრდენს – მშვიდობასა და უსაფრთხოებას, განვითარებას და ადამიანის უფლებებს, რაც აუცილებლად საჭიროებს დროულ, გლობალურ საპასუხო ქმედებას. სამ-წუხაროდ, პოლიტიკოსების დაპირისპირების ფონზე გაჭიანურდა კონსენსუსის მიღწევა და უშიშროების საბჭომ რეზოლუცია COVID-19-ის პანდემიის დროს გლობალური ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მხოლოდ ა.წ. 1 ივლისს მიიღო, გერმანიის, როგორც თავმჯდომარე ქვეყნის, აქტიური ძალისხმევის შედეგად.³ მაშინ, როცა 2014 წელს უშიშროების საბჭოს ერთი დღე დასჭირდა დეკლარაციის მისაღებად, რომელმაც ებოლას პანდემია საერთა-შორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების გამოწვევად აღიარა.⁴

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

გაეროს სპეციალიზებული სტრუქტურა – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) 194 სახელმწიფოს აერთიანებს; მისი მთავარი ფუნქციაა გლობალური კოორდინირებული ძალისხმევის წარმართვა და ქვეყნების მხარდაჭერა დაავადებების პრევენციის, აღმოჩენისა და მართვის საქმეში. ჯანმოს გარშემო ამჟამად განვითარებული მოვლენები მულტილატერალიზმის თანამედროვე პრობლემების თვალსაჩინო ილუსტრაციაა. ორგანიზაცია არაერთხელ გააკრიტიკეს იმის გამო, რომ COVID-19-თან დაკავშირებით გლობალური

2. <https://www.economist.com/graphic-detail/2020/06/25/seventy-five-years-after-the-uns-founding-the-world-order-is-at-risk-of-collapse>

3. <https://www.auswaertiges-amt.de/en/newsroom/news/maas-annahme-sicherheitsratsresolution-2532-COVID-19/2362076>

4. თუმცა ასევე გასათვალისწინებელია COVID-19-ის პანდემიის მასშტაბები და მრავალი ტექნიკურ-ორგანიზაციული სირთულე ეფექტური და მრავალმხრივი დიპლომატიის წარმართვისათვის.



ასტრიდ თორსი, მისი თანაშემწე, ზურაბ ხამაშურიძე, კოტე ზალდასტანიშვილი, თამარ ბერუჩაშვილი, დავით დონდუა - ეუთო-ს მინისტერიალი, ბაზელი, 2014, © საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. **Astrid Thors, her assistant, Zurab Khamashuridze, Kote Zaldastanishvili, Tamar Beruchashvili, David Dondua – OSCE Ministerial, Basel, 2014, © Ministry of Foreign Affairs of Georgia.**

ჯანდაცვითი საფრთხის შესახებ დაგვიანებით განაცხადა და მეტიც – ჩინეთს კორონავირუსის აფეთქების დამალვაში ეხმარებოდა. ჯანმო ბრალდებებს უარყოფს, ხოლო მისი ხელმძღვანელი ტედროს გებრეისუსი მიიჩნევს, რომ მას „პოლიტიკური ფეხბურთისთვის“ იყენებენ.⁵

ამასთან, პანდემიის პირობებში ჯანმო აშშ-სა და ჩინეთს შორის სერიოზული გეოპოლიტიკური დაპირისპირების არენა გახდა. 2020 წლის აპრილში აშშ-მ ორგანიზაციას დაფინანსება შეუწყვიტა და ვირუსის წარმოშობის შესახებ დაუყოვნებელი გამოძიება მოითხოვა. მოგვიანებით, 2020 წლის მაისში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ასამბლეაზე ჩინეთი შეეცადა ორგანიზაციისათვის მაქსიმალური მხარდაჭერა გამოეხატა: ჩინეთის პრეზიდენტმა განაცხადა დაავადებასთან საბრძოლველად 2 მილიარდი დოლარის კონტრიბუციის შესახებ და ექიმები მიავლინა აფრიკასა და სხვა განვითარებად ქვეყნებში, სადაც პანდემიამ სერიოზული მასშტაბები მიიღო. მან ასევე მოუწოდა წევრ ქვეყნებს ერთობლივად

5. *Pandemic politics*, Reuters (15.05.20).

გადაწყვეტიონ მომავალი ვაქცინის, როგორც გლობალური ე.წ. „საყოველთაო სიკეთის“, ხელმისაწვდომობის საკითხი. ამ ქმედებებს თან ახლდა სერიოზული დიპლომატიური და მედიაკამპანია ვირუსთან ბრძოლის ჩინური მიდგომის წარმატების შესახებ. ივნისში კი პრეზიდენტმა ტრამპმა უკვე ოფიციალურად აცნობა გაეროსა და აშშ-ის კონგრესს, რომ შეერთებული შტატები ჯანმოს რიგებს ტოვებს. ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყნის, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი პანდემიის დასასრულებლად მსოფლიოს ერთიანი ბრძოლისკენ მოუწოდებს, ხოლო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას უწოდებს ლეგიტიმურ, გლობალურ ინსტიტუტს, რომლის ფუნქციონირებაც გაუმჯობესებას საჭიროებს.⁶ ამ ფონზე ექსპერტები მიუთითებენ ახალ ტენდენციებზე – „როცა აშშ გამოდის მრავალმხრივი ინსტიტუტების წინააღმდეგ, ჩინეთი ცდილობს მოარგოს ისინი იმ ღირებულებებს, რომლებსაც არ იზიარებს ევროკავშირი“.⁷

მიუხედავად ამგვარი რთული რეალობისა, ევროკავშირის ძალისხმევის შედეგად შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი დიპლომატიური წარმატების მიღწევა და 19 მაისს ჯანმოს 73-ე ასამბლეაზე კომპრომისული, ისტორიული რეზოლუციის ერთხმად მიღება, რომელიც ევროკავშირმა 130 სახელმწიფოს სახელით წარადგინა. რეზოლუცია მოუწოდებს წევრ ქვეყნებს უზრუნველყონ COVID-19-ის წინააღმდეგ ნებისმიერ მედიკამენტსა და ვაქცინაზე გამჭვირვალე, თანაბარი და დროული ხელმისაწვდომობა. ასევე მიღწეულია შეთანხმება „მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი და ყოვლისმომცველი შეფასების“ ჩატარების შესახებ, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ჯანმოს საქმიანობით.⁸ ევროკავშირმა ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ა.წ. მაისში საგანგებო კონფერენციაზე გლობალური ვაქცინაციის ალიანსის (Gavi) მხარდასაჭერად ფინანსური რესურსების მობილიზაციის საქმეში.

ეს, რასაკვირველია, მოკრძალებული წარმატებაა იმ ამოცანებთან შედარებით, რასაც დღევანდელი მდგომარეობა მოითხოვს. ჯანმოს რეფორმირება და მის მიმართ ნდობის აღდგენა საკმაოდ რთული ამოცანაა, რომელსაც მულტილატერალიზმის გაჯანსაღების კონტექსტშიც უნდა მივიდგეთ და ამაში ევროკავშირის შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

ევროკავშირი

ბოლო წლების განმავლობაში ევროკავშირი სერიოზული სირთულეების წინაშე დადგა ევროზონის და მიგრაციის კრიზისების გამო. ამასთან, პოპულიზმმა, ნაციონალისტურმა განწყობებმა და „ბრექსიტმა“ ნეგატიურად იმოქმედეს ევროპული პროექტის მიმზიდველობაზე. ექსპერტების ვარაუდით, ამ ვითარებაში COVID19-ის პანდემია შეიძლება „ბოლო წვეთი“ აღმოჩნდეს, მაგრამ ასევე შეიძლება გახდეს განახლებისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობა, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო არენაზე. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენებენ ევროპელი ლიდერები ამ შესაძლებლობას.⁹

6. 'Merkel: Coronavirus pandemic will be overcome quicker if world works', Reuters (18.05.20).

7. Dworkin A., *How to repair multilateralism after COVID-19*, ECFR (22.05.20).

8. <https://www.who.int/news-room/detail/19-05-2020-historic-health-assembly-ends-with-global-commitment-to-covid-19-response>

9. N.Tocci, *International Order and the European Project in Times of COVID-19*, Istituto Affari Internazionali (20.03.20).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ აშშ-სგან განსხვავებით, ევროპული ქვეყნები მულტილათერალიზმს განიხილავენ არა მარტო როგორც საგარეო პოლიტიკის წარმართვის ფორმატს, არამედ როგორც პრინციპს, რომელსაც ეფუძნება მრავალი ევროპული შეთანხმება, მათ შორის, შეთანხმება ევროკავშირის შესახებ (XXI მუხლი). განსხვავებით სხვა გლობალური მოთამაშეებისაგან (აშშ, რუსეთი, ჩინეთი), რომლებიც უპირატესობას ცალმხრივ საგარეო პოლიტიკას ანიჭებენ, ევროპულ პოლიტიკურ დისკურსში მულტილათერალიზმი ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბაზისო ღირებულებაა. ამ მიდგომის დასტური იყო გასულ წელს საფრანგეთისა და გერმანიის მიერ მულტილათერალიზმის საერთაშორისო ალიანსის ინიცირება, რომელმაც უკვე შემოიკრიბა 50-მდე ქვეყანა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონიდან. ამ ალიანსმა ერთხმად დაუჭირა მხარი COVID-19-ის პირობებში გაეროს გენმდივნის მოწოდებას გლობალური ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე და თანამშრომლობის გააქტიურებას ვაქცინის შესამუშავებლად.¹⁰

როგორც ჯანმოს 73-ე ასამბლეაზე გამოჩნდა, ევროკავშირი ცდილობს, როგორც დამოუკიდებელი მოთამაშე, აქტიურად ჩაერთოს პანდემიის წინააღმდეგ საერთაშორისო სოლიდარობის მობილიზაციის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის საწყის ეტაპზე ევროკავშირის შიგნით სწორედ ერთიანობისა და სოლიდარობის სერიოზული დეფიციტი შეიქმნა, მოგვიანებით ბრიუსელმა მოახერხა არაკოორდინირებული ქმედებების თავიდან აცილება, თავისუფალი გადაადგილებისა და ერთიანი ბაზრის პრინციპების დაცვა და ეტაპობრივად დაიწყო ევროკავშირის მძლავრი ინსტრუმენტის – ეკონომიკური ბერკეტის გამოყენება. 21 ივლისს, ოთხდღიანი მოლაპარაკებების შემდეგ, ევროკავშირის ლიდერებმა აზრთა სხვადასხვაობა დაძლიეს და COVID-19-ით დაზარალებული ეკონომიკის სტიმულირების 750 მილიარდი ევროს პაკეტზე ისტორიულ შეთანხმებას მიაღწიეს, წვერი ქვეყნების ეკონომიკის აღსადგენად. ამავდროულად, ევროკავშირმა ევროკომისიასა და წევრ ქვეყნებთან ერთად ჩამოაყალიბა 20 მილიარდი ევროს ბიუჯეტის საერთაშორისო პროგრამა TeamsEurope იმ პარტნიორი ქვეყნების დასახმარებლად, რომელთაც სერიოზული ზიანი მიაყენა COVID-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა.¹¹

ამ რთულ პერიოდში ევროკავშირის მოუწევს გადამწყვეტი რეფორმები გაატაროს და, საჭიროების შემთხვევაში, შექმნას სოლიდარობის ახალი მექანიზმები. ევროკავშირის ფორმულა უნდა იყოს „ძალა ერთობაშია“, რათა შესაძლებელი გახდეს მიმდინარე მწვავე ეკონომიკურ კრიზისთან გამკლავება, კრიზისის მართვის საერთო ევროპული სტრუქტურების გაძლიერება და რეალური სოლიდარობის მაგალითის დემონსტრირება საშინაო ფრონტზე. შედეგად, გაიზრდება შანსები, რომ ევროკავშირმა საგარეო არენაზე შეძლოს სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმა და მულტილათერალიზმის გადახალისებისა და გაჯანსაღების პროცესში თავისი სიტყვა თქვას. ევროკავშირის ასევე ხელს შეუწყობს გლობალური ლიდერობა საერთაშორისო ვაჭრობისა და დახმარების, კლიმატის ცვლილებისა და „მწვანე ეკონომიკის“ მიმართულებით.¹² ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საკითხებში, ევროკომისიის

10. A.F. von Loringhoven, 'COVID-19 and Alliance for Multilateralism', UN Chronicle (30.05.20).

11. https://ec.europa.eu/info/sites/info/files/joint_communication_global_eu_covid-19_response_en.pdf

12. R. Balfour, *Raising Europe's Global Role Starts at Home*, Carnegie Europe (16.07.20).

ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბორელი აღნიშნავს, რომ „ამ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში ევროკავშირს პარტნიორები და თანამოაზრეები სჭირდება“.¹³

საქართველო

საქართველოში სანყის ეტაპზე პანდემიაზე დროულმა და ეფექტურმა რეაგირებამ და მთავრობისა და საზოგადოების ერთიანმა ძალისხმევამ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა. დღეს ამბობენ, რომ პირველი ტალღა სწორედ ახლაა საქართველოში, ექვსი თვის დაგვიანებით, როცა პანიკა ნაკლებია, ექიმებმა მეტი იციან ვირუსის შესახებ და, ასე თუ ისე, ჩამოყალიბებულია დაავადების მართვის პროტოკოლი. საქართველო ყველა დონეზე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან და ორგანიზაციებთან, ჯანმოს ჩათვლით, რომელთაც თავის დროზე აღიარეს კიდევ ქვეყანაში ეპიდსიტუაციის მართვის წარმატებული გამოცდილება.

ამავე პერიოდში რუსეთის ფედერაციამ გააძლიერა დეზინფორმაციის კამპანია საქართველოს წინააღმდეგ და გაავრცელა მითები საქართველოს დაავადებათა კონტროლის ლუგარის ცენტრის შესახებ, რაც რუსეთის ჰიბრიდული ომის ნაწილია და ღია თავდასხმაა საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე. რუსეთმა ასევე უგულვებელყო გაეროს გენერალური მდივნის მოწოდება პანდემიის დროს მსოფლიოს კონფლიქტით დაზარალებულ ადგილებში ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის თაობაზე – რაც კიდევ უფრო ამძიმებს მოსახლეობის მდგომარეობას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

პანდემიისგან დამოუკიდებლად, წესებზე დაფუძნებული მულტილათერალიზმი და მისი ეფექტიანობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს განვითარებისა და საშინაო და საგარეო პრიორიტეტების განხორციელებისათვის. საქართველოს მოსახლეობის სტრატეგიული არჩევანია გახდეს წესებზე დაფუძნებული პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების სისტემების – ევროკავშირისა და ნატო-ს ნაწილი. ამავდროულად, რუსეთის ოკუპაციით გამოწვეული არასტაბილურობისა და საფრთხეების დასაძლევად, საერთაშორისო თანამეგობრობისა და გაეროს უფრო მეტი ძალისხმევა გვესაჭიროება. ამიტომ, XXI საუკუნის გამოწვევების გათვალისწინებით, საქართველო გაეროს გაძლიერებისა და რეფორმირების მომხრეა, რათა ინკლუზიურობისა და განვითარების მიღწევა საერთაშორისო სამართლისა და წესებზე დამყარებული წესრიგის პატივისცემით მოხდეს.

როგორც ჩანს, COVID-19-ის პანდემია გამოიწვევს ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესს.¹⁴ ამ ახალ რეალობაში, სადაც მთავარია არა მარტო ეროვნული ძალისხმევა, არამედ უფრო ეფექტიანი საერთაშორისო თანამშრომლობა, საქართველოს სტრატეგიულმა პარტნიორებმა, გლობალურ დონეზე მოკავშირეებთან ერთად, ერთობლივი ძალისხმევა მულტილათერალიზმის გადახალისებისა და გაუმჯობესებისაკენ უნდა მიმართონ.

საქართველო მზადაა ამ პროცესის აქტიური მონაწილე გახდეს და საკუთარი წვლილი შეიტანოს წესებზე დამყარებული მრავალმხრივი თანამშრომლობის გაძლიერებაში, მათ შორის, პანდემიასთან ბრძოლის მიმართულებით.

13. https://eeas.europa.eu/topics/multilateral-relations/82725/world-disorder-europe-needs-partners_en

14. H. A. Kissinger, 'The Coronavirus Pandemic Will Forever Alter the World Order', *WSJ* (03.04.20).

ბოლოსიტყვაობა

ბოლო 75 წლის განმავლობაში მულტილატერალიზმი გლობალური მშვიდობისა და განვითარებისათვის მტკიცე დასაყრდენი იყო. თუმცა, მიმდინარე პანდემიამ ნათლად დაანახა ყველას, რამდენად მონყვალადია დღევანდელი ურთიერთდამოკიდებული მსოფლიო; რომ არც ერთი ქვეყანა, რაც არ უნდა ძლიერი იყოს, დამოუკიდებლად ვერ მიაღწევს წარმატებას. მზარდი გლობალური გამოწვევების ფონზე, სირთულეების გადალახვა მხოლოდ საერთაშორისო თანამშრომლობით და სოლიდარობით არის შესაძლებელი. მნიშვნელოვანია პანდემიის კრიზისი გამოყენებული იყოს მულტილატერალიზმის გასაჯანსაღებლად, რათა იზოლაციონიზმი არ გახდეს ახალი რეალობის, ე.წ. „new normal“-ის, ნაწილი. ეს რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია, თუმცა ისტორიას ახსოვს გლობალური სოლიდარობის წარმატებები, მათ შორის, მსოფლიოს ჯანდაცვის სფეროდან, როცა ცივი ომის ყველაზე უფრო რთულ წლებში შესაძლებელი გახდა პოლიომიელიტის ვაქცინისათვის საბინ ჩუმაკოვის პარტნიორობის ჩამოყალიბება, რამაც, საბოლოო ჯამში, ვაქცინის შემუშავებას შეუწყო ხელი.¹⁵ რადგან პანდემიის რეალობამ უკვე აჩვენა ცვლილებების პოტენციალი და მსოფლიოს დაანახა გლობალური თანამშრომლობის პრიორიტეტულობა, გამოსავალი იქნება მხოლოდ მეტი და უკეთესი მულტილატერალიზმი, რომელიც გაითვალისწინებს დღევანდელ რთულ გეოპოლიტიკურ რეალობას. ამასთან, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა და აშშ-მ მოახერხონ შეკავშირება საერთო ღირებულებებისა და ინტერესების გარშემო და გაააქტიურონ დემოკრატიული ქვეყნების გლობალური კოალიცია. ამ პარტნიორობამ ასევე უნდა შეუწყოს ხელი საერთაშორისო ინსტიტუტების რეფორმირებას და მათი ეფექტურობის გაზრდას. COVID-19-ის ვაქცინასთან დაკავშირებული აქტიური საერთაშორისო დიპლომატია მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება გავლენების მოსაპოვებლად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე მულტილატერალურ თანამშრომლობას სახელმწიფოებთან ერთად ახალი აქტორებიც ჰყავს, მათ შორის, ბიზნესმენები და ფილანთროპები (მაგ. ბილ გეიტსი, ჯეკ მა), რომლებიც აქტიურად ჩაერთნენ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ებოლას ეპიდემიის დროს ასეთმა პარტნიორობამ კარგი შედეგები მოიტანა და ამდენად, სასარგებლო იქნება ამ გამოცდილების სრულფასოვნად გამოყენება.

გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი თანამედროვე მსოფლიოს ისეთ ეგზისტენციალურ გამოწვევებს, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ბირთვული იარაღის გავრცელება, ტერორიზმი და ეკონომიკური უთანასწორობა, უწოდებდა „პრობლემებს პასპორტის გარეშე“.¹⁶ დღეს მათ რიცხვს COVID-19-ც დაემატა, რომლის საფრთხემაც ნათლად აჩვენა, რომ კაცობრიობას მის დასამარცხებლად ერთადერთი გზა აქვს – საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება განახლებული, ეფექტური მულტილატერალიზმისათვის. საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები ამ პროცესის ავანგარდში უნდა იყვნენ.

თამარ ბერუჩაშვილი არის საქართველოს მედმივი წარმომადგენელი საერთაშორისო სამღვაო ორგანიზაციაში, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. იგი იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გაერთიანებულ სამეფოში, საგარეო საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო მინისტრი ევროპული ინტეგრაციის საკითხებში, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი.

15. P.J. Hotez, *Russian-United States vaccine science diplomacy: Preserving the legacy*, <https://doi.org/10.1371/journal.pntd.0005320> (25.05.17).

16. 'Environmental threats are quintessential "Problems without passports" SG tells European environmental ministers', UN Press Release SG/SM/6609 (23.06.98).



კოტე ზალდასტანიშვილი, გიგი წერეთელი - ეუთო, ვენა, 2014, © საქართველოს პარლამენტი. Kote Zaldastanishvili, Gigi Tsereteli - OSCE, Vienna, 2014, © Georgian Parliament.

მულტილატერალიზმის განმტკიცება და კარლამენტის როლის გაძლიერება პანდემიის დროს

გიორგი (გიგი) წერეთელი

*დემოკრატიული მმართველობა ქვეყნებში,
სახელმწიფოებს შორის გაზრდილი სოლიდარობა
და საერთაშორისო თანამშრომლობა
საუკეთესო გზაა მომავლისკენ*

2020 წელს COVID-19-ის პანდემიის გავრცელებამ გამოიწვია უპრეცედენტო გლობალური კრიზისი, რომელმაც ერთმანეთთან დაკავშირებული თანამედროვე საზოგადოებების სუსტი მხარეები დაგვანახა.

დაავადებულთა სიჭარბემ და სამედიცინო პერსონალისათვის განკუთვნილი დამცავი საშუალებების ნაკლებობამ ჩვენი ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემა ჩამოშლის პირას მიიყვანა. ეკონომიკურად ერთმანეთზე დამოკიდებული ქვეყნები ისევ უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, ინდუსტრიის გაჩერებით დაწყებული, მომარაგების ჯაჭვის რღვევითა და საზღვრების ჩაკეტვით დასრულებული. მომსახურების სექტორის აღმავლობა, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის ზრდის მთავარი ფაქტორი იყო და ხშირად უწყობდა ხელს სწრაფ განვითარებას, ერთ დღეში უიმედოდ გაჩერდა, ამით კი მასობრივი უმუშევრობა და შიდა ვალის არნახული ზრდა გამოიწვია.

თავიდან უმეტესობა აღიარებდა, რომ ეს მრავალმხრივ მძიმე კრიზისი საერთაშორისო მხარდაჭერასა და სოლიდარობის გაზრდას საჭიროებდა, რაც აუცილებელი იყო კრიტიკულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფისთვის. საერთო გამოწვევების წინაშე მდგომი ქვეყნებისთვის განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა ბოლო პერიოდში ერთმანეთისათვის საუკეთესო გამოცდილებების გაზიარება. დღეს, როდესაც ქვეყნების უმეტესობამ განაახლა ეკონომიკური საქმიანობა, გადამწყვეტ ფაქტორად რჩება მკაფიო და პირდაპირი საერთაშორისო კომუნიკაცია, რათა ვაქცინის შექმნამდე კონტროლს დაექვემდებაროს დაავადების გავრცელება.

საბედნიეროდ, მსოფლიო უკვე ფლობდა ყველა საჭირო საშუალებას ამ გამოწვევაზე ეფექტურად საპასუხოდ – წესებზე აგებული საერთაშორისო სისტემა, რომელიც ეფუძნება ნდობას, დიალოგს და ეყრდნობა ძლიერ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

სამწუხაროდ, ეს სისტემაც დიდი ხანია საკუთარი გამოწვევების წინაშე დგას: იცვლება რა ძალთა საერთაშორისო გადანაწილება, ჩნდება რევიზიონისტული და ავტოკრატიული სახელმწიფოები, რომელთაც საზოგადოების მართვის საუკეთესო საშუალებად დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრისთვის პრობლემების შექმნა წარმოუდგენიათ. ქვეყნები უგულებელყოფენ საერთაშორისო კანონებსა და ნორმებს საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად. საუბედუროდ, საქართველო ამ რეალობას კარგად იცნობს.

COVID-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა კიდევ უფრო გამოკვეთა მულტილათერალიზმის პრობლემები. ცხადად გამოჩნდა განსხვავება სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლების მართვის სტილსა და შესაძლებლობებს შორის გამოწვევასთან გამკლავების საკითხებში. ზოგიერთმა ქვეყანამ მართვის სანიმუშო მაგალითი აჩვენა, დაეყრდნო რა მეცნიერებასა და გონივრულ ეკონომიკურ პრინციპებს. მიღებულ იქნა თამამი ზომები საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით, სოციალური იზოლაციის უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად. სამწუხაროდ, აქვე გამოიკვეთა ბევრი ლიდერის წარუმატებელი ძალისხმევა. ხშირ შემთხვევაში მთავრობებმა ვერ შეძლეს ვირუსთან გამკლავება, ვერც საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ვერც ეკონომიკური თვალსაზრისით. ზოგმა კრიზისი პოლიტიკური ოპოზიციის ჩამოშორებისა და ძალაუფლების კონსოლიდაციისათვისაც კი გამოიყენა.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო წესრიგზე უარის ნაცვლად, ჩვენ უნდა ავირჩიოთ მტკიცე და გაძლიერებული მულტილათერალიზმი, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი გამოსავალი გლობალური კრიზისიდან. დღევანდელ ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში ჩვენი სიძლიერე ჩვენივე სისუსტეებზეა დამოკიდებული. შეუძლებელია გლობალური პანდემიის ეფექტურად შეკავება სახელმწიფოების ერთობლივი მოქმედების გარეშე. მხოლოდ ამგვარად შევძლებთ საზღვრების უსაფრთხოდ გახსნასა და ეკონომიკის გამოცოცხლებას.

როგორც ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი, ჩემს კოლეგებთან ერთად 57 ქვეყნიდან, ვაგრძელებთ ჩვენს მისიას და ხელს ვუწყოთ დიალოგს კონფლიქტების პრევენციისა და მედიაციის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების წახალისებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით.

COVID-19-ის გამოწვევის მიუხედავად, მე და ჩემმა კოლეგა პარლამენტარებმა გარკვევით განვაცხადეთ, რომ ვერ შევძლებდით უპრეცედენტო კრიზისების გადაჭრას იმ უამრავი გამოწვევის გვერდის ავლით, რომელთა წინაშეც ეუთო-ს რეგიონი დგას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიზისის გადალახვის შემდეგ მძიმე ეკონომიკური და გრძელვადიანი გარემოსდაცვითი პრობლემები გველის, რაც კლიმატის ცვლილებასაც გულისხმობს. ბოლო თვეების გამოწვევები შესაძლოა არაფრად მოგვეჩვენოს იმის ფონზე, რაც მომავალში გველოდება, თუ ჩვენ ვერ უზრუნველვყოფთ მწვანე ეკონომიკურ გაჯანსაღებას.

ამასთან, პანდემიით გაჩენილმა გაურკვევლობამ და არასტაბილურობამ შესაძლოა მოვლენების სახიფათო განვითარება და ძალადობრივი ექსტრემიზმის გაძლიერება გამოიწვიოს. ჯერ კიდევ გასააზრებელია კრიზისის გრძელვადიანი გავლენა უსაფრთხოებაზე, თუმცა უკვე თვალსაჩინოა უამრავი სახიფათო ტენდენცია, რასაც მთავრობები ყურადღებით უნდა მოეკიდონ. საჭიროა დავაკვირდეთ, თუ როგორ იყენებენ ექსტრემისტები COVID-19-ს და შესაბამისად გავაერთიანოთ ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო პოლიტიკა, ასევე, საკანონმდებლო სტრატეგიები. ამასთანავე, დეზინფორმაციასთან ბრძოლა მოითხოვს კომპეტენტური ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოების, სოციალური მედიის პლატფორმებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საერთო ძალისხმევას.

პანდემიამ ასევე წარმოაჩინა ისეთი ტიპის პრობლემები, რაც დამახასიათებელია კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანებისთვის – დევნილების, თავშესაფრის მაძიებლებისა და მიგრანტებისათვის. კორონავირუსმა გაზარდა მათი მონყვლადობა რთული საცხოვრებელი პირობების, ჯანმრთელობის პრობლემებისა და სანიტარიულ მომსახურებაზე შეზღუდული წვდომის გამო. სასაზღვრო-გამშვები პუნქტების დაკეტვამ კონფლიქტის ზონაში მცხოვრებთ ასევე შეუშლია წვდომა ჯანდაცვაზე. მათ მძიმე ტვირთად დააწვათ ეკონომიკური სირთულეებიც. სოციალურმა იზოლაციამ შეაფერხა დიპლომატია, კონფლიქტის მოგვარების მცდელობები და ჰუმანიტარული დახმარებების მიწოდება.

ამგვარად, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ დიპლომატებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება დღევანდელ დღეს ნდობისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების გასამყარებლად, მათ შორის, ტექნოლოგიების სარგებლობით. ვინაიდან კორონავირუსთან დაკავშირებული შეზღუდვები შესაძლოა კიდევ დიდხანს გაგრძელდეს, მათ, ვინც ჩართულია კონფლიქტების მოგვარების საქმეში, უნდა იზრუნონ ციფრული წიგნიერების განვითარებაზე, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა გამონახონ ინოვაციური გზები, რათა დაეხმარონ საზოგადოებებს მძიმე ეკონომიკური კრიზისის გავლენასა და პანდემიის სოციალურ-პოლიტიკურ შედეგებთან გამკლავებაში.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში ჩატარებულ ონლაინ-განხილვებში აღნიშნულია, რომ COVID-19-ის კრიზისის საპასუხო სამთავრობო და საპარლამენტო ქმედებები გრძელვადიან შედეგს გამოიღებს და აამაღლებს ნდობას იმ ინსტიტუტების მიმართ, რომელთაც ევალებათ კონკრეტული და ეფექტური რეაგირება არსებულ გამოწვევებზე.

მართლაც, ამ კრიზისმა აჩვენა, რომ საზოგადოების მხრიდან თანამშრომლობა, ასევე მთავრობისა და ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულება მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ მოქალაქეების ნდობის ხარისხთან. ამ ნდობის მოსაპოვებლად თუ დასაბრუნებლად აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ორგანოებმა თანამშრომლობის მაღალი კულტურა უნდა გამოიჩინონ და დროებით დაივიწყონ პოლიტიკური განსხვავებები.

მაშინ, როდესაც პარლამენტებს დაევალოთ ემუშავათ საგანგებო ზომების დაცვის მიზნით შეზღუდული კონტაქტისა და განხილვების პირობებში, ჩვენ, პარლამენტარებმა, მნიშვნელოვანი როლი შევასრულეთ მოქალაქეებსა და მთავრობებს შორის უწყვეტი კავშირის შესანარჩუნებლად – ვავრცელებდით ინფორმაციას ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ახალი მითითებებისა თუ არსებული გამოწვევების, მაგალითად, სოციალური დისტანცირების მნიშვნელობის შესახებ, ზოგჯერ კი უიმედო სიტუაციებშიც ვპოულობდით გამოსავალს.

ფაქტი, რომ პარლამენტებმა, ყველა საჭირო შეზღუდვის მიუხედავად, განაგრძეს საქმიანობა კრიზისის ყველაზე მწვავე პერიოდებშიც კი, მნიშვნელოვანი იყო ეუთო-ს რეგიონში საპარლამენტო დემოკრატიის უწყვეტობის შენარჩუნების თვალსაზრისით. პარლამენტებმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ პრობლემებზე მყისიერი რეაგირებისა და მათი გრძელვადიანი მოგვარების საქმეში. კორონავირუსის შემდგომ ხანაში საშუალება გვექნება სრულფასოვნად გამოვიყენოთ ჩვენი საპარლამენტო პრეროგატივები, კონკრეტულად კი, ზედამხედველობის ფუნქცია, რათა სწორი ბალანსი შევინარჩუნოთ ჯანმრთელობის დაცვის, ეკონომიკური და სოციალური დარღვევების მინიმიზაციასა და ადამიანის უფლებების უზენაესობას შორის.

როდესაც საქართველოში ჯანდაცვის სფეროში გამოვლენილ პრობლემებზე მთავრობის რეაგირება დადებითად შევაფასე, ისიც აღვნიშნე, რომ ამ მხრივ ეკონომიკური მიდგომა უფრო პრობლემური გამოდგა. დღეს სახელმწიფოს ხელშია სტიმულირების ყველა საშუალება და რადგან მათი შერჩევა მოხდა ნაკლები დიალოგის, შეზღუდული მოლაპარაკებებისა და ზედამხედველობის პრინციპით, პარლამენტმა ვერ შეძლო დაედო პირობა ეკონომიკის გაჯანსაღების შემთხვევაში ყველა ჩვენი მოქალაქის საარსებო წყაროთი უზრუნველყოფის თაობაზე.

მსოფლიოს შეუძლია უკეთ გამოიყენოს პარლამენტარების განსაკუთრებული როლი და შესაძლებლობები - ავსახოთ ადამიანების ხედვა ჩვენს სამუშაოსა და კანონმდებლობაში. დემოკრატიული მმართველობა ქვეყნებში, სახელმწიფოებს შორის გაზრდილი სოლიდარობა და საერთაშორისო თანამშრომლობა საუკეთესო გზაა მომავლისკენ. მე და ჩემი კოლეგები ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში განვაგრძობთ ამ მიმართულების ხელშეწყობას, რათა ჩვენი ყველა მოქალაქისთვის ერთნაირად მოქმედებდეს საჯარო პოლიტიკის დემოკრატიული, ეფექტური და თანმიმდევრული ზომები.

გიორგი (გიგი) წერეთელი არის ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი. იგი იყო საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი.

ქართულ-რუსული ურთიერთობები კანდემიის შემდეგ

ზურაბ აბაშიძე

დიალოგი რუსეთთან შეიძლება გაიმართოს ნებისმიერ დონეზე, თუკი ეს რამენაირად წაადგება ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები იმაზე გაცილებით მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე კონფლიქტის დასრულების შემდეგ წარმოგვედგინა. დაიღუპნენ სამოქალაქო და სამხედრო პირები. აფხაზეთიდან დევნილთა დიდ რაოდენობას ცხინვალის რეგიონიდან ახალი ტალღა შეუერთდა, რაც ქვეყნისათვის უდიდეს ჰუმანიტარულ, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემად იქცა.

რუსეთმა სრული კონტროლი დაამყარა ჩვენი ქვეყნის იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც აგვისტოს ომამდე ნაწილობრივ ან სრულად აკონტროლებდა საქართველოს ხელისუფლება. მაგალითად, კოდორის ხეობაზე,¹ თვით ცხინვალის რეგიონში კი – 100-ზე მეტ სოფელზე.

საქართველოში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ისევ განთავსდა რუსეთის სამხედრო ბაზები, რომელთა გაყვანა 1990-იანი წლების ბოლოდან დიდი ძალისხმევის შედეგად მოხდა. ამან კარდინალურად შეცვალა ქვეყნის უსაფრთხოების გარემო და ამას ყოველდღიურად ვაწყდებით. სწორედ რუსეთის სამხედრო ბაზები იქცა ოკუპაციის მთავარ ღერძად.

ომის შედეგების „ინვენტარიზაციისას“ აღმოჩნდა, რომ წინა წლებში რუსულ კომპანიებზე გასხვისებული საქართველოს ენერგოსექტორის უამრავი სტრატეგიული ობიექტი და მათ შორის – 15 (!) დიდი ელექტროსადგური. რუსულმა კომპანიებმა შეიძინეს სხვა მნიშვნელოვანი ობიექტებიც, მათ შორის, ნავთობისა და გაზის მრეწველობის, მინერალური რესურსების, სამრეწველო და სამედიცინო სექტორებში. ქვეყნის ეკონომიკის დიდი ნაწილი რუსეთის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა.

1. 2008 წლის აგვისტოში დავთმეთ სამხედრო თვალსაზრისით ფრიად გამაგრებული კოდორის ხეობა და ასევე იქ განლაგებული დიდძალი ძვირადღირებული სამხედრო ტექნიკა.

ასეთია რეალობა და ფაქტები. რატომ და რისთვის გაკეთდა ეს? ვის მიზნებს ემსახურებოდა? პასუხები ამ კითხვებზე დღემდე არ მოგვისმენია.

ომის შემდეგ საერთაშორისო დონეზე მიღებულ დოკუმენტებში ჩვენი ქვეყნისათვის დამაზიანებელი შეფასებებიც გაკეთდა.² საქართველოში ინტერვენციისათვის მოსკოვს პრაქტიკულად საფასური არ გადაუხდია, მის წინააღმდეგ არც რაიმე სანქცია დაწესებულა.

მიუხედავად ამ დრამატული გარემოებებისა, დღევანდელი გადასახედიდან, ომის უმძიმეს შემდეგად მაინც მისი სამართლებრივი ასპექტები იქცა. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დე ფაქტო მოშლას ნიშნავს, რაც დღევანდელი საქართველოსთვის უმძიმესი გამოწვევაა.

თუკი რეალური ფაქტებით ვიმსჯელებთ, 2004-2012 წლებში რუსეთმა საქართველოში მიაღწია იმაზე გაცილებით მეტს, ვიდრე მანამდე იოცნებებდა. საქართველოს ტერიტორიული ერთიანობა ფაქტობრივად მოიშალა.

დღეისათვის რუსეთი არ აპირებს ოკუპირებული ტერიტორიების აღიარებაზე უარის თქმას, საქართველო კი ამ ე. წ. „ახალ რეალობას“ ვერ შეეგუება. ეს არის სამართლებრივად ჩიხური სიტუაცია, რომელშიც მოექცა ქართულ-რუსული ურთიერთობა. ამ ვითარებაში დიპლომატიური კავშირების აღდგენაზე საუბარი შეუძლებელია.

ჩიხურ ვითარებაში არიან ოკუპირებული აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონიც, რადგან მათ დამოუკიდებლობას რეალური პერსპექტივა არა აქვს. ამ რეგიონებში მრავალმხრივ მძიმე ვითარებას ემატება დემოგრაფიული ფაქტორიც. ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილის განდევნის შემდეგ ფაქტობრივად მოხდა ამ ტერიტორიების დეპოპულაცია, რაც ეკონომიკური განვითარების საშუალებას არ იძლევა.

საქართველოს ხელისუფლებამ 2012 წლის შემდეგ შეძლო შეემცირებინა რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის განახლების საფრთხე, რაც დამოკლეს მახვილად ექცა ქვეყნის დამოუკიდებლობას. რუსეთთან დაძაბულობის მაღალი ტემპერატურის შემცირება აუცილებელი წინაპირობა იყო ქვეყნის შიდაპოლიტიკური ვითარების დასამშვიდებლად, უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და საერთაშორისო ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე რეალური შედეგების მისაღწევად. ხელისუფლების ამ პრაგმატულმა მიდგომამ რეალური შედეგები გამოიღო. ამ კურსს მტკიცედ უჭერენ მხარს ჩვენი დასავლელი პარტნიორები.

2. ამის სამწუხარო მაგალითია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2008 წლის #1633 რეზოლუცია, რომელიც ფაქტობრივად ადანაშაულებს ქართულ მხარეს 7 აგვისტოს (!) ცხინვალის რეგიონში არაპროპორციული სამხედრო ძალის გამოყენების, მოქალაქეების სიცოცხლისათვის რისკების შექმნის და საერთაშორისო სამართლის დარღვევისათვის.



კოტე ზალდასტანიშვილი, ზურაბ აბაშიძე - ოფიციალური შეხვედრა, თბილისი, 2015, © საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. **Kote Zaldastanishvili, Zurab Abashidze - Official Meeting, Tbilisi, 2015, ©Administration of the Government of Georgia.**

2012 წლიდან ამოქმედდა ქართულ-რუსული არაფორმალური დიალოგის ე. წ. პრალის ფორმატი, რომელმაც ხელი შეუწყო ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენასა და პრაქტიკული პრობლემების მოგვარებას. რუსეთიდან ტურიზმის ზრდამ იმპულსი მისცა ამ სექტორის სწრაფ განვითარებას და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ პროგრესს.³

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმების რეალიზაციის მთავარ მექანიზმად რჩება ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები. სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი ფორმატის ფარგლებში ცდილობს ქართული მხარე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერით ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებული უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარებას.

3. 2019 წლის ივნისის მოვლენების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთან საპაერო მიმოსვლის შეჩერების შესახებ, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა რუსი ტურისტების რაოდენობა.

სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით, რეალური პროგრესის მიღწევა დღემდე ვერ ხერხდება. პირიქით, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ქართული მოსახლეობისათვის ვითარება სულ უფრო რთულდება. გრძელდება ე. წ. ბორდერიზაციის პროცესი, ძლიერდება რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო კონტროლი.

ამ ვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) საქმიანობა, რომელიც უსაფრთხოების ერთადერთი საერთაშორისო მექანიზმია, დაკავშირებული კონფლიქტურ რეგიონებთან.

ახლა მთავარი კითხვაა, თუ როგორი იქნება ქართულ-რუსული ურთიერთობები პანდემიის შემდეგ. ეს დამოკიდებული იქნება ზოგად ვითარებაზე მსოფლიოში COVID-19-ის დამარცხების შემდეგ და ჩვენი დასავლელი პარტნიორების მზადყოფნაზე გააგრძელონ საქართველოს მხარდაჭერა.

ამ რთულ კითხვებზე პასუხების საძიებლად საჭიროა ანალიზი იმისა, თუ რა გავლენა იქონია უხილავმა ვირუსმა საერთაშორისო პოლიტიკისა და ჩვენი რეგიონის მთავარ აქტორებზე, რა ფორმით გამოვლენ ისინი პანდემიიდან.

ფაქტია, რომ პანდემიამ უდიდესი და სრულიად მოულოდნელი გამოცდის წინაშე დააყენა საერთაშორისო ორგანიზაციები და, ზოგადად, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა. გაერო და მისი ორგანიზაციები უპრეცედენტო გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. ნაწილობრივ ეს იმით აიხსნება, რომ პანდემიის საწყის ეტაპზე მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა დამოუკიდებლად, ხშირად პარტნიორებთან შეუთანხმებლად დაიწყეს ზომების მიღება, რაც უმთავრესად მეზობლებისგან დისტანცირების ხასიათს ატარებდა. წელს შემოდგომაზე, პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გაეროს ტრადიციული გენერალური ასამბლეა მსოფლიოს ლიდერების ფიზიკური მონაწილეობის გარეშე ჩატარდა.

აშშ-მ ღიად გამოხატა უკმაყოფილება მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებით და გადაწყვიტა უარი თქვას მის წევრობაზე. 2018 წელს აშშ-მ ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო იუნესკო-სთან დაკავშირებით.

ევროკავშირისათვის ეგზისტენციალურ გამოწვევად იქცა დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილება, დატოვოს ამ ორგანიზაციის რიგები. ამ დაძაბულ ფონზე პანდემიამ კიდევ უფრო დააზარალა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ერთიანობა და სოლიდარობა. თითქოს ყველა თავის საზღვრებში ჩაიკეტა, იმატა ცალკეული ქვეყნების უკმაყოფილებამ გაერთიანების წამყვანი სახელმწიფოების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ ბრიუსელსა და ევროკავშირის ქვეყნების დედაქალაქებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პანდემიის ეკონომიკური და ფინანსური შედეგების დასაძლევად, ახლო მომავალში გაცილებით მეტი იქნება გასაკეთებელი ევროპული ერთიანობისა და საერთო სულისკვეთების აღსადგენად და გასაძლიერებლად.

საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, თუ რამდენად წარმატებით გადალახავს პანდემიას ჩვენი დიდი მეზობელი და სტრატეგიული პარტნიორი – თურქეთი. ამ ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების შენარჩუნება და გაძლიერება დიდ გავლენას ახდენს რეგიონის ქვეყნებზე, ხოლო თურქეთის კეთილდღეობა – საქართველოს მოსახლეობაზე.

დაძაბულობა მთიან ყარაბაღში, რომელიც პერიოდულად მწვავდება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, დიდ საფრთხეს უქმნის რეგიონის სტაბილურობასა და მშვიდობას. 2020 წლის შემოდგომაზე დაპირისპირებულ მხარეებს შორის აქტიური საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა დამანგრეველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ კონფლიქტის კიდევ უფრო ესკალაციას. საქართველო ღრმად არის დაინტერესებული, რათა ორმა მეგობარმა და მეზობელმა ქვეყანამ გამონახოს საერთო ენა და საერთაშორისო ჩართულობით, მშვიდობიანი გზით მოგვარდეს ეს მრავალწლიანი პრობლემა. ეს სერიოზული წინაპირობა იქნება სამხრეთ კავკასიის კეთილდღეობისა და პროგრესისათვის.

შეიტანს თუ არა კორექტივებს პანდემია რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?

2020 წლის პირველ კვარტალში ნავთობზე საერთაშორისო ფასების მკვეთრმა შემცირებამ, ხოლო შემდეგ პანდემიით გამოწვეულმა სირთულეებმა ორმაგად დააზარალა რუსეთი. ენერგორესურსების ექსპორტზე ორიენტირებული რუსეთის ეკონომიკა მიმდინარე წელს, ექსპერტთა აზრით, 5-დან 8 პროცენტამდე შემცირდება, რაც სერიოზული გამოწვევა იქნება ქვეყნისათვის.

მიუხედავად მძიმე ეკონომიკური ვითარებისა, პანდემიის შემდგომ პერიოდში რუსეთი, დიდი ალბათობით, შეეცდება შეინარჩუნოს თავისი საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები და ბოლო წლებში მოპოვებული საერთაშორისო დივიდენდები. მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს რუსეთში ჩატარებული საყოველთაო კენჭისყრის შედეგები და საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება სამართლებრივად გზას უხსნის პრეზიდენტ პუტინს დიდხანს შეინარჩუნოს საპრეზიდენტო პოსტი. ამგვარად, მას ეძლევა შანსი განახორციელოს ის სტრატეგიული კურსი, რომელსაც პრეზიდენტობის წინა პერიოდში ემსახურებოდა.

ამ სტრატეგიული კურსის ერთ-ერთი პრიორიტეტი კვლავ იქნება რუსეთის სამეზობლოში მოსკოვისათვის ხელსაყრელი გარემოცვის შექმნა და დასავლეთის გავლენის შემცირება. რუსეთი აამოქმედებს ყველა რესურსს, რათა არ დაუშვას ამ რეგიონის ქვეყნების განევრიანება ნატო-ში. ეს მისთვის „წითელი ხაზი“ იყო და, სავარაუდოდ, ასეც იქნება ახლო და საშუალო პერსპექტივაში.

მოსკოვი განაგრძობს ევრაზიული ინტეგრაციის პროექტების განხორციელებას, მაქსიმალურად შეეცდება მათში უკრაინის, მოლდოვის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ჩართვას.

მოსკოვში არა აქვთ ილუზია იმის თაობაზე, რომ პანდემია აიძულებს დასავლეთს შეცვალოს რუსეთის მიმართ მკაცრი პოლიტიკა და მოუხსნას მას სანქციები. ამიტომ კრემლი შეეცდება გამოიყენოს დასავლეთის შიდა პრობლემები. ამასთანავე, რუსეთის დღის წესრიგში კვლავ იქნება დასავლეთთან, კერძოდ, ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობათა მეტ-ნაკლებად ნორმალიზება, ეკონომიკურ და ენერგეტიკულ ასპექტებზე აქცენტების გადატანა.

რუსეთის პოლიტიკის მიმართ ჩვენს პრაგმატულ და ამავე დროს პრინციპულ მიდგომას ალტერნატივა არ აქვს: ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციას არასდროს შევეგუებით, ხოლო ევროატლანტიკური კურსი სტრატეგიული არჩევანია. ამავე დროს, მომხრე ვართ რუსეთთან დიალოგისა, რადგან დიალოგის ალტერნატივა შეიძლება კვლავ ტრაგიკული ძალადობა იყოს, რაც საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყნისათვის.

დიალოგი რუსეთთან შეიძლება გაიმართოს ნებისმიერ დონეზე, თუკი ეს რამენაირად წაადგება ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.

მოსკოვში აცნობიერებენ, რომ ე. წ. „ახალი რეალობა“ საქართველოსათვის მიუღებელია. თუმცა, ისინი შეეცდებიან სხვადასხვა ბერკეტითა და ფორმით მიგვაჩვიონ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობას“. ამ რთულ ვითარებაში ჩვენი საერთაშორისო პოზიციების დაცვა და დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერის გაძლიერება საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია.

ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამოსწორების კვალდაკვალ უნდა დავიწყოთ მუშაობა რუსეთთან საავიაციო მიმოსვლის აღდგენასა და ტურიზმის განახლებაზე. ამისათვის შესაძლებელია ე. წ. პრალის ფორმატის გამოყენება. გარდა წმინდა ეკონომიკური ფაქტორისა, ტურიზმი საქართველოს ეფექტური „რბილი ძალაა“, იგი ჩვენი ქვეყნის მეგობრებისა და თავყანისმცემლების მომრავლებას ემსახურება.

ბოლო წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობა დადებითი დინამიკით ვითარდებოდა, გაიზარდა ექსპორტი. მის დივერსიფიცირებას ხელს უწყობს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის წარმატებით ამოქმედება ევროკავშირთან, რომელიც ჩვენი პირველი სავაჭრო პარტნიორია. ასეთივე რეჟიმი მოქმედებს ჩინეთთან, რომელთანაც აგრეთვე პოზიტიური სავაჭრო დინამიკა გვაქვს. აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით. ქართველი მენარმეები დაინტერესებული არიან რუსულ ბაზარზე თავიანთი საქმიანობის გაფართოებით. ქართული სახელმწიფოს ვალდებულებაა მხარში ამოუდგეს ქართულ ბიზნესს და მაქსიმალურად დაეხმაროს მას რუსეთთან ვაჭრობისას პრობლემების მოგვარებაში. თუმცა, რისკი ყოველთვის ბიზნესის ნაწილია და ეს განსაკუთრებით რუსეთს ეხება. ჩვენი ბიზნესმენებისთვის არახალია რუსეთის ეს ნაკლებად პროგნოზირებადი სირთულეები.

მიუხედავად ამისა, რუსეთი ჩვენი საექსპორტო პროდუქციის ნაწილის გასაღების ბუნებრივი ბაზარია და ამის უყურადღებოდ დატოვება ყოველგვარ საღ აზრს იქნებოდა მოკლებული. 2013 წლიდან რუსულ ბაზარზე დაახლოებით 2,3 მილიარდი დოლარის ღირებულების ქართული პროდუქცია გავიდა. ეს ჩვენთვის ძალიან დიდი შემოსავალია.

დასავლელ პარტნიორებთან ერთად უნდა მივაღწიოთ პროგრესს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების პროცესში. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნებოდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) მანდატის სრული ამოქმედება, მისი ფუნქციის აღსრულება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

საქართველო ცალმხრივად და პირნათლად ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ, როგორც იურიდიული თვალსაზრისით, ასევე პრაქტიკული საქმეებით. ახლა რუსეთის ჯერია ანალოგიური ნაბიჯის გადადგმისა. ქართული დელეგაცია ამ მხრივაც გააგრძელებს მუშაობას ჟენევაში.

ჟენევის დისკუსიების დღის წესრიგის უმნიშვნელოვანესი საკითხია აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების ხელშეწყობა. უნდა მოინახოს გზები აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი კონტაქტების გასაფართოებლად. ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ რა დოზით იქნება მზად აფხაზეთის ახალი დე ფაქტო ხელისუფლება, არ შეუშალოს ხელი ამგვარ კონტაქტებს. ერთ-ერთი განსახილველი თემა შეიძლება იყოს საქართველოს ხელისუფლების ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომლის მიზანია ჰუმანიტარული სიტუაციის გაუმჯობესება და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მცხოვრებ ადამიანებს შორის საქმიანი კავშირების ხელშეწყობა.

იმედია, კაცობრიობა დაძლევის პანდემიას და ნელ-ნელა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდება. თუმცა, დიდი ილუზია იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ პოსტპანდემიური სამყარო უფრო ჰარმონიული იქნება, ვიდრე ვირუსის გამოჩენამდე იყო.

დიდ კრიზისებს დიდი შედეგები მოჰყვება, ხშირად – არაპროგნოზირებადი. რეალურად, ჯერ უცნობია, თუ რა დრო დასჭირდება მსოფლიოს ეკონომიკის რეაბილიტაციას და რა შედეგებს გამოიღებს უახლოეს წლებში მიმდინარე უპრეცედენტო კრიზისი.

პანდემიის დასრულების შემდეგ ჩვენ „აღმოვაჩინეთ“, რომ არსად გამქრალა საერთაშორისო ტერორიზმი. პირიქით, შეიძლება მან ძალებიც კი მოიკრიბა. მედიის ყურადღება კვლავ დაუბრუნდება მსოფლიოს კონფლიქტურ რეგიონებს, ახლო აღმოსავლეთს, ავღანეთს, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის პრობლემას, გაზრდილ სიღარიბესა და მილიონობით დამშეულ ბავშვს.

ასე რომ, ჩვენს ქვეყანას წინ რთული ეპოქა, რთული სამყარო და რთულ რუსეთთან მეგობლობა ელის.

ზურაბ აბაშიძე არის საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების საკითხებში. იგი არის ქართული ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქციის მთავარი რედაქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი. იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში, ევროკავშირთან და ნატო-სთან საქართველოს მისიების ხელმძღვანელი.



კოტე ზალდასტანიშვილი, არჩილ გეგეშიძე, დავით კოტარია, ოთარ ბერძენიშვილი, რევაზ გაჩეჩილაძე, ვლადიმერ ჭანტურია - ამბასადორიალი, თბილისი, 2014, © საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. **Kote Zaldastanishvili, Archil Gegeshidze, David Kotaria, Otar Berdzenishvili, Revaz Gachechiladze, Vladimer Chanturia - Ambassadorial, Tbilisi, 2014, © Ministry of Foreign Affairs of Georgia.**

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ტრანსფორმაცია კანდემიის კონტექსტში

არჩილ გეგეშიძე

საერთაშორისო ორგანიზაციების კოლექტიური ავტორიტეტი აუცილებელი პირობაა საქართველოში არსებული კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყებად და წარმატებით განსახორციელებლად

ორ ათწლეულზე მეტია, ვერაფრით ხერხდება საქართველოში არსებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოგვარება. გამოსავლის ძიებაში ჩართული პოლიტიკოსები, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, ევროკავშირი, ეუთო), სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები, აკადემიური წრეების საუკეთესო წარმომადგენლები და დონორი ორგანიზაციები ამაოდ ცდილობენ პროგრესის მიღწევას. მთავარი წყარო, რაც კონფლიქტის მხარეებს შორის არსებულ დაპირისპირებას ასაზრდოებს, ოპონენტების ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ხედვაა, რასაც სპეციალისტები ნაციონალური პროექტების შეუთავსებლობასაც უწოდებენ. ამიტომაც არის, რომ ერთადერთი სამშვიდობო პლატფორმა – „ვენევის საერთაშორისო დისკუსიები“ – შედეგს ვერ იძლევა. ვერც სამოქალაქო სექტორის ეგიდით ნდობის აღდგენისკენ მიმართულმა ძალისხმევამ დაახლოვა მხარეები. მეტიც, 2010 წლიდან მოქმედმა რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამამ, რომელიც ჯანდაცვის უფასო სერვისების მიწოდებას გულისხმობს და რომლითაც დღემდე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაახლოებით 15 ათასამდე მაცხოვრებელმა ისარგებლა, ჯერ ვერ მოახდინა გარდატეხა საზოგადოებრივ ცნობიერებაში. შედეგად, ქართველების სახით „მტრის ხატი“ კვლავ შენარჩუნებულია. თავის მხრივ, განდგომილი ტერიტორიების სტატუსთან დაკავშირებული ქართულ-რუსული დაპირისპირება დამატებით ამძიმებს ვითარებას. ყოველივე ამის გამო კი, კონფლიქტების მოგვარების შესაძლებლობა თვალსაწიერ მომავალში თითქმის ნულოვანია. არადა, შექმნილი ვითარება, რაც 2008 წლის მოვლენების შემდეგ ჩამოყალიბდა, რთულად ასატანი ხდება და მძიმე ტვირთად აწევს საზოგადოებას და მთელ სახელმწიფოს. ვითარების სირთულეს განსაკუთრებით ამძაფრებს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ძალადობრივი ხასიათი. იგულისხმება დე ფაქტო

ადმინისტრაციების მიერ გამყოფი ხაზების გასწვრივ ადამიანთა გადაადგილების შეზღუდვა, ასევე საქართველოს მოქალაქეების გატაცების, დატყვევების, წამებისა და მკვლელობის შემთხვევები. აღსანიშნავია, აგრეთვე, „ბორდერიზაციის“ სახელით ცნობილი თბილისის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების მცოცავი ანექსია.

კონფლიქტის საფასური

გარდა იმისა, რომ დღევანდელ პირობებში არსებული კონფლიქტების ყოვლისმომცველი დარეგულირება შეუძლებელი ამოცანაა, თავად კონფლიქტების ხსენებული ძალადობრივი ხასიათი დიდ ფასად უჯდება ყველა დაინტერესებულ მხარეს. გაჭიანურებული კონფლიქტების საფასური მრავალგანზომილებიანია და განსხვავდება თითოეული დაინტერესებული მხარის შემთხვევაში. ასე, მაგალითად, ეკონომიკური ხასიათის საფასური აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის გარედან შემოღობილი ინვესტიციების დეფიციტია, რაც ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი მუხრუჭია. საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია კონფლიქტების გამო არშემოღობილი (დაკარგული) უცხოური ინვესტიციები, თუმცა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისგან განსხვავებით, ამ ფაქტორს ეგზისტენციური ხასიათი არა აქვს. სამაგიეროდ, საქართველოსთვის კონფლიქტებს საგარეო-პოლიტიკური ფასიც აქვს იმ თვალსაზრისით, რომ მათი მოუგვარებლობა შემაფერხებელი ფაქტორია ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. საერთაშორისო ორგანიზაციებიც „ზარალბენ“ კონფლიქტების მოუგვარებლობით იმ რეპუტაციული ხასიათის საფასურის გამო, რისი გადახდაც მათ უწევთ. ამ მხრივ ნიშანდობლივია ევროკავშირის მაგალითი: მაშინ, როდესაც ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს თბილისის მიერ წარმოდგენულ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არაღიარების პოლიტიკას, მან ვერაფრით მოახერხა ამ თვითაღიარებულ რესპუბლიკებთან სათანადო ჩართულობა, მიუხედავად დეკლარირებული „ჩართულობისა და არაღიარების“ პოლიტიკისა. ეს კი ამცირებს ნდობას ევროკავშირის ვალდებულებების მიმართ. თავის მხრივ, დონორ ორგანიზაციებს სულ უფრო უცრუვდებათ იმედი ნდობის აღდგენაზე ორიენტირებული მრავალმილიონიანი პროგრამების განხორციელების ფონზე ხელშესახები შედეგების არარსებობის გამო. ყველაზე მაღალ საფასურს კი კონფლიქტის უშუალო მხარეები იხდიან. ეს საფასური სოციალურ-კულტურული ბუნებისაა და უკავშირდება ერთმანეთის მიმართ გაუცხოებას, ერთი მხრივ, ქართულ სამოგადოებასა და, მეორე მხრივ, აფხაზურ და სამხრეთ ოსურ სამოგადოებებს შორის. თუ არ შეჩერდა, ეს პროცესი მომავალში შერიგების ყოველგვარ პერსპექტივას გააქრობს.

რა უნდა შეიცვალოს?

აფხაზურ და სამხრეთოსურ სამოგადოებებთან ურთიერთობების გრძელვადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ აუცილებელია შექმნილი არახელსაყრელი კონტექსტი ისე შეიცვალოს, რომ შესაძლებელი გახდეს დაპირისპირებულ მხარეებს შორის რაიმე სახის კონსტრუქციული პროცესის დაწყება. ამასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შორის სულ უფრო მეტად იკიდებს

ფეხს მოსაგრება საქართველოში კონფლიქტების ტრანსფორმაციის საჭიროების შესახებ. აქვე განვმარტავთ, რომ იგულისხმება კონფლიქტების რეალური ტრანსფორმაცია და არა ტრანსფორმაციაზე ორიენტირებული ამაო ძალისხმევა, რაზეც ნაშრომის დასაწყისში იყო საუბარი. სხვაგვარია ისტებლიშმენტის დამოკიდებულება ხსენებულ საკითხთან. დამკვიდრებული აზრია, რომ ხელისუფლება უკვე დგამს სათანადო ნაბიჯებს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ტრანსფორმაციისთვის. კერძოდ, მიიჩნევენ, რომ ჯანდაცვის რეფერალურ პროგრამას და სამშვიდობო ინიციატივას „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ უკვე მოაქვს შედეგები, მიუხედავად იმისა, რომ, ხელისუფლებისვე განცხადებით, რუსული ოკუპაციის პირობებში ეს არის მაქსიმუმი, რაც ქართულ მხარეს შეუძლია შესთავაზოს მასთან დაპირისპირებულ მხარეებს.¹ ვითარების ასეთი შეფასება ირიბად გულისხმობს, რომ აღნიშნული კონსტრუქციული პროცესი უკვე დაწყებულია.

ქართულ საზოგადოებაში, მათ შორის, საექსპერტო წრეებში, ამგვარი შეგრძნება არ არის. 2008 წელს შეწყვეტილი სამშვიდობო პროცესის ნაცვლად გვაქვს ვითარება, სადაც კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთობები კვლავ ანტაგონისტურია, ძალადობრივი ხასიათისა, ახალ თაობებს შორის გაუცხოება კი გრძელდება და ღრმავდება. ასეთ ფონზე, სამწუხაროდ, ჯერაც არ არსებობს ერთიანი ხედვა იმ საწყისი ნაბიჯების შესახებ, რაც, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების სირთულის მიუხედავად, არსებული კონტექსტის პოზიტიური ცვლილების მეტად რთულ პროცესს ადგილიდან დაძრავდა. ამის შესასწავლად წინა წლებში რამდენიმე კვლევა ჩატარდა,² რომლებმაც აჩვენა ურთიერთობების ტრანსფორმაციის საჭიროება, თუმცა იმდროინდელ კონტექსტში ქმედითი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა ვერ გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ იმხანად, ახლად მომხდარი 2008 წლის მოვლენების ფონზე, საექსპერტო წრეებიც არ იყვნენ მზად ურთიერთობების ტრანსფორმაციის მკაფიო ხედვის ჩამოყალიბებისთვის, არათუ კონკრეტული ნაბიჯების განსაზღვრისთვის. ეს თემა არ იყო მეინსტრიმული დისკურსის ნაწილი. დღეს, როდესაც მეტი საშუალებაა და, შესაბამისად, მზადყოფნა ვითარების გადასაზრებლად, დღის წესრიგში კვლავ დგება ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ტრანსფორმაციის გზების გამოძებნა. ამიტომაც არის, რომ ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით ძალისხმევაც განახლდა. ასე, მაგალითად, ხელისუფლებამ ძლიერი პოლიტიკური ნების გამოვლენით სცადა ქმედითი ნაბიჯი გადაედგა. კერძოდ, შემუშავდა ზემოხსენებული სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რაც პარლამენტსა და სხვადასხვა უწყებას შორის უპრეცედენტო თანამშრომლობის შედეგი იყო. სხვა საკითხია, რომ მხოლოდ ინიციატივა, როგორც ასეთი, საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან მის სრულფასოვნად განსახორციელებლად მთელი რიგი სხვა ნაბიჯებია გადასადგმელი, რაც შიდა და გარე ფაქტორებისგან შემდგარი კონტექსტის შეცვლასთან არის დაკავშირე-

1. სახელმწიფო მინისტრის ქ. ციხელაშვილის სატელევიზიო გამოსვლა, POS TV, 10 ივნისი, 2020 წ.

2. A.Gegeshidze, I.Haindrava, *Prospects for the Transformation of the Georgian-Abkhaz Conflict, Transformation of the Georgian-Abkhaz Conflict: Rethinking the Paradigm*, Conciliation Resources, 2011, გვ.37-40; *Paths to peace? A survey of public attitudes towards potential transformation of the Georgian-Abkhaz conflict*, Georgian findings, Conciliation Resources, 2013.

ბული. ხსენებული ფაქტორები სხვადასხვა ბუნებისაა და თითოეული მათგანი კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე სხვადასხვა მიმართულებით ახდენს გავლენას. წინამდებარე წერილის ფარგლებში შეუძლებელია ყველას ჩამოთვლა, მაგრამ თვალსაჩინოებისთვის რამდენიმე ფაქტორს მოკლედ მიმოვიხილავთ:

1. ქართული საზოგადოება და მმართველი ელიტა ერთგვარად შეგუებულია იმ ფაქტს, რომ კონფლიქტების ყოვლისმომცველი მოგვარება შეუძლებელია და, საუკეთესო შემთხვევაში, შორეული პერსპექტივის საქმეა. შესაბამისად, ყველა შეგუებულია იმას, რომ თუკი რამ საფასური ახლავს კონფლიქტს, ეს საფასური უნდა იყოს გადახდილი. ამავდროულად, ნაკლებადაა გაცნობიერებული, თუ რაოდენ მაღალია ეს საფასური და დროთა განმავლობაში რამდენად სახიფათო ხდება ამ საფასურის გადახდის გაგრძელება. პირველ რიგში, ეს, ერთი მხრივ, ქართულ საზოგადოებასა და, მეორე მხრივ, აფხაზურ/ოსურ საზოგადოებებს შორის მიმდინარე სოციალურ-კულტურულ გაუცხოებას ეხება, რაც სულ უფრო ღრმავდება და შეუქცევად ხასიათს იღებს.
2. კონფლიქტების ტრანსფორმაციას ხელისუფლების მხრიდან სტიმულირება სჭირდება გაბედული და ნოვატორული ნაბიჯების სახით, მათ შორის, ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ არსებული შემზღუდველი პოლიტიკის მოდიფიცირება. ამგვარი ნაბიჯები კი არ გადადგმულა. ხელისუფლების თავშეკავებული პოზიცია, ძირითადად, ორი შემთხვევებით გათვალისწინებულია: ა) ხელისუფლება ვარაუდობს, რომ ამგვარი ნაბიჯების შედეგად შეიძლება „პროცესი ხელიდან გაექცეს“ და დასავლეთმა (მთავრობებმა, ევროკავშირმა და სხვ.) შეარბილოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის (შესაბამისად, არალიარების) პოლიტიკა; ბ) მძაფრი შიდაპოლიტიკური პოლარიზაციის პირობებში, ნებისმიერი „ნოვატორული ნაბიჯი“ შესაძლოა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს „ჩასაფრებულმა ოპოზიციამ“ და არჩევნების წინ მმართველ პარტიას პრობლემები შეუქმნას ლეგიტიმაციის თვალსაზრისით.
3. მმართველი ელიტის დამოკიდებულებასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რა დამოკიდებულება აქვს კონფლიქტის ტრანსფორმაციის საკითხთან ქართულ საზოგადოებას. საზოგადოებაში არსებობს გარკვეული შიში, სტერეოტიპები, მითები, რომლებიც, სავარაუდოდ, ხელის შემშლელი შეიძლება აღმოჩნდეს კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესისთვის. ხსენებული წარმოდგენების საფუძველზე ცალკეული სოციალური ჯგუფები აგრესიასაც კი ავლენენ ოპონენტი საზოგადოების მიმართ, რაც დროდადრო სოციალურ ქსელებშიც ჩანს. როგორც ხდება ხოლმე, ხშირად ეს სხვადასხვა შიში თუ სტერეოტიპი ცრუ ანალიზს ეფუძნება ან ძველად არსებული კონტექსტის გადმონაშთია და დღევანდელ ვითარებაში უკვე უსაფუძვლოა. მიუხედავად ამისა, ეს შიში და სტერეოტიპები არსებობს და ხელს უშლის ქართულ საზოგადოებაში აფხაზებისა და ოსების მიმართ ტოლერანტობის სათანადო განცდის ჩამოყალიბებას.
4. რუსეთის ფაქტორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომელიც კონფლიქტების ტრანსფორმაციის შესაძლებლობაზე ახდენს გავლენას. ბევრი ვარაუდობს, რომ კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთობების აღდგენა რუსეთის ინტერესებში არ შედის და მას ამ საქმეში ნებისმიერ დროს შეუძლია ხელის შეშლა. ამისთვის რუსეთს

უამრავი ბერკეტი აქვს. ამავე დროს, ანალოგიის გზით, პოსტსაბჭოთა სივრცეში მოლ-დოვა/დნესტრისპირეთის მაგალითს თუ გამოვიყენებთ, რუსეთს ხელი არ შეუშლია ურთიერთობების ტრანსფორმაციისთვის, ვინაიდან ამაში ვერ ხედავდა საკუთარი სტრატეგიული ინტერესების შელახვის საფრთხეს. რადგანაც საქართველოში არსებული კონფლიქტების შემთხვევაში უცნობია, როგორი იქნება რუსეთის რეაქცია, ეს ბუნდოვანება კონფლიქტების ტრანსფორმაციის იდეისადმი უფრო სკეპტიციზმს აძლიერებს, ვიდრე ენთუზიზმს.

5. აფხაზურ და სამხრეთოსურ საზოგადოებებს და მმართველ ელიტებს, რუსული ოკუპაციისა და ინტენსიური ანტიქართული პროპაგანდის გავლენით, უჭირთ ქართულ მხარესთან კონფრონტაციის შერბილებამე ფიქრი. მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებამ ვერ მოიტანა რეალური კეთილდღეობა, ამ საზოგადოებებში არ მიმდინარეობს მსჯელობა ქართულ მხარესთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიზანშეწონილობის თაობაზე. ახალი ხელისუფლება (ბჟანიას გუნდი) ერთგვარი გამონაკლისია, რომელიც საჯაროდ ლაპარაკობს ქართულ მხარესთან საჭირობო საკითხებზე დიალოგის აუცილებლობაზე. ამგვარი დიალოგის „შესაძლებლობის ფანჯარა“ ხანმოკლე რომ არ აღმოჩნდეს, საჭიროა ადგილობრივ პოლიტიკურ სპექტრში ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით პოზიციების კონსოლიდაცია. გასათვალისწინებელია რუსეთის ფაქტორიც, რომელიც, სავარაუდოდ, არ იქნება კონსტრუქციული. ასეთ ვითარებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ქართულმა მხარემ ამ მიმართულებით ადეკვატური ნაბიჯები გადადგას და, რაც მთავარია, მესამე მხრიდან პროცესს ჰქონდეს ხელშეწყობა.
6. კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობა პრაქტიკულად გამქრალია და ამიტომ ურთიერთობების აღსადგენად რაიმე სახის პოზიტიური პროცესის დაწყებას მესამე მხარის ხელშეწყობა სჭირდება. ამგვარი ფასილიტატორის როლის შესრულება დღეს საერთაშორისო ორგანიზაციების ისეთ კონსორციუმს შეუძლია, როგორიცაა ევროკავშირის, გაეროსა და ეუთო-ს ერთობა. მათი კოლექტიური ავტორიტეტი და დიპლომატიური რესურსები აუცილებელი პირობაა საქართველოში არსებული კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყებად და წარმატებით განსახორციელებლად, მათ შორის, რუსეთის მხრიდან შესაძლო ობსტრუქციის შესაკავებლადაც. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მათი მხრიდან, ტრანსფორმაციის მიმართულებით, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ერთიანი პოზიციის შემუშავების ხელშეწყობას და ამით მმართველი პარტიის ზემოხსენებული ერთ-ერთი შემადგერხებული გარემოების განეიტრალებას. ჯერჯერობით ამგვარი პროაქტიური როლის შესრულების მზადყოფნა საერთაშორისო ორგანიზაციებში არ ჩანს.

პანდემია და კონფლიქტების ტრანსფორმაციის პერსპექტივა

COVID-19-ის პანდემიის გამოცხადებასთან ერთად გაჩნდა მოლოდინი, რომ საერთო განსაცდელთან გამკლავების მიზნით კონფლიქტის მხარეებს შორის თანამშრომლობა თუ ურთიერთდახმარება აუცილებელად მოხდებოდა და, შედეგად, კონფრონტაციის მუხტი

შემცირდებოდა. მეტიც, ბევრი ვარაუდობდა, რომ „ზოგი ჭირი მარგებელიას“ პრინციპით საფუძველი ჩაეყრებოდა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების დათბობას. ეს მოლოდინი გამართლდა, მაგრამ ნაწილობრივ. საქართველოს მთავრობამ, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ჰუმანიტარული ტვირთის რამდენიმე პარტია შეიტანა აფხაზეთში. მსგავსი აქციები განხორციელდა საქართველოს ცალკეული პოლიტიკური პარტიების ეგიდითაც. ასევე გაიმართა ქართველი და აფხაზი ეპიდემიოლოგების ონლაინ-კონსულტაციები. სამწუხაროდ, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ ანალოგიურ შეთავაზებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. თუმცა აღსანიშნავია, რომ მარტის თვიდან მოყოლებული მიმდინარეობდა ორივე ოკუპირებულ რეგიონთან ეპიდემიოლოგიური ვითარების შესახებ ინფორმაციის გაცვლა. მიუხედავად ამისა, ამ ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ე.წ. საზღვრები ორივე ოკუპირებულ ტერიტორიასთან ჩაკეტილი იყო. კვლავ არ ფუნქციონირებდა ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი (IPRM). მუშაობდა მხოლოდ „ცხელი ხაზი“, თუმცა შეინიშნებოდა ამ სტატუს-ნეიტრალური მექანიზმის პოლიტიზების მცდელობები დე ფაქტო ხელისუფლებების მხრიდან.³

სხვა რაიმე ხელშესახებ ტენდენციამ საუბარი ნაადრევია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დასკვნების გამოსატანად საკმარისი დრო არ გასულა. მეორე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჯერჯერობით შენარჩუნდა იმგვარი ეპიდემიოლოგიური ვითარება, რომ არ დამდგარა თბილისის მხრიდან სასიცოცხლო მნიშვნელობის მასშტაბური დახმარების განევის საჭიროება. არადა, ამგვარი დახმარება, სავარაუდოდ, აფხაზეთში ქართული მხარის მიმართ მაღლიერების განცდას გააჩენდა. მესამე, საქართველოში მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ ოფიციალური თბილისი თავს იკავებს აქტიური კავშირებისგან დე ფაქტო ადმინისტრაციებთან და მხოლოდ საჯარო განცხადებებით შემოიფარგლება. შესაბამისად, აფხაზური მხარისგან მომდინარე დიალოგის ინიციატივაზე პრაქტიკული შემხვედრი ნაბიჯები ჯერ არ ჩანს. თუმცა, ზოგადი განწყობა პოზიტიურია და უნდა ვივარაუდოთ, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, თუნდაც არასაჯარო არხებით, ამგვარი დიალოგი გაიმართება. თუკი დიალოგი სისტემატურ ხასიათს მიიღებს და კონსტრუქციულ ფორმატად ჩამოყალიბდება, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ პანდემიამ, პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც, ხელი შეუწყო კონფლიქტური ურთიერთობების ტრანსფორმაციის პროცესის დაწყებას.

არჩილ გეგეშიძე არის ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი. იგი იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში, საქართველოს პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, სახელმწიფოს მეთაურის თანაშემწე ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებში.

3. საქართველოს უშიშროების სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის (ირაკლი ანთაძე) საექსპერტო წრეებთან ონლაინ-შეხვედრაზე გაკეთებული განცხადება (14.07.2020).

საქართველო გაყოფილი ხაზებისა და პანდემიის პირობებში

ქეთევან ციხელაშვილი

*ღრმად მწამს, რომ საქართველოს
შუაგულში აღმართული მავთულხლართები
არამდგრადია და დაიშლება*

პანდემიით გამოწვეული კრიზისი ყველას და ყველაფერს შეეხო. თუმცა იქ, სადაც გლობალურ გამოწვევას ხელოვნურად შექმნილი პრობლემები ემატება, ყოველდღიურობის ტვირთი ორმაგად მძიმეა.

2020 წლის გაზაფხულზე, პანდემიის კრიტიკულ ფაზაში, მაშინ, როცა ყველა ძალისხმევა საშიში ვირუსისგან თავდაცვაზე იყო მიმართული, შიდა ქართლის სოფელ ტახტისძირში საკუთარ სამეურნეო მიწებზე წვდომადაკარგული 11 მოსახლისათვის ალტერნატიული სარჩო-საბადებლის მოძიებით ვიყავით დაკავებული და სწორედ ამ მძიმე პერიოდში რუსეთის საოკუპაციო ძალებმა 14 სოფელში ახალი ბარიკადები აღმართეს და კიდევ უფრო მეტი ადამიანი დააბარალეს.

დღეს 100 კილომეტრამდე მავთულხლართით და ღობეებით გაყოფილ სოფლებში 50 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს. რამდენიმე მეტრის დაშორებით მცხოვრები მეზობლები და ნათესავები წლებია ერთმანეთს ხელს ვერ ართმევენ, სალოცავებსა და სასაფლაოებზე ვერ გადადიან, საკუთარ სამეურნეო ნაკვეთებს ვერ ამუშავებენ. ვინც ნებსით თუ უნებლიეთ დაბრკოლებების გადალახვას შეეცდება, უკანონოდ აკავებენ. რუსული სასაზღვრო ძალების მონაცემებით, 2017 წელს ოკუპირებული ტერიტორიებიდან სამჯერ მეტი, 2018 წელს ხუთჯერ მეტი, ხოლო 2019 წელს ექვსჯერ მეტი ადამიანი დააკავეს დანარჩენ საქართველოში გადმოსვლის მცდელობისას, ვიდრე პირიქით. ამ მახინჯი პრაქტიკით განსაკუთრებით სწორედ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა ზარალდება. რუსულ ოკუპაციას ასეთი მძიმე, აბსურდული და გროტესკული სახე აქვს, არალეგიტიმური და არაპუმანური.

მაღალია კონფლიქტის ადამიანური ფასი. მაშინ, როცა საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტზე მეტი ოკუპირებულია, მოსახლეობის 15 პროცენტი, მათ შორის, დევნილები,

მავთულხლართების პირისპირ თუ ამ მავთულხლართების მიღმა მცხოვრები ადამიანები, ყოველდღიურად განიცდიან მიმდინარე რუსული ოკუპაციის და გადაუჭრელი კონფლიქტის მძიმე წნეხს.

ვითარება არც „გაყინულია“ და არც სტატიკური, როგორც ხანდახან მოიხსენიებენ საერთაშორისო დისკურსში. პროცესები საკმაოდ დინამიკურია, დინამიკა კი – არასახარბიელო. რეგულარულია სხვადასხვა პროვოკაციული ქმედებები, იყო ყველაზე მძიმეც – ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, როგორც ეს ოთხი ახალგაზრდის – დავით ბაშარულის, გიგა ოთხოზორიას, არჩილ ტატუნაშვილის და ირაკლი კვარაცხელიას შემთხვევებში მოხდა. დამნაშავეთა დაუსჯელობა ახალ დანაშაულს უწყობს ხელს. 2020 წლის აგვისტოში ცხინვალის იზოლატორში, ამჯერად ეთნიკურად ოსი ახალგაზრდა ინალ ჯაბიევი, სავარაუდოდ, ცემით და წამებით მოკლეს, რამაც ადგილობრივი მოსახლეობა ქუჩის საპროტესტო აქციებზე გამოიყვანა და ბევრს გაახსენა სასტიკად ნანამები არჩილ ტატუნაშვილი. გასაპროტესტებელი კი ისედაც ბევრი დაუგროვდათ უმძიმეს ყოფაში, რაც COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის ფონზე კიდევ უფრო გამოიკვეთა.

მავთულხლართებით სრულად იზოლირებულ ცხინვალის რეგიონში, საკვები პროდუქტისა და მედიკამენტების დეფიციტის პირობებში, ადგილობრივ სააფთიაქო მაღაზიებში არაერთი „რეიდი“ მოეწყო დიდი ძალისხმევით შეტანილი პირველადი სამედიცინო პრეპარატების კონფისკაციის მიზნით, მათზე ქართული წარწერების გამო. არც პანდემიის და არც მკაცრი ზამთრის პერიოდში, როცა გარესამყაროსთან ერთადერთი ალტერნატიული დამაკავშირებელი როლის გვირავი ხელოვნური თუ ბუნებრივი მიზეზებით ჩაიკეტა და რეგიონის მომარაგება სრულიად შეწყდა, ე.წ. გადასასვლელი პუნქტები არ გახსნილა. ადგილზე ჰუმანიტარული კრიზისია. მოსახლეობა კი ფაქტობრივად არის რეჟიმის მძევალი, რაც განსაკუთრებით მძიმედ ახალგორში მცხოვრებ ქართველებზე აისახება, რომელთაც, აფხაზეთში გალის მოსახლეობის მსგავსად, შეზღუდული აქვთ არაერთი ფუნდამენტური უფლება და თავისუფლება. ტრაგიკულია, რომ ერთი წლის განმავლობაში 15 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა საოკუპაციო რეჟიმის უარს და დანაშაულებრივ სიჯიუტეს, რამაც არ მისცა კრიტიკული სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე ამ პირებს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დროულად გადასვლის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში, ისევე, როგორც პანდემიის პირობებში, საქართველოს სახელმწიფოს არც ერთი დღით არ შეუწყვეტია უფასო სამედიცინო მომსახურების გაწევა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებლებისათვის. მათი რიცხვი, ვინც საოკუპაციო რეჟიმის მიერ დანესებული შეზღუდვების მიუხედავად, მაინც ახერხებს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლას, COVID-19-ის ფონზე უკვე რამდენიმე ასეულს შეადგენს ორივე რეგიონიდან, ხოლო წლების განმავლობაში ათასობითაა.

ცალკე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აფხაზეთის მიმართულებით, პანდემიის საწყის ეტაპზევე არაერთი არაფორმალური არხის გამოყენებით შედგა თანამშრომლობა, შესაბამისი ინფორმაციის, გამოცდილების, სამედიცინო პრეპარატებისა და აღჭურვილობის გაზიარება, რაც განსაკუთრებული ჩაკეტილობის გამო ცხინვალის რეგიონის მიმართულებით დიდწილად იზღუდება.



კოტე ზალდასტანიშვილი - საოკუპაციო ხაზთან, ხურვალეთი, 2015, © საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. **Kote Zaldastanishvili - At the occupation line, Khurvaleti, 2015, ©Ministry of Foreign Affairs of Georgia.**

კრიზისმა მეტად გამოიტანა სააშკარაოზე ის, რომ ხელოვნური ბარიკადების მიღმა, წლიდან წლამდე მძაფრდება რუსიფიკაციის ღია საფრთხის აღქმა ადგილობრივ მოსახლეობაში.

საქართველოს რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის „აღიარება“ რუსეთზე სრული დამოკიდებულების „გამოცხადებული ქრონიკის“ ათვლის წერტილად იქცა. რეგიონებში შეზღუდულია საერთაშორისო წვდომა. ტერიტორიები მზარდად იზოლირებული და გასამხედროებული ხდება. ოკუპირებულ რეგიონებში მძიმდება ვითარება და თანდათან მცირდება მოსახლეობა – ცხინვალის რეგიონი 80 პროცენტით და აფხაზეთი კი თითქმის 70 პროცენტით დაცლილია კონფლიქტამდე მცხოვრები მოსახლეობისგან. უმეტესობა დევნილია საკუთარი სახლიდან, ბევრი კი იძულებული გახდა დაეტოვებინა ადგილსამყოფელი მძიმე ჰუმანიტარული ვითარებისა და განვითარების პერსპექტივის არქონის გამო. ერთადერთი მზარდი სეგმენტი რუსული სამხედრო კონტინგენტია, რომელიც დღეს კარგად შეიარაღებულ

10 ათასზე მეტ სამხედრო მოსამსახურეს, მასშტაბურ სამხედრო ბაზებს, წელიწადში 130-ზე მეტ სხვადასხვა მნიშვნელოვან სამხედრო წვრთნასა და მანევრს მოიცავს, რომელთა შესაძლებლობების რადიუსი და, შესაბამისად, უსაფრთხოების რისკები, მნიშვნელოვნად სცდება ერთი საზოგადოების, ერთი ქვეყნის მასშტაბებს და ევროპული უსაფრთხოების გამოწვევას წარმოადგენს.

ამ პირობებში, განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონი, დღეისათვის იქ მცხოვრები 20 ათასი ადამიანით, გასამხედროებულ გეტოს დაემსგავსა, რომლის ყოველდღიურობის ნაწილია საბჭოთა თარიღების აღნიშვნა საბჭოთა ლიდერების უზარმაზარ პლაკატებთან დაყენებული პიონერთა ფორმებში გამოწყობილი სკოლის მოსწავლეებით. XXI საუკუნის ამ ბავშვებს საბჭოთა სიმბოლიკითა და იდეოლოგიით გაჯერებული სიურრეალისტური რიტუალებით დაშლილ წარსულში აბრუნებენ და გაურკვეველ მომავალს უსახავენ. ამავე ადგილიდან, პანდემიის პირობებში, თითქმის ყოველდღიურად ისმოდა პროპაგანდისტური ნარატივები საქართველოს ჯანდაცვის სისტემის წინააღმდეგ და მათ შორის ყველაზე ხშირად – 2013 წლიდან მოქმედი ლუგარის ლაბორატორიის მიმართ. „ბრალდებები“ აბსურდული და ფანტასმაგორიულია, მათ შორის, COVID-19-თან დაკავშირებით. ჰიბრიდული ომის ეს მეთოდები კი სხვა, უფრო მასშტაბურ მიზნებს ემსახურება და არაფერი აქვს საერთო ადგილზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებთან.

დღეს აშკარაა, რომ დაყოფისა და დაშორიშორების ეს უხეში სტრატეგია, რომელსაც რუსეთი, საქართველოს გარდა, უფრო ფართო სამეზობლოშიც იყენებს ექსკლუზიური ზეგავლენის მოპოვების მცდელობისას, პირდაპირ ადამიანების წინააღმდეგ მოქმედებს. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ არსებული ვითარება არც ქართველების, არც ოსების და არც აფხაზების ინტერესებში არ შედის. ის ყველას გვაზარალებს.

მეტიც, შეიძლებოდა ცალკე ნარკვევის მომზადება იმაზეც, თუ რატომ არ შედის ეს რუსეთის გრძელვადიან ინტერესებში, რატომ იქნებოდა მისთვის კეთილმეზობლური და სტაბილური საქართველო და, ზოგადად, სამეზობლო უფრო ხელსაყრელი. ასევე, რატომ არის მისი ტანკებითა და ჯარისკაცებით ზურგამაგრებული მავთულხლართების სტრატეგია წარუმატებლობისათვის განწირული. ასეთი ხელოვნური კედლები, რომელიც ზღუდავს ადამიანის უფლებებს და ბუნებრივ მისწრაფებებს უკეთესი მომავლისაკენ, არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმების, არამედ ბუნების კანონების წინააღმდეგ არის მიმართული. ამიტომ ისინი არაერთხელ დარღვეულა ისტორიის მანძილზე. ღრმად მწამს, რომ საქართველოს შუაგულში აღმართული მავთულხლართები არამდგრადია და დაიშლება. თუმცა, დრო კრიტიკულია და ის არსებული სტატუს-კვოს პირობებში ადგილობრივი საზოგადოებების საკეთილდღეოდ არ მოქმედებს. ამრიგად, აუცილებელია ერთმანეთისაკენ გადაიდგას ნაბიჯები დიალოგის, საერთო ინტერესების გარშემო თანამშრომლობისა და ნდობის განმტკიცებისაკენ, სრულიად პრაგმატული ინტერესების და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჭიროებების გათვალისწინებით. ეს ერთადერთი სწორი სვლაა მომავალში. და, შესაძლოა, პანდემიის ფონზე ამის საჭიროება კიდევ უფრო კარგად აღიქვან და გააცნობიერონ გამყოფი ხაზების პირობითად მეორე მხარეს.

საქართველომ ბოლო პერიოდში გადადგა უპრეცედენტო ნაბიჯები სამშვიდობო პოლიტიკის ფარგლებში. „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ქართული მხარის ორი წლის წინ წარმოდგენილი მასშტაბური, ინოვაციური, თამამი და ქმედითი ინიციატივაა, რომელსაც პარლამენტმა გაუმყარა ზურგი ცხრა სხვადასხვა კანონში ერთხმად მიღებული ცვლილებებით. ინიციატივამ სოლიდური და ერთსულოვანი მხარდაჭერა მოიპოვა, როგორც შიდა წრეებში, ისე საერთაშორისო თანამეგობრობაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის მაღალი ინტერესი, რომელიც აფხაზური და ოსური საზოგადოებების მხრიდან გამოიკვეთა.

ინიციატივა სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს და აერთიანებს არაერთ ახალ, ქმედით, მათ შორის, ახალ სტატუს-ნეიტრალურ მექანიზმებს იმისთვის, რომ ჰუმანიტარული და მოქნილი მიდგომებით გადაიჭრას კონკრეტული საკითხები და შეიქმნას კონსტრუქციული სივრცე ხალხთაშორის დიალოგის, ნდობის მშენებლობისა და შერიგებისათვის.

პირველი მიმართულება გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისებას გულისხმობს, ახალი შესაძლებლობების შექმნის გზით. ვაჭრობა და საერთო ეკონომიკური ინტერესი არის მშვიდობის ერთ-ერთი ყველაზე მყარი წინაპირობა, გარდა იმისა, რომ ემსახურება ადამიანების კეთილდღეობის ზრდას და მათთვის ცხოვრების ღირსეული გარემოს შექმნას.

მეორე ასეთი მიმართულებაა ახალი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ხარისხიანი განათლების მისაღებად, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. განათლებაში ინვესტიცია მომავალზე გათვლილი ყველაზე გამართლებული ხერხია და ხელოვნური ბარიკადებით გამოწვეული ერთგვარი „გაუცხოების“ დაძლევის საშუალება.

მესამე მიმართულება იმ სიკეთეებსა და სარგებელებზე ხელმისაწვდომობის გამართლებას, რაც ქვეყნის განვითარების პროცესში და პარტნიორებთან წარმატებული თანამშრომლობის შედეგად იქმნება, მათ შორის, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმსა და უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობებზე.

ინიციატივას აქვს მეოთხე, უმნიშვნელოვანესი მიმართულება და ე.წ. დაუნერეელი თავი – ეს არის შეთავაზება და, ასევე, კონკრეტული საგზაო რუკაც დიალოგის და ურთიერთმოშ-გებიანი თანამშრომლობის წარმართვის თაობაზე აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან.

ბევრისთვის უცნობია, თუ რა მოცულობის სამუშაო ჩატარდა მისი შემუშავებისას, მის გასაჯაროებამდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამას წინ უძღოდა არაერთი შეხვედრა და კონსულტაცია, მათ შორის, აფხაზური, ასევე ოსური საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელთან, დაინტერესებულ ჯგუფებთან. შედეგად, ინიციატივაში ასახული წინადადებები ეხმიანება მათ საჭიროებებს და მნიშვნელოვნად შეესაბამება მათ მოლოდინს.

პირველივე მცირე საგრანტო პროგრამის ამოქმედებისას გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისებისათვის გაკეთებული განაცხადების რიცხვი თითქმის ოცჯერ აღემატებოდა საპილოტედ გამოყოფილ რესურსს. ამ ინტერესის საპასუხოდ, ეკონომიკის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება პროგრამის გაგრძელებისა და ასევე ახალი სამშვიდობო ფონდის დაარსების თაობაზე, რომელსაც უკვე აქვს მნიშვნელოვანი საერთაშორისო მხარდაჭერა.



კოტე ზალდასტანიშვილი - ავსტრიის პრეზიდენტ ჰაინც ფიშერისათვის რწმუნებათა სიგელების გადაცემის ცერემონიალი, ვენა, 2013, © ავსტრიის პრეზიდენტის ადმინისტრაცია. **Kote Zaldastanishvili - Ceremony of Presentation of Credentials to the Austrian President Heinz Fischer, Vienna, 2013, ©Administration of the President of Austria**

ინიციატივის ერთ-ერთი საგანმანათლებლო მექანიზმის ამოქმედებისთანავე ოკუპირებული რეგიონებიდან სტუდენტების რიცხვი, წინა წლებთან შედარებით, ორნახევარჯერ გაიზარდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორი კი არის ის გახშირებული ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონტაქტები, რომელთა ინიციატორიც პრაქტიკულად უკვე სხვადასხვა პირი და ინტერესთა ჯგუფია. წარმოდგენილი კონკრეტული პროექტები კი ღიადაა და აშკარად დიალოგის და თანამშრომლობის სულისკვეთებას ეფუძნება.

უკანასკნელი რვა წელია მაქვს სამშვიდობო პროცესის დინამიკაზე უშუალოდ დაკვირვების საშუალება. ამიტომ თამამად და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია აღვნიშნო, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში უპრეცედენტოდ მაღალია სხვადასხვა დონეზე ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონტაქტებისა და შეხვედრების რიცხვი, მით უფრო, 2008 წლის შემდგომ პერიოდში, რომელიც ახალ საუბედურო წყალგამყოფად იქცა კონფლიქტის მოგვარების ისედაც რთულ ციკლში.

პირადად მე და ჩემმა თანაგუნდელებმა ორმოცზე მეტი დახურული შეხვედრა გავმართეთ აფხაზური და ოსური საზოგადოების წარმომადგენლებთან, ხშირად სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქებში, თითქმის გასაიდუმლოებულ ფორმატში, რაც, ცხადია, არა ქართული მხარის ინტერესის, არამედ ზემოთ აღწერილი ვითარების სამსუხარო გამოძახილია, ჯერჯერობით მაინც. თუმცა, ეს შინაარსობრივად და თვისებრივად მნიშვნელოვანი სიახლე და შესაძლებლობების ახალი ფანჯარაა, სადაც დრო ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ვფიქრობ, ეს საყურადღებო და პოზიტიური ინდიკატორია, რაც, მიუხედავად მზარდი დაბრკოლებებისა, საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის და არჩეული სტრატეგიის სისწორეზე მიანიშნებს.

ამ ძალისხმევას რამდენიმე ძირითადი პრიორიტეტი და ორი მთავარი მიმართულება აქვს: ეს არის დეოკუპაცია – რუსეთთან მიმართებაში და შერიგება – აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან მიმართებაში. ამ სტრატეგიის ქვაკუთხედია მშვიდობა, როგორც მიზანიც და საშუალებაც.

ქართული სახელმწიფოს და საზოგადოების წარმატებაა ის, რომ, რეგულარული პროვოკაციების მიუხედავად და საკმაოდ რთულ გეოპოლიტიკურ კონტექსტში, საქართველო ინარჩუნებს მშვიდობას, რაც, ცხადია, პირობითია მიმდინარე ოკუპაციის ფონზე და დიდწილად კონფლიქტის ესკალაციის თავიდან არიდებას ნიშნავს. მაგრამ ეს არის არა მოცემულობა, არამედ ყოველდღიური და კომპლექსური სამუშაო, თუმცა – ეგზისტენციალური.

ქვეყანა წლების განმავლობაში თანმიმდევრული, კონსტრუქციული, პრაგმატული პოლიტიკით ადასტურებს, რომ მშვიდობაზე ორიენტირებული სანდო უსაფრთხოების პარტნიორია და დაინტერესებულია სტაბილურობითა და ურთიერთობების ნორმალიზებით. ცხადია, ამის საძირკველს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა წარმოადგენს.

ქართული სახელმწიფოს და საზოგადოების წარმატებაა ასევე ის, რომ ურყევად ინარჩუნებს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსს და, მიუხედავად არაერთი დარტყმისა, არც ამ კურსიდან ამოვარდნილა. თითქმის 80-პროცენტიანი საზოგადოებრივი მხარდაჭერა იმის გამოხატულებაა, რომ ეს არ არის მხოლოდ თავისუფალი არჩევანი. ეს ერთადერთი არჩევანია თავისუფლებისათვის. ქვეყნისთვის წარმატება ამ გზაზე და ევროპული მოდელის სახელმწიფოს კონსოლიდაცია ასევე ეგზისტენციალურია. თავის მხრივ, ეს კონფლიქტის მოგვარების გზაზე წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაცაა, რამდენადაც პროგრესი წარმოადგენს ალტერნატივას და გზავნილს მომავალში საოკუპაციო ხაზს მიღმა დღეს იზოლაციაში მცხოვრები მოსახლეობისათვის.

ქართული დიპლომატიის წარმატება და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის გამოხატულებაა მდგრადი არალიარების პოლიტიკა. ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები, მიუხედავად რთული პერიპეტიებისა, რჩება ერთადერთ და მნიშვნელოვან პლატფორმად, სადაც, საერთაშორისო თანამეგობრობის ხელშეწყობით, მსჯელობა მიმდინარეობს რუსეთის, როგორც კონფლიქტის მხარის მიერ აღებული ვალდებულებებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესრულების აუცილებლობაზე.

არალიარების ჩარჩოს პირობებში მნიშვნელოვანია სვლა კონფლიქტის მშვიდობიანი და სრულმასშტაბიანი მოგვარებისაკენ, რადგან არსებული სტატუს-კვო ვერ უზრუნველყოფს მდგრად მშვიდობასა და სტაბილურობას. ეს არ არის მხოლოდ საქართველოს ამოცანა. ევროპარლამენტი აგვისტოს ომის შედეგებისადმი მიძღვნილ საეტაპო რეზოლუციაში (2018) აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიების განგრძობითი ოკუპაცია პოტენციურ საფრთხედ რჩება სხვა ევროპული ქვეყნების სუვერენიტეტისთვის და ამასთან, რაც განსაკუთრებით ხაზგასასმელია, საქართველოში კონფლიქტების მოგვარება მნიშვნელოვანია მთლიან ევროპულ კონტინენტზე უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გასაძლიერებლად.

კონფლიქტის მთლიანად მოგვარება გრძელვადიანი ამოცანა და რთული პროცესია, მისი შედეგები კი მძიმედ აისახება ათასობით ადამიანის ყოველდღიურობაზე. თუმცა სამშვიდობო პოლიტიკას აქვს პრაგმატული და ადამიანზე ორიენტირებული ხასიათი. დევნილები, გამყოფი ხაზის პირას მცხოვრები ადამიანები და, განსაკუთრებით, ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებლები ამგვარ მხარდაჭერას იღებენ, მათ შორის, ჩართულობის სტრატეგიის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკას პროაქტიული ხასიათი აქვს. მუდმივი პროვოკაციების რეჟიმში სამშვიდობო ძალისხმევის დიდი რესურსი ინციდენტებზე რეაგირებაზე, პროვოკაციების განეიტრალებასა და ცეცხლის ჩაქრობის ამოცანებზეა მიმართული. ეს რუსეთის კარგად გამიზნული პოლიტიკის ნაწილია. მნიშვნელოვანია, რომ შერიგებისა და ნდობის განმტკიცების მიმართულებით პროაქტიულად გადაიდგას ნაბიჯები, რაც პროცესს დინამიკას შემატებს და შერიგების იმ პოტენციალს გამოიყენებს, რომელიც გამყოფი ხაზების ორივე მხარეს არსებობს და კარგად გამოიკვეთა ახალი სამშვიდობო ინიციატივების ამოქმედების ფონზე. მავთულხლართები სწორედ ამ პოტენციალის შემაკავებელი ხელოვნური ფაქტორია. შესაბამისად, მავთულხლართებს აქვს „ანტიდოტი“ – ეს ხალხთაშორის კონტაქტების გაორმაგებული და გასამმაგებული ძალისხმევით ხელშეწყობაა.

კონტექსტი რთულია, მაგრამ ამოცანის მიღწევა სავსებით შესაძლებელია. მიუხედავად ბევრი ხილული და უხილავი დაბრკოლებისა, რაც დღეს ქართულ და აფხაზურ, ქართულ და ოსურ საზოგადოებებს აშორიშორებს, მაგალითად, კონფლიქტის ტკივილიანი გამოცდილება, მაგრამ მათ ბევრი რამ აერთიანებს კიდევ. ეს არა მხოლოდ წარსულში თანაცხოვრების ხანგრძლივი ისტორია, ტრადიციების ერთობლიობა, კულტურული სიახლოვე ან შერეული ოჯახებია, არამედ ამჟამინდელი სწრაფვა მშვიდობისაკენ, განვითარებისა და უკეთესი მომავლისაკენ.

***ქეთევან ციხელაშვილი** არის საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიაში, მუდმივი წარმომადგენელი ეუთო-სა და ვენაში მდებარე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. იგი იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.*

კონფლიქტების პრევენცია მრავალფეროვანი საზოგადოების ინტეგრაციის ხელშეწყობის გზით

ლამბერტო მანიერი

მრავალფეროვან საზოგადოებებში დროთა სვლას არ შეუმცირებია კონფლიქტის პოტენციალი

უმცირესობების საკითხების აქტუალობა კონფლიქტის პრევენციისთვის

ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის (HCNM) თანამდებობა, რომელსაც 2017-2020 წლებში ვიკავებდი, 1990-იანი წლების დასაწყისის გეოპოლიტიკური ლანდშაფტის შედეგად შეიქმნა. საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლამ ახალი საზღვრების გაჩენა და კონფლიქტების გაღვივება გამოიწვია. ახლადშექმნილი სახელმწიფოები ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას ან ძველის აღდგენას ცდილობდნენ. მათი გეოპოლიტიკური ინტერესები და მზარდი ნაციონალიზმი კი განსაზღვრავდა საკითხებს, რომელთა წინაშეც ისინი აღმოჩნდნენ შეცვლილ გეოპოლიტიკურ ვითარებასა და საზღვრებში მოქცეულნი. ამ ქვეყნების მოსახლეობისთვის გამომწვევად იქცა მრავალფეროვანი საზოგადოების მართვა, გართულდა ბალანსის პოვნა მოქალაქეთა უფლებების – მათ შორის, ეროვნული უმცირესობების უფლებების – დაცვასა და ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებისთვის ეთნოცენტრისტული ნარატივის გამოყენებას შორის. დაირღვა სტაბილურობა, საზოგადოება გაიხლიჩა და გაჩნდა კონფლიქტები, რომელთა ნაწილიც დღემდე მოუგვარებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალფეროვან საზოგადოებებში დროთა სვლას არ შეუმცირებია კონფლიქტის პოტენციალი; სამაგიეროდ, შეიცვალა კონფლიქტის ბუნება, მას განუვითარდა ჰიბრიდული ხასიათი, რაზეც გავლენას ახდენს ფაქტორების, აქტორებისა და ინტერესების სიმრავლე. ამდენად, აუცილებელი გახდა ახალი საშუალებების პოვნა და დანერგვა თანამედროვე კრიზისებსა და კონფლიქტებზე ეფექტურად საპასუხოდ.

რეგიონულ და გლობალურ მოთამაშეებს შორის დაპირისპირება ეუთო-ს მთელ რეგიონში გვხვდება. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია აღინიშნოს „მონათესავე სახელმწიფოების“

როლი მათთან აფილირებული უმცირესობების დაცვის საქმეში, რომლებიც ცხოვრობენ სხვა, ხშირად - მეზობელ სახელმწიფოებში. ისინი ცდილობენ, გავლენა მოახდინონ უმცირესობების მიმართ გატარებულ პოლიტიკაზე, განსაკუთრებით, ენის, განათლების, ისტორიის მიმართ დამოკიდებულებისა და მოქალაქეობის კუთხით.

ნაციონალიზმის ზრდა, ქსენოფობია და უმცირესობების გარიყვა წარმოადგენს ფაქტორებს, რომელთა გაძლიერებაც ეუთო-ს რეგიონში ართულებს მრავალფეროვანი საზოგადოებების განვითარებას. მოსახლეობის გადაადგილებამ, მათ შორის, იმიგრაციამაც, ერთი მხრივ, ბევრგან გაზარდა საზოგადოების მრავალფეროვნების ხარისხი, თუმცა, მეორე მხრივ, გააძლიერა შიში და დისკრიმინაციის საფრთხე. სულ ახლახან COVID-19-მა, უსაფრთხოების რისკების მატებასთან ერთად, გამოააშკარავა და ზოგიერთ შემთხვევაში გააღრმავა კიდევ მრავალფეროვანი საზოგადოებების სტრუქტურული დისბალანსი.

ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის როლი ეთნიკური კონფლიქტების პრევენციის საქმეში

ბევრ ადგილას ეხება გეოპოლიტიკურ ლანდშაფტს, რომლის ფარგლებშიც სამი წლის განმავლობაში ვმუშაობდი, როგორც ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისარი. ეს მისია ახლახან დავასრულე.

ეუთო-ს უმაღლეს კომისარს ორმაგი მანდატი აქვს: უპირველეს ყოვლისა, მან ადრეულ ეტაპზე უნდა აღმოაჩინოს საწყისი ნიშნები მოახლოებული კონფლიქტისა, რომელიც ეროვნული უმცირესობების ირგვლივ ვითარდება და მეორე, მან უნდა უზრუნველყოს „დროული ზომების“ მიღება ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, რომლებიც წარმოადგენს კონფლიქტის პოტენციურ წყაროს. ეუთო-ს აქვს შესაძლებლობა დაეხმაროს თავის წევრ სახელმწიფოებს მრავალფეროვანი საზოგადოების ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. სწორედ ინტეგრაცია არის კონფლიქტის პრევენციის საკვანძო საკითხი.

სახელმწიფოების მხარდამჭერი პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტებია რეკომენდაციები და სახელმძღვანელოები, რომლებიც ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში შეიმუშავეს წინა უმაღლესმა კომისრებმა სხვადასხვა სექტორული მიმართულებით. ეფუძნება რა საერთაშორისო სამართლისა და ნორმების სულისკვეთებას, მათი მიზანია ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების „საუკეთესო პრაქტიკების“ გაზიარება, რომლებიც ემყარება ყველა წინა უმაღლესი კომისრის უშუალო სამუშაო გამოცდილებას შესაბამისი მიმართულებით. მართალია, ეს დოკუმენტები არ ეყრდნობა წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმებულ, კონსენსუსით მიღებულ პრინციპებს, მაგრამ ინსტიტუტის მიმართ საყოველთაო პატივისცემა, დაფუძნებული უმაღლესი კომისრის პერსონალურ ანგარიშვალდებულებაზე, და თანამშრომლობა შესაბამისი სფეროს აღიარებულ ექსპერტებთან და პარტნიორებთან, ამ რეკომენდაციებსა და სახელმძღვანელოებს სძენს ავტორიტეტსა და უნარს, გავლენა იქონიონ პოლიტიკაზე. მე ვფიქრობ, ამგვარი ტექნიკური და თემატური მიდგომა ეფექტური



კოტე ზალდასტანიშვილი, ლამბერტო ზანიერი - საქართველოს მთავრობასა და ეუთო-ს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმზე ხელმოწერის ოფიციალური ცერემონიალი. ვენა, 2014, © ეუთო. **Kote Zaldastanishvili, Lamberto Zannier - Signing the Memorandum of Understanding between Georgia and OSCE, Vienna, 2014, © OSCE.**

გზაა სენსიტიურ საკითხებზე პოლიტიზირების გარეშე საპასუხოდ, რაც ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ნდობის მოპოვებისა და შენარჩუნების საქმეში და, ამავე დროს, წარმოადგენს HCNM-ის მანდატის ქვაკუთხედს.

თემატური რეკომენდაციები და სახელმძღვანელოები მოიცავს საკითხების ფართო სპექტრს, დაწყებული ინტეგრაციის ყოვლისმომცველი პროცესის ხელშეწყობისთვის საჭირო პოლიტიკითა და იმ გამოწვევებით, რომლებიც ეროვნული უმცირესობების საკითხებისადმი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების პერსპექტივიდან მიდგომას ახლავს, გაგრძელებული თემებით, რომლებიც ისეთ სპეციფიკურ მიმართულებებს ეხება, როგორიცაა განათლება, ენა, ჩართულობა, მედია, მრავალეთნიკური საზოგადოების მოწყობა თუ ხელმისაწვდომობა სამართალზე.

უმაღლეს კომისრად მუშაობის პერიოდში მე და ჩემი გუნდი ხშირად ვაწვდიდით თემატურ რეკომენდაციებსა და სახელმძღვანელოებს ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებს და ვაძლევდით

რჩევებს მათი გამოყენების შესახებ. თემატური მიდგომა ასახულია პროგრამულ აქტივობებში. პროექტების ფარგლებში ვცდიდით პრაქტიკულ მაგალითებს, თუ რა შეიძლება და გაკეთებულიყო სხვადასხვა თემატური მიმართულებით, მათ შორის განიხილებოდა გამოყოფის სტრატეგიაც, რომელიც მიზნად ისახავდა მესაკუთრეობის განცდის გაჩენას ხელისუფლებისა და უმცირესობების ჯგუფებისათვის. აღსანიშნავია, რომ პროექტს მხარს უჭერდნენ დონორებიც.

HCNM-ის რეკომენდაციებსა და სახელმძღვანელოებში ასახული პრინციპების ხელშეწყობის, განხორციელებისა და პრაქტიკული მაგალითების გაცნობის აუცილებლობა განსაზღვრავდა დიდწილად ჩემს მუშაობას საქართველოში, სადაც პატივი მქონდა ჩავსულიყავი 2018 წლის სექტემბერში.

HCNM-ის ჩართულობა საქართველოში

უმცირესობების განათლებისა და ენის საკითხები, ასევე მათი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში მონაწილეობის ხელშეწყობა წარმოადგენდა საქართველოს 2015-2020 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმისთვის HCNM-ის მიერ გაცემული საგრანტო მხარდაჭერის ნაწილს; ამავდროს, ეს იყო გასულ წლებში საქართველოში ჩემი მუშაობის მთავარი მიმართულებაც.

როდესაც საქმე ეხება განათლებისა და ენის პოლიტიკას, HCNM ემხრობა ბალანსს უმცირესობების ენის დაცვას, მის ხელშეწყობასა და სახელმწიფო ენის დაუფლების საჭიროებას შორის, რაც ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, თუ გვინდა, რომ უმცირესობები აქტიურად ჩაერთონ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მიდგომის შესაბამისად, 2000-იანი წლების დასაწყისში ჩვენ მხარი დავუჭირეთ სახელმწიფო ენის გაკვეთილებს ეთნიკური სომხებისთვის, რომლებიც კომპაქტურად არიან დასახლებული სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. საბოლოოდ, სახელმწიფომ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სახით გადაიბარა ეს ფუნქცია და უზრუნველყო ენის გაკვეთილები უმცირესობით დასახლებულ რეგიონში მომუშავე საჯარო მოსამსახურეთათვის. უმაღლესი კომისრების მიდგომებთან დაკავშირებული დიალოგის შთაგონებით, საქართველომ ასევე შექმნა 1+4 პროგრამა, რომელმაც საშუალება მისცა უმცირესობების წარმომადგენელ აბიტურიენტებს გაეუმჯობესებინათ სახელმწიფო ენის უნარები მოსამზადებელი წლის განმავლობაში და შემდგომ გაეგრძელებინათ ჩვეულებრივი საბაკალავრო პროგრამა შერჩეულ უნივერსიტეტებში. ამ პროექტმა უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები წაახალისა დარჩენილიყვნენ საქართველოში უმაღლესი განათლების მისაღებად.

ჩვენ ამ პროცესს თვალყურს ვადევნებდით სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონის სკოლებში და ხელს ვუწყობდით სომხურ და აზერბაიჯანულენოვან სასწავლებლებში მრავალენოვანი განათლების დანერგვას. უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებს ენის დაუფლების კუთხით, ზოგადად, ჰქონდათ პროგრესი, მაგრამ მასწავლებლების შემთხვევაში, შესაძლებლობები და რესურსები ბოლომდე გამოყენებული არ იყო. ბოლო ხანებში ჩვენ ძალისხმევა მივმართეთ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ორი რეგიონის სპეცია-

ლურად შერჩეულ სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებზე, სადაც ხელი ეწყო და ენაზე დაფუძნებულ მრავალენოვან განათლებას. ჩვენი მიდგომა ემთხვევა განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ხედვას ეროვნული უმცირესობების განათლების შესახებ.

უკვე ხუთი წელია ჩვენ ასევე ჩართული ვართ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობის საქმეში, წამყვან პარტიებთან მათი დაახლოების გზით. აქტივობები მოიცავს კვლევების ჩატარებას და სტრატეგიული დოკუმენტების მომზადებას; მონაწილეობას მრავალპარტიული მრგვალი მაგიდის დისკუსიებში, სადაც უმცირესობების წარმომადგენლები ურთიერთობას ამყარებენ პარტიების ლიდერებთან; პარტიების წარმომადგენლების ვიზიტების მხარდაჭერას უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში და უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდების ვიზიტების მხარდაჭერას დედაქალაქში; ექსპერტების ჩართულობას პოლიტიკური პარტიების მიერ ინტეგრაციის დღის წესრიგის შემუშავებაში და უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების სტაჟირებას წამყვან პარტიებში. მიმდინარე წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ფონზე, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ნახალისება ფუნდამენტურად მნიშვნელოვან საკითხად რჩება.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში უმცირესობების მონაწილეობისა და წარმომადგენლობის ხელშეწყობისათვის, რაც ასევე გულისხმობს უმცირესობებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ნდობის გაძლიერებას, ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ წესრიგის დამყარებისა და კანონის უზენაესობის კუთხით. დახმარება გავწიეთ პოლიციის შესახებ კანონის შემუშავებაში, რომელიც აქცენტს აკეთებს რეგიონული წესრიგის კონტროლის გაძლიერებაზე, რაც ასახულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სასწავლო გეგმაში. ასევე, გავმართეთ რამდენიმე მრგვალი მაგიდა ეროვნული უმცირესობებისთვის სასამართლოს წვდომის საკითხზე.

დასკვნა

ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა უფრო ერთიანი საზოგადოების ჩამოყალიბების მიმართულებით და ჩემთვის პატივია, რომ მომეცა ამ პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა. მომავალში, ლატენტური კონფლიქტების მოგვარებასთან ერთად, ყურადღება უნდა გამახვილდეს ყოვლისმომცველი ინკლუზიური პოლიტიკის განხორციელებაზე, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალურ ერთობას. საზოგადოების, როგორც მთლიანის წარმოდგენა და მისდამი მრავალმხრივი და გრძელვადიანი მიდგომა განამტკიცებს ინკლუზიურობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში; იგი ასახულია წინა უმაღლესი კომისიების გამოცდილებაში და საუკეთესო საშუალებაა მშვიდობისა და სტაბილურობისათვის.

ლამბერტო მანიერი არის იტალიელი დიპლომატი, ტრიესტის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის კონსულტანტი. იგი იყო ეუთო-ს უმაღლესი კომისარი ეროვნული უმცირესობების საკითხებში, ასევე, ეუთო-ს გენერალური მდივანი.



კოტე ზალდასტანიშვილი, ვლადიმერ პაპავა, ნიკო ლეკიშვილი, თემურ ჭყონია, თბილისი, 1998, © საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. Kote Zaldastanishvili, Vladimer Papava, Niko Lekishvili, Temur Chkonia, Tbilisi, 1998, © Administration of the Government of Georgia.

COVID-19-ის პანდემიური ეკონომიკური კრიზისის და საქართველოს ეკონომიკის რეორიენტირების შესახებ

ვლადიმერ პაპავა

აუცილებელია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მოდელზე გადასვლა

2020 წლიდან მსოფლიო ახალი გამონევის წინაშე დადგა, როცა ახალი ვირუსი (COVID-19) მასობრივად გავრცელდა და ამის გამო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა ტედროს ადანომ გებრესუსმა 11 მარტს მისი გავრცელება პანდემიად აღიარა.¹

საყურადღებოა, რომ მედიცინას ურთულესი გამონევა გაუჩნდა – მას თავიდანვე არ გააჩნდა და, სამწუხაროდ, დღემდე არ გააჩნია უშუალოდ ამ დაავადების სამკურნალო პრეპარატი, ხოლო შესაბამისი ვაქცინის შექმნას, როგორც ვირუსის გავრცელებისთანავე ითქვა, სავარაუდოდ, სულ ცოტა, წელიწად-ნახევარი მაინც დასჭირდება. გასათვალისწინებელია, რომ მედიკოსებმა არც ის იციან ზუსტად, როგორია ვირუსის ქცევა. ამ ეპიდემიოლოგიური პრობლემის მნიშვნელობას განაპირობებს ის, რომ მისი ზეგავლენა ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს შეეხო.

ფაქტია, რომ ბევრმა ქვეყანამ COVID-19-ის გავრცელებას და თავად დაავადების სირთულეს სერიოზულად არ შეხედა, რის გამოც გვიან მიიღო ადამიანების ქცევის მეტ-ნაკლებად ქმედითი შემზღუდავი ზომები. ამ ქვეყნებიდან განსაკუთრებით გამოირჩევიან აშშ, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ესპანეთი, ბრაზილია და ისინი საკმაოდ დაზარალდნენ კიდევ ამის გამო. ცალკე უნდა აღინიშნოს შვედეთი და ბელარუსი, რომლებმაც არ შემოიღეს არანაირი შემზღუდავი ზომები, თუმცა შვედეთმა მოგვიანებით აღიარა, რომ საკმაოდ რთული შედეგები მიიღეს. რაც შეეხება ბელარუსს, იქ არსებული რეალური სიტუაციის შეფასება გართულებულია მმართველობის ავტორიტარული რეჟიმის გამო, რომელიც მკაცრად ზღუდავს მისთვის არასასურველი ინფორმაციის გავრცელებას.

1. WHO Director-General's Opening Remarks at the Media Briefing on COVID-19 - 11 March 2020, 'World Health Organization' (11.03.20). <https://www.who.int/dg/speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19---11-march-2020> (12.08.2020).

ავტორიტარული რეჟიმების მცდელობა, დაემაღლათ ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სიტუაცია, სულაც არ იყო მოულოდნელი, თუმცა მას მერე, რაც ვირუსის გავრცელებამ აშკარად მასშტაბური ხასიათი მიიღო, ზოგიერთ მათგანს მაინც მოუწია ელიარება, რომ საკმაოდ მძიმე ეპიდემიური სიტუაცია ჰქონდა. ასე მოიქცნენ, მაგალითად, ირანი და რუსეთი - მათ ვერ შეძლეს არსებითად გაეზარდათ საკუთარი ინფორმაციის მიმართ ნდობა.

იმის გათვალისწინებით, რომ ვირუსი უშუალოდ ადამიანებს შორის კონტაქტით ვრცელდება, აუცილებელი გახდა ამ კონტაქტების შეზღუდვა, რასაც ქვეყნების უმრავლესობამ ადრე თუ გვიან მიმართა კიდევ.

ადამიანებს შორის უშუალო კონტაქტების შეზღუდვამ კი, თავის მხრივ, განაპირობა საქმიანობის გარკვეული ნაწილის ონლაინ-რეჟიმზე გადაყვანა. ამის თვალსაჩინო მაგალითია განათლების სფერო, როცა სკოლებში - გაკვეთილების, უნივერსიტეტებში ლექცია-სემინარების ჩატარება ონლაინ-რეჟიმზე გადავიდა.

ამ მეტ-ნაკლებად წარმატებული მაგალითის განვრცობა ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროზე უბრალოდ შეუძლებელია. ადამიანებს შორის უშუალო კონტაქტის შეზღუდვამ გამოიწვია საზოგადოებრივი კვების ობიექტების, სასტუმროებისა და სხვა ტურისტული ობიექტების დახურვა; შეჩერდა სამგზავრო ავია- და სარკინიგზო გადაზიდვებიც, საქალაქო ტრანსპორტი, მგზავრთა გადაყვანა საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით. საბოლოო ჯამში, შეჩერდა ყველა იმ ობიექტის ფუნქციონირება, სადაც ადამიანებს შორის კონტაქტი გარდაუვალი იყო. გამონაკლისის სახით, მათი განსაკუთრებული სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნებადართულ იყო სასურსათო მაღაზიებისა და აფთიაქების ფუნქციონირება, თუმცა ამ ობიექტების საქმიანობისთვის საგანგებოდ შემოიღეს გარკვეული წესები, რათა მეტ-ნაკლებად შეეზღუდათ ადამიანებს შორის უშუალო კონტაქტი.

ამ ზომების ერთობლიობამ გამოიწვია ეკონომიკის არაერთი სექტორის გაჩერება, რამაც სამუშაოს და შესაბამისი შემოსავლების გარეშე დატოვა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. საბოლოო ჯამში კი, ჩამოყალიბდა ნამდვილი ეკონომიკური კრიზისი, თანაც არა ერთ ან ორ რომელიმე ცალკე აღებულ ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს, სულ ცოტა, 200 სახელმწიფოში, რამაც განაპირობა მისი სრულმასშტაბიანი გლობალური ხასიათი.

აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოცემული ეკონომიკური კრიზისი თავისი არსით განსხვავდება ყველა იმ კრიზისისგან, რომლებიც უშუალოდ ეკონომიკაში ყალიბდებოდა და ამდენად, ეკონომისტებს ჰქონდათ იმის ადეკვატური ცოდნა, თუ რამ გამოიწვია ესა თუ ის კრიზისი და რა ზომები უნდა გატარებულიყო მათ საწინააღმდეგოდ.

თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები კი არ არის ეკონომიკაში და ამიტომ მისი დაძლევის ეკონომიკური მექანიზმები უბრალოდ არ არსებობს - ეკონომისტებს მხოლოდ იმის რჩევა შეუძლიათ მთავრობებისთვის, თუ რა ღონისძიებებია გასატარებელი უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერისთვის და დროებით „დაკონსერვებული“ ბიზნესის გადასარჩენად.

შექმნილი კრიზისის დასაძლევად, უწინარეს ყოვლისა, მედიკოსებმა, მიკრობიოლოგებმა, ფარმაცოლოგებმა უნდა შეიმუშაონ უშუალოდ COVID-19-ის სამკურნალო საშუალებები და შექმნან შესაბამისი ვაქცინა. სანამ ეს არ მოხდება, მანამდე ეკონომიკური კრიზისი შეიძლება შესუსტდეს, თუმცა ვერ დასრულდება. მაშასადამე, თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისის უმთავრესი თავისებურება ისაა, რომ ეკონომიკა მედიცინის მძევალი აღმოჩნდა.²

ეკონომიკის ისტორიაში ცნობილია სხვა შემთხვევებიც, როცა ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები არ იყო თავად ეკონომიკაში წარმოქმნილი. ამის თვალსაჩინო მაგალითებია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებული ეკონომიკური კრიზისი და კომუნისტური რეჟიმების ჩამოშლის შედეგად გამოწვეული ვითარება. ძნელი დასანახი არ არის, რომ ეს ორივე მდგომარეობა თანამედროვე კრიზისისაგან პრინციპულად განსხვავდება. კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დანგრეული იყო ქალაქები, ინფრასტრუქტურა, რაც მოითხოვდა აღდგენას, თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის შემთხვევაში კი ამგვარი ნგრევა საერთოდ არ ყოფილა. პრინციპულად იგივე შეიძლება ითქვას კომუნისტური რეჟიმის ჩამოშლის შემდეგ გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებითაც. კერძოდ, ამ ჩამოშლას მოჰყვა ერთი ეკონომიკური სისტემიდან (მბრძანებლური ეკონომიკიდან) მეორეზე (საბაზრო ეკონომიკაზე) გადასვლა, თანამედროვე კრიზისის პირობებში კი საერთოდ არ მომხდარა ეკონომიკური სისტემის ცვლილება და პრობლემა გამოიწვია გარკვეული დროით შეჩერებულმა ეკონომიკამ.

სწორედ ამან განაპირობა მოცემული ეკონომიკური კრიზისის უნიკალურობა.³ აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური მდგომარეობის აღსანიშნავად ახალი ტერმინიც კი შეიქმნა. კერძოდ, აჯით დე ალვისმა შრი-ლანკიდან შემოგვთავაზა ტერმინი „კორონომიკა“, რომელიც ორი ტერმინის – „კორონა“ და „ეკონომიკის“ გაერთიანებით მიიღება.⁴ ამ ტერმინის გამოყენებით თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს შეიძლება ვუწოდოთ „კორონომიკური კრიზისი“.

კორონომიკის მნიშვნელობის ზრდას ისიც უწყობს ხელს, რომ მსგავსი გლობალური საფრთხეების გაჩენა სულაც არ არის გამორიცხული მომავალშიც, რის გამოც კაცობრიობის წინაშე დადგა ახალი გამოწვევა, რომ მან ისწავლოს ამგვარ პირობებში ცხოვრება და, უშუალოდ, ეკონომიკური საქმიანობა.⁵

2. Papava, V. 'Coronomic Crisis: When The Economy Is a Hostage to Medicine'. *Eurasia Review*, 2020, March 29, <https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/> (12.08.2020)

3. Ajili, W. 'Pourquoi la crise Covid-19 est-elle aussi inédite?' *L'Economiste*, 2020, 1 mai, <https://www.leconomiste-maghrebin.com/2020/05/01/pourquoi-crise-covid-19-est-elle-aussi-inedite/> (12.08.2020).

4. de Alwis, A. 'Coronomics – Plan Your Eggs and the Basket!' *Daily FT*, 2020, February 6, <http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109> (12.08.2020).

5. Gigerenzer, G. 'Why What Does Not Kill Us Makes Us Panic', *Project Syndicate*, March 12, 2020, <https://www.project-syndicate.org/commentary/greater-risk-literacy-can-reduce-coronavirus-fear-by-gerd-gigerenzer-2020-03?barrier=accesspaylog> (12.08.2020).

კორონომიკურმა კრიზისმა არაერთი კითხვა გააჩინა გლობალიზაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება იმის გარკვევა, ხომ არ არის ეს კრიზისი გლობალიზაციის დასასრულის დასაწყისი, ხომ არ დადგა დრო, რომ მოხდეს დეგლობალიზაცია და ხელი შეეწყოს იზოლაციონიზმს, ხომ არ გახდა აუცილებელი, უარი ითქვას ქვეყნებს შორის თავისუფალ ვაჭრობაზე?

ამ კითხვებზე პასუხი სულაც არ არის რთული, თუკი გავითვალისწინებთ, რომ პანდემია გლობალური ფენომენია, რის გამოც კორონომიკურმა კრიზისმა მთელი მსოფლიო მოიცვა, და პანდემიის დაძლევა მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ის ქვეყნები, რომლებიც შეეწინააღმდეგებიან გლობალიზაციას, უფრო მეტად დაზარალდებიან.⁶

კორონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ღირებულებითი ჯაჭვებისა და მიწოდებათა ჯაჭვების რღვევა. ეს ჯაჭვები უმთავრესად ჩინეთის ეკონომიკასთან იყო დაკავშირებული. რადგანაც მომავალში COVID-19-ის მსგავსი ვირუსის წარმოქმნის პოტენციური საფრთხე ისევ და ისევ ჩინეთთანაა დაკავშირებული, ამან გამოიწვია ხსენებული ჯაჭვების დივერსიფიკაციის აუცილებლობა, რაც ორიენტირებული უნდა იყოს პოტენციური რისკების შემცირებაზე.⁷

ჩინეთიდან მსხვილი კომპანიების ქარხნების გატანის და მათთვის განთავსების ახალი ადგილის მოძიების პროცესში, სავარაუდოდ, იმ ქვეყნებს მიენიჭება უპირატესობა, რომლებსაც ერთდროულად ჩინეთთანაც აქვთ უკვე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება⁸ და იმ ქვეყნებთანაც, რომელთა ბაზრებისთვისაც აწარმოებენ პროდუქციას ამ ქარხნებში.

ამ დებულებიდან გამომდინარე, საქართველოს ექმნება რეალური პერსპექტივა, გახდეს ჩინეთიდან გატანილი იმ ქარხნების ნაწილის ახალი განთავსების ქვეყანა, რომელთა პროდუქციის მოხმარებაც ძირითადად ევროპაში უნდა მოხდეს, რადგანაც საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება როგორც ევროკავშირთან⁹ და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA),¹⁰ ისე ჩინეთთანაც.¹¹

6. Frankel, J., *Will the Coronavirus Trigger a Global Recession?* 'Project Syndicate', February 24, 2020, https://www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-global-recession-prospects-by-jeffrey-frankel-2020-02?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=11fa1362d7-sunday_newsletter_01_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-11fa1362d7-93567601&mc_cid=11fa1362d7&mc_eid=e9fb6cbc-c0&barrier=accesspaylog (12.08.2020).

7. Dervis K. and S. Strauss, *What COVID-19 Means for International Cooperation*, 'Project Syndicate', March 6, 2020, https://www.project-syndicate.org/commentary/global-cooperation-can-prevent-next-pandemic-by-kemal-dervis-and-sebasti-n-strauss-2020-03?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog (12.08.2020).

8. *China FTA Network*, 'Ministry of Commerce', PRC, 2020, http://fta.mofcom.gov.cn/english/fta_qianshu.shtml (12.08.2020).

9. *Georgia, EU Sign Association Agreement*, 'Civil.g', June, 27, 2014, <https://old.civil.ge/eng/article.php?id=27417> (12.08.2020).

10. *Georgia Makes New European Free Trade Deal*, 'Agenda.ge', June 6, 2016, <https://agenda.ge/en/news/2016/1382> (12.08.2020).

11. *Georgia-China Free Trade Agreement Signed*, 'Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia', May 13, 2017, <http://www.economy.ge/?page=news&nw=180&s=sqartvelosa-da-chinets-shoris-tavisufali-vachrobis-shesaxe-b-xelshekruleba-gaformdeba&lang=en> (12.08.2020).

ამ საკითხებზე მსჯელობისას აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ჩინეთსა და ევროკავშირს შორის არ არსებობს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და, დიდი ალბათობით, არც უახლოეს მომავალში ჩანს მისი მიღწევის შესაძლებლობა.

ამავდროულად, აშშ-სა და ჩინეთს შორის იმდენადაა დაძაბული ურთიერთობები, რომ მათ შორის არა თუ თავისუფალ ვაჭრობაზე ფიქრია შესაძლებელი, არამედ აშკარაა მათ შორის მიმდინარე სავაჭრო ომი,¹² რაც თანამედროვე მსოფლიოს არაერთ სირთულეს უქმნის.¹³

აშშ-სა და ჩინეთს შორის შექმნილი არასახარბიელო ურთიერთობის ფონზე, საქართველოსთვის მომგებიანია ის გარემოება, რომ მას აქვს მეტ-ნაკლებად რეალური პერსპექტივა, ჰქონდეს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აშშ-სთანაც.¹⁴

ამ კონტექსტში კი იბადება უმთავრესი კითხვა: რამდენადაა საქართველო მზად, რომ მართლაც გახდეს ჩინეთიდან გატანილი სანარმოების ნაწილის განთავსების ახალი ქვეყანა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია იმის გააზრება, თუ რა იყო წლების განმავლობაში და დღესაც რა რჩება საქართველოს ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ სექტორად.

ფაქტია, რომ ამგვარი სექტორის ფუნქციას საქართველოს ეკონომიკაში ასრულებდა და დღესაც ასრულებს ტურიზმი.

როგორც ცნობილია, ტურიზმი ეკონომიკის სხვა სექტორებს ავითარებს, რადგანაც ქვეყანაში შემოსული ტურისტები ზრდიან ერთობლივ მოთხოვნას, რის გამოც, ეკონომიკის სხვა სექტორების სანარმოები, გაზრდილი მოთხოვნის შესატყვისად მიწოდების გაზრდის მიზნით, ზრდიან წარმოებას.

ეს მარტივი ეკონომიკური დებულება, სამწუხაროდ, საქართველოს „სასარგებლოდ“ ძირითადად ვერ მუშაობს. საქმე ისაა, რომ საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა, როცა იმპორტი რამდენჯერმე აღემატება ექსპორტს, როცა ქვეყნის როგორც სამომხმარებლო, ისე სასურსათო კალათებში 80 პროცენტი იმპორტული საქონელია და მხოლოდ 20 პროცენტია საქართველოში წარმოებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოში ფაქტობრივად ჩამოყალიბდა მომხმარებლური ეკონომიკა.

ამ გარემოების გათვალისწინებით, ქვეყანაში უცხოეთიდან შემოსული ტურისტის მიერ დახარჯული ყოველი 100 აშშ დოლარიდან, საშუალოდ, 80 აშშ დოლარი მიდის დამატებითი იმპორტის განსახორციელებლად, ქვეყნის ეკონომიკაში კი მხოლოდ 20 აშშ დოლარი რჩება. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოსთვის ნომერი პირველი სავაჭრო პარტ-

12. *What Is the US-China Trade War? 'SCMP'*, April 13, 2020, <https://www.scmp.com/economy/china-economy/article/3078745/what-us-china-trade-war-how-it-started-and-what-inside-phase> (12.08.2020).

13. He L. *A US-China Trade War Is the Last Thing the World Economy Needs Now*, 'CNN Business', May 19, 2020, <https://edition.cnn.com/2020/05/19/economy/us-china-trade-war-resume-coronavirus-intl-hnk/index.html> (12.08.2020).

14. Rapoza, K. *Why Does Everyone Suddenly Want A Free Trade Deal With Georgia?* 'Forbes', March 5, 2020, <https://www.forbes.com/sites/kenrapoza/2020/03/05/why-does-everyone-suddenly-want-a-free-trade-deal-with-georgia/#4ec8165750e6> (12.08.2020).

ნიორი თურქეთია, გამოდის, რომ ტურისტების შემოსვლა საქართველოში მხოლოდ ერთი მეხუთედით მუშაობს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე, ხოლო ოთხი მეხუთედით იმ ქვეყნებისა და, განსაკუთრებით, თურქეთის ეკონომიკაზეა ორიენტირებული, საიდანაც ვახორციელებთ იმპორტს. სწორედ ამიტომაც საქართველოს ეკონომიკა ე.წ. „ტურისტულ ხაფანგში“ მოქცეული.¹⁵

სამწუხარო ფაქტია, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მქონე საქართველოში, სადაც შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს სოფლად, სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის მეთედზე ნაკლებს ქმნის, თანაც მაშინ, როცა ქვეყნის მრეწველობა პრაქტიკულად განუვითარებელია. კორონომიკურმა კრიზისმა კი დაგვანახა, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოში აგრარული სექტორის განვითარებას მიეცეს განსაკუთრებული ყურადღება, რათა სასურსათო უსაფრთხოების დონის ამაღლებას მაქსიმალურად შეეწყოს ხელი.

აქვე ხაზგასასმელია, რომ სოფლის მეურნეობა ვერ გახდება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი სექტორი, რადგან უმთავრესად აგრარული ორიენტაციის მქონე ქვეყნები თუ რეგიონები, სხვა თანაბარ პირობებში, ეკონომიკურად შედარებით განუვითარებელი არიან. ამის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულება საკმაოდ დაბალია.

იმისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკა მიმზიდველი იყოს ჩინეთიდან გამოტანილი ქარხნების ნაწილის განსათავსებლად, გარდაუვალია არა უბრალოდ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, არამედ აუცილებელია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მოდელზე გადასვლა. ამას, რა თქმა უნდა, სჭირდება დრო და სწორედ ამიტომ, რაც შეიძლება სწრაფადაა მისაღები ის რადიკალური ზომები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში საუნივერსიტეტო და პროფესიული განათლების განვითარება და მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებითი გაუმჯობესება. აუცილებელია ამ სფეროში ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვა და შენარჩუნება, რასაც ასევე ესაჭიროება მეცნიერთა შრომის სათანადო დაფასება.

ყოველივე ამის ფონზე კი ტურიზმიც ბევრად უფრო სასარგებლო გახდება ქვეყნისთვის, რადგან საერთაშორისო დონეზე მისი ცნობადობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

ვლადიმერ პაპავა არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. იგი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს ეკონომიკის მინისტრი.

15. Papava, V., *Georgia's Economy in a Tourist Trap*, 'Rondeli Blog', July 25, 2018, <https://www.gfsis.org/blog/view/854> (12.08.2020).

საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივა კოსტანდემიური კრიზისის ფონზე

დავით აფციაური

ეკონომიკის კლასიკური სახით განვითარება გარკვეული დროით იმ დარგებით შეიცვლება, რომლებიც უკავშირდება ჯანმრთელობის დაცვის ინდუსტრიას

ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური კავშირი საკმაოდ აქტიურად და შინაარსიანად ვითარდებოდა. ეს თანამშრომლობა პირობითად შეიძლება გავყოთ ორ ეტაპად: 1992-დან 2013 წლამდე და 2013 წლიდან დღემდე. პირველ ეტაპზე ძირითადი ამოცანა იყო ერთობლივი ეკონომიკური თანამშრომლობის პოტენციალის შესწავლა და სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება, მოგვიანებით კი საქმიანმა ურთიერთობებმა დინამიზმი შეიძინა და კონკრეტული პროექტების განხორციელებაც დაიწყო. ეს, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია 2013 წელს ჩინეთის სათავეში პოლიტიკოსთა ახალი თაობის მოსვლასთან, პრეზიდენტ სი ძინ პინის მეთაურობით, და მის გამოცხადებულ ჩინეთის გლობალური ინიციატივასთან – „ერთი სარტყელი – ერთი გზა“, რომელშიც საქართველოც მონაწილეობს. „სწორედ ეკონომიკური სფერო წარმოადგენს საქართველო-ჩინეთის ურთიერთობების ქვაკუთხედს. 2010 წლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკაში ჩინეთის როლი მზარდია“.¹ ბოლო წლებში გააქტიურდა ჩვენს ქვეყნებს შორის სამთავრობო და საქმიანი წრეების დელეგაციების გაცვლაც. 2014 წელს საქართველომ და ჩინეთმა გააფორმეს აღნიშნულ პროექტში თანამშრომლობის სამთავრობო მემორანდუმი. 2015 წელს საქართველო ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყნის სტატუსით შეუერთდა აზიის ინფრასტრუქტურისა და ინვესტიციების ბანკს, რომლის შტაბ-ბინაც პეკინშია. ამ ურთიერთობების ყველაზე დიდ მიღწევად მიიჩნევა 2017 წელს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება. 2019 წელს ქვეყნებს შორის საქონელბრუნვამ ისტორიულ რეკორდს მიაღწია – ერთი მილიარდი აშშ დოლარის მოცულობას. 2020 წლის იანვარ-მაისის მონაცემებით, ჩინეთთან სავაჭრო ბრუნვა, წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 12 პროცენტით გაიზარდა, რაც აღემატება იმავე პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებთან მიღწეულ შედეგებს. 2019 წლის სავაჭრო ბრუნვის მიხედვით,

1. Larsen, J. 'Georgia-China Relations, the Geopolitics of the Belt and Road', *Georgian Institute of Politics* (2017), <http://gip.ge/georgia-china-relations-geopolitics-belt-road/>

ჩინეთი იკავებდა მესამე ადგილს საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის, 10,5 პროცენტი წილით.² ასევე მესამე იყო უცხოელ პარტნიორებს შორის იმპორტის მიწოდებით. თავისი ადგილი დაიმკვიდრა ჩინურ ბაზარზე ქართულმა ღვინომაც, რომელიც ექსპორტის მოცულობაში წამყვანი კომპონენტია (ჩინეთი საქართველოსთვის მესამე საექსპორტო ბაზარია რუსეთისა და უკრაინის შემდეგ, 8,5 პროცენტის წილით ღვინის მთლიან ექსპორტში). ჩინეთის სხვადასხვა პროვინციაში ქართული ღვინის 40-მდე სავაჭრო ცენტრი გაიხსნა. ნაყოფიერად გრძელდებოდა თანამშრომლობა ისეთ დარგებში, როგორიცაა: ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ენერგეტიკა, სატრანსპორტო გადაზიდვები, უძრავი ქონება, სოფლის მეურნეობა, საბანკო სფერო, ტურიზმი და სხვა. რაც მთავარია, საქართველოს გავლით ევროპისკენ დაიწყო ჩინური ტვირთების ახალი სარკინიგზო მარშრუტების ათვისება, რითაც საფუძველი ჩაეყარა გლობალური საერთაშორისო პროექტის „ტრანსკასპიური“ / „შუალედური“ დერეფნის ექსპლუატაციას. 2020 წლის იანვრის მონაცემებით, საქართველოში სულ ჩინური კაპიტალით დარეგისტრირებულია აქტიური სტატუსის 222 კომპანია. ასევე გაფართოვდა ქართული კომპანიების საქმიანობა ჩინეთში. ჩინური ინვესტიციებით ჩამოყალიბდა სამი თავისუფალი ეკონომიკური ზონა. ბიზნესს ხელს უწყობს აგრეთვე ჰუმანიტარული ურთიერთობების განვითარებაც, ტურისტული ჯგუფების მზარდი გაცვლით (2019 წელს 51 პროცენტით გაიზარდა საქართველოში ჩინელ ვიზიტორთა რიცხვი). ტრადიციული გახდა საქართველოს მონაწილეობა ჩინეთში გამართულ ცნობილ საერთაშორისო გამოფენებსა და ეკონომიკურ ფორუმებში (პროექტ „ერთი სარტყელი – ერთი გზა“ ფარგლებში გამართული 2017 და 2019 წლების პეკინის გლობალური ფორუმები, თიანძინის და დალიანის ყოველწლიური ეკონომიკური ფორუმები, 2019 წლის შანხაის საიმპორტო გამოფენა და სხვა). ინტერესი გამოიწვია 2015, 2017 და 2019 წლებში თბილისში ჩატარებულმა „ახალი აბრეშუმის გზის“ საერთაშორისო კონფერენციებმა, რომლებმაც წვლილი შეიტანეს საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური კავშირების გაღრმავების საქმეში. შეგვიძლია მოვიყვანოთ საქმიანი ურთიერთობების ბევრი სხვა მაგალითიც.

საქართველოში ჩინური კაპიტალით მრავალი პროექტი განხორციელდა (2002-2019 წლებში – 695,82 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია), თუმცა ბოლო წლებში შემცირდა საინვესტიციო ნაკადები (2019 წელს ჩინეთმა უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს შორის მერვე ადგილი დაიკავა). ვერ ამოქმედდა ერთობლივი საწარმოების გახსნის გეგმა (გამონაკლისია ქუთაისში ჩინური წარმოშობის ელექტროავტომანქანების ქარხანა), ვერც სხვა საინტერესო პროგრამები, თუმცა ეს რეზერვებია სამომავლო თანამშრომლობისთვის.

ამ ეტაპზე, საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივის განხილვა უნდა მოხდეს სრულიად ახალი ვითარების გათვალისწინებით, რაც COVID-19-ის პანდემიის კრიზისთან არის დაკავშირებული. რეალობა მოითხოვს არსებული მდგომარეობის ხელახალ ანალიზსა და მიდგომების განახლებას.

2. აქ და ქვემოთ წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის 2019 წლის მონაცემები.



ნუგზარ ქევხიშვილი, დავით აფციაური, ვანო ზოდელავა, მერაბ ადეიშვილი, კოტე ზალდასტანიშვილი, ვალერი ჩხეიძე - ოფიციალური ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1997, დავით აფციაურის არქივიდან. **Nugzar Kevkhishvili, David Aptsiauri, Vano Zodelava, Merab Adeishvili, Kote Zaldastanishvili, Valeri Chkheidze - Official Visit to the United States of America, 1997, From the archive of David Aptsiauri.**

სადღეისოდ ნამდვილად რთულია პროგნოზის გაკეთება. ეს დამოკიდებულია, პირველ რიგში, პანდემიის დასრულების ვადებზე, ყოველ შემთხვევაში, მისი გავრცელების არსებითად შეჩერების შედეგებსა და მსოფლიო ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის შემდგომ დინამიკაზე.

მთლიანობაში, გლობალური განვითარების დინამიკა არასახარბიელოა. საერთაშორისო ორგანიზაციების პირველადი შეფასებით, მსოფლიო ეკონომიკის საერთო შიდა პროდუქტი 2020 წელს შემცირდება 3,2 პროცენტით, ხოლო მთლიანი დანაკარგი 2020 და 2021 წლებში შეადგენს 8,5 ტრილიონ აშშ დოლარს³, ისიც – თუ პანდემიის კრიზისი შედარებით მალე დასრულდება. არნახულად გაიზრდება უმუშევრობა, განსაკუთრებით დაზარალებულია სამომხმარებლო სექტორი (ტრანსპორტი, ტურიზმი), მრეწველობის რიგი მიმართულებები.

შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ COVID-19-ის პანდემიის კრიზისი მთლიანად შეცვლის მსოფლიოში არა მარტო სოციალურ-ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ, კულტურულ, ყოფით ცხოვრებას, უსაფრთხოების უზრუნველყოფის კრიტერიუმებს. დღეს ცნობილი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ბევრი სისტემური ცვლილება გველოდება. ასე, მაგალითად,

3. 'World Economic situation and prospects as of mid 2020', United Nations, Department of Economic and Social Analysis (13 May, 2020). [un.org / development / desa/dpad/publication/world-economic-situation-and-prospects-as-of-mid-2020/](https://un.org/development/desa/dpad/publication/world-economic-situation-and-prospects-as-of-mid-2020/)

მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ჯოსეფ სტიგლიცი აღნიშნავს, რომ კაპიტალისტური სისტემა, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა გლობალური და ეროვნული ეკონომიკის საფუძვლიანი განვითარების საქმეში, მოუშმადებელი აღმოჩნდა COVID-19-თან ნაყოფიერად ბრძოლისთვის და საჭიროა მისი მკვეთრი მოდერნიზაცია, ანუ უნდა განვითარდეს, მისი თქმით, „პროგრესული კაპიტალიზმი“.⁴ კიდევ ერთი დასავლელი სპეციალისტის, დანიელ მეთიუს შეფასებით, „ყველა ჩვენი კონცეფცია, რომელიც ეხება ეკონომიკას, განვითარებას, ბიზნესსაქმიანობას, გლობალიზაციას, განათლებას, ჯანდაცვას, მეცნიერებას და ტექნოლოგიებს, ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა...“⁵

მსოფლიოში ბოლო წლების სოციალურ-ეკონომიკური კრიზისების ძირითად მიზეზად, ჩვენი აზრით, იკვეთება არაეკონომიკური შინაარსის ფაქტორები. ეს ეხება 2008 წლის გლობალურ ფინანსურ კრიზისს, რომელმაც გამოამჟღავნა სერიოზული პრობლემები ეკონომიკური პოლიტიკის მენეჯმენტში, განსაკუთრებით – რისკების პრევენციის კუთხით. სამწუხაროდ, საერთაშორისო თანამეგობრობის უუნარობამ საფრთხეების წინასწარ გამოვლენის და მართვის მიმართულებით, კვლავ იჩინა თავი გლობალური პანდემიის კრიზისის დროს.

არავინ იცის, რამდენ ხანს გასტანს პანდემიის შემდგომი ეტაპი, მაგრამ, ვფიქრობთ, ეკონომიკის კლასიკური სახით განვითარება გარკვეული დროით იმ დარგებით შეიცვლება, რომლებიც უკავშირდება ჯანმრთელობის დაცვის ინდუსტრიას და შესაბამისი სექტორების ფუნქციონირებას – განვითარდება, ასე ვთქვათ, „ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკა“.

შესაძლოა, ახალი შინაარსით შეივსოს ზოგიერთი გლობალური ეკონომიკური პროექტიც, რაც უკვე ხელშესახებია: მაგალითად, ჩინეთი შემოდის ახალი ინიციატივით, რომ პროექტს „ერთი სარტყელი – ერთი გზა“ ახალი მიმართულება დაემატოს – ჯანმრთელობის დაცვის სფერო. გაჩნდა ახალი ტერმინიც – „ჯანმრთელობის დაცვის ერთი სარტყელი – ერთი გზა“ (ეს ახალი ტერმინი გამოიყენა ჩინეთის პრეზიდენტმა 2020 წლის მარტში გამართულ სატელეფონო საუბარში იტალიის პრემიერ-მინისტრთან). ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ჩინეთში კრიზისამდეც აწარმოებდნენ სამედიცინო ინდუსტრიის ფუნქციონირებისთვის საჭირო თითქმის ყველა კომპონენტს.

„ცივი ომის“ დასრულების შედეგად, საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში, ძალთა გადანაწილებაში, მოხდა არსებითი ცვლილებები. არ არის გამორიცხული, რომ პანდემიამ კიდევ უფრო შეცვალოს არსებული ბალანსი. ექსპერტთა ფრთხილი პროგნოზით, შესაძლებელია ჩინეთი (მიუხედავად დანაკარგებისა) უფრო სწრაფად გამოვიდეს კრიზისიდან მისი მასშტაბური ფინანსური, მატერიალური, შრომითი რესურსებისა და ვირუსთან ბრძოლის უკვე შეძენილი გამოცდილების დახმარებით. აქედან გამომდინარე, გლობალურ პროექტს „ერთი სარტყელი – ერთი გზა“ შეჩერება არ უნდა ემუქრებოდეს და მასში საქართველოს მონაწილეობა აქტუალური უნდა დარჩეს მისი, როგორც სატრანზიტო და ევროპა-აზიას შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი არსებითი ცენტრის მნიშვნელობის

4. Stiglitz, J. E. 'Has Davos Man Changed?', Project Syndicate (January 30, 2020), https://www.project-syndicate.org/commentary/davos-gap-between-business-leaders-rhetoric-and-actions-by-joseph-e-stiglitz-2020-01?barrier=access_paylog

5. Dr. R.M. Mathew. 'Redefining Political Economy, Globalization & Business Models Consequent on Corona Virus Pandemics Economics', *Economic Theory* (April 09, 2020), Markotoracle.co.uk/Article/6928.html.



კახა კახრეიძე, დევიდ ლი, გიორგი ისაკაძე, ფადი ასლი, კოტე ზალდასტანიშვილი - საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის დაფუძნება, თბილისი, 2010, ოჯახის არქივიდან. **Kakha Kokhreidze, David Lee, George Isakadze, Fady Asly, Kote Zaldastanishvili - Foundation of The Georgian Small & Medium Enterprises Association, Tbilisi, 2010, From the family archive.**

გამო. „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის“ პროექტი კი საქართველოსთვის ქმნის ენერგეტიკული რესურსების სატრანსპორტო ჰაბის ზოგადად ეკონომიკურ ჰაბად ტრანსფორმაციის საშუალებას.⁶ მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ჩვენი რეგიონის მსხვილი ენერგორესურსების მწარმოებლები და სატრანზიტო ქვეყნები, მათ შორის, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, აქტიურად თანამშრომლობენ ჩინეთთან და წარმოადგენენ „ერთი სარტყელი – ერთი გზა“ „ტრანსკასპიური“/„შუალედური“ დერეფნის შემადგენელ ნაწილს. ამასთან, საქართველო, ცხადია, მზად არის შეუერთდეს სხვა ახალ გლობალურ პროექტებს, რათა განამტკიცოს თავისი, როგორც საიმედო საერთაშორისო პარტნიორის ფუნქცია.

აღნიშნული ტენდენციების და გარემოებების გათვალისწინებით, საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური თანამშრომლობა პოსტპანდემიის ფაზაში მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად და ეფექტურად დასრულდება ბრძოლა COVID-19-თან და რა პროცესები განვითარდება მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში. ანუ რამდენად კონსტრუქციული და დაბალანსებული იქნება თანამშრომლობა აშშ-ს, ჩინეთსა და ევროკავშირს, ასევე სხვა მოთამაშეებს შორის გლობალური მასშტაბით, სამხრეთ კავკასიის

6. Kenneth T. Derr (1998), 'Commitment in the Caspian: A Chevron Perspective on Energy and Economic Development', *Chevron Corporation*, October 20, www.Chevron.com/stories/commitment-in-the-caspian-a-chevron-perspective-on-energy-and-economic-development.

რეგიონში მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ რამდენიმე ვარაუდს:

- პოსტკრიზისულ პერიოდში ჩინეთი ძირითადად დაკავდება შიდა საკითხების მოგვარებით, პირველ რიგში, ეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფით და სხვა გადაუდებელი ღონისძიებებით, თუმცა, როგორც გლობალური მოთამაშე, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო პოლიტიკის და ეკონომიკის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებაში, მრავალმხრივი თანამშრომლობის ახალი მოდელების ჩამოყალიბებაში. ამ ვითარებაში მოსალოდნელია, რომ ჩვენი ერთობლივი ეკონომიკური თანამშრომლობა გარკვეული პერიოდით ნაკლებად ინტენსიური იყოს.
- მიუხედავად ყველაფრისა, მოსალოდნელია საქართველოსთან თანამშრომლობა გაგრძელდეს ისეთ დარგებში, როგორიცაა ვაჭრობა, მათ შორის, ელექტრონული ვაჭრობა (ამას ხელს უწყობს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება), ინფრასტრუქტურული პროექტები, კვების სხვა პროდუქტების (მათ შორის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის) ერთობლივი წარმოება, რაც პანდემიის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.
- დღეს ბევრს ლაპარაკობენ ჩინეთიდან სამრეწველო სანარმოების გადატანაზე სხვა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც. ამ იდეას რეალური საფუძველი აქვს, თუმცა მისი განხორციელება ბევრადაა დამოკიდებული ადგილობრივი კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საკითხის მოგვარებასა და სხვა ფაქტორებზე, ასევე საჭიროა ჩინეთის ნაყოფიერი გამოცდილების გასაზიარებლად შემუშავდეს საგანმანათლებლო/სატრენინგო პროგრამა საქართველოს უნივერსიტეტების ბაზაზე.
- ზოგადად, შეიძლება კომერციულად მომგებიანი იყოს ისეთი ერთობლივი სანარმოების გახსნა, რომლებიც მოემსახურებიან ჯანმრთელობის ინდუსტრიის განვითარებას (სამედიცინო მოწყობილობა და ინვენტარი, მედიკამენტები). ამას ხელს შეუწყობს ინიციატივის „ერთი სარტყელი – ერთი გზა“ სამედიცინო მიმართულების გეგმის პრიორიტეტული განვითარება.
- მნიშვნელოვანია, თუ როგორ განვითარდება ჩინეთის ინიციატივა „ერთი სარტყელი – ერთი გზა“, რომლის მიმართ ბევრ ქვეყანას გაეზარდა ინტერესი და ბოლო წლებში აქტიურად თანამშრომლობს კიდევ.
- საქართველოსთვის, რომელიც ევროპასა და აზიას შორის თანამშრომლობაში ერთ-ერთ საკვანძო ქვეყნად მოიაზრება, ამ პროექტში მონაწილეობა მნიშვნელოვანია, რადგან ჩინეთის უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალის გარეშე ძნელად წარმოსადგენია ჩვენმა ქვეყანამ შეძლოს ამ ფუნქციის შესრულება. „საქართველოს შეუძლია რეალურად გახდეს ეკონომიკური ჰაბი, რაც საქართველოზე გამავალ „ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის ეკონომიკური დერეფნის“ პროექტს სრულიად შეესატყვისება“⁷.
- აღნიშნული გლობალური ინიციატივის ფარგლებში პერსპექტიულია თანამშრომლობა ევროპა-აზიის მიმართულებით ტვირთების გადაზიდვის საქმეშიც, განსაკუთრებით, პანდემიის შემდგომ სარეაბილიტაციო ოპერაციებზე გაზრდილი მოთხოვნის ფონზე.

7. პაპავა, ვლ. „ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივა“ და საქართველო, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, N 93, 2017.

ბოლო წლებში გაიზარდა ტვირთების ტრანსპორტირება ჩინეთიდან ევროპაში, საქართველოს გავლით, მაგრამ ეს მხოლოდ საწყისი ეტაპია. საქართველო თანამედროვე ინფრასტრუქტურის ფორმირებით უნდა გახდეს ერთ-ერთი საკვანძო სატრანზიტო ჰაბი. კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება „ტრანსკასპიური“/„შუალედური“ სატრანზიტო დერეფნის სრულფასოვნად ამოქმედება.

- საინტერესო მიმართულებაა ახალი ტექნოლოგიებით ერთობლივი პროდუქციის გამოშვება თავისუფალი ეკონომიკური ზონების, ანუ ტექნოლოგიური პარკების მოდელების გამოყენებით. ამ კუთხით ჩინეთს მოწინავე პოზიციები უკავია მსოფლიოში (შანხაის, შენჯენის, თიანძინის მაგალითები). საქართველოში ჩინური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილია სამი ასეთი ეკონომიკური ზონა (თბილისში, ქუთაისსა და ფოთში), მაგრამ ყველა ვერ ამუშავდა სრულფასოვნად. საქართველოს ინტელექტუალური რესურსების, ქვეყანაში სტაბილური ვითარების და ხელსაყრელი ბიზნესგარემოს, ევროკავშირთან და სხვა მეზობელ ქვეყნებთან ამოქმედებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის გათვალისწინებით, ეს მომგებიანი პროექტი უნდა გახდეს. მან უნდა გააჟანსალოს საქართველოს ექსპორტის სტრუქტურაც, მათ შორის, ჩინეთთან, რომელიც ბოლო ათწლეულში პრაქტიკულად არ შეცვლილა – კვლავაც დომინირებს ნედლეულისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი.
- მიუხედავად ეკონომიკური და სოციალური პრობლემებისა, ვფიქრობთ, გაიზრდება ქართული ღვინისა და სხვა ალკოჰოლური პროდუქციის ექსპორტი ჩინურ ბაზარზე. ამისთვის არსებითია პროდუქციის ხარისხის შენარჩუნება და ჩინური ბაზრის სპეციფიკის უკეთ შესწავლა.

დაბოლოს, როგორც არ უნდა განვითარდეს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ვითარება, კიდევ უფრო გაიზრდება იმ სახელმწიფოების მნიშვნელობა, რომლებიც უშუალოდ აკავშირებენ ერთმანეთთან მსოფლიო ბაზრის საკვანძო ნაწილებს და ასრულებენ, ასე ვთქვათ, „ხიდი-სახელმწიფოების“ ფუნქციას პანდემიის შემდგომ პერიოდში. ასეთი სახელმწიფოები განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებენ გლობალური თანამშრომლობის ახალ მოდელებში. რეგიონსა და მსოფლიოში აღიარებულია ჩვენი ქვეყნის ხელსაყრელი ბიზნესგარემო და ეკონომიკური რეფორმები. ამდენად, საქართველოს შეუძლია უფრო აქტიური გახადოს თავისი, როგორც საერთაშორისო დამაკავშირებლის ფუნქცია. ამ ყველაფერს აძლიერებს საქართველოს მიერ გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებები ევროკავშირთან, ჩინეთთან და მთელ სამეზობლოსთან.

საქართველოს რეალურად აქვს ყველა წინაპირობა, ეფექტურად წარმოადგინოს დასავლური ბიზნესინტერესები, აქტიურად ჩაერთოს აზიაში ეკონომიკურ პროექტებში და ამასთან, გაუზიაროს დასავლეთს აზიის რეგიონთან საქმიანი ურთიერთობების გამოცდილება და სპეციფიკა, მათ შორის – ჩინეთის მიმართულებითაც.

***დავით აფციაური** არის მინველი პროფესორი და მკვლევარი აშშ-ის, ევროპის, ჩინეთის, თურქეთის, სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიისა და საქართველოს წამყვან სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში. იგი იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლიეტუვაში, ლატვიასა და ესტონეთში, ასევე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, მონღოლეთსა და ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში.*



ნინო ბურჯანაძე, დეივიდ გლენდენინგი, კოტე ზალდასტანიშვილი - ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს-საბჭოს დაფუძნება, თბილისი, 2006, © ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს-საბჭო. **Nino Burjanadze, David Glendenning, Kote Zaldastanishvili - Launching The EU-Georgia Business Council, Tbilisi, 2006, © EU-Georgia Business Council.**

რთული პერიოდი და სწორი გადაწყვეტილებები – ფიქრები პანდემიისას

ჰოუარდ ჩეისი

*საქართველოს, როგორც ყოველთვის, ამ საგანგებო
ვითარებაშიც საკუთარი იდენტობა, პარტნიორებთან
მეგობრობა, საერთო ინტერესები გადაარჩენს*

პანდემიამ უზარმაზარი დარტყმა მიაყენა ეკონომიკას, მისი აღდგენა კი ხანგრძლივი და დაბრკოლებებით სავსე პროცესი იქნება. ბევრი ქვეყნის ხელისუფლება და საზოგადოება შეეცდება საკუთარ თავში ჩაიკეტოს. ეს შეცდომა არ უნდა დავეშვათ. პანდემიის კონტროლის, სოციალური სტაბილურობის, ეკონომიკის გაჯანსაღებისა და ეკოლოგიური მდგრადობის საკითხების მოსაგვარებლად ქვეყნებს შორის თანამშრომლობა კი არ უნდა შეიზღუდოს, არამედ, პირიქით, გაფართოვდეს, განსაკუთრებით, ისეთ სფეროებში, როგორიცაა მეცნიერება და მედიცინა, სანდო ინფორმაციის გავრცელება, ფინანსური მდგრადობა, კარგი მმართველობა და დიპლომატია. მომავალ თვეებში მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები განსაზღვრავს, საით წავა ჩვენი საზოგადოება და რამდენად შეინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას შემდეგი ათწლეულების განმავლობაში.

გლობალიზაციის სიმტკიცე და სარგებელი COVID-19-ის პანდემიამდეც ხშირად დამდგარა ეჭვქვეშ. გარკვეული თვალსაზრისით ეს გასაგებიცაა: ციფრული კომუნიკაციებისა და სოციალური მედიის წყალობით, მთელი სამყარო თითქმის ხელის გულზე მოგვექცა – ბუნებრივი თუ ადამიანის ქმედებით გამოწვეული კატასტროფები, ეკრანის მეშვეობით, გაჩენისთანავე ახერხებენ ჩვენს გაოცებას. დიდია ცდუნება იმისა – ან იქნებ ესეც მოჩვენებითია – რომ სამყაროს ყველა კუთხეში ადამიანებს ერთნაირი ნივთები, გამოცდილება თუ გასართობი გვქონდეს. საზოგადოებაში გაჩენილი კლიმატის ცვლილებასა თუ სოციალურ უსამართლობასთან დაკავშირებული პრობლემები მალევე გლობალურ მოძრაობებში გადაიზრდება ხოლმე, რომლებიც მთელ მსოფლიოში პოლიტიკოსებისა და მთავრობებისგან რეაგირებას ელოდნენ, მაშინაც კი, როცა ბოლომდე გარკვეული არ არის, თუ რა სახის ზომებია მისაღები.

ამასთან, ისიც გვესმის, რომ ვითარება სულაც არ არის მარტივი. ციფრულმა სამყარომ სრულიად წაგვლეკა, თანამედროვე ტექნოლოგიების ამ აურზაურში გვინდა რაღაც აზრი ვიპოვოთ. საყრდენს ვეძებთ ურთიერთობებში, ვცდილობთ გავერკვეთ საკუთარ სოციალურ ინტერესებში, ვეძებთ ჩვენივე პროფესიის ადამიანებს, რადგან მათთან საერთოს გამოიხატავს

შეგვიძლია. ამასთან, ისიც დანამდვილებით ვიცით, რომ ციფრულ კომუნიკაციებს დიდი სარგებლობა მოაქვს, რადგან ჩვენთვის საინტერესო ადამიანებთან და მოვლენებთან უფრო სწრაფად და ადვილად გვაახლოებს. ამიტომ ვცდილობთ გავარკვიოთ, რამდენადაა ეს ყველაფერი დაკავშირებული ერთმანეთთან, როგორ დავინახოთ და გავიაზროთ ის, რაც მნიშვნელოვანია, და რა შეიძლება გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენი გარემოსა და საზოგადოების მდგრადი მომავალი უზრუნველვყოთ, პრობლემები მოვაგვაროთ.

სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ გლობალური პანდემია, როგორც მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ძალა. ის ხომ არც პირველია და, სამწუხაროდ, არც უკანასკნელი. გლობალიზაციას ამ კონტექსტში თავისი წვლილი უდავოდ შეაქვს. მთელ მსოფლიოში ინტენსიური მიმოსვლის აღდგენა აუცილებელია როგორც საქმიანი ადამიანებისთვის, ისე დასვენების მსურველთათვის (თუნდაც მათთვის, ვისაც მსოფლიოში გაფანტული ნათესავებისა და მეგობრების მონახულება გვსურს) და ეს უმნიშვნელო საკითხი სულაც არ არის. ამასთან, ისიც ცხადია, რომ პანდემიის მართვა დიდწილად გლობალური ამოცანაა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება მეცნიერებასა და კვლევებს, ასევე მნიშვნელოვანია არსებული რეალობის მართვის საუკეთესო მეთოდების შესწავლა და გაზიარება (მართალია, პანდემიის გავრცელებისას სწორი რჩევები ბევრმა არაფრად ჩააგდო, მაგრამ ამ ვითარებაში საკმაოდ პოზიტიური ტენდენციაც გამოჩნდა – ადამიანების უმეტესობა საკითხს დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა).

დღევანდელი რეალობა იქნებ საგულისხმო მინიშნებადაც გამოდგეს არა მხოლოდ პანდემიის არსის, არამედ ზოგადად იმის ამოსახსნელად, თუ როგორ გავერკვეთ კომუნიკაციების გლობალურ „გრიგალში“. ერთი მხრივ, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა ავიღოთ, ყურადღება საკუთარ ოჯახებზე, მეგობრებსა და კოლეგებზე გადავიტანოთ, საზოგადოებაში გავრცელების რისკები შევამციროთ და „სახლში დავრჩეთ“ – ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. მეორე მხრივ კი, საჭიროა ურთიერთობები დავამყაროთ და განვაკეთაოთ, მოვეუსმინოთ, ვიკითხოთ, ვისწავლოთ და ყველა გზით ვითანამშრომლოთ, რათა გავაძლიეროთ ჩვენი საზოგადოებები და ავამოქმედოთ ის, რაც „ახალ ნორმად“ იქცევა.

მსგავსი მიდგომა ვრცელდება დიდ პოლიტიკასა თუ მთავრობის გადანაცვებულებებზეც, იმაზე, რაც ჩვენს ცხოვრებას განსაზღვრავს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ შესაძლოა ეს სხვაგვარად მოგვეჩვენოს. უდავო და ნათელია სწორი პოლიტიკისა და კომპეტენტური მართვის მნიშვნელობა, რასაც ხანდახან სათანადოდ ვერ ვაფასებთ. ის ქვეყნები, რომლებსაც პანდემიასთან ბრძოლაში მეცნიერული მიდგომის მნიშვნელობა კარგად ესმოდათ და შექმნილ ვითარებაში საუკეთესო გადანაცვებულებებს იღებდნენ, დიდ სიძნელეებს ბევრად უკეთ გაუმკლავდნენ, ვიდრე ისინი, ვინც მხოლოდ ლოზუნგებს აფრიალებდნენ და ვისი ქმედებაც წარმოდგენას უფრო გავდა, ვიდრე საქმის კეთებას. შესაძლოა, მოქალაქეებმა და ამომრჩევლებმა პოლიტიკოსები საბოლოოდ იმის მიხედვით დააფასონ ან განსაჯონ, თუ რამდენად დიდი ზეგავლენა იქონია მათმა ლოზუნგებმა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მყარ საფუძველზე აგებულმა და კარგად გააზრებულმა პოლიტიკამ ამ რთულ და სტრესულ ვითარებაში მეტ ადამიანზე მოახდინა სასიკეთო გავლენა.



კოტე ზალდასტანიშვილი, არვე ტორვიკი, ბადრი ჯაფარიძე, დევიდ გლენდენინგი - „სტატოილის“ ღონისძიება, ბრიუსელი, 2006, ოჯახის არქივიდან. **Kote Zaldastanishvili, Arve Thorvik, Badri Japaridze, David Glendenning - Event organized by 'Statoil', Brussels, 2006, from family archive.**

ასევე უნდა გავიაზროთ ჩვენს ცხოვრებასა და საზოგადოებაზე გავლენის მქონე სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები და გადანყვეტილებები. საქართველოში ამ მხრივ ნიშანდობლივი მაგალითის ძიება დიდხანს არ მოგვინევს. ეს არის ენერგეტიკული დერეფანი კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე და ევროპამდე. წარსულს და 25-წლიან გამოცდილებას თუ გავიხსენებთ, თვალს თუ მივადევნებთ ამ პერიოდის მიღწევებსა და მოვლენებს, ეჭვგარეშეა, რომ სამხრეთ კავკასიის ნავთობისა და გაზსადენების არსებობა, რომლებიც ამერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთს და სხვა მიმდებარე ქვეყნებს უკავშირდება, გარდაუვალი იყო, თუმცა 25 წლის წინ ამ გადანყვეტილების სისწორეში ბევრი როდი იყო დარწმუნებული.

ამ ეპოქის ადამიანებისთვის მოვლენები ცივი ომის შემდგომი, წარმოუდგენლად დრამატული სოციალური ცვლილებების, პოლიტიკური გაურკვევლობისა და უზარმაზარი კომერციული თუ პოლიტიკური რისკების ფონზე ვითარდებოდა. დიდ სახელმწიფოებს თავიანთი ინტერესები ჰქონდათ, მაგრამ, საბედნიეროდ, შეერთებულმა შტატებმა ყველა სირთულის გადასალახად თანმიმდევრული და კონსტრუქციული გზა აირჩია. ინვესტორებმა კომერციული მოგების, სატრანსპორტო მარშრუტებისა და ბაზრებისათვის კონკურენციისა და ახალი, გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარების კარგი შესაძლებლობა დაინახეს, რამაც უზარმაზარ კაპიტალდაბანდებებსა და უპრეცედენტო ტექნიკურ მიღწევებს გაუხსნა გზა.

საბოლოოდ, უმთავრესი მაინც გადანყვეტილებები აღმოჩნდა და არა მხოლოდ გლობალური გეოპოლიტიკის განმსაზღვრელ შორეულ დედაქალაქებში მიღებული გადანყვეტილებები. იმ დროისთვის დამოუკიდებლობამოპოვებულ ამერბაიჯანსა და საქართველოს, ასევე მათ

მეზობელ თურქეთს, რისკები და სარგებელი დროულად, თუმცა დიდი გაურკვევლობის პირობებში, კარგად უნდა აეწონ-დაეწონათ. როგორც პანდემიის დროს, ინფორმაციის ფაქტორს მაშინაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და კარგი ანალიზიც გადამწყვეტი იყო. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთობების წყალობით, სათანადო ნიადაგი მომზადდა, საბოლოო გადაწყვეტილება კი კომპეტენტურმა და პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა მიიღეს.

ყველა ქმედებას გარკვეული შედეგი მოსდევს და ყველა შედეგი დადებითი ვერ იქნება, თუმცა, თუკი დაგვიქრდებით, აღმოვაჩენთ, რომ სამხრეთ კავკასიის ნავთობისა და გაზის სადენებმა რეგიონს მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანა და ეს - არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. უდავოა, რომ ამ პროექტის წყალობით საქართველომ და მისმა მეზობელმა ქვეყნებმა დანარჩენი მსოფლიოს მხრიდან მეტი ყურადღება დაიმსახურეს და ერთმანეთთანაც უფრო მჭიდრო კავშირები განავითარეს. სამხრეთ კორიდორის გაზსადენი აზერბაიჯანში იწყება და საქართველოს გავლით თურქეთს, ბულგარეთს, ალბანეთს, იტალიასა და ევროკავშირის გაზის ბაზარს უკავშირდება. შესაბამისად, იკვეთება საერთო ინტერესებიც. საქართველომ შეინარჩუნა უნიკალური იდენტობა და შეიძინა ახალი მეგობრები. მას ახლა ღირსეული ადგილი უჭირავს მოლაპარაკების მაგიდასთან, სადაც რეგიონული, ევროპული და გლობალური ინტერესები განიხილება.

ეს მიღწევები შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ღირსეული ადამიანების მიერ სხვადასხვა ეტაპზე გამოვლენილი თავდადება და ცოდნა. ჩვენი პასუხისმგებლობა და მოვალეობაა, რომ ამ ადამიანების მიღწევებს გავუფრთხილდეთ და COVID-19-ით გამოწვეული არეულობის ეტაპი გადავლახოთ. სახელმძღვანელო პრინციპები ამ შემთხვევაშიც უცვლელია - სიფრთხილე და ყურადღება ქვეყნის შიგნით, კავშირები და თანამშრომლობა როგორც უშუალო მეზობლებთან, ასევე სხვებთან, გეოპოლიტიკური რეალობისა და პოლიტიკური საკითხების ღრმა ცოდნა, გაცნობიერება და ნებისმიერ სიტუაციაში კომპეტენციისა და საღი აზრის პატივისცემა.

საქართველო ახალგაზრდა ქვეყანაა, თუმცა მის საზოგადოებას ღრმა ფესვები და გამოკვეთილი იდენტობა აქვს. ის უამრავ კრიზისს გადაურჩა და მომავალშიც გადაურჩება. ქვეყანას ბევრი მეგობარი ჰყავს როგორც ევროპაში, ისე შეერთებულ შტატებსა და სამეზობლოში. ამ მეგობრულ ურთიერთობებს ნებისმიერ ვითარებაში სჭირდება გაფრთხილება და ხელშეწყობა. ეს არის მოცემულობა, რომელიც პანდემიის პირობებშიც უცვლელი რჩება. მეტიც, მისი მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იზრდება და ძლიერდება. საქართველოს, როგორც ყოველთვის, ამ საგანგებო ვითარებაშიც საკუთარი იდენტობა, პარტნიორობთან მეგობრობა, საერთო ინტერესები გადაარჩენს და კიდევ უფრო უწყვეტი, ურთიერთდაკავშირებული მომავლისკენ გაუკაფავს გზას.

პოუარდ ჩეისი არის კომპანია „დოუ ქემიკალის“ უფროსი დირექტორი ევროპის ახლო აღმოსავლეთთან, აფრიკასთან, თურქეთსა და ინდოეთთან სამთავრობო ურთიერთობების საკითხებში. იგი იყო კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმის“ ევროპულ სტრუქტურებთან ურთიერთობების ხელმძღვანელი, უფროსი დირექტორის რანგში ხელისუფლებასთან ურთიერთობების საკითხებში წარმოადგენდა „ბრიტიშ პეტროლიუმს“ ბრიუსელში, ვაშინგტონში, მოსკოვში, ლონდონსა და მსოფლიოს სხვა მნიშვნელოვან ქალაქებში.

COVID-19-ით შეზღუდული სამყაროს ცვალებადი და ჯერაც უცვლელი მოცემულობები

ირაკლი მენაღარიშვილი

COVID-19-მა დააჩქარა გადასვლა უფრო ფრაგმენტულ მსოფლიო წესრიგზე

COVID-19-ის პანდემია მართლაც უპრეცედენტო გამოდგა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გენერალური მდივანი ანხელ გურია წერს: „ეს (COVID-19) XXI საუკუნის მესამე და უდიდესი ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური შოკია და საპასუხოდ მოითხოვს თანამედროვე გლობალურ ძალისხმევას, რომელიც მასშტაბით მარშალის გეგმისა და გასული საუკუნის „ახალი შეთანხმების“ ჯამს უტოლდება. „...ახლა დროა, სასწრაფო და მასშტაბური პასუხისა, სუბნაციონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე... მხოლოდ სათანადო, სანდო და საერთაშორისოდ კოორდინირებულ ძალისხმევას შეუძლია დაძლიოს ჯანდაცვის გადაუდებელი გამოწვევა, შეამსუბუქოს ეკონომიკური შოკი და დასახოს აღდგენის გზა“.¹

COVID-19-ის პანდემიამ შეცვალა მსოფლიოს აღქმის უამრავი განზომილება, მაგრამ ჯერჯერობით – ყველაფერი არა. ჯერაც მიმდინარეობს მწვავე დისკუსია არაერთ პრინციპულ საკითხზე და, როგორც მოვლენათა განვითარებიდან ჩანს, სიურპრიზებს კიდევ უნდა ველოდეთ და შეიძლება მოულოდნელი, მწვავე მსჯელობის თემებიც გაგვიჩნდეს.

დღეს ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევხებით. ამასთან, შევეცდებით ეს თემისები საქართველოს რეალობას და COVID-19-თან ბრძოლაში მის გადადგმულ ნაბიჯებს დავუკავშიროთ.

COVID-19 პირველი ეპიდემია როდია, რომელმაც საქართველოს მოსახლეობას მძიმე განსაცდელი მოუტანა. ქართველ ხალხს შუა საუკუნეებში მთელ ევროპასთან და აზიასთან ერთად მოუხდა შავი ჭირისა თუ ყვავილის პანდემიების გადატანა და მსოფლიოში ნატურალური ყვავილის აღმოსაფხვრელ ბრძოლაში მონაწილეობა. მრავალი სხვა პროფესიის

1. OECD Secretary-General Angel Gurría: Coronavirus (COVID-19): Joint actions to win the war, (21.03.2020), <http://www.oecd.org/newsroom/oecd-secretary-general-coronavirus-war-demands-joint-action.htm>

წარმომადგენლებთან ერთად, ქართველ ეპიდემიოლოგებს თავდაუზოგავი ბრძოლა დასჭირდათ საქართველოს, და არა მარტო საქართველოს, საუკუნოვანი პრობლემის – მალარიის ეპიდემიის შესაჩერებლად და საბოლოოდ მოსასპობად. ამას მხოლოდ მედიკოსების მცდელობა როდი ეყოფოდა. კოლხეთის უზარმაზარი, ჭაობიანი სივრცეების – მალარიის ამ ერთ-ერთი ისტორიული ბუდის მოშლის გარეშე წარმოდგენილი იყო ამ დაავადებასთან გამკლავება. ამიტომ ათწლეულების განმავლობაში მიმდინარებდა კოლხეთის ჭაობიანი დაბლობის დაშრობის გიგანტური პროექტი, რომელიც ამავე დროს კოლოსალურ ეპიდსა-წინააღმდეგო ძალისხმევასაც წარმოადგენდა. ამ ყველაფრის შედეგად გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში მალარიის მხოლოდ ერთეული, ისიც იმპორტირებული, შემთხვევებიღა ვლინდებოდა. ასე გაქრა მსოფლიოს სამედიცინო რუკიდან მალარიის მსხვილი ენდემური კერა – „კოლხეთი“.

საქართველოს კოვიდსაწინააღმდეგო ღონისძიებებიც პირველ ეტაპზე სამაგალითოდ მიიჩნია არაერთმა საერთაშორისო სტრუქტურამ. ამის ძირითადი მიზეზი, რა თქმა უნდა, პროფესიონალ ეპიდემიოლოგთა და სახელმწიფო აპარატის ფუნქციების დროული და კორექტული განაწილება იყო, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა პანდემიის ადრეულ ეტაპზე შეკავება და დაავადების გავრცელების მართლაც ეფექტური კონტროლი. მიუხედავად ამისა, ჯერ ნაადრევია COVID-19-ის ისტორიის არქივისათვის გადაცემა. დღეს უკვე ეპიდსიტუაციის ახალი გამწვავების მომსწრენი გავხდით. ასე რომ, საქართველოს ხელისუფლებას და, რა თქმა უნდა, სამედიცინო სამსახურს კიდევ დიდხანს მოუწევთ დაძაბული საქმიანობა.

COVID-19-ის პანდემიამ სერიოზული გავლენა მოახდინა მსოფლიო პოლიტიკურ წესრიგზე და ბევრი რამ მართლაც ახლებურად დაანახა მსოფლიო საზოგადოებას. COVID-19-მა თითქმის მკვეთრად დაამუხრუჭა გლობალიზაციის უნივერსალური პროცესი და დააჩქარა გადასვლა უფრო ფრაგმენტულ მსოფლიო წესრიგზე, რომელშიც გაურკვეველია საერთაშორისო სისტემის მომავალი ორგანიზაციული პრინციპები. ამ თვალსაზრისით, რაც არ უნდა უცნაურად ჩანდეს, პანდემია და აშშ-ის პრეზიდენტის გლობალური, იზოლაციონისტური დღის წესრიგი გარკვეულწილად ერთმანეთს მოერგო კიდევ.

აღსანიშნავია, რომ ამ ვითარებაში მსოფლიოს ორი ზესახელმწიფო, ერთმანეთის კონკურენტი აშშ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ვერ გამოვლენ COVID-19-დან „გამარჯვებული“ ისე, რომ თან მკვეთრად შეცვალონ გლობალური ძალაუფლების ბალანსი თავიანთ სასარგებლოდ.

COVID-19-ის ეკონომიკური გავლენა ასევე აისახება აშშ-ისა და, შესაძლოა, სხვა ქვეყნების თავდაცვის ბიუჯეტებზეც, რაც ძალის მოდერნიზაციის ტემპზეც იმოქმედებს.

„დიდი ძალის კონკურენციის“ პარადიგმა არასწორად აღწერს ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის უახლეს სტრატეგიაში ამ ახალ გეოპოლიტიკურ გარემოს.



ლუი მიშელი, ირაკლი მენაღარიშვილი, კოტე ზალდასტანიშვილი - ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში, თბილისი, 2002, © საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. **Louis Michel, Irakli Menagharishvili, Kote Zaldastanishvili - Visit of Belgian Minister of Foreign Affairs to Georgia, Tbilisi, 2002, © Ministry of Foreign Affairs of Georgia.**

ახალ გეოპოლიტიკურ პირობებში, ნებისმიერი ქვეყნისათვის უფრო და უფრო რთულდება საკუთარი ნების განხორციელება, რადგან ძალის რამდენიმე პოლუსი ერთდროულად თანამშრომლობს და კონკურენციას უწევს მას.

ამ სამყაროში აშშ ჯერ კიდევ მართავს საკუთარ ალიანსებს, თუმცა მოკავშირეები ახლა უფრო არჩევენ, სად უნდათ მოკავშირეობა შეერთებულ შტატებთან და სად – საკუთარი გზით სიარული.

პანდემიისას, როგორც ჩვეულებრივ საერთო-ეროვნული კრიზისების დროს, მკაფიოდ იკვეთება ქვეყნის ლიდერის არა მხოლოდ როლი და ადგილი პოლიტიკურ სისტემაში, არამედ მისი უნარები და პიროვნული თვისებებიც კი. ამ თვალსაზრისით, COVID-19-მა ბევრ შემთხვევაში მასშტაბური გლობალური ტესტის ფუნქციაც შეასრულა. COVID-19-ის პანდემიის პერიოდში არაერთი სახელმწიფოს მეთაურის, პოლიტიკოსის, რბილად რომ ვთქვათ, „ექსცენტრული“ ფრაზა ან პოლიტიკური გადაწყვეტილება მოექცა მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში. ყველაზე მეტი ყურადღება, რა თქმა უნდა, აშშ-ს პრეზი-

დენტმა დაიმსახურა. ამის დასტურად საკმარისია მისი ერთი განცხადებაც კი – მან თქვა, რომ შეეზღუდათ COVID-19-ზე ტესტების რაოდენობა, რადგან ტესტების რიცხვის გაზრდა იწვევდა გამოვლენილ ინფიცირებულთა რაოდენობის მატებას. ვფიქრობთ, აქ კომენტარი არც არის საჭირო.

პრეზიდენტი ტრამპი დაუნდობლად გააკრიტიკა ფილოსოფოსმა და პუბლიცისტმა ფრენსის ფუკუიამამ. იგი წერს: „ქვეყნის ერთ-ერთი უბედურება ის იყო, რომ კრიზისის დროს მის სათავეში თანამედროვე ისტორიის მანძილზე ყველაზე არაკომპეტენტური და საკამათო ლიდერი იდგა და მისი მართვის მოდელი ზეწოლითაც არ შეცვლილა. დონალდ ტრამპმა ვერ შეძლო ეფექტურად განეღებინა თავისი შესაძლებლობები, როდესაც ეს სიტუაციამ მოითხოვა. იმის გამო, რომ დაპირისპირება და რისხვა, როგორც ის მიიჩნევდა, უკეთ ემსახურებოდა მის პოლიტიკურ ბედს, ვიდრე ეროვნული ერთობა, მან კრიზისი ახალი დაპირისპირებების დასაწყებად და სოციალური დაყოფის გასაღრმავებლად გამოიყენა. პანდემიის დროს შეერთებულმა შტატებმა ცუდი შედეგი აჩვენა რამდენიმე მიზეზის გამო, მაგრამ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნის ლიდერის უუნარობა გახლდათ“.²

რატომ არიან დემოკრატიები უკეთესი მოთამაშეები პანდემიისას? COVID-19-ის პანდემიამ გაამძაფრა კამათი იმის შესახებ, ხელში იგდებენ თუ არა ავტორიტარული სახელმწიფოები მთელ მსოფლიოში ძალაუფლებას. ამის საპირისპიროდ, დემოკრატიები წარმოაჩენენ ინოვაციისა და ადაპტაციის უნარს. მიუხედავად მრავალი ნიშნის არსებობისა, რომ არაერთ ქვეყანაში ძალოვნების (სამხედროები, პოლიცია, უსაფრთხოების სამსახურები) ლიდერებმა კრიზისი თავიანთი ძალაუფლების კონსოლიდაციისთვის გამოიყენეს, კორონავირუსმა ავტოკრატიის დაუცველობა უფრო გამოავლინა, ვიდრე მისი სიძლიერე.

ჩინეთი არქეტიპული, ავტორიტარული სახელმწიფოა. მისმა მთავრობამ შეძლო თავისი ცენტრალიზებული, უნიტარული გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურის უფლებამოსილების გამოყენება, რათა მკაცრად დაებლოკა ჰუბეის პროვინცია და ამით „შეეჩერებინა“ ვირუსის გავრცელება ქვეყნის მასშტაბით. ჩინეთში ვირუსით დაღუპულთა რაოდენობა, სავარაუდოდ, ბევრად აღემატება ოფიციალურ მონაცემებს, ამიტომ ჩინეთის ხელისუფლების განცხადებები ვირუსის გავრცელების შეჩერების შესახებ მსოფლიოს საზოგადოებას სერიოზულად არ მიუღია.

რა თქმა უნდა, დემოკრატია ყოველთვის პოზიტიური როდია. ქვეყნები, სადაც COVID-19-მა ყველაზე უარესი შედეგები მოიტანა ერთ სულ მოსახლეზე სიკვდილობით, უმეტესად დემოკრატიულია, მათ შორის, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, იტალია, ესპანეთი და შეერთებული შტატები. რაც უმეტეს შემთხვევაში მცდარმა ან დაგვიანებულმა გადაწყვეტილებებმა განაპირობა.

საგულისხმოა, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში ეპიდსიტუაცია გამწვავდა პანდემიის დასაწყისში, სანამ შესაბამისი სამსახურები სათანადო გამოცდილებას შეიძენდნენ. შემდგომმა

2. Francis Fukuyama, *The Pandemic and Political Order*, Foreign Affairs July/August 2020, <https://www.foreignaffairs.com/articles/world/2020-06-09/pandemic-and-political-order>

ნაბიჯებმა კი გამოავლინეს დემოკრატიული წყობის საკმაო მოქნილობა და ინოვაციურობა, რამაც მათ ეპიდსიტუაციის კონტროლის საშუალება მისცა.

დემოკრატიული ქვეყნები არიან საუკეთესოთა შორის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ ხელმძღვანელობენ არა პოპულისტი ლიდერები, არამედ ისინი, ვისაც საზოგადოება ენდობა. ამის მაგალითებია გერმანია, ტაივანი, ფინეთი, ნორვეგია, ახალ ზელანდია და სამხრეთი კორეა – ამ ხუთეულს ხელმძღვანელობენ ქალები, რომელთა მართვის სტილი უფრო ინკლუზიურია.

დემოკრატიებმა ასევე აჩვენეს თავიანთი თანდაყოლილი გამძლეობა და ადაპტაციის უნარი. ბრიტანეთის ცენტრალიზებულ სისტემებს უფრო მეტ პოლიტიკურ კონტროლს უწევდნენ რეგიონული მთავრობები. ტაივანის შემთხვევაში გამოჩნდა, რომ ინდივიდუალური დემოკრატიული უფლებების დაცვით შესაძლებელია ეფექტური ზედამხედველობა ნებაყოფლობით ჯანმრთელობის დაცვაზე. გერმანია კი ეყრდნობა თავისი ფედერალური მთავრობის სიძლიერეს. პოლიტიკურად კიდევ უფრო გაყოფილმა დემოკრატიებმა, როგორებიცაა შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი, სწრაფად წარმოადგინეს მასპინძლობის ინდუსტრიის მასიური მაკროეკონომიკური სტიმული, რასაც მრავალპარტიული მხარდაჭერა ჰქონდა.

ამავე დროს, დემოკრატიის წარმომადგენლებმა აჩვენეს თავიანთი მრავალფეროვანი და დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოებების სიძლიერე და მნიშვნელობა, რომ ამ ტიპის კრიზისის მოსაგვარებლად თავისუფლად შეუძლიათ მობილიზება. კორპორაციების, უნივერსიტეტების, ფონდებისა და არაკომერციული ორგანიზაციების პარტნიორობით ადგილობრივ ხელისუფლებასა და საერთაშორისო სტრუქტურებთან შესაძლებელი გახდა სამედიცინო მომსახურების, სოციალური დახმარებისა და ვაქცინაციის უზრუნველყოფაც კი.

ავტორიტარული სახელმწიფოების სიმყიფე აშკარად გამოჩნდა ჩინეთის მაგალითზე. როდესაც ქვეყანაში მხოლოდ ერთი მუდმივი ლიდერია, პარტია ან პირი, მარცხი დაუშვებელია და შეცდომები არ უნდა გამოჩნდეს. ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ სცადა ვირუსის გავრცელების მასშტაბის დაფარვა 2019 წლის დეკემბრიდან 2020 იანვრის დასაწყისამდე. ასე რომ, დაპირისპირება დემოკრატიულ და ავტორიტარულ რეჟიმებს შორის ასეთ კრიზისულ სიტუაციაშიც კი, როგორც ისტორიულად, ისე დღესაც, უცვლელ მოცემულობად რჩება.

ვფიქრობთ, მოახლოვდა ეპილოგის დროც. მაგრამ ამ ესეს ეპილოგი ჯერ არ ეკუთვნის. ეპილოგი მოსათხოვრები ამბის ფინალშია საჭირო. COVID-19-ის ისტორიის დასასრულამდე კი ჯერ ადრეა. უფრო მეტიც, უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული მონაცემებით, პანდემიის ისტორიამ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შეიძლება კიდევ არაერთი სიურპრიზი შემოგვთავაზოს. ასე რომ, არავინ იცის, წინ კიდევ რა გველოდება, მაგრამ ადამიანთა ცივილიზაციის მოქნილობისა და ადაპტაციის უნარის წყალობით, შეიძლება გვქონდეს დღემდე შეუცვლელი მოცემულობების სასიკეთოდ შეცვლის იმედი.

ირაკლი მენაღარიშვილი არის სტრატეგიული კვლევების ცენტრის დირექტორი. იგი იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი.



თინათინ ხიდაშელი, კოტე ზალდასტანიშვილი - საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვიზიტი ავსტრიაში, ვახაუ, 2015, © საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.
Tinatin Khidasheli, Kote Zaldastanishvili - Georgian Minister of Defense visiting Austria, Wachau, 2015, © Ministry of Foreign Affairs of Georgia.

თავისუფლება კანდემიის ჟამს

თინათინ ხიდაშელი

სახეზეა ინსტიტუციური მართვის არარსებობა და მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ერთი უნარიანი, მკაცრი ხელის მიმართ

დემოკრატიული მმართველობის დამყარება დასავლურ სამყაროში ტირანიაზე, ძალაუფლებისა და, შესაბამისად, სახელმწიფოს ერთი ადამიანის ან ადამიანების მცირე ჯგუფის მიერ მითაცებასა და ძალადობაზე გამარჯვების მანიფესტაციაა. დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრება კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარია, რომელმაც განვითარების წინაპირობად ტოლერანტობა, თანასწორობა და თავისუფლება აქცია. დემოკრატიის მონაპოვარია სახელმწიფო საქმეების გაძღოლის საყოველთაოობა, თანამონაწილეობა, მუდმივი კონტროლი და ანგარიშვალდებულება, უთანასწორობის, კლასობრივი ან რაიმე სხვა მოტივით მინიჭებული პრივილეგიების წინააღმდეგ ბრძოლა. დემოკრატიის მონაპოვარია უნივერსალურ ღირებულებად არა კონკრეტული ოჯახების შთამომავლობის, ქონების ცენზის, სქესის ან რელიგიური იერარქიის, არამედ ადამიანის გამოცხადება. სახელმწიფოს განვითარება და პროგრესიც სწორედ ადამიანებს შორის ურთიერთობებს, ადამიანებს შორის თავისუფალ და ჯანსაღ კონკურენციაში მიღწეულ წარმატებას ემყარება.

განმანათლებლობის ეპოქიდან მოყოლებული, სწორედ ადამიანის მთავარ ღირებულებად და სახელმწიფოს საყრდენად გამოცხადების კვალდაკვალ, ადამიანის ბედნიერებისკენ მუდმივი სწრაფვის ხელშეწყობა ან, მინიმუმ, ხელის არშეშლა მაინც, მოდერნიზებული, რესპუბლიკური მმართველობის სახელმწიფოების უზენაეს ღირებულებად იქცა. აკი, ასეც ჩაინერა ამერიკის დამოუკიდებლობის აქტში, ჯერ კიდევ 1776 წლის 4 ივლისს:

„ადამიანები შექმნილი არიან როგორც თანასწორი არსებანი, მათ ღმერთმა მიანიჭა გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორიცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ლტოლვა; ამ უფლებათა განსამტკიცებლად იქმნებიან მთავრობები, რომლებსაც კანონიერი ძალაუფლება ენიჭებათ იმათი თანხმობით, ვისაც ისინი განაგებენ; თუ განმგებლობის რაიმე ფორმა ოდესმე ამ მიზნის შემლახავი გახდება, ხალხს ენიჭება უფლება შეცვალოს ან გააუქმოს იგი და შექმნას ახალი მთავრობა“.

სწორედ ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში შუა საუკუნეებში მიღებული სხვადასხვა დეკლარაციისა და ქარტიის საფუძველზე ჩამოყალიბდა თანამედროვე ადამიანის უფლებათა სამართალი, რომელიც კრიზისების, ბუნებრივი თუ ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების დროს ადამიანების თავისუფლებისა და ღირსების დაცვისთვის მოგონილი და შექმნილი წესების ერთობლიობაა. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ მისი უდიდესი ნაწილი ყველაზე დიდი გლობალური კატასტროფის – მეორე მსოფლიო ომის შედეგია. კერძოდ, 1948 წელს კონსენსუსი შედგა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე. მანამდე, ერთი დღით ადრე, ხელი მოეწერა კაცობრიობის საწინააღმდეგო უმძიმესი დანაშაულის – გენოციდის შესახებ კონვენციას და ადამიანის უფლებათა ყოვლისმომცველი და გლობალური მოძრაობაც დაიწყო, რომლის შედეგია XX საუკუნის 50-60-იან წლებში გაეროსა და ევროსაბჭოს მრავალი კონვენცია.

ადამიანის უფლებების სხვადასხვა მექანიზმის, კანონის, სამართალწარმოების თუ უფლებდაცვითი კამპანიების აუცილებლობა მაშინ დგება დღის წესრიგში, როდესაც ადამიანის სიცოცხლე, ხელშეუხებლობა, გადაადგილების ან გამოხატვის თავისუფლება და სხვა თანდაყოლილი თუ შექმნილი უფლებები საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ამგვარი რისკები კი ომების, რევოლუციების, კონფლიქტების, პანდემიების, წყალდიდობების, მიწისძვრებისა და სხვა კრიზისების დროს ბუნებრივად მატულობს, რასაც ერთვის მმართველთა ოპორტუნიზმი, ამგვარი კატასტროფები საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად გამოიყენონ. ხელისუფლების დიდი დილემაც სწორედ აქ არის: რამდენად მოახერხებს დაიცვას ბალანსი გადაუდებელი აუცილებლობის წესებით მართვასა და დემოკრატიული, ადამიანის უფლებების დაცვასა და პატივისცემაზე დაფუძნებული წესებით სახელმწიფოს მართვას შორის.

ერთი მხრივ, სრულიად ერთმნიშვნელოვანია ბუნებრივი პროცესით ნაკარნახევი შეზღუდვების აუცილებლობა, ხოლო მეორე მხრივ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ყველა იმ მექანიზმის ზედმიწევნით შესრულება, რომელიც ბალანსის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. ადამიანის უფლებათა სამართალიც სწორედ ბალანსის დაცვის დებულებებითა და მოთხოვნებით არის გაჯერებული ტირანიის, ერთმმართველობისა და სახელმწიფოს მიტაცების თავიდან აცილების მიზნით.

დღეისათვის დემოკრატიული სამყარო შეთანხმებულია იმ ძირითად მსაზღვრელებსა და პირობებზე, რომელთა ზედმიწევნით დაცვაც ქმნის საფუძველსა და შესაძლებლობას უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის ან დროებითი შეჩერებისთვის. ეს პირობებია:

- შეზღუდვის დაშვება პირდაპირ უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული;
- შეზღუდვა უნდა იყოს აბსოლუტურად აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალება;
- შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს ექსპერტულ, სამეცნიერო დასაბუთებას, მათ შორის, ალტერნატიული წყაროებით;
- დაუშვებელი უნდა იყოს შემზღუდავი ან ამკრძალავი გადანყვეტილების მიღება ერთპიროვნულად, ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ;

- სავალდებულოდ უნდა განისაზღვროს შეზღუდვის ან შეჩერების ზუსტი პერიოდი, რაც უნდა ექვემდებარებოდეს რეგულარულ გადასინჯვას, ყოველი კონკრეტული მომენტისთვის ყველაზე აუცილებელი კორექტირებისთვის;
- დაუშვებელია მისი გამოყენება დისკრიმინაციულად, რაიმე ნიშნით იდენტიფიცირებული ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის მიმართ.

ადამიანის უფლებების სამართლის ამოცანა განსაზღვრულია, როგორც საზოგადოების ხშირად ერთმანეთთან რადიკალურად დაპირისპირებულ ინტერესებს შორის მუდმივი ბალანსის ძიება, რომელიც ყოველთვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განიხილებოდეს მეტი სიკეთის მიღების (ანუ მეტი სიკეთის ტესტის) პრიმმაში. ბუნებრივია, აქ არ იგულისხმება მონობის და წამების აკრძალვა, რაც საყოველთაოდ აკრძალულია. თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ყოველ ჯერზე, როდესაც შეზღუდვა ან შეჩერება არ არის დასაბუთებული, დროით მკაცრად შემოსაზღვრული და არ ახლავს გადასინჯვის და მუდმივი კონტროლის მექანიზმები, საქმე გვაქვს თვითნებურ, დაუსაბუთებელ და არალეგიტიმურ გადანყვებილებებთან. ასეთ პირობებში კი, შეზღუდვის ხარისხიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, ძალიან მარტივია დემოკრატიული რესპუბლიკა პოლიციურ სახელმწიფოდ იქცეს.

დღეს გლობალურად მძვინვარე კოვიდპანდემიის პირობებში, მსოფლიო მხოლოდ ჯანდაცვის სისტემის ან ჯანმრთელობის უფლების დაცვის მდგრადობას არ ცდის. პანდემიის პირობებში, ჯანმრთელობის დაცვის უფლებას ბუნებრივად ებმის სიცოცხლისა და ადამიანის ხელშეუხებლობის უფლება და გადაადგილების თავისუფლების, სიტყვისა და გამოხატვის უფლების, შრომის უფლებისა და განათლების უფლების მაღალი რისკი. ეს იმ უფლებათა მხოლოდ ნაწილია, რომელთა შეზღუდვა ან დროებითი შეჩერება, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების კვალდაკვალ, ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი.

თუმცა, თუკი შევეცდებით არსებულ მდგომარეობას უფრო შორიდან შევხედოთ და უფრო დიდი სურათი დავინახოთ, გამოჩნდება, რომ გამოწვევა, რომლის წინაშეც ლიბერალურ-დემოკრატიული ინსტიტუტები აღმოჩნდნენ, შესაძლოა დემოკრატიული მმართველობის გამოცდის ფუნდამენტური ტესტი იყოს. ვფიქრობთ, არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ ათეული წლებია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა, მიუხედავად დემოკრატიის ხარისხისა, იდენტური გამოწვევების წინაშე არ დამდგარა.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მიუხედავად ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისა თუ ინსტიტუციური მდგრადობისა, COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის სიმძაფრის, მასშტაბურობისა და ვირუსის მზაკვრული ბუნების გამო, ამ კრიზისს პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო მოუშაადებელი დახვდა.

ქვეყნების, ხშირ შემთხვევაში კი, მოქალაქეების სრული იზოლაცია იყო მრავალი ქვეყნის პირველი სპონტანური რეაქცია. ვირუსის მასშტაბური გავრცელების პირველ თვეებში, რამდენიმე სახელმწიფოს გარდა, არსად მომხდარა ინტერესების გაზომვა, მეტი სიკეთის ტესტის გამოყენება და შეზღუდვებისა და აკრძალვების დივერსიფიკაცია. საკუთარი კონსტიტუციური მოდელის წყალობით, რომელიც უბრალოდ კრძალავს გადაადგილებას

თავისუფლების უფლების თუნდაც დროებით გაუქმებას, სრულიად უნიკალური აღმოჩნდა იაპონიის მიდგომა, სადაც ხელისუფლება, მოქალაქეებისთვის რაიმეს აკრძალვის დაწესების გარეშე, რეკომენდაციებს გასცემდა. შესაბამისად, ისინიც საკუთარი რისკის და ინფორმირებული გადაწყვეტილებების ფარგლებში მოქმედებდნენ. უმნიშვნელოვანესი პირობა, რომელიც ნებისმიერი კრიზისისა თუ კატასტროფის დროს უნდა დავიცვათ, არის სახელმწიფოს ვალდებულება მოქალაქეებთან მუდმივი, უწყვეტი კომუნიკაციის რეჟიმში მოქმედებდეს იმისათვის, რომ მათ არჩევანის გაკეთების დროს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა ჰქონდეთ. უფრო მეტიც, არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული ვალდებულება, რომ კომუნიკაციის არხები თანაბარი სიხშირით ახდენდნენ მოსახლეობის ინფორმირებას როგორც მოქალაქეებისთვის გასაგებ ყველა ენაზე, ისე შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებისა და ბავშვებისთვის გასაგები თხრობის ფორმატის გამოყენებით.

დღევანდელი პანდემიის მსგავსი ვითარების დროს სამი ძირითადი მდგენელი არის თანაბრად მნიშვნელოვანი, საფიქრალი და გასააზრებელი ნებისმიერი პოლიტიკური თუ პრაქტიკულად განსახორციელებელი ქმედებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას.

პირველი - მყისიერი საფრთხისგან შენი ქვეყნის მოქალაქეების დაცვის ვალდებულებაა. მოცემულ შემთხვევაში, ეს საფრთხე სიცოცხლის შენარჩუნებაზე გადიოდა. ისევე, როგორც დანარჩენ მსოფლიოში, საქართველოშიც არ არსებობდა არც ვირუსის და არც მასთან გამკლავების სრულყოფილი და მრავალმხრივ დასაბუთებული ანალიზი. შესაბამისად, ქვეყნების უმეტესობა ერთმანეთთან კონსულტაციით, ანალოგიით ან, ცოტა მოგვიანებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად იღებდა გადაწყვეტილებებს. ასე რომ, პანდემიის გავრცელების მასშტაბის პირველი ზრდის დადასტურებისთანავე საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება შემდგომი სამოქმედო სტრატეგიის შემუშავებამდე მაქსიმალური იზოლაციისა და საზღვრების ჩაკეტვის შესახებ სწორი, დასაბუთებული და გამართლებული იყო.

შოკის ნიშნების მქონე პირველი ფაზის გავლის შემდეგ, ბუნებრივია, იწყება მეორე ეტაპი – კრიზისის შეფასება, ობიექტური მიზეზებით გამოწვეული დანაკარგებისა და გატარებული ზომებით გამოწვეული პრობლემების ანალიზი. ეს სწორედ ის ეტაპია, როდესაც ზევით რამდენჯერმე ნახსენები – საგანგებო ზომების მიმართ ანგარიშვალდებულებისა და მუდმივი გადასინჯვის – აუცილებლობა დგება. გრძელვადიანი, მდგრადი და წარმატებული შედეგებისთვის პრაქტიკულად ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს იმის გაზომვა, თუ როგორია თანაფარდობა სახელმწიფოს ჩარევას, უფლებების შეზღუდვა-გაუქმებასა და რეალურად მიღებულ ან მოსალოდნელ შედეგებს შორის. სწორედ ამგვარი ანალიზის დამოუკიდებელ და ხელისუფლების ჩარევისგან თავისუფალ გარემოში მიმდინარეობა იძლევა აუცილებელი კორექტივების შეტანის შესაძლებლობას ყველა ტიპის აკრძალვისა თუ შეზღუდვის რეჟიმში. სამწუხაროდ, განსხვავებით პირველი გადაწყვეტილებების ეფექტურობისაგან, საქართველოს ხელისუფლებამ მარტივი, ერთგვარად პრიმიტივისტული, თუმცა, ერთი შეხედვით, უსაფრთხო პოლიტიკა აირჩია. სრული იზოლაციის და ქვეყნის აბსოლუტური ჩაკეტვის პირობებში შეინარჩუნა ვირუსის გავრცელების პრევენციის დადებითი დინამი-

კა, ინფიცირებისა და გარდაცვალების დაბალი მაჩვენებლები. თუმცა ამგვარი მიდგომა პოზიტიური მაგალითია მხოლოდ ზედაპირული მიმოხილვისთვის, ვინაიდან ის ვერ ქმნის არათუ გრძელვადიანი, არამედ შუალედური წარმატების წინაპირობასაც კი.

დემოკრატიული სახელმწიფოების უდიდესი უმრავლესობის არჩევანის საპირისპიროდ, საქართველოს ხელისუფლებამ ერთი ძლიერი მმართველის, ერთი პასუხისმგებელი პირის პრინციპი აირჩია და შესაბამისად ჩაკეტა ყველა გზა კონსულტაციების, კვლევების, რეკომენდაციებისა და საჯარო განსჯა-მსჯელობისთვის. დაზუსტებისთვის ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პანდემიასთან, ისე ნებისმიერ სხვა კატასტროფასთან ბრძოლა არ არის მხოლოდ კონკრეტული დარგის სპეციალისტების საქმე, ის, უპირველეს ყოვლისა, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის დომეინია. პანდემიაზე გამარჯვებას ორი თანაბრად მნიშვნელოვანი დონე აქვს – გადარჩენილი სიცოცხლე და გადარჩენილი სახელმწიფო. უკვე ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ, პირველ ეტაპზე სიცოცხლის გადარჩენისთვის ბრძოლის წარმატების ფონზე, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან შვიდი თვის შემდეგაც არ არსებობს მოკლე, საშუალო თუ გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის დოკუმენტი, ფუნდამენტური რეფორმების პაკეტი ან ფინანსური სტაბილიზაციის გეგმა. აღარაფერს ვამბობთ პანდემიის შედეგებთან ბრძოლის გზაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ფართო თანამონაწილეობისა და ჩართულობის ან სტრატეგიული კომუნიკაციის პლატფორმის არარსებობაზე. არადა, ნებისმიერი კრიზისიდან გამოსვლა მხოლოდ მაშინ არის სწრაფად, ნაკლები დანაკარგებითა და წარმატებით შესაძლებელი, როდესაც ქვეყანას რეალურად ან ვირტუალურად ხელჩაჭიდებული მოქალაქეები სოლიდარობისა და ერთად დგომის ჯაჭვს შემოარტყამენ ხოლმე.

დემოკრატიული მმართველობა რთული და კომპლექსური პროცესია. მისი სირთულე იმიტომაც არის გამოწვეული, რომ ეფექტური და წარმატებული მოდელის წინაპირობას გადაწყვეტილებების მიღების და საკუთარი საქმიანობის დაგეგმვის პროცესში მოსახლეობის მაქსიმალური თავისუფლების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ყველაზე უფრო წარმატებულ, მდიდარ და უსაფრთხო დემოკრატიებში სახელმწიფოს მთავარი დანიშნულებაა არ ჩაერიოს და ადამიანებს თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა მისცეს. ეს პირობა იმ შემთხვევებზეც ვრცელდება, თუკი ქვეყანაში საგანგებო ან საომარი მდგომარეობაა გამოცხადებული. პირობის დაცვა კი იმაში გამოიხატება, რომ ხელისუფლება მუდმივი კონსულტაციების რეჟიმში, საზოგადოების მაქსიმალური თანამონაწილეობით ახდენს პირობების კორექტირებას სწორედ თავისუფლების სასარგებლოდ, სანაცვლოდ კი ინარჩუნებს მაღალ პოლიტიკურ ნდობას.

საგანგებო მდგომარეობის თანმდევი გარემოებების მესამე და უმნიშვნელოვანესი მდგენელი კანონის უზენაესობაა. დემოკრატიული სახელმწიფო სწორედ იმით არის უპირატესი, რომ, მიუხედავად ვითარების განსაკუთრებულობისა, სამართლებრივი გარემო მოქალაქეებისთვის არასოდეს არის მოულოდნელი და ბუნდოვანი. ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს ინსტიტუციური მოწყობის სტაბილურობა დემოკრატიული მმართველობის იმპერატივია. ზემოთ ვთქვით, რომ საგანგებო მდგომარეობების დროს და შეზღუდვების დაწესებისას აბსოლუტური იმპერატივია, რომ გადაწყვეტილებებს თვითნებურად არ უნდა

იღებდეს ერთი რომელიმე შტო და ასეთი გადაწყვეტილებები ყოველთვის უნდა იყოს ანგარიშვალდებული და ექვემდებარებოდეს გადასინჯვას. საქართველოს კონსტიტუციაში ეს პროცედურა სწორედ დემოკრატიულობის შესაფერისი წესრიგით არის მოცემული. კერძოდ, გადაწყვეტილებას საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ ხელისუფლების ერთი შტო იღებს, თუმცა მისი ძალაში შესვლისა და დამაგრებისთვის სავალდებულოა მეორე შტოსგან დადასტურება. ასევე კონსტიტუციითაა განსაზღვრული, რომ სავალდებულოა შეზღუდვებისთვის კონკრეტულად განსაზღვრული დროის დადგენა და მუდმივი ანგარიშვალდებულებისა და გადასინჯვისთვის პარლამენტის უწყვეტ რეჟიმში მუშაობა. სამწუხაროდ, პროცესის გამართივებისთვის საქართველოს ხელისუფლებამ კონსტიტუციით დადგენილისაგან განსხვავებული სამოქმედო ველი აირჩია. პარლამენტმა, კონსტიტუციის იმპერატიული მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, ზემოხსენებული საკუთარი უფლებამოსილებების ძლიერი მმართველისთვის დელეგირება არჩია, რითაც არა მხოლოდ დისკუსიის, თანამონაწილეობისა და ინფორმირების ველი გააქრო, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა თავისი გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობა.

პანდემიასთან ბრძოლის შვიდმა თვემ საქართველოს სახელმწიფოებრიობის ყველა სისუსტე ერთად გამოავლინა: ინსტიტუციური მართვის არარსებობა და მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ერთი უნარიანი მკაცრი ხელის მიმართ, რომელიც პრობლემებს ინდივიდუალურად გაუმკლავდება.

ჭკვიან კაცს უთქვამს: დემოკრატია არის მმართველობის ყველაზე უარესი ფორმა, თუ არ ჩავთვლით მმართველობის სხვა ცნობილ ფორმებსო, და თუ ვთანხმდებით, რომ დემოკრატიული მმართველობა ნამდვილად უპირატესია დღემდე ჩვენთვის ცნობილ ყველა ფორმასთან შედარებით, მაშინ იმპერატიულია მისი დაცვა არა მხოლოდ მშვიდობის დროს, არამედ, განსაკუთრებით, კრიზისებისა და კატასტროფების პირობებში.

ყოველ ჯერზე, როდესაც ხელისუფლება ცდილობს აუცილებლად მისაღები გადაწყვეტილებებისკენ მისასვლელი გზა პროცესის თვითნებური ცვლილებით დაამოკლოს, ინდივიდუალურად მართვის შემძლეობის დემონსტრირებით დემოკრატიული ინსტიტუტები გვერდზე გასწიოს და გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით კანონის მოთხოვნებს გვერდი აუაროს, ის უარს ამბობს დემოკრატიაზე და, შესაბამისად, ქვეყნის გრძელვადიან წარმატებაზე.

დემოკრატიული მმართველობა სწორედ იმიტომ ჯობია ყველა სხვა ჩვენთვის ცნობილ მოდელს, რომ ის იძლევა შესაძლებლობას, კანონის უზენაესობის დაცვითა და დემოკრატიული წარმომადგენლობით კრიზისების დროსაც მივიღოთ სწრაფი და საჭირო გადაწყვეტილებები, თან ეს ისე ვაკეთოთ, რომ ყოველი ჩვენგანის მომავალი პროგნოზირებადი დავტოვოთ და არ ვიყოთ დამოკიდებული ერთი რომელიმე ყოვლისშემძლე მმართველის ნებასა და უნარზე.

თინათინ ხიდაშელი არის ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეის“ თავმჯდომარე, კავკასიის უნივერსიტეტისა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIIPA) პროფესორი. იგი იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრი, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე.

გამოხატვის თავისუფლება COVID-19-ის პირობებში

დუნია მიატოვინი

დებინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა და პრესის თავისუფლების დაცვა ანტონიმები არ არის

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების უმეტესობისთვის COVID-19 ისტორიაში შევა, როგორც ამ საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა. პანდემიამ ჩვენი საზოგადოებები საფუძვლიანად შეარყია, მის წინააღმდეგ მიღებულმა ზომებმა კი საგრძნობლად იმოქმედა ხალხის ცხოვრებაზე. ეს ვითარება დღემდე გრძელდება.

სამედიცინო სფეროში შექმნილ კრიზისს დაემატა პანდემიასთან საბრძოლველად შემოღებული რეგულაციები, რამაც ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე მოახდინა გავლენა, კერძოდ, გადაადგილების თავისუფლებაზე, ოჯახურ ცხოვრებაზე, განათლებაზე და დასაქმებაზე.

ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სასარგებლოდ, ქვეყნები იძულებული გახდნენ მიეღოთ ისეთი საგანგებო ზომები, როგორიცაა იზოლაცია და კარანტინი. სამწუხაროდ, ხდება ამ აუცილებელი ზომების ადამიანის უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების საწინააღმდეგოდ გამოყენებაც. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა კი შექმნილი ვითარების ერთგვარ მსხვერპლად იქცა.

ჟურნალისტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუშაობის უსაფრთხო პირობები. მათ არ უნდა ჰქონდეთ დევნისა და თავდასხმის შიში. ეს ხაზგასმითაა აღნიშნული მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში (2016)⁴ – ჟურნალისტიკის, ჟურნალისტებისა და საინფორმაციო საშუალებების სხვა წარმომადგენლების დაცვის თაობაზე.

ამ საფრთხეებზე ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე ვლაპარაკობდი. პანდემიის შესახებ დებინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელი და ლეგიტიმურია. ზოგიერთმა სახელმწიფომ მაშინ „ყალბი ინფორმაციის“ გავრცელებისათვის სასჯელად პატიმრობა შემოიღო, სხვა ქვეყნებმა კი კერძო კომპანიებს ასეთი ინფორმაციის განადგურების მეტი უფლება მისცეს, რამაც სასამართლო სისტემა გარკვეულწილად პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა. ჩემი მიზანი იყო, თავიდან აგვეცილებინა ისეთი საკანონმდებლო აქტები, ბრძანებულებები

და გადანწყვეტილებები, რომლებიც ჟურნალისტებისა და საინფორმაციო საშუალებების სხვა წარმომადგენლების მუშაობას შეაფერხებდა, ასევე დაირღვეოდა საზოგადოების უფლება, მიეღო სარწმუნო ინფორმაცია.

კრიზისის დროს, პირველ რიგში, ირღვევა პრესის თავისუფლება, ინფორმაციის მიღებისა და აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებები. ამ არასასურველმა რეალობამ COVID-19-ის პანდემიის დროსაც იჩინა თავი. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, სათანადო დასკვნების გამოსატანად და წინა შეცდომების გამეორებისგან თავის დასაზღვევად დღეს ბევრად მეტი საშუალება გვაქვს, ვიდრე ადრე გვქონდა.

ყველას გვინდა, და შეგვიძლია კიდევ, რომ არსებულმა თუ შემდგომმა კრიზისებმა ადამიანის უფლებებზე მხოლოდ მინიმალურად იმოქმედოს.

მინდა ყურადღება გავამახვილო სამ კონკრეტულ საკითხზე:

პირველი – დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა და პრესის თავისუფლების დაცვა ანტონიმები არ არის. სინამდვილეში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ადამიანებს შეუძლიათ მოითხოვონ დეზინფორმაციასთან საბრძოლველად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართვისთვის, არის პროფესიონალი ჟურნალისტების მიერ ეთიკის ნორმების დაცვით გავრცელებულ სარწმუნო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. თუმცა, რიგ ქვეყნებში ინფორმაციის გაფილტვრასა და სიტყვის თავისუფლების მოთხოვნებზე რეაქცია აშკარად იგვიანებს. არის შემთხვევები, როცა ჟურნალისტებს პრეს-კონფერენციებზე დასწრების, ჯანდაცვის სფეროს ხელმძღვანელებისაგან ინფორმაციის მოპოვების ან სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებული ოპერაციების გადაღების საშუალება არ ეძლევათ. თუ გამოხატვის თავისუფლებასა და საინფორმაციო საშუალებებზე შეზღუდვები გარდაუვალია, ეს შეზღუდვები ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მეათე მუხლით დაშვებულ ზღვარს არ უნდა გასცდეს, ასევე დაცული უნდა იყოს გადაუდებელი აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპიც.

ნებისმიერ შემთხვევაში, დეზინფორმაციის წინააღმდეგ მიღებული ზომები ჟურნალისტებსა და საინფორმაციო საშუალებების სხვა წარმომადგენლებს თავიანთი მოვალეობების შესრულებაში ხელს არ უნდა უშლიდეს. ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები მხოლოდ იმით არ უნდა შემოიფარგლონ, რომ პროპაგანდად და დეზინფორმაციად მიჩნეული მასალების გავრცელება არ დაუშვან. ეს საკითხი ბევრად უფრო რთულია და გაცილებით კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. ერთ-ერთი გამოსავალი ისაა, რომ მთავრობამ მხარი დაუჭიროს კვალიფიციურ, ეთიკის დამცველ და დამოუკიდებელ მაუწყებლებსა და ჟურნალისტებს.

მეორე უმთავრესი საკითხია – როგორ შევინარჩუნოთ აზრის გამოხატვის თავისუფლება კრიზისის პირობებშიც კი. ცხადია, ჟურნალისტები უსაფრთხო გარემოში უნდა მუშაობდნენ და რეალურ ცხოვრებასა თუ ციფრულ სივრცეში საქმიანობისას დევნისა და თავდასხმის შიში არ უნდა ჰქონდეთ. სამწუხაროდ, ყოფილა შემთხვევები, როცა მაღალი რანგის ოფიციალური პირები COVID-19-ის საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებს დევნიდნენ და აკავებდნენ, რადგან მათი რეპორტაჟები უბრალოდ არ მოსწონდათ.

ამას გარდა, თითქმის ყველა წევრ სახელმწიფოში, რომელსაც პანდემია შეეხო, დემონსტრაციების ამკრძალავი ან შემზღუდავი ზომები შემოიღეს. ხშირად, დემონსტრაციებს მართავდნენ უკიდურესად მემარჯვენე ძალები, რომლებიც შემთხვევით სარგებლობდნენ, რომ დემინფორმაცია გაეგრძელებინათ და თან თავი უფლებადამცველებად წარმოეჩინათ. აშკარაა, რომ გახშირდა იმ ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტებიც, რომლებიც სხვადასხვა საპროტესტო აქციას აშუქებენ. როგორ დავიცვათ აზრის თავისუფლად და უსაფრთხოდ გამოხატვის უფლება, მათ შორის, ციფრულ სამყაროში? ამ საკითხზე მეტი დაფიქრება და მისი სიღრმისეული ანალიზი გვმართებს.

აქვე **შესაძმე საკითხს** შევხებით – **ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება** ნამდვილად შეიძლება იმისათვის, რომ საზოგადოება უფრო მოქნილი გახდეს, საგანგებო ვითარების დროსაც კი. თუმცა მათი მეშვეობით პრობლემების გამძაფრებაც ხდება. პანდემიის პირობებში ციფრული ინსტრუმენტები გამოიყენება კარანტინთან დაკავშირებული მითითებების შესასრულებლად, ინფექციის გავრცელების პროცესის გასაკონტროლებლად ან მოსახლეობისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, რომ თავიდან აიცილონ დაინფიცირებულ პირებთან შესაძლო კონტაქტი. იმთავითვე ვშიშობდი, რომ ასეთი ინსტრუმენტების გამოყენება მონაცემთა დაცვას შეუქმნიდა საფრთხეს, ამიტომაც მივეცი წევრი ქვეყნების მთავრობებს



დუნია მიატოვიჩი, მერი გოგოლაძე, აიდარ ბოტაგაროვი, კონსტანტინე ქვანაკიძე, კოტე ზალდასტანიშვილი, თედო ჯაფარიძე, გია ვოლსკი - ვიზიტი ეუთო-ში, ვენა, 2015, © საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. **Dunja Mijatović, Meri Gogoladze, Aidar Botagarov, Konstantin Kvachakidze, Kote Zaldastanishvili, Tedo Japaridze, Gia Volski - Visiting OSCE, Vienna, 2015, © Ministry of Foreign Affairs of Georgia.**

პრაქტიკული რეკომენდაციები, რომ ეს ინსტრუმენტები მხოლოდ დემოკრატიის წესების გათვალისწინებით შეემუშავებინათ და გამოეყენებინათ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მონაცემთა დაცვის საკითხებზე ის ძირითადი მინიმალური სტანდარტია, რომელიც წევრი სახელმწიფოებისათვის სახელმძღვანელო დებულებად უნდა იქცეს.

უდავოა, რომ პანდემიის პირობებში მთავრობები ურთულესი გამოწვევების წინაშე დგანან, თუმცა სხვადასხვა სახის შევიწროებისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გასამართლებლად არც ეს ვითარება გამოდგება. ჟურნალისტები და საინფორმაციო საშუალებების სხვა წარმომადგენლები საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებენ, ამიტომ მათ შრომას სჭირდება დაცვა და არა – შეზღუდვა.

მე მოვუწოდებ ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს, დაიცვან პრესისა და საინფორმაციო საშუალებების თავისუფლება და უზრუნველყონ, რომ დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები გონივრული და თანაზომიერი იყოს. მათი აღსრულება მუდმივი მეთვალყურეობით უნდა ხდებოდეს, მათ შორის, პარლამენტისა და ადამიანის უფლებათა დამცველი ეროვნული ორგანიზაციების მხრიდან.

დუნია მიატოვიჩი არის ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, მედიის სამართლისა და მედიის რეგულაციის ექსპერტი. იგი იყო ეუთო-ს წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში.

ემიგრაცია თუ დიასპორა?

იოსებ ნანობაშვილი

დიასპორა თვითორგანიზებული ემიგრაციაა

ემიგრაციასთან ურთიერთობა ქართული სახელმწიფოს საშინაო და საგარეო დღის წესრიგის იმ კატეგორიის საკითხია, რომელმაც განსაკუთრებული აქტუალობა ბოლო წლებში შეიძინა. შესაბამისად, ემიგრაციასთან ურთიერთობას ჯერ კიდევ აკლია საჭირო ინსტიტუციონალიზაცია და მკაფიოდ სტრუქტურირებული მიდგომები. 2018 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილმა ჩანაწერმა, რომ „სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, იზრუნოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე“¹, ახალი იდეები გააჩინა. ამასთან, ემიგრაციასთან ურთიერთობის საკითხი საჭიროებს როგორც არასამთავრობო წრეების, ისე სამთავრობო დონის ისეთ კვლევებსა და სიღრმისეულ განხილვებს, რომელთა დახმარებითაც გამოიკვეთებოდა ემიგრაციასთან ურთიერთობების ფუნდამენტური მიდგომები. შემდეგ ამ მიდგომების საფუძველზე უნდა დაიგეგმოს ის ნაბიჯები, რომლებიც ჩვენს ქვეყანასა და ქართული საზოგადოების საზღვარგარეთ მცხოვრებ ნაწილს შორის რთულ და მგრძნობიარე ურთიერთკავშირის საერთო მიზნების განხორციელებისაკენ მიმართულ კოორდინირებულ ძალისხმევად გარდასახავს.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ბუნებრივია, საჭიროა იმ მიზეზების დადგენა, რომლებიც ხელს უშლიან ქართულ „ემიგრაციას“ იქცეს ქართულ „დიასპორად“ (დიასპორა (ბერძნული სიტყვიდან διασπορά – „გაბნევა“) საკუთარი სამშობლოდან უცხო ქვეყანაში გადაადგილებულ ჯგუფს აღნიშნავს და თანამედროვე სამყაროში შეიძლება პირდაპირი გავლენა მოახდინოს „სამშობლოს“ ყოველდღიურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე).

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით, დიასპორას წარმოადგენენ „მიგრანტები და მათი შთამომავლები, რომელთა იდენტობა და კუთვნილება უკავშირდება მათი მიგრაციის გამოცდილებასა და მიგრაციის ისტორიას“. ამ თვალსაზრისით, ქართულ ემიგრაციას მართლაც შეიძლება ეწოდოს „დიასპორა“ – საზღვარგარეთ მყოფი ქართველები დიდი სიამაყით „ქართველობენ“, იცავენ რელიგიურ და სახალხო ტრადიციებს, ქმნიან ქართული კულტურის ცენტრებს, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებს, ნაკეთობებისა და ხელსაქმის წრეებს, ინარჩუნებენ სამშობლოსთან კავშირს.

1. სრულიად რევოლუციური იყო 2017 წლის გადამწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, ქართული სახელმწიფო დღემდე სრულად ფარავს საზღვარგარეთ გარდაცვლილი ჩვენი ყველა თანამემამულის სამშობლოში გადმოსვენების ხარჯებს, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა. საელჩოებს ევალებათ ამ პროცესის ლოჯისტიკურ-ადმინისტრაციული საკითხების მოგვარება.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ზემოხსენებული განმარტება არასრულია და უგულებელყოფს ზოგიერთ ისეთ ასპექტს, რომლებიც „ემიგრაციის“ „დიასპორად“ ჩამოსაყალიბებლად არის აუცილებელი. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, დიასპორა თვითორგანიზებული ემიგრაციაა. ეს თვითორგანიზება კი, არა მხოლოდ უცხო ქვეყანაში გაუმჯობესებული პირობებით თვითდამკვიდრების ინსტიტუტით არის ნაკარნახევი, არამედ წარმოადგენს კარგად გააზრებულ გადაწყვეტილებას, რომ ადამიანმა სამშობლოს საზღვრებს გარეთ, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების გზით გააგრძელოს საკუთარი ქვეყნის სამსახური, სამშობლოს სახელზე ზრუნვა, უცხო ქვეყანაში შეძენილი განათლებისა და უნარ-ჩვევების საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ გამოყენება. თავის მხრივ, „სამშობლოც“ უნდა იყოს მზად, ხელი შეუწყოს „ემიგრაციის“ „დიასპორად“ ტრანსფორმაციას, ასევე, გამოავლინოს დიასპორის რესურსის სათანადოდ გამოყენების უნარი.

შესაძლებელია არაერთი მაგალითის მოყვანა, როდესაც ემიგრაცია მძლავრ დიასპორულ ორგანიზმად ჩამოყალიბდა და სამშობლოს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამის კარგ მაგალითად გამოდგება უკრაინული დიასპორა კანადაში, ბერძნული, ირლანდიური და ებრაული დიასპორები აშშ-ში, თურქული დიასპორა ევროკავშირში და სხვა. ამ კონტექსტით, უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული ემიგრაცია დღემდე ვერ ახერხებს ჩამოყალიბდეს რეალურ „დიასპორად“. ქართულ ემიგრაციასა და მის სამშობლოს შორის აშკარა გაუცხოებაა და ეს გაუცხოება, სამწუხაროდ, ორმხრივია.

მიმდინარე ეტაპზე სახელმწიფო ინსტიტუტები, მათ შორის საელჩოები, ქართულ ემიგრაციასთან ურთიერთობებს, ვფიქრობთ, ‘learning by doing’ პრინციპით უდგებიან. მოსალოდნელია, რომ ამ პროცესში თანდათანობით დაგროვდება საკმარისი გამოცდილება, რომელიც ხელს შეუწყობს ემიგრაციასთან ურთიერთობის გეგმის შექმნას. აქვე გასათვალისწინებელია, რომ თავად ქართული ემიგრაცია საკმაოდ დინამიკურად ვითარდება, იძენს ახალ უნარებსა და საჭირო მოქნილობას, რეაგირებს რა როგორც ადგილსამყოფელი ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკურ რყევებზე, ისე სამშობლოში განვითარებულ პროცესებზე.

ქვემოთ წარმოდგენილია ქართული ემიგრაციის შესახებ ჩემი რამდენიმე დაკვირვება, ჩამოყალიბებული 2015-2020 წლებში ქ. ათენში საქართველოს ელჩად მუშაობის პერიოდში. ვფიქრობ, ამ საკითხების გამოკვეთა დაგვეხმარება დავინახოთ ზემოაღნიშნული მრავალკომპონენტიანი პრობლემის ზოგიერთი მიზეზი მაინც.

მეისიერი გაუცხოება

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენი ქვეყნიდან საზღვარგარეთ ემიგრაციის რამდენიმე ტალღა დაიძრა და შედეგად, ჩვენი რამდენიმე ასეული ათასი თანამემამულე საქართველოს საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა.

უცხო ქვეყნებში ემიგრაციის მიზეზი, უმრავლეს შემთხვევაში, ყოფითი პირობების გაუმჯობესების სურვილია. სტანდარტულად, ემიგრანტი თავის გადაადგილებაში ადანაშაულებს საკუთარ ქვეყანას, რომელმაც, ემიგრანტის აზრით, ვერ შეძლო მისი თვითრეალიზებისთვის

საჭირო პირობების შექმნა. შედეგად, საკუთარი ქვეყნის მიმართ დამოკიდებულებაში უარყოფითი მუხტი ემიგრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ჩნდება.

უცხო ქვეყნის საზღვრის კვეთისას უპირველესი მნიშვნელობის საკითხია ემიგრირებული პირის სამართლებრივი სტატუსი, ვინაიდან რაიმე სახის ფორმალური სტატუსის გარეშე ემიგრირებული პირი ვერ ახერხებს ახალ გარემოში კანონიერად მოქმედებასა და უცხო ქვეყანაში ადაპტაციას.

ემიგრანტის მიერ საზღვარგარეთ ფორმალური სტატუსის მიღებას არაოფიციალურად „ლეგალიზებას“ ვუწოდებთ. ემიგრირებული პირის ე.წ. ლეგალიზება რთული და მგრძნობიარე საკითხია. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში ემიგრაცია უმრავლეს შემთხვევაში მის მიერ ე.წ. „პოლიტიკური თავშესაფრის“, ანუ ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნით იწყებოდა, იმისდა მიუხედავად, ჰქონდა თუ არა განმცხადებელს შესაბამისი რეალური მიზეზი – „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციის მიხედვით, ლტოლვილის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს პირს, ვისაც „აქვს საფუძვლიანი შიში, რომ შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო და არ შეუძლია ან არ სურს, ამგვარი შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში...“ ასეთი განაცხადის მიღებისას ადგილსამყოფელი ქვეყანა იწყებს მის შესწავლას და გასცემს საბუთს, რომ ემიგრირებული პირის განაცხადი განიხილება. სწორედ ეს საბუთია პირველი დოკუმენტი, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ქართველი ემიგრანტის უცხო ქვეყანაში ყოფნის ლეგალური საფუძველი ხდება.² ამავდროულად, ხსენებული განაცხადი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, საკუთარი სამშობლოსგან დისტანცირებისკენ გადადგმულ პირველ ფორმალურ ნაბიჯსაც წარმოადგენს – საბერძნეთის რესპუბლიკაში ამჟამად დაახლოებით 300 ათასი ქართველი ემიგრანტია; საქართველოს საელჩოს საკონსულო აღრიცხვაზე მხოლოდ 15 ათასამდე პირი ირიცხება; საქართველოში ჩატარებულ არჩევნებში დაახლოებით 5 ათასი ემიგრანტი მონაწილეობს.³

ემიგრანტული ყოფა

საბერძნეთის რესპუბლიკაში ქართველი ემიგრანტი თვითრად, საშუალოდ, 500-600 ევროს გამოიმუშავებს. ამ თანხით იგი ახერხებს როგორც უცხო ქვეყანაში არსებობას, ასევე საქართველოში საკუთარი ოჯახის ფინანსურ დახმარებას.

2. თავშესაფრის სისტემით ბოროტად სარგებლობის შემთხვევათა შესამცირებლად ბოლო წლებში საქართველოს მთავრობამ დაგეგმა ღონისძიებები ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ საქართველოს უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეყვანის მიზნით. ქვეყნის უსაფრთხოდ აღიარება არ ნიშნავს, რომ მის მოქალაქეებს თავშესაფრის მიღებაზე განაცხადის შეტანა ეკრძალებათ. თუმცა, უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეყვანა ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეები თავშესაფრის მოთხოვნაზე პასუხს დაჩქარებული წესით მიიღებენ. ამ ეტაპზე, საქართველო უსაფრთხო ქვეყანად ევროკავშირის 14-მა ქვეყანამ და, ასევე, შვეიცარიამ ცნო.
3. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი პირადობის მოწმობა ან პასპორტი. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ არის დამოკიდებული პირის სტატუსზე (ლეგალურად მყოფი თუ არალეგალურად მყოფი) ადგილსამყოფელ ქვეყანაში.

გამომუშავებული მწირი თანხის ეფექტურად სამართავად ქართველმა ემიგრანტებმა საზღვარგარეთ შექმნეს ერთგვარი სოციალური მიკროკლიმატი, რომელიც მათ შესაძლებლობას აძლევს მეტ-ნაკლებად კომფორტულად მოიწყონ ყოფა საზღვარგარეთ, ამავე დროს, მოაგვარონ ფინანსური პრობლემები, ზოგ შემთხვევაში კი, საქართველოში შეიძინონ უძრავ-მოდრავი ქონება. ამასთან, ქართველი ემიგრანტები ახერხებენ მონაწილეობის მიღებას ადგილსამყოფელი ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, ინტეგრირებას ადგილობრივ საზოგადოებასთან, სხვადასხვა სფეროში საკუთარი უნარ-ჩვევების რეალიზებას.

ქართული ემიგრაცია ერთიანი ქართული საზოგადოების ნაწილი და ანარეკლია. მასში წარმოდგენილია საქართველოს მოსახლეობისთვის დამახასიათებელი ყველა ნაკლი და ღირსება. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ სოლიდარობის ნაკლებობა ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებს ხშირად ხელს უშლის ერთობლივი პროექტებისა და ინიციატივების განსახორციელებლად კონსოლიდაციაში. უცხო გარემოში, ჯერ – თვითგადარჩენის მიზნით, ხოლო შემდეგ – დამკვიდრებისა და განვითარების მისაღწევად, ემიგრაციული ჯგუფები თანამშრომლობის ნაცვლად, უმრავლეს შემთხვევაში, ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდებიან. შედეგად, ქართული ემიგრაციის კონსოლიდაცია რთულად შესასრულებელ ამოცანად რჩება. თუმცა, ამ მიმართულებით შეთავაზებულ ინიციატივებს, როგორც წესი, ქართული ემიგრაცია ენთუზიაზმით ეკიდება – 2019 წელს პირველად ჩატარდა სრულიად საბერძნეთის ქართული დიასპორული ფორუმი, რომელშიც 50-ზე მეტი დიასპორული ორგანიზაციის დელეგატმა მიიღო მონაწილეობა.

ემიგრაციული წვლილი ქართულ ეკონომიკაში

საკუთარი ოჯახებისთვის ქართველი ემიგრანტების ყოველთვიურად გადმორიცხული თანხები წინააღმდეგობრივ და მგრძნობიარე თემად რჩება. საკითხის წინააღმდეგობრიობა უკავშირდება განსხვავებას აღქმაში – რამდენად შეიცავს „პატრიოტულ ელემენტს“ ემიგრანტების მიერ თავიანთი ოჯახებისთვის გადარიცხული თანხები. საკითხის მგრძნობელობა კი – თანამედროვე საქართველოს ახალ სოციალურ ფენომენს – „ქართველ ემიგრანტ ქალს“ – ქართველი ემიგრანტი ქალების თავდაუზოგავი შრომა სამართლიანად მიიჩნევა საქართველოში მცხოვრები არაერთი ოჯახის ფიზიკურად გადარჩენის მთავარ ფაქტორად.

გლობალური პანდემიის დაწყებამდე საბერძნეთის რესპუბლიკიდან საქართველოში ყოველთვიურად 15 მილიონ ევრომდე ირიცხებოდა. ანალოგიური სურათია ჩვენი ემიგრანტების კონცენტრაციისა სხვა ქვეყნებშიც. ეკონომისტების შეფასებით, ამ ფულად ნაკადებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგრადობაში, პირდაპირი გავლენა აქვთ ქართული ლარის კურსის სტაბილურობაზე.

თავად ემიგრაციის არცთუ მცირე ნაწილი უცხოეთიდან გადარიცხულ თანხებს მიიჩნევს ლამის ერთადერთ ფაქტორად, რომელიც ქართული ეკონომიკის სტაბილურობას უზრუნველყოფს. ქართულ ეკონომიკაში შეტანილი ამ წვლილის საპასუხოდ ემიგრაცია აყენებს ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა ემიგრაციაში მყოფთა უფლებების დაცვა, ხარისხიანი საკონსულტო მომსახურების გაწევა, ქართული ემიგრაციის თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სფეროს განვითარებაზე ქართული ემიგრაციის



ნინო ზალდასტანიშვილი, თამარ ლეონიძე, გია ყანჩელი მეუღლითურთ, გიორგი დანელია, კოტე ზალდასტანიშვილი - „არ დაიდარდოს“ ჩვენება ქართულ ემიგრანტებთან შეხვედრაზე, ანტვერპენი, 2004, ოჯახის არქივიდან. **Nino Zaldastanishvili, Tamar Leonidze, Giya Kancheli with spouse, Georgiy Daneliya, Kote Zaldastanishvili - Screening of the movie 'Don't Grieve' in company of Georgian emigrants, Antwerp, 2004, from the family archives.**

მოსაზრებების გათვალისწინება, ასევე ღიად გამოხატავს საკუთარ პოზიციას ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესახებ.

ამ კუთხით, ქართული ემიგრაციის გააქტიურება უკავშირდება უკანასკნელ წლებში სოციალური ქსელებისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებების უპრეცედენტო განვითარებას, რამაც გააიოლა როგორც საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებზე ემიგრაციის წვდომა, ისე სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფის მიერ ემიგრანტებში გარკვეული განწყობების სწრაფი მობილიზება.

პოსტპანდემური ეკონომიკური კრიზისის გამო ემიგრაციული ფინანსური ნაკადების შემცირება შესაძლოა მნიშვნელოვან პრობლემად იქცეს როგორც ემიგრანტების სამშობლოში დარჩენილი ოჯახებისთვის, ისე ბიუჯეტის შევსების საფრთხის მქონე საქართველოს ეკონომიკისთვის. განვლილ თვეებში საბერძნეთიდან ფულის გადმორიცხვა თითქმის განახევრდა. თუ ეკონომიკურმა კრიზისმა ქართული ემიგრაციის პირობების შემდგომი გაუარესება გამოიწვია, ეს ნამდვილად ნეგატიურად აისახება ქართულ ეკონომიკაში მათი მონაწილეობის მოცულობაზეც.

რადგან პანდემია ვახსენეთ, აღვნიშნოთ ისიც, რომ პანდემიის პირობებში, სახელმწიფოს ხელშეწყობით, ქართველ ემიგრანტთა სამშობლოში დაბრუნების ღონისძიებებმა მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულეს ემიგრაციასთან კავშირების განმტკიცების ამოცანა. დაბრუნების პროცესს უკავშირდებოდა არაერთი წინააღმდეგობრივი ასპექტი, რომლებიც ქართულ ემიგრაციას გაორებულ გრძნობას უჩენდა – მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულმა ჩართვებმა რეისებმა სამშობლოში საქართველოს ათასობით მოქალაქე დააბრუნეს, ემიგრანტებს კითხვები დარჩათ რეისების ინტენსივობასთან, მგზავრობის ღირებულებასთან, საკარანტინო რეგულაციების გამოყენებასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

კრიმინალი

წლების განმავლობაში საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების მიერ ჩადენილი კრიმინალური ქმედებები მნიშვნელოვან ჩრდილს აყენებდა ქართული ემიგრაციის სახელს, მათ შორის, უარყოფითად მოქმედებდა ქართველ ემიგრანტებთან ადგილობრივი დამსაქმებლების დამოკიდებულებაზე. ჩემი დაკვირვებით, უკანასკნელ წლებში ამ კუთხით ვითარება გაუმჯობესდა – საბერძნეთის რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა კრიმინალური შემთხვევები საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობით.

ეს, ვფიქრობ, ორი ფაქტორით აიხსნება: პირველი – ქართული საზოგადოების ფართო ნაწილს მკაფიოდ ჩამოუყალიბდა კრიმინალური აზროვნების მიუღებლობა, მეორე – ქართველ ემიგრანტთა ახალ თაობას, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ დაიბადა ან გაიზარდა, კრიმინალურ მომავალზე ბევრად უკეთესი განვითარების პერსპექტივა აქვს. შედეგად, კრიმინალური ჯგუფები ვეღარ იღებენ ე.წ. „შევსებას“ და მათი რაოდენობა ბუნებრივად მცირდება. ვიმედოვნებთ, რომ ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება და მალე, ალბათ, დავინწყებას მიეცემა ცნება „ქართველი კრიმინალი“.

ემიგრაციის ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენების საკითხი

ვფიქრობ, მცირე პროგრესია ქართული ემიგრაციის ინტელექტუალური რესურსის „ქართული საქმის“ სასარგებლოდ გამოყენების თვალსაზრისითაც. ამ მიმართულებით მხოლოდ „წერტილოვან“ წარმატებებზე შეიძლება საუბარი: 2018 წელს ქ. ათენში საქართველოს საელჩომ საბერძნეთში, მოქმედი ქართველი იურისტების ჯგუფთან ერთად ორგანიზაცია ემიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD – International Center for Migration Policy Development) მხარდაჭერით, ქართველი ემიგრანტებისთვის გამოსცა საბერძნეთში ლეგალური მიგრაციის ყოვლისმომცველი გზამკვლევი, რომელშიც აისახა საბერძნეთის ყველა შესაბამისი სამართლებრივი ნორმა, „ლეგალიზების“ პროცედურები, ლეგალურად და არალეგალურად მყოფ ემიგრანტთა უფლებები და ა.შ.; 2017 წელს საბერძნეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ქართული ენის შესწავლის პროგრამის საბერძნეთის საჯარო სკოლებში ამოქმედების თაობაზე, რასაც საბერძნეთში მცხოვრები არაერთი ქართველი პედაგოგი ენთუზიამით გამოეხმაურა და ქ. ათენის საჯარო სკოლებში ამ პროგრამის განხორციელებაში აქტიურად და ორგანიზებულად ჩაერთო.

ზოგიერთი დასკვნითი მოსაზრება

ბუნებრივია, ჩვენს წერილს არ აქვს ამბიციია, რომ წარმოადგინოს ემიგრაციასთან ურთიერთობების დარეგულირების კონკრეტული რეკომენდაციები, თუმცა, ვფიქრობთ, იგი რამდენიმე სასარგებლო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას მაინც იძლევა:

- საქართველოსა და ქართულ ემიგრაციას შორის არსებული რთული და მგრძნობიარე ურთიერთკავშირის საერთო მიზნების განხორციელებისაკენ მიმართულ კოორდინირებულ ძალისხმევად გარდასახვა“ ეროვნული მნიშვნელობის ამოცანაა და დღემდე ამ ამოცანის გადასაჭრელი ეფექტიანი, გრძელვადიანი გეგმა არ შემუშავებულია.
- ხსენებულ გეგმაში უნდა გამოიკვეთოს ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის „ქართულ ემიგრაციას“, იქცეს „ქართულ დიასპორად“, რომელიც შეძლებს თვითორგანიზებას, რათა სამშობლოს საზღვრებს გარეთ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების გზით გააგრძელოს საკუთარი ქვეყნის სამსახური.
- თავის მხრივ, „სამშობლოც“ უნდა იყოს მზად, ხელი შეუწყოს „ემიგრაციის“ „დიასპორად“ გარდასახვას და გამოავლინოს დიასპორის რესურსის შესაბამისად გამოყენების უნარი.
- ქართული ემიგრაცია არაამბიციურ ხასიათს ამჟღავნებს. ქართველი ემიგრანტი კმაყოფილდება იმით, რომ ახერხებს მეტ-ნაკლებად კომფორტულად იცხოვროს საზღვარგარეთ და მოაგვაროს გარკვეული ფინანსური პრობლემები. ქართველი ემიგრანტის არაამბიციურობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის ფაქტი, რომ იგი არასაკმარისად „იკვებება“ იმ პატრიოტული ენერგიით, რომელსაც თავისი სამშობლო უნდა უგზავნიდეს და რომელიც შესაძლებლობას მისცემდა, თავი არა დისტანცირებულ ინდივიდად, არამედ უცხო ქვეყანაში თავისი სამშობლოს ნაწილად ეგრძნო. სამშობლოსთან სუსტი პატრიოტული ენერგეტიკული კავშირები შეიძლება იყოს ასევე ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ემიგრაციული ჯგუფები ერთმანეთთან ქიშპობასა და დაპირისპირებას ამჟობინებენ და შედეგად, ვერ ხერხდება ქართული ემიგრაციის კონსოლიდაცია.

ვფიქრობთ, თუ ემიგრაციის პრობლემას კიდევ უფრო განვაზოგადებთ, მივაღწეოთ პრობლემასთან – როგორ უნდა მოხერხდეს, რომ ქართული საზოგადოების ყველა სოციალური და პროფესიული ჯგუფი, იქნება ეს სამთავრობო, არასამთავრობო, კომერციული, სამეცნიერო თუ კულტურული წრეებიდან, საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, სამშობლოს სამსახურში „ირიცხებოდეს“, ანუ სამშობლოს მიმართ გაცნობიერებული პასუხისმგებლობის გრძნობით იცხოვროს და ქვეყნის ინტერესებისა და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების შესატყვისი პროფესიული სტანდარტით იშრომოს.

იოსებ ნანობაშვილი არის კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი. იგი იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთის რესპუბლიკაში.



კოტე ზალდასტანიშვილი, ბრიუსელი, 2006, © „ბრიტიშ პეტროლეუმი“
Kote Zaldastanishvili, Brussels, 2006, ©British Petroleum.

პიროვნება და პოსტპანდემიური სამყარო

ლანა ღოღობერიძე

დღევანდელი განსაცდელიდან პიროვნება გამდიდრებული გამოვა

საყოველთაო კატასტროფას გავყავართ პლანეტარულ დონეზე. თავდება ცნებები – ქალაქი, სახელმწიფო, კონტინენტი. უეცრად აღმოვჩნდით ძალიან პატარა დედამიწაზე. ცნებამ – კაცობრიობა – შეიძინა რეალური შინაარსი.

რას მოუტანს მას – კაცობრიობას – ეს თავს დატეხილი კატასტროფა და მისგან გამონვული ქაოსი? გახდება ის უფრო ადამიანური, გამგებიანი, ტოლერანტული თუ, პირიქით, მოიმატებს გაუტანლობა, გაუცხოება, საკუთარ თავში ჩაკეტვის ტენდენცია?

როგორი იქნება პოსტპანდემიური სამყარო? ერთი რამ ცხადია: ეპიდემიები თავისებურად ცვლიან საზოგადოებებს, ეკონომიკურ სტრუქტურებს, ადამიანურ ურთიერთობებს. ვფიქრობ, ამ მხრივ მნიშვნელოვანია ამ პრობლემის გააზრება ცალკეული პიროვნების თვალთახედვით. რა გავლენას მოახდენს საერთო განსაცდელი ადამიანზე, პიროვნებაზე?

ბევრს გულუბრყვილობად მიაჩნია ფიქრი იმაზე, რომ საყოველთაო კატასტროფიდან ამოიზრდება კაცობრიობის, უფრო ზუსტად, ცალკეული ადამიანის სრულყოფის იდეა. შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთი პესიმისტური სურათი: კრიზისი დასრულდება და ადამიანი მყისიერად დაუბრუნდება ჩვეულ ნორმად მიჩნეულ ცხოვრების სტილს, რომელიც ბუნების მოხმარებაზე, გაჩანაგებაზე, ადამიანის მოქმედების შედეგად კლიმატის შეცვლაზე და ატმოსფეროს დაბინძურებაზე დამყარებული. ასე გაგრძელდება მომავალ კრიზისამდე, სანამ ბუნება კიდევ ერთხელ იპოვის ისტორიაში დასაბრუნებელ გზას და მორიგ ჯერზე შეგვახსენებს საკუთარ ძალას.

მე კი მაინც ვფიქრობ, რომ დაგროვილი ტრაგიკული გამოცდილების შედეგად, ადამიანის უკეთესობისაკენ სწრაფვის იდეა მთლად საფუძველს მოკლებული არ არის.

ერთი რამ უტყუარია: საერთო უბედურება ახლებური ინტენსივობით და სიმწვავეთ გვაფიქრებს ჩვენს მოკვდავობაზე, სიცოცხლეზე, სიკვდილზე, ღმერთზე. საკუთარი კანით გვაგრძნობინებს, რომ არ ვართ მარტონი ამ პლანეტაზე. უფრო მეტი სიღრმით გვეუფლება

ფიქრი მოვლენათა წარმავლობაზე და ყოველი ჩვენგანის არსებობის აზრის პრობლემაზე. რეალურად ხელშესახები ხდება განსხვავება მატერიალურსა და სულიერს შორის, წარმავალსა და მარადიულს შორის, სიცოცხლის საბოლოო აზრსა და ყოველდღიურობას შორის.

რანი ვართ? რისთვის მოვევლინეთ ამ ქვეყანას? ამ ფუნდამენტური საკითხის გასარკვევად საჭიროა გავიაზროთ: რა არის ის მთავარი, რაც განასხვავებს ადამიანს, ჰომო საპიენსს, ყველა სხვა ცოცხალი არსებისაგან? ვფიქრობ, ეს არის ორი რამ: მხოლოდ ადამიანს შეუძლია განიცადოს ემპათია, ანუ თანაგრძნობა სხვის მიმართ და შეიგრძნოს ბუნების ან ადამიანის მიერ შექმნილი სილამაზე. ამავე დროს მგონია, რომ ეს არის ის ორი განცდა, რომელიც განსაკუთრებით მწვავედება სწორედ საერთო უბედურების და ქვეყნების თუ ცალკეული ადამიანის იძულებითი განმარტოების პირობებში. კარანტინი, თვითიზოლაცია – დიალოგი საკუთარ თავთან. შენი „მეს“ ახლებურად წაკითხვის მცდელობა. მართლაც ფიქრისკენ და მოვლენათა ახსნისკენ გიბიძგებს. ხვდები, რომ დღევანდელი მდგომარეობა განსაცდელია, საიდანაც ყოველმა ჩვენგანმა საკუთარი დასკვნა უნდა გამოიტანოს. ყველაფერზე მეტად ადამიანური ურთიერთობები გაკლია. არ გყოფნის ტელეფონით საუბარი, ვირტუალური ურთიერთობა. გენატრება რეალური კავშირი ახლობლებთან, გინდა დაინახო, დაეღაპარაკო, შეეხო ადამიანს, რომელიც გიყვარს. ფიქრობ შენს ცხოვრებაზე და ვერსად, ვერცერთ ეტაპზე, ვერ იაზრებ საკუთარ თავს სხვებისგან გაცალკევებულად. პირიქით, ხედავ შენს თავს სხვათა სინათლეში ან სხვათა ჩრდილში. ის, შენი ცხოვრება, დასახლებულია ადამიანთა – ცოცხალთა თუ წასულთა – აჩრდილებით. შენი ცხოვრების გზა – ხან ვიწრო, კლდოვანი, გაუვალი, ორივე მხარეს უფსკრულებით შემოზღუდული, ხან ფართო, გაშლილი... მაგრამ ყოველთვის – აღმართ-დაღმართი. და ამ გზაზე – მე და სხვები, ახლობლები, მეგობრები, შემთხვევითი შეხვედრილები. მოვდივართ თუ მივდივართ?

უსვამ ამ მუდმივ კითხვებს საკუთარ თავს და უცებ შემოგხვდება ტექსტი იტალიელი ექიმის პოსტიდან: „ინფიცირებულები საავადმყოფოში მართონი შემოდიან. ოჯახის წევრებს თანხლების უფლება არ აქვთ. მათ იციან, როდის დგება უკანასკნელი საათი. ადამიანები მართლობაში კვდებიან, ისე, რომ ოჯახებს ვერ ემშვიდობებიან. გლოვის გარეშე, როგორც ცხოველები“. ეს ლაკონიური, თითქოს ემოციის გარეშე ნათქვამი სიტყვები გულის სიღრმემდე გწვდება. ფიქრობ იმათზე, ვინც ამ საყოველთაო პანდემიის გამო მართლობაში სიკვდილისთვის არიან განწირული. რომლებიც მიდიან ამ ქვეყნიდან გლოვის გარეშე, ახლობელთა დატირების გარეშე. და შენში იღვიძებს ემპათია, თანაგრძნობა ამ უცხო ადამიანების მიმართ.

ამას წინათ ერთმა ტაქსის მძღოლმა არ გამოართვა მგზავრს ფული, როდესაც ლუგარის შენობასთან ჩამოსვა და გაიგო, რომ ის ამ დაწესებულების თანამშრომელია. „თქვენ ყოველი ჩვენგანის გადარჩენაზე ზრუნავთ და ერთადერთი, რითიც მე შემიძლია გიპასუხოთ, არის ეს უბრალო რამ – არ გამოგართვათ მგზავრობის საფასური“... ქალი გაოგნებული და მაღლიერი ჩავიდა მანქანიდან.

ერთმანეთის გაგება, თანაგრძნობა, სოლიდარობა... ამის მაგალითები უხვად არის ჩვენს გარშემო. თანაგრძნობა კი საფუძველია იმისა, რომ ადამიანთა შორის დასადგურდეს



კოტე ზალდასტანიშვილი შვილიშვილებთან ერთად, ვენა, 2016, ოჯახის არქივიდან.
Kote Zaldastanishvili with his grandchildren, Vienna, 2016, from the family archive.

სოლიდარობა, ანუ ერთიმეორის დახმარების სურვილი. და მე არ ვიცი, არსებობს ამ ქვეყნად რაიმე უფრო მშვენიერი, ვიდრე ერთმანეთის დახმარების და სოლიდარობის იდეით შეპყრობილი ადამიანები?

ყოველ დილას ისე ვხვდები მთელ კედელზე მოფენილ ერთ მხარეს წითელ, მეორე მხარეს ვარდისფერ ვარდებს, თითქოს პირველად დავინახე. ცოტა სასაცილოდაც მეჩვენება სულ ერთი და იმავე აღფრთოვანების გამოხატვა. მერე მახსენდება რაბინდრანათ თაგორის ნათქვამი: „ნუ იტყვი, აი, დილა და ნუ დაემშვიდობები მას გუშინდელი სახელით. შეხვდი მას ყოველდღე, როგორც ახლადშობილ ბავშვს, რომელსაც ჯერ არა აქვს სახელი“. ეს აღმოსავლური სიბრძნე მოვლენის არსში მახედებს და მეც უფრო გულლიად ვამუღავნებ სიხარულს ყოველი ახალი ვარდის გაფურჩქვნის გამო. ამ რამდენიმე დღის წინ კი მანქანების ხმაურისაგან გათავისუფლებულ ქალაქში შაშვის გალობა გავიგონე. ამის მერე რამდენიმეჯერ მერგო ეს ბედნიერება: შუაგულ თბილისის ძველ უბანში, სოლოლაკში, შაშვის მოულოდნელი, გამაოგნებელი გალობა! მერე ის მგალობელი დავინახე კიდეც: ეზოს გარეთ, ქუჩაში, ჯერ კიდევ გაუკვირტავი ნეკერჩხლის ხმელ ტოტზე შემომჯდარი. როგორც

ჩანს, გაიხარა ამ უეცრად დადუმებულ ქალაქში უცნაურად დამკვიდრებული სიჩუმით და ამღერდა. მის ეს პატარა, არცთუ განსაკუთრებით ლამაზი ჩიტი და გალობს. ვცდილობ ამოვიცნო მისი სიმღერის დრო და რიტმი და ჯერჯერობით ვერ ვახერხებ. ეტყობა, ეს მხოლოდ მის განწყობას ექვემდებარება. სული აევსება სიყვარულით და მღერის. შეიძლება, ოდესმე მოგწყინდეს ამ ქვეყნად ყოფნა, როდესაც ყოველ წუთს ახალი სასწაული გელოდება? თან ამ სასწაულს მზამზარეულად გთავაზობს ბუნება! და შენ მხოლოდ ის გევალება, ხელი არ შეუშალო მის შექმნას, მიაპყრო თვალი ან ყური, გაირინდო და დატკბე.

ხოლო რაც შეეხება სილამაზეს, რომელსაც ადამიანი ქმნის თავისი ხელით და რომლის აღქმა კიდევ ერთი ბედნიერებაა... კორონათი გამოწვეულ უძილო ღამეებში ხან რომელი ლექსის სტრიქონები ამომიტივტივდებოდა, ხან რომელი. გამახსენდა ყველაფერი, რითიც ოდესმე ვყოფილვარ გატაცებული. მაგრამ ამ განსაკუთრებულ სიტუაციაში ყველაზე მეტად მაინც ის ლექსები მიზიდავდა, რომლებიც რაღაცით მაგონებდა დღევანდელ მდგომარეობას.

„წვიმამ და ქარმა დაარბიეს ჩემი წალკოტი და დამრჩა ბალი, ნაყოფის და ხილის გარეშე“... შარლ ბოდლერის აშლილ გონებაში დაბადებული „ბოროტების ყვავილები“, რომლებიც „საფლავად ქცეულ დედამიწაზე ეძებენ მისტიურ საზრდოს“ და ეს მისტიური საზრდო ჩვენი სისხლია: „და ჩვენი სისხლით იკვებება მტერი მდუმარე“.

ან პოლ ვერლენის „ჩამავალ მზეთა მელანქოლია“! საფლავთა თავზე ჩამავალი მზეები, რომლებიც საყოველთაო მელანქოლიას ბადებენ...

„და უცნაური სინათლით სავსე,
აჩრდილთა როკვა გარემოს ავსებს,
და ხეტილობს ჩრდილი ვეება,
როგორც მზეები,
ჩამავალნი საფლავთა თავზე“.

მერე ისევ და ისევ გალაქტიონი:

„მთვარეში შავი შრიალებს ჩალა.
შავი ლეჩაქი დაეცა შარებს.
დამშვიდდი. სძინავს ალაზნის კარებს.
მთვარეში შავი შრიალებს ჩალა.
შენს მოგონებას, როგორც ეს ჭალა
მთების დუმილი ამინანქარებს,
მთვარეში შავი შრიალებს ჩალა,
შავი ლეჩაქი დაეცა შარებს“...

ნეტავი, რა ხილვა ჰქონდათ პოეტებს ამ დროს? ბოროტების ყვავილები, რომლებიც მოეფინენ საფლავად ქცეულ დედამიწას, საყოველთაო მელანქოლია, რომელსაც საფლავთა თავზე ჩამავალი მზეები აჩენენ და მთვარის შუქზე მოშრიალე შავი ჩალა და შავი ლეჩაქი... აპოკალიპტური სურათები. ქვეყნიერების დასასრული. მაგრამ რატომღაც ხდება საპირის-

პირო. კითხულობ ან იხსენებ ლექსს და გეუფლება ნეტარების განცდა. რატომ? ეს უკვე ლექსის მაგიაა. ხელოვნების მაგია. პოეტის მიერ სწორედ ამ ლექსიკით, ამ რიტმით, ამ რითმით გამოთქმული განცდა თუ ფიქრი პირდაპირ სულში გწვდება და ახალი ძალით გაზიარებს სამყაროს მშვენიერებას. ეს კი იგივე განწმენდაა. თუმცა გალაქტიონი ამავე ლექსში პირდაპირი ტექსტითაც გამშვიდებს:

„დამშვიდდი. ტალღებს მიანდე ნავი.
რაც დაიკარგა, ის აღარ მოვა.
აქვითინების დრო მერე მოვა.
დამშვიდდი. ტალღებს მიანდე ნავი.
სასონარკვეთას არ მისცე თავი,
არ მოიზიდო ფიქრების თოვა.
დამშვიდდი. ტალღებს მიანდე ნავი.
ის დაიღუპა. ის აღარ მოვა“.

ხანდახან, ალბათ, ესეც აუცილებელია: გაიაზრო, რომ „ის აღარ მოვა“. დამშვიდდე, სასონარკვეთას არ მისცე თავი და ნავი მიანდო ტალღებს. გაჰყვე დინებას. შეიძლება უფრო შორსაც წახვიდე: განავრცო, მოირგო შენთვის პოეტის ნაფიქრალი. გააცნობიერო, რომ დასრულდა შენი არსებობის რაღაც ეტაპი, რომ ცხოვრება ახალი კარის შეღების მუდმივი პროცესია. რომ შენ თვითონ შენი ამქვეყნად არსებობის ფაქტი გავალეს: დახურო ერთი კარი და შეაღო მეორე. და მაშინ წინ ყოველთვის სასწაული გელოდება. ესეც შეიძლება განვიხილოთ, როგორც დღევანდელი სამყაროს თავს დატეხილი საერთო განსაცდელის შედეგი და თავისებური განწმენდა.

დაბოლოს:

მე მაინც მჯერა, რომ დღევანდელი განსაცდელიდან პიროვნება გამდიდრებული გამოვა. უფრო დაფიქრებული, უფრო მომართული მშვენიერების აღსაქმელად, სხვისი ტკივილის გულთან უფრო ახლოს მიმტანი. უტოპიაა? შეიძლება. მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ საბოლოოდ უტოპიები და უტოპისტები ცვლიან სამყაროს. ამგვარ მოსაზრებას ამყარებს იმ მოაზროვნეთა ნაფიქრალი, რომელთაც ადამიანის სულის ჯურღმულებში ჩაიხედეს, კარგად იცოდნენ ადამიანის გაუტანლობის, შურის, დაუნდობლობის ფასი და მაინც „შავი ჭირის“ საშინელი გამოცდილებიდან გამოიტანეს ასეთი დასკვნა: „მას (ნაწარმოების მთავარ გმირს, ექიმ რიოს) უნდოდა უბრალოდ ეთქვა, რომ არის ერთი რამ, რასაც სწავლობ ამ წარღვნის შუაგულში, რომ ადამიანებში მეტია აღსაფრთოვანებელი, ვიდრე გასაკიცხი“. და კიდევ: „ახლა მათ უკვე იცოდნენ, რომ თუ არსებობს რაღაც, რაც ყოველთვის გინდა და რასაც ხანდახან აღწევ, ეს ადამიანური სინაზეა“.

(ალბერ კამიუ. „შავი ჭირი“).

ლანა ლოღობერიძე არის კინორეჟისორი, საქართველოს კინოაკადემიის საბჭოს წევრი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის ლაურეატი. იგი იყო ორი მოწვევის პარლამენტის წევრი, ევროპის საბჭოში საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოსა და იუნესკო-ში.





კოტე ზალდასტანიშვილი, ვენა, 2015,
© Cercle Diplomatique.
Kote Zaldastanishvili, Vienna, 2015,
© Cercle Diplomatique.

CONTENTS

143 | Foreword

145 | Unforgettable Kote, Whom We Miss So Much / Konstantine Gabashvili

153 | Introduction / Maia Panjikidze

Georgia's Place in the World and Multilateralism

159 | Georgia's Place in the World / Revaz Gachechiladze

165 | 'I Am Georgian Therefore I Am European':
Identity in Times of Pandemic / Natali Sabanadze

169 | Georgia and European Integration:
Objectives of Georgian Diplomacy / Kakha Gogolashvili

175 | Georgia's Foreign Policy – Neither Myth Nor Reality / Tedo Japaridze

181 | The Corona Test: The Impact of the COVID-19 Pandemic
on Multilateralism / Tamar Beruchashvili

187 | Reinforcing Multilateralism and Strengthening the Role of Parliaments
in Times of Pandemic / George (Gigi) Tsereteli

The Russian Factor and Relations with Sukhumi and Tskhinvali

191 | Georgian-Russian Relations After the Pandemic / Zurab Abashidze

197 | The Transformation of Georgian-Abkhaz and Georgian-Ossetian Relations
in the Context of the Pandemic / Archil Gegeshidze

203 | Georgia in Conditions of Dividing Lines and Pandemic / Ketevan Tsikhelashvili

211 | Preventing Conflicts by Fostering the Integration
of Diverse Societies: / Lamberto Zannier

The Economy and Search for Ways of Emerging from the Crisis

215 | On the COVID-19 Pandemic Economic Crisis
and the Reorientation of the Georgian Economy / Vladimer Papava

221 | Prospects for Georgian-Chinese Economic Relations
in the Context of Post-COVID-19 Pandemic Crisis / David Aptsiauri

227 | Good Decisions in Challenging Times – Thoughts from a Pandemic / Howard Chase

Civil Society, Democracy, Human Rights and Social Issues

231 | The Altered And Still Unchanged Realities
of a World Driven Mad by COVID-19 / Irakli Menagharishvili

235 | Freedom Amid the Pandemic / Tinatin Khidasheli

241 | Freedom of Expression in Times of COVID-19 / Dunja Mijatović

245 | Emigration or Diaspora? / Ioseb Nanobashvili

251 | An Individual in the Post-Pandemic World / Lana Gogoberidze



მარი ან ისლერ-ბეგინი, კოტე ზალდასტანიშვილი, ლევან მიქელაძე - მიღება
ევროპარლამენტში, ბრიუსელი, 2006, © ჰორსტ ვაგნერი, European United
Photographers & Images. Marie Anne Isler-Béguin, Kote Zaldastanishvili, Levan
Mikeladze - Reception in the European Parliament, Brussels, 2006, © Horst
Wagner, European United Photographers & Images.

FOREWORD

This collection of essays titled *Reflection on a Changed World* is devoted to prominent Georgian diplomat Kote Zaldastanishvili, published to mark the 60th anniversary of his birth.

The efforts of the Levan Mikeladze Foundation and its contribution to the implementation of the project are to be emphasised in this connection as well as support from the EU-Georgia Business Council and the Levan Mikeladze Diplomatic Training and Research Institute

The Levan Mikeladze Foundation was founded in 2020 and explores issues of foreign and security policy, focusing on the analysis of the challenges Georgia is facing in this regard.

The EU-Georgia Business Council was established in 2006 at the initiative of Kote Zaldastanishvili and British Petroleum, in cooperation with Statoil, Borjomi, Total, Wissol and others. The council aims at encouraging the development of economic and business relations between the EU and Georgia.

The Levan Mikeladze Diplomatic Training and Research Institute is an analytical centre under the Georgian Foreign Ministry. It works towards the advanced training of diplomats and the development of strategic directions of foreign policy.

The editorial board thanks Konstantine Gabashvili for the biography of Kote Zaldastanishvili as well as Kote Zaldastanishvili's Georgian and foreign colleagues Maia Panjikidze, Revaz Gachechiladze, Natali Sabanadze, Kakha Gogolashvili, Tedo Japaridze, Tamar Beruchashvili, Giorgi Tsereteli, Zurab Abashidze, Archil Gegeshidze, Ketevan Tsikhelashvili, Lamberto Zannier, Vladimer Papava, David Aptsiauri, Howard Chase, Irakli Menagarishvili, Tinatin Khidasheli, Dunja Mijatovic, Ioseb Nanobashvili and Lana Gogoberidze for the essays written specifically for this collection.

Special thanks go to the sponsors of this edition, Mamuka Khazaradze and Badri Japaridze, and the authors of the idea, Kote Zaldastanishvili's family, whose efforts were crucial for implementing this project.

This collection of essays titled *Reflection on a Changed World* was created during a particular situation. It is an attempt to respond to the questions arising due to the crisis caused by the pandemic. We are deeply convinced that the publication offers many interesting opinions and ideas to a broad circle of interested readers and will definitely become a solid basis for further discussions.

Editorial Board

Tbilisi, October 2020



კოტე ზალდასტანიშვილი, ჰელმუტ კოლი - ოფიციალური მიღება გერმანიის კანცლერთან, ბონი, 1995, © მიქაელ ფონ ლინგენი. **Kote Zaldastanishvili, Helmut Kohl - Official reception held by the Chancellor of Germany, Bonn, 1995, © Michael von Lingen.**

UNFORGETTABLE KOTE, WHOM WE MISS SO MUCH

Konstantine Gabashvili

I first became familiar with Kote Zaldastanishvili in April 1993, when I was looking to select a person to head the Foreign Relations Department at Tbilisi City Hall. It was a difficult time and the work was hard. There was such a department at City Hall, but it was absolutely enfeebled. Fresh blood, vigorous people, and a lot of work were necessary. Tbilisi had several twin cities, including Saarbrücken. The then mayor of the city, Hajo Hoffmann, and Saarland Minister President Oskar Lafontaine immediately provided unimaginable assistance: They sent child nutrition, medicines and food to our capital city, which had been destroyed by civil war. Several planes landed in Tbilisi. Other twin cities were also waiting to make contacts. In short, there was plenty of work to be done.

Incidentally, Kote Zaldastanishvili was the person they recommended for the post. His experience and background seemed impressive to me despite his young age. Kote was 33, the age when a young man is most active. Yes, Kote was born in 1960 into a traditional Georgian hard-working and highly-cultured family. His father, Nodar Zaldastanishvili, was a mechanical engineering professor at the Georgian Polytechnic Institute and his mother, Lala Janjgava, was a research associate of the Institute of Geology.

Kote graduated from the Polytechnic Institute with a focus on automated control systems. I do not want to offend anyone, but at that time, it was the degree that provided the most up-to-date and broad education at the Georgian Polytechnic Institute. Later, he began working as an engineer at a scientific research centre with the same speciality. He was soon taken to the department and in 1984, he became a postgraduate student at Dresden Technical University. This was only possible at that time if you met two conditions – the postgraduate student-to-be had to have a good command of German and have excellent marks on their diploma. This was very interesting for the leadership of the Foreign Relations Department at Tbilisi City Hall – a good knowledge of a foreign language and a technological education, particularly taking into account the fact that Kote defended his doctoral thesis at Dresden Technical University and within the timeframe, in 1987, was awarded a PhD in technical sciences. This was evidence of his particular diligence and fitness for work, as students rarely completed postgraduate courses in our country successfully and within the set timeframes. The result showed that German-style thoroughness and personal organisation had become Kote's key features.

He then returned as an assistant to his department at the Polytechnic University. Two years later, he was in Germany again. He was dispatched as a researcher to the Technical University of Erlangen-Nuremberg. Kote was a senior lecturer of the department and the deputy director of teaching at the institute in 1990-1992. Later, he held two other very important posts, which not only deeply convinced me of the need to invite Kote Zaldastanishvili to the post of Foreign Relations Department head at Tbilisi City

